

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ი
 1979

675-ი

ისტორიის
 არქეოლოგიის
 ეთნოგრაფიისა და
 ხელოვნების ისტორიის
 სერია

1

3 · 1979



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
 ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის,
 ეთნოგრაფიისა და
 ხელოვნების ისტორიის
 სერია

СЕРИЯ
 ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,
 ЭТНОГРАФИИ И
 ИСТОРИИ ИСКУССТВА

16315



თბილისი
 ТБИЛИСИ

3. 1979

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца.

ს ა რ ე დ ა კ ტ ო რ ი კ ო ლ ე გ ი ა : ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора),
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-50 Телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.19.79; შეკე. 2129; ანაწილების ზომა 7×12;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 18,2; საარტიცხო-სავაჭარო-საგამომცემლო
თაბახი 16,70; უე 06818; ტირაჟი 1400
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ს ა რ ს ი

წერილები

0. გინაზში, საგარეო პოლიტიკის კონსტიტუციური საფუძვლები	5
3. ჯიკიძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის ბრძოლა რელიგიური გადმონათების წინააღმდეგ	15
3. ჩოჩია, გერმანიის დიპლომატია და ბრძოლა ირანში ვაქცინის გაძლიერებისა და ანტანტის გათიშვისათვის (1908—1909 წწ.)	24
ბ. ცინაძე, საქართველოს ისტორიის საკითხები გაზეთ „კავკაზ“-ის ფურცლებზე	34
ტ. ჩუბინიშვილი, ლ. შელიძე, ადრე სამიწათმოქმედო კულტურის ზოგადი განმარტებული ნიშნის შესახებ	48

ცნობები და შენიშვნები

ბ. ფულაძე, რეპრეზენტატიული შერჩევის მოცულობის განსაზღვრა საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას	62
შ. ბაღრიძე, შირიმის ბრძოლის ლოკალიზებისა და თარიღის შესახებ	67
დ. კლდიაშვილი, ჭაყვი-ბოცოსძეთა სავაჭრო-საბაზრობის ისტორიისათვის	83
ბ. ფულაძე, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ როგორც წყარო კავკასიის ხალხთა ისტორიისათვის	97
რ. სურგულაძე, სტეფანე ლიონოვის (შარიშანაშვილის) ვინაობისათვის	103
მ. ბერიშვილი, საწულე	120

კუბლიკაციები

6. შენიშვნა-კომენტარი, ჩემო-ზადე მუსხაფა რეშიდის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ	130
---	-----

დისკუსია და განხილვა

3. ბაბუშვილი, ხელისუფლების დანაწილების თეორია და ყუთლუ-არსლანის პროგრამა	142
მ. ბაბუშვილი, მცირე შენიშვნა	161

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

3. ბაბუშვილი, ანა ბაქრაძე, მასალები ქართული სურათების ისტორიისათვის	163
მ. სპინაძე, ბ. სილაგაძე, ერაყი მამლუქთა გამგებლობის ხანაში	165
მ. ბანთარია, ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში	169

პროცენტები და ინფორმაცია

ისტორიკოსთა რესპუბლიკური თათბირი	173
ბ. ბერაძე, რ. საღინაძე, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილება 1977—1978 წწ.	174
ზ. ჯამბურაძე, ირაკლი ანთელავას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია	176

ისტორიული თარიღები

ჯ. მათეიშვილი, ქართული ნახევრი წიგნის ისტორიულ სათავეებთან	177
--	-----

სახისტორიო მენიერების მოღვაწეები

შ. ლომსაძე, ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი	187
ბ. ბრიგოლინი, კორნელი კეკელიძე და საქართველოს ისტორია	195
ბ. ბარბაქაძე, მაქსიმე ბერძინაშვილი	201
ბ. ბარბაქაძე, შალვა ამირანაშვილი	205



СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Э. МЕНАБДЕ, Конституционные основы внешней политики	6
В. ДЖИКИДЗЕ, Борьба Абхазской организации КП Грузии с религиозными перехитками	15
В. ЧОЧИЯ, Германская дипломатия и борьба за усиление влияния в Иране и разрушение Антанты	24
А. ЦИНАДЗЕ, Вопросы истории Грузии на страницах газеты «Кавказ»	34
Т. ЧУБИНИШВИЛИ, Л. ЧЕЛИДЗЕ, К вопросу о некоторых определяющих признаках раннеземледельческой культуры	48

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. ЦУЛАДЗЕ, Определение репрезентативного объема выборки при изучении общественного мнения	62
Ш. БАДРИДЗЕ, О локализации и датировке Ширимского сражения	67
Д. ҚЛДИАШВИЛИ, Из истории феодального рода Джакели	83
Г. ЦУЛАЯ, «Житие св. Нины» как источник по истории народов Кавказа	97
Р. СУРМАНИДЗЕ, К биографии Степана Лойнова (Шариманашвили).	108
Ж. ЭРИАШВИЛИ, Приобщение ребенка к общинному божеству (Сацуле)	120

ПУБЛИКАЦИЯ

Н. ШЕНГЕЛИЯ-ДЖАВЕЛИДЗЕ, Сведения Чешми-Заде Мустафы Решида о Западной Грузии	130
---	-----

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

В. АБАШМАДЗЕ, Теория разделения власти и программа Кутлу-Арслана	142
Т. БЕРАДЗЕ, Замечание по поводу статьи М. В. Габашвили	161

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. ГАБАШВИЛИ, Анна Бакрадзе. Материалы по истории грузинской сфра- гистики	163
М. СВАНИДЗЕ, Б. Силагадзе, Ирак в период правления мамлюков	165
М. КАНТАРИЯ, Дж. Рухадзе, Народная агрикультура в Западной Грузии	169

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Республиканское совещание историков	173
Г. БЕРИДЗЕ, Р. САГИНАДЗЕ, Отдел истории Ближнего Востока Института востоковедения в 1977—1978 гг.	174
З. ДЖАМБУРИЯ, Научная сессия, посвященная памяти И. Г. Антелава	176

ИСТОРИЧЕСКИЕ ДАТЫ

Дж. ВАТЕИШВИЛИ, К историческим истокам грузинской печатной книги	177
--	-----

ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

Ш. ЛОМСАДЗЕ, Историк Михаил Тамарашвили	187
Қ. ГРИГОЛИА, Академик К. С. Кекелидзе и вопросы истории Грузии	195
А. БАРАМИДЗЕ, М. М. Бердзнишвили (90-летие со дня рождения)	201
Г. АБРАМИШВИЛИ, Академик Ш. Я. Амиранашвили (90-летие со дня рож- дения)	206

ილუსტრაციები

საგარეო პოლიტიკის კონსტიტუციური საფუძვლები


(საბჭოთა და ზოგიერთი ბურჟუაზიული კონსტიტუციის
შედარებითი ანალიზი)

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციურ-მა სისტემებმა 70-იან წლებში მსოფლიო საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რაც დაკავშირებული იყო არა მარტო საიუბილეო დღესასწაულებთან (1976 წელს ამერიკელებმა იზეიმეს დამოუკიდებლობის 200 წლისთავი, ხოლო 1977 წელს საბჭოთა ხალხმა აღნიშნა ოქტომბრის რევოლუციის 60 წელი), არამედ პრაქტიკულ საკონსტიტუციო მოღვაწეობასა და პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან: საბჭოთა კავშირში განხილული და დამტკიცებული იყო ახალი კონსტიტუცია, ხოლო შეერთებულ შტატებში იფეთქა ამ ქვეყნის ისტორიაში არნახულმა პოლიტიკურმა (საკონსტიტუციო) კრიზისმა, რაც დაკავშირებული იყო, პირველ რიგში, ე. წ. უოტერ-გეიტის საქმესა და ვიეტნამის ომთან.

თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების როგორც მსოფლიო სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების წამყვანი სახელმწიფოების, როლსა და გავლენას საერთაშორისო ასპარეზზე, გასაგები გახდება, რომ ყურადღების ცენტრში, სხვა საკითხებთან ერთად, აღმოჩნდა საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობის კონსტიტუციური საფუძვლები და განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის ძირითადი კანონის ტექსტში ამასთან დაკავშირებით შეტანილი იყო სპეციალური მუხლები. თავის გამოვლელაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაში მომხდარი ძირეული ცვლილებების, მსოფლიო პოლიტიკაში მისი გავლენის უდიდესი ზრდის, ჩვენი განვითარების საშინაო და საგარეო ფაქტორების მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო საჭირო გახდა კონსტიტუციის პროექტში შესულიყო სპეციალური თავი სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ასეთი თავი კონსტიტუციაში პირველად არის შეტანილი“¹.

ამ გარემოებამ საკმაოდ ფართო გამოხმაურება პოვა მთელ მსოფლიოში. ფრანგი კომუნისტების ცენტრალური ორგანო, გაზეთი „ლუმანტი“, მაგალითად, აღნიშნავდა, რომ ბრძოლა მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ამერიკიდან ძირითად კანონად იქცევა საბჭოთა კავშირ-

¹ ლ. ი. ბ რ ე ჯ ნ ე ვ ი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, თბ., 1977, გვ. 15.



ში². ინდოეთის პარლამენტის წევრი დ. პ. სინგჰი საბჭოთა კონსტიტუციის აღნიშნულ თავს „არაჩვეულებრივად შთამბეჭდავს“ უწოდებს და დაძმებს: „საგარეო პოლიტიკის შესახებ სპეციალური კარის შეტანა კონსტიტუციაში და მისი მიღება მშვიდობის პოლიტიკის მუდმივ საფუძვლად წარმოადგენს უდავო მიღწევას“³.

იხილავდა რა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომაროვი აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ახალი ძირითადი კანონი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ საბჭოთა სახელმწიფო არის ხალხთა მეგობრობის და მშვიდობის სახელმწიფო⁴.

ყოველი მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებისათვის, რევოლუციისა და მასში მონაწილე ძალებისათვის დამახასიათებელია საკუთარი პრინციპებისა და მიზნების დეკლარირება, რომლებიც შემდგომ პოლიტიკური (საკონსტიტუციო) სისტემის საფუძვლად იქცევა.

ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და ზავის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტის სათანადო დებულებათა შედარება.

შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია, თავისი დროის (1176 წელი), უდავოდ, პროგრესული დოკუმენტი, კატეგორიულად გამოხს ყოველგვარ ტირანიას, დესპოტიზმს, გამოდის ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის დამონების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ახლად შექმნილ სახელმწიფოს „გააჩნია სრული ძალაუფლება დაიწყოს ომი (to levy War), დასდოს ზავი, შეკრას კავშირი, აწარმოოს ვაჭრობა, განახორციელოს ყოველი მოქმედება და საქმე, რომელიც უნდა განახორციელოს დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა“⁵. როგორც ვხედავთ, აქ ძირითადად ხდება დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის — სახელმწიფოს ძველთაგანვე აღიარებული უფლებების კონსტრუქცია.

საბჭოთა სახელმწიფოს დეკრეტი ზავის შესახებ — ეს არის ახალი საზოგადოების სრულიად ახალი სიტყვა პოლიტიკური აზრის სფეროში. მისი მნიშვნელობა ცდება რუსეთის ფარგლებს და მოასწავებს საერთაშორისო სამართლის ახალი ნორმების წარმოშობას, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაში სოციალისტური ნაკადის შემოჭრასა და დამკვიდრებასთან.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის უკვე მეორე დღეს (1917 წლის 8 ნოემბერს ახალი სტილით) შესთავაზა მსოფლიო ხალხებსა და მთავრობებს სამართლიანი დემოკრატიული ზავი, რომელიც განმარტა როგორც ზავი ანექსიებისა და კონტრიბუციების გარეშე⁶.

იმავე დებულებას ვხვდებით საბჭოთა მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ

² L'Humanité, 10. VI. 1977.

³ J. Sharma (ed.). New Soviet Constitution, An Indian Assessment, Allied Publishers New Delhi, 1978, გვ. 49.

⁴ Б. П о н о м а р е в, О международном значении новой Конституции СССР (Журн. «Проблемы мира и социализма», №2, 1978, გვ. 4).

⁵ J. A. Garraty, The American Nation, V. I — A History of United States to 1877, 3d Edition, Harper and Row, NY, 1975, გვ. 455—456.

⁶ Документы внешней политики СССР, т. I, М., 1957, გვ. 11—12.

სხვა ოფიციალურ დოკუმენტებშიც. მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციაში კვლავ წამოყენებულია „ხალხთა შორის დემოკრატიული ზავის“ მოთხოვნა, და ეს ცნება კვლავ განმარტებულია, როგორც ზავი „ანექსიებისა და კონტრიბუციების გარეშე, ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე“⁷.

ამასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლება გამოდიოდა ფარული დიპლომატიის წინააღმდეგ და არ მალავდა საკუთარი საგარეო პოლიტიკის კლასობრივ ხასიათს. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 18 ნოემბრის დადგენილებაში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ანულირების შესახებ ნათქვამი იყო, რომ ამიერიდან „ურთიერთობა რუსეთის, გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის ხალხებს შორის იქნება არა მარტო მშვიდობიანი ურთიერთობა. ეს იქნება ყველა ერის მშრომელი მასების კავშირი მათ ბრძოლაში სოციალისტური წესწყობილების შექმნასა და განმტკიცებისათვის მილიტარიზმის, იმპერიალიზმისა და ეკონომიკური მონობის წესწყობილების ნანგრევებზე“⁸.

ვ. ი. ლენინი, შემდეგ კი საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელები, როგორც ცნობილია, ადასტურებდნენ, რომ აღნიშნული დებულება სრულიადაც არ ნიშნავს რევოლუციის ექსპორტს, ჩვენს მისწრაფებას ჩავერიოთ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეში და ძალით და გარეშე ექსპანსიის საშუალებით შევიცვალოთ იქ არსებული ხელისუფლება და სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. მთავარი მიზანი, რომელსაც ისახავდა ახლად შობილი საბჭოთა სახელმწიფო, მდგომარეობდა სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური პირობების შექმნაში. ასე მაგალითად, სრულიად რუსეთის საბჭოების VII ყრილობის რეზოლუციაში საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ ვკითხულობთ: „რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას სურს მშვიდობიან პირობებში იცხოვროს ყველა ხალხებთან და მთელი თავისი ძალები წარმართოს საშინაო მშენებლობაზე, რათა ააწყოს წარმოება, ტრანსპორტი და საზოგადოებრივი მმართველობა საბჭოთა წყობილების ნიადაგზე, რასაც აქამდე ხელს უშლიდა ჩაგვრა გერმანიის იმპერიალიზმის მხრიდან, შემდეგ ანტანტის ჩარევა და მშვიერი ბლოკადა“⁹.

ყველა ეს პრინციპი და დებულება ფაქტიურად უცვლელი დარჩა დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ამჟამად მოქმედებს უკვე მეოთხე კონსტიტუცია. ჩვენი ძირითადი კანონის ცვლილებანი გამოწვეულია არა თვით სოციალისტური სისტემის საფუძვლების შეცვლით, არამედ საბჭოთა საზოგადოების განვითარებით, მისი წინსვლითა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესით, რაც გამოიხატა სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებასა და საერთო-სახალხო სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში¹⁰.

ამ მხრივ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მონაცვლეობითი, მეგვიდრეობითი და თანმიმდევრობითი ხასიათი სრულადაა ასახული ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მე-4 თავში, რომელიც საგარეო პოლიტიკას ეხება.

⁷ Документы внешней политики СССР, გვ. 86; შდრ. იქვე, ტ. 11, გვ. 578.

⁸ იქვე, გვ. 566.

⁹ იქვე, ტ. II, გვ. 298.

¹⁰ იხ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1979, გვ. 3—6.

ამ თავის 28-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „სსრ კავშირი განუხრელად ახორციელებს ლენინურ მშვიდობის პოლიტიკას“ და მიზნად ისახავს „ხელშეწყობი საერთაშორისო პირობები შეექმნას სსრ კავშირში კომუნისმის აშენებას, დაიცვას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესები, განამტკიცოს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები, მხარი დაუჭიროს ხალხთა ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის“ და ა. შ. კონსტიტუციის 30-ე მუხლში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირი, როგორც სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, სოციალისტური თანამეგობრობის შემადგენელი წაწილი, ავითარებს და ამტკიცებს მეგობრობასა და თანამშრომლობას, ამხანაგურ ურთიერთდახმარებას სოციალიზმის ქვეყნებთან სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპის საფუძველზე, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიურ ინტეგრაციისა და შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებაში“.

თავის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობისადმი ლ. ა. ბრეჟნევი ამასთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ „ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტიკური საანგარიშო პერიოდის მანძილზე, ისევე როგორც უწინ, უპირველეს (ხაზი ჩემია. — ე. შ.) ყურადღებას უთმობდნენ სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობას“¹¹. ეს პრიორიტეტი, რომელიც ენიჭება სოციალისტურ ქვეყნებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში სავსებით გასაგებია ჩვენი ქვეყნის კლასობრივი პოზიციების გათვალისწინებით.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულებანი ხაზს უსვამენ არა მარტო ჩვენი პოლიტიკის საფუძვლების უცვლელ ხასიათს, არამედ კონსტიტუციურ კანონად, ჩვენი კანონმდებლობის უმაღლეს ნორმად აქცევენ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის კლასობრივ ხასიათს, მის მისწრაფებას საერთაშორისო ცხოვრებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით ხელი შეუწყოს არა მარტო საკუთარი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის თანამიმდევრულ პროგრესს სოციალიზმისა და კომუნისმის გზით.

საბჭოთა სახელმწიფოს ეს პრინციპული, სავსებით ნათელი და არაორაზროვანი პოზიცია წარმოდგენილია დასავლეთის პროპაგანდის მიერ როგორც ცდა გარედან ძალით მოახვიონ სხვა ხალხებს მათთვის უცხო სოციალური და პოლიტიკური წყობა, ე. ი. იმოქმედონ არსებული საერთაშორისო ნორმების საწინააღმდეგოდ. ამიტომ ყოველგვარი პროგრესული სოციალურ-პოლიტიკური ცვლილება ამა თუ იმ სახელმწიფოში დაყინებით და პრიმიტიულად განიხილება, როგორც საბჭოთა კავშირისა და რომელიმე სხვა სოციალისტური სახელმწიფოს მხრიდან ზეგავლენისა და საშინაო საქმეებში ჩარევის შედეგი. მავალითად, ბოლო წლებში „კომუნისტური ექსპანსიონიზმის მსხვერპლად“ გამოცხადებულია ანგოლა, ეთიოპია, ავღანეთი, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და კამპუჩია. ასე მავალითად, ამჟამადაც შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირისა და კუბის „ჩარევის“ შესახებ სამხრეთ აფრიკასა და არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში (კონფლიქტი ჩრდილოეთ და სამხრეთ იემენს შორის).

ყოველი ამგვარი მტკიცება უარყოფილია საბჭოთა კავშირის მხრიდან არა

¹¹ სკკპ. XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 6.
¹² იხ. კარტერის მოხსენება ქვეყნის მდგომარეობის შესახებ — The New York Times, 25. I. 1979.

მარტო სიტყვიერად, არამედ თავისი საქმიანობითა და ამიერიდან ახალი კონსტიტუციის ძალითაც, რაც უნიკალური მოვლენაა ნებისმიერი ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკაში. სსრ კავშირის ძირითადი კანონის 29-ე მუხლში ვკითხულობთ: „სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ურთიერთობა დამყარებულია ისეთი პრინციპების დაცვის საფუძველზე, როგორც არის: სუვერენული თანასწორობა, ძალის გამოყენებასა ან ძალით დამუქრებაზე ორმხრივი უარის თქმა; საზღვრების ურღვეობა; სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა; დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა; ხალხთა თანასწორუფლებიანობა და თავიანთი ბედის გამგეობის უფლება, სახელმწიფოთა თანამშრომლობა; საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან, სსრ კავშირის მიერ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება“.

აქ ჩამოთვლილი პრინციპები საერთაშორისო სამართლისათვის უცხო როლია: მათ ჩვენ ვნახავთ, მაგალითად, გაერთიანებული ერების წესდებისა¹³ და ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტში¹⁴, მაგრამ სიახლე აქ ის არის, რომ აღნიშნული დებულებები პირველადაა აყვანილი სახელმწიფო სამართლის ნორმების რანგში, რასაც მათი ცხოვრებაში გატარების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. როგორც ცნობილია, ძირითადად აღიარებულად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოებრივი სამართლის პრიმატი საერთაშორისო სამართალთან შედარებით: სანამ საერთაშორისო სამართლის ესა თუ ის ნორმა არ არის აღიარებული თვით სახელმწიფოს მიერ, იგი ფაქტიურად მისთვის სავალდებულო არ არის. ასეთია თვით დასავლეთში გაბატონებული თვალსაზრისი (ე. წ. დუალისტური დოქტრინა)¹⁵.

ავიღოთ თვით ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასამართლო ხელისუფლება ხელმძღვანელობს კონსტიტუციით, შეერთებული შტატების კანონებითა და მათ მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით (მე-3 მუხლის პირველი კარი)¹⁶, რაც ისე უნდა გავიგოთ, რომ აღნიშნული სასამართლო ხელისუფლებისათვის სავალდებულოა საერთაშორისო სამართლის ეს ნორმები, რომლებიც აღიარებულია აშშ-ის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებებით. სახელმწიფოებრივი სამართლის პრიორიტეტი აქ უდავოა.

საერთაშორისო სამართლის ესა თუ ის ნორმა შეიძლება იყოს აღიარებული ან ხელშეკრულებისა ან კონსტიტუციური სამართლის ძალით. ცხადია, რომ ბოლო ვარიანტი აღნიშნული ნორმის შესრულების თვალსაზრისით უფრო მყარ

¹³ Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны, т. III, М., 1947, гл. 397

¹⁴ მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის საკეთილდღეოდ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებისათვის, რომელიც გაიმართა ჰელსინკში 1975 წლის 30 ივლისს — 1 აგვისტოს, თბ., 1977, გვ. 18—28.

¹⁵ იხ., მაგ., Я. Броунли, Международное право, М., 1977, гл. 65. ბროუნლი, მართალია, მიუთითებს მეორე თვალსაზრისზეც (ე. წ. მონიში), მაგრამ დასძენს, რომ ამ შემთხვევაში «შინა-სახელმწიფოებრივი სამართალი დაყვანილია საერთაშორისო სამართლის პენსიონერის დონემდე» — იქვე, გვ. 67.

¹⁶ შეერთებული შტატების კონსტიტუციის ტექსტი იხ. J. Garra y, დასახ. ნაშრომი, გვ. 457—466.

და აუცილებელ საფუძველს ქმნის, თუნდაც იმიტომ, რომ ნებისმიერი ხელშეკრულების მოქმედება, როგორც წესი, შეზღუდულია დროში და იგი დენონსირებული შეიძლება იყოს. კონსტიტუციური ნორმის მიმართ ამას ვერ ვტყვივით.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, რომ საბჭოთა კონსტიტუციის ძალით არა მარტო აკრძალულია აგრესიული ომი და მისი პროპაგანდა, არამედ სახელმწიფო და მთავრობა ვალდებულია იმოქმედოს აგრესიული ომების აღსაკვეთად, საყოველთაო და სრული განიარაღების მისაღწევად სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საფუძველზე (მუხლი 28-ე).

მართალია, საერთაშორისო სამართლის აღნიშნული ნორმები აღიარებულია არა მარტო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მიერ, არამედ კაპიტალისტური სახელმწიფოებისგანაც, თუნდაც იმიტომ, რომ მათ ხელი მოაწერეს და რატიფიკაცია მოახდინეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტებისა, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტი.

მაგრამ თუ ჩვენ განვიხილავთ ბურჟუაზიული ქვეყნების მიერ ამ ოფიციალური აღიარების შეფარდებას სახელმწიფოებრივ სამართალთან, მეტად თავისებურ სურათს მივიღებთ. ერთი მხრივ, ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით, შეერთებული შტატები, მაგალითად, ვალდებულნი არიან დიცვან მშვიდობა და ხელი შეუწყონ ხალხთა უშიშროების განმტკიცებას, ხოლო, მეორე მხრივ, შეერთებული შტატების კონსტიტუციაში ვკითხულობთ: „ყონაგრესს აქვს უფლება... უზრუნველყოს ერთობლივი თავდაცვა... გამოაცხადოს ომი, გასცეს საკაპერო და სარეპრესალიო სიგელები (Letters of Marque and Reprisal) და ჩამოაყალიბოს ხმელეთსა და ზღვაზე მიტაცებათა წესები (Rules concerning Captures on Land and Water)... ჩამოაყალიბოს სახმელეთო და საზღვაო ძალების მართვისა და რეგულირების წესები... უზრუნველყოს მილიციის მოწვევა კავშირის კანონთა განსახორციელებლად, აჯანყებათა ჩასახშობად და შემოჭრის მოსაგერიებლად“ (მუხლი I, კარი 8).

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ხსენებული „ერთობლივი თავდაცვისა“ (the common Defence) ამერიკის კონსტიტუციის მიხედვით ფაქტობრივად დაშვებულია ყოველგვარი (მათ შორის — აგრესიული) ომის წარმოება, მეკობრეობა და დამსჯელი ექსპედიციები, ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა. ძნელია შეერთებული შტატების კონსტიტუციის ეს დებულებანი შეუხამოთ ამ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტით და ა. შ.) ვალდებულებებს. როგორც დაადასტურა კორეის და ვიეტნამის ომმა, გვატემალისა და ჩილეს ამბებმა ვაშინგტონისათვის კონსტიტუციის აღნიშნულ დებულებებს უდავო პრიორიტეტი ენიჭება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს, ჩვენი აზრით, დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და კონსტიტუციურ ნორმებს შორის. ზემოთ აღნიშნული იყო კონგრესის, ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების უფლება შეკრიბოს მილიცია თავდასხმის მოსაგერიებლად და აჯანყების ჩასახშობად. დამოუკიდებლობის დეკლარაციაში კი აღსანიშნავია, რომ თუ მთავრობა აღარ ასრულებს ხალხის ნება-სურვილს, ამ უკანასკნელს აქვს უფლება შეცვალოს ან გააუქმოს იგი (to alter or to abolish it) და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ძალა ანუ აჯანყდეს. «მაგრამ როდესაც ბოროტმოქმედებათა და უზურპაციების გრძელი რიგი...ამჟღავნებს მისწრაფებას გასცეს ეს ხალხი

შეუზღუდველი დესპოტიზმის ხელისუფლებას, მაშინ მას არა მარტო აქვს უფლება, არამედ იგი ვალდებულია დაამხოს ასეთი მთავრობა და შემდგომში მიენდოს ახალ დამცველს»¹⁷.

ვგიჟრობთ, სრულიად უდავოა, რომ ეს დებულება კარგავს თავის მნიშვნელობას იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება ჩაახშოს აჯანყება, ცხადია, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ჩვენ კონგრესს განვიხილავთ არა მთავრობის, არამედ ხალხის ინტერესების გამოზნატველად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა საბჭოთა და ამერიკის კონსტიტუციებს შორის. ორივე ეს სახელმწიფო ფედერაციულია, მაგრამ მათი ფედერაციული სისტემები პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ შემთხვევაში ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთი სახის სხვაობას — სხვაობას საგარეო პოლიტიკის გატარებაში მოკავშირე რესპუბლიკებისა და ცალკეული შტატების მონაწილეობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-80 მუხლის შესაბამისად, „მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაუდოს მათ ხელშეკრულებანი და გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში“. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72-ე მუხლში აღნიშნულია: „საქართველოს სსრ რესპუბლიკის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება: ... 15) საქართველოს სს რესპუბლიკის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში...“

სრულიად სხვა ვითარებას ვხედავთ ამერიკის კონსტიტუციის მიხედვით, რომელშიც აღნიშნულია, რომ არც ერთ შტატს არ გააჩნია ხელშეკრულების დადების, კავშირისა და კონფედერაციაში შესვლის, საკაპრო და სარეპრესალიო სიგელების გაცემის უფლება (მუხლი I, კარი 10), ე. ი. საგარეო-პოლიტიკურ სფეროში მონაწილეობის რაიმე შესაძლებლობაც კი.

აღსანიშნავია, რომ შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი II, კარი 2) პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი და მას აქვს უფლება ზელი მოაწეროს ხელშეკრულებებს, რომელთაც შემდეგ ამტკიცებს (რეტიფიკაცია) სენატი ხმების 2/3-ის უმრავლესობით. როგორც უკვე ითქვა, ომის გამოცხადების უფლება აქვს, მხოლოდ კონგრესს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სარგებლობდა რა უმაღლესი მთავარსარდლის უფლებებით, პრეზიდენტი თავისი შეხედულებისამებრ ავზავნიდა ჯარებს დამსჯელი ექსპედიციებისა და „მცირე ომების“ წარმოების მიზნით. პრეზიდენტის ამგვარი მოქმედება ათეული წლების მანძილზე არავითარ პროტესტს კონგრესის მხრიდან არ იწვევდა ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ვაშინგტონი ამ სამხედრო აქციების შედეგად წარმატებით ახორციელებდა საკუთარ მიზნებს. მაგრამ როდესაც, როგორც ამერიკელი ზალხისა, ისე კონგრესმენებისათვის ცხადი გახდა შეერთებული შტატების მხედრონის მარცხი ვიეტნამში, საკითხმა მწვავე კონფლიქტის სახე მიიღო. დაიწყო ფართო დისკუსია იმის თაობაზე, რამდენად სწორია პრეზიდენტის ამგვარი მოქმედება, რომელიც, შესაძლებელია, მოასწავებდეს მისი

¹⁷ Garraty, დასახ. ნაშრომი, გვ. 455.

ხელისუფლების დიქტატურად გადაგვარებას, რაც განიხილებოდა როგორც ღრმა კონსტიტუციური კრიზისი¹⁸.

უნდა ითქვას, რომ 1950 წელს (როდესაც დაიწყო ომი კორეაში) პრეზიდენტის უფლება გაგზავნოს ჯარები ქვეყნის ფარგლებს გარეთ ექვს არ იწვევდა. სახელმწიფო დეპარტამენტის 1950 წლის 3 ივლისის განცხადებაში ნათქვამი იყო: „პრეზიდენტს, როგორც შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, აქვს კონტროლის სრული უფლება მათი გამოყენების მიმართ. მას აგრეთვე აქვს ხელისუფლება წარმართოს შეერთებული შტატების სავარეო ურთიერთობანი. შეერთებული შტატების ისტორიის დასაწყისიდანვე მას აქვს, მრავალ შემთხვევაში, ამ ძალაუფლებათა გამოყენების უფლება საზღვარგარეთ შეიარაღებულ ძალთა გაგზავნის გზით“¹⁹. და ეს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება (მუხლი II, კარი 2) გამოყენებული იყო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რაც ფაქტობრივად იმის პრაქტიკულ აღიარებას ნიშნავდა, რომ შეერთებული შტატების უმალღეს ხელისუფლებას პრეზიდენტის სახით აქვს აგრესიული ომის წარმოების უფლება, რადგანაც კორეაში მომხდარი ამბები ვერ განიხილებოდა, როგორც თავდასხმა ამერიკაზე, ხოლო შეერთებული შტატების ჯარების მოქმედება, როგორც საერთო თავდაცვითი ოპერაციები.

ორი ათეული წლის შემდეგ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. 1973 წელს მიღებული კანონით პრეზიდენტის მოქმედება ამ სფეროში საგრძნობლად შეიზღუდა. ამიერიდან იგი ვალდებულია საკუთარი გადაწყვეტილება შეუთანხმოს კონგრესს²⁰.

მაგრამ მიუხედავად ამისა, არც ამჟამად არის გამორიცხული საგარეო ექსპანსიისა და დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნის შესაძლებლობა (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში) საინტერესოა, რომ ამგვარი აქციების ჩატარებისას გამოყენებული იყო, როგორც წესი, სტანდარტული ფორმულირება: „ამერიკის საკუთრებისა და მოქალაქეების დაცვა“, სინამდვილეში კი შეერთებული შტატები „ეწინააღმდეგებოდნენ ეროვნულ ძალებს, რომლებიც მისიწრაფვოდნენ ცვლილებებისაკენ, ე. ი. მოქმედებდნენ როგორც კონტრრევოლუციური ძალა“²¹.

როგორც აღნიშნავს ავტორი, „XX ს-ის პირველი ორი ათწლეულის მანძილზე კონგრესმა დაკარგა კონტროლი ამერიკის შეიარაღებულ ძალებზე. თ. რუზველტის, ტაფტისა და ვილსონის პრაქტიკამ გაუადვილა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პრეზიდენტებს პრაქტიკა გამოყენებინათ ამერიკის შეერთებული ძალები საზღვარგარეთის ავანტურებში, რამაც უდიდესი მსხვერპლი გამოიწვია“²². ეს კონფლიქტი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის დღესაც არ არის დასრულებული და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

აქ ჩვენ მოვიტანეთ შედარებისათვის კაპიტალისტური სამყაროს წამყვან სახელმწიფოს მაგალითი. თუმცა დაახლოებით იმავე სურათს ვხედავთ სხვა

¹⁸ America in a Divided World, 1945—1972., Edited by Robert H. Ferrell, Harper and Row, NY, 1973, გვ. 323.

¹⁹ იქვე, გვ. 324.

²⁰ იქვე, გვ. 344—345.

²¹ R. J. Walton, Congress and American Foreign Policy, A Blackground Book on the Presidential — Congressional Struggle, Parents, Magazine Press, NY, 1973, გვ. 133.

²² იქვე, გვ. 134.

ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში. მაგალითად, თუ ავიღებთ საბჭოთა კავშირისა და, კერძოდ, საქართველოს უშუალო მეზობელს — თურქეთს (რომელიც, სხვათა შორის, ნატოს ერთადერთი წევრია და ესაზღვრება ჩვენს ქვეყანას), დავინახავთ, რომ ამ რესპუბლიკის კონსტიტუციაში (მუხლი 26-ე) ხსენებულია „ომის გამოცხადების“ უფლება და არაფერია თქმული იმის თაობაზე, თუ რა ხასიათის ომზეა ლაპარაკი: თავდაცვითი თუ თავდასხმითი. ასეთივე დებულებებია შეტანილი მეტი წილი კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციებში.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ომის წარმოება თავდაცვის მიზნით აღიარებულია ზოგიერთი ბურჟუაზიული კონსტიტუციით. ასე მაგალითად, ნორვეგიის კონსტიტუციის 26-ე პარაგრაფში ნათქვამია: „მეფეს ჯარების მობილიზაციის, ქვეყნის თავდაცვის მიზნით ომის დაწყების, ზავის დადების... უფლება აქვს“²³.

ზოგი კონსტიტუცია უფრო შორს მიდის. ასე მაგალითად, მაროკოს სამეფოს ძირითადი კანონის პრეამბულაში ვკითხულობთ: „მეიგნო რა თავისი მოღვაწეობის ჩართვის აუცილებლობა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში, რომელთა აქტიური და დინამიური წევრიც იგი გახდა, მაროკოს სამეფო ვალდებულებას კისრულობს დაიცვას პრინციპები, უფლებები და ვალდებულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ხსენებული ორგანიზაციების წესდებიდან.“

მაროკოს სამეფო აღასტურებს, აგრეთვე, თავის გადაწყვეტილებას იშრომოს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის“²⁴.

ამჟამად რეაქციული და აგრესიული ხასიათი აქვს ჩინეთის კონსტიტუციას, რომელიც აკანონებს ბრძოლას „საბჭოთა სოციალ-იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ²⁵ და ფაქტობრივად გამოდის საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, საშიშროებას უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში, რაც ნათლად დადასტურდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის მსვლელობაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შემთხვევაში ჩინეთის ხელმძღვანელობა ეყრდნობა მათ ძე დუნის შოვინისტურ — ჰეგემონისტურ თეორიას „სამი სამყაროს“ შესახებ.

თვით მათ ამის შესახებ ამბობდა: „ჩემი აზრით, შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ქმნიან პირველ სამყაროს. იაპონია, ევროპა და კანადა, საშუალო ძალის სახელმწიფოები, განეკუთვნებიან მეორე სამყაროს. ჩვენ ვართ მესამე სამყარო“²⁶.

საინტერესოა ისიც, რომ თუ რატომ აინტერესებს ჩინეთს პირველ რიგში „მესამე სამყარო“: „მესამე სამყაროს გააჩნია დიდი მოსახლეობა. აზია, იაპონიის გამოკლებით, განეკუთვნება მესამე სამყაროს. მთელი აფრიკა განეკუთვნება მესამე სამყაროს და აგრეთვე ლათინური ამერიკა“²⁷.

ცხადია, რომ მესამე სამყარო ჩინეთს სჭირდება როგორც საყრდენი ბაზა საკუთარი ჰეგემონისტური მიზნების განსახორციელებლად. ვინ არ იცის, რომ

²³ Конституция буржуазных государств Европы, М., 1957, გვ. 718.

²⁴ Конституция государств Африки, М., 1963, გვ. 479.

²⁵ G. Hertzfeld, Die «3 Welten» Mao Tse-tungs—eine Konzeption gegen Frieden und Sozialismus, «Deutsche Aussenpolitik», N10, 1978, გვ. 110.

²⁶ იქვე, გვ. 111—112.

²⁷ იქვე, გვ. 112

პეკინის თანამედროვე ხელმძღვანელებს ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ თითქმის ყველა მეზობელი სახელმწიფოს მიმართ.

განსაკუთრებული ადგილი ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებს შორის უკავია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიისა და იაპონიის კონსტიტუციურ ნორმებს ომისა და მშვიდობის, საერთაშორისო ნორმების გამოყენების საკითხებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლები.

ამ მუხლების შინაარსი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს დასავლეთი გერმანია მშვიდობის შენარჩუნების მიზნით მზად არის ხელი აიღოს საკუთარ სუვერენიტეტზე და პრიორიტეტი მიანიჭოს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. მაგრამ ყველაფერი გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული კონსტიტუციის მოქმედება შეზღუდულია „გარდამავალი პერიოდით“, სანამ განზორციელდება „გერმანიის ერთიანობა“, ე. ი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმება და მისი შეერთება ფედერაციულ რესპუბლიკასთან. რომ ეს ასეა, ნათლად ჩანს კონსტიტუციის პრეამბულიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ კონსტიტუცია მიღებულია „იმ გერმანელთა სახელითაც, ვისაც უარი უთხრეს თანამშრომლობაზე“²⁸, ე. ი. აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის სახელითაც, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული კონსტიტუციის ნორმები უნდა გავრცელდეს ორივე გერმანულ სახელმწიფოზე. ამრიგად, ჩვენ, შეიძლება ითქვას, ფარული ექსპანსიონიზმის გამოვლენასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღება და დამტკიცებისთანავე კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა ის პრინციპული განსხვავება, რომელიც ორ სხვადასხვა სოციალურ სამყაროს შორის არსებობს. კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის ფონზე სოციალიზმის განუხრელი და თანამიმდევრული განვითარება ნათლად ადასტურებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისწორეს და მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიულ გამოცდილებას.

²⁸ Конституции буржуазных стран Европы гл. 825.

В. К. ДЖИКИДЗЕ

БОРЬБА АБХАЗСКОЙ ОРГАНИЗАЦИИ КП ГРУЗИИ С РЕЛИГИОЗНЫМИ ПЕРЕЖИТКАМИ (1921—1937 гг.).

Атенстическое воспитание трудящихся в нашей стране в первые годы Советской власти было связано с преодолением громадных трудностей. Экономическая отсталость страны, преобладание мелких, раздробленных крестьянских хозяйств, сохранение все еще сильных позиций кулачества в деревне, безграмотность подавляющего большинства населения, а также живучесть старых традиций в быту создали объективные условия, задерживавшие освобождение сознания масс от религиозных предрассудков.

Экономическая и культурная отсталость населения была благоприятной почвой для укрепления религиозного фанатизма. В. И. Ленин, выступая на I Всероссийском съезде работниц, говорил: «Самый глубокий источник религиозных предрассудков — это нищета и темнота; с этим злом и должны мы бороться»¹. Следовательно, освобождение трудящихся от гнета религии было связано с решением социально-экономических задач.

В Абхазии было много различных религиозных верований: православие, мусульманство, иуданзм, язычество и множество сектантских групп. Этому в определенной степени способствовал многонациональный состав населения. Самой распространенной религией было православие.

В общественной жизни и в быту на население Абхазии отрицательное влияние оказывало духовенство; на сравнительно небольшой территории республики накануне установления советской власти действовало 3 мужских и 2 женских монастыря (в Пицунде, Новом Афоне, Каманах и Моквах), 143 церкви, 6 молитвенных домов, в которых работало 119 священников, 20 дьяконов, 92 псаломщика².

Страна восстанавливала народное хозяйство, строила социализм. Но вовлечению масс в строительство нового общества мешала религиозная идеология, влиявшая на сознание человека.

Ревком Абхазии его местные органы в первые же месяцы советской власти провели ряд важных мероприятий, направленных на упрочение нового государственного и общественного строя.

Особую роль в этом сыграли первые документы и акты Абхазской организации КП Грузии и Ревкома Абхазии. Это — распоряжение отдела народного образования Ревкома Абхазии учебным заведениям об увольнении священнослужителей из учебных заведений (12 марта 1921 г.)³ декрет ревкома Абхазии об изъятии церковных ценностей

¹ В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 37, с. 186.

² Г. В. Смир, Ислам в Абхазии и пути преодоления его пережитков в современных условиях, Тб. 1972, с. 59.

³ Революционные комитеты Абхазии, Сборник документов и материалов, Сухуми, 1961, с. 253.

(25 сентября 1921 г.)⁴, циркулярное распоряжение народного Комиссариата просвещения Абхазии учебным заведениям об изъятии икон и портретов религиозного характера (29 октября 1921 г.)⁵ и др. В вопросе отделения церкви от государства в Абхазии большую роль сыграло письмо Председателя Совета Народных Комиссаров Абхазии Н. А. Лакоба от 12 апреля 1922 года, которое было направлено председателю Абхазской чрезвычайной комиссии С. И. Кухалейшвили, Народному Комиссару внутренних дел М. К. Цагурия и Народному Комиссару юстиции И. Н. Марганя. В письме говорилось: «Во исполнение существующих Декретов РСФСР об отделении церкви от государства, предлагается Вам составить комиссию по проведению отделения церкви от государства в Абхазии и приступить к передаче церковного имущества по его описи уполномоченным от прихожан⁶. Это и другие вышеуказанные мероприятия существенно способствовали дальнейшему подрыву социально-политических и экономических корней религии в Абхазии.

Духовенство Абхазии Советскую власть и первые декреты молодой республики встретило враждебно. С момента ее установления для религий в Абхазии наступила полоса глубокого кризиса, поскольку местное духовенство было втянуто в борьбу против Советской власти и представляло собой огромную контрреволюционную силу. Без преодоления религии и ликвидации ее социально-экономических корней и политического влияния, без уничтожения паразитического сословия духовенства нельзя было успешно вести строительство социализма. В силу этого атеистическое воспитание тудящихся, высвобождение их из-под влияния религии являлось одной из насущных задач областной партийной организации в период социалистического строительства. Она с первых же лет своей деятельности особое внимание уделяла этому вопросу.

Абхазская областная организация КП(б) Грузии в своей деятельности по атеистическому воспитанию трудящихся, руководствовалась указаниями классиков марксизма-ленинизма, программными положениями нашей партии по вопросу об отношении ее к религии и церкви, разработанными еще в дооктябрьский период и в первые годы советской власти. Она также изучала и применяла опыт партийных организаций других республик и областей в антирелигиозной работе с учетом особенностей своей республики.

Атеистическую работу призваны были вести школа, культурно-просветительные учреждения, комсомол, профсоюзы, добровольная организация Союза воинствующих безбожников, политотделы армии и флота. Но руководящей, направляющей и вдохновляющей силой в просвещении народа всегда выступала партия.

Областной комитет партии систематически принимал меры по искоренению суеверий, вредных пережитков и обычаев. В этом направлении большую роль сыграла IV Абхазская областная конференция, состоявшаяся в ноябре 1923 года. На конференции был заслушан доклад Председателя Совета народных комиссаров Абхазии Н. А. Лакоба «Об антирелигиозной кампании и борьбе с суевериями». В своем докладе Н. А. Лакоба отметил, что в борьбе с существующими суевериями и предрассудками в деревне коммунисты сталкиваются с серьезными

⁴ Революционные комитеты Абхазии, Сборник документов и материалов. Сухуми, 1961, с. 297.

⁵ Там же, с. 302.

⁶ Центральный Государственный архив Абхазской АССР (в дальнейшем ЦГАА), ф. 2, оп. 1, д. 1, л. 11.



трудностями из-за того, что они глубоко укоренились в крестьянских слоях. Касаясь тактики борьбы с религией и предрассудками, он предложил придерживаться принципа систематической пропаганды⁷.

Конференция подчеркнула, что ликвидировать религиозные предрассудки и остальные обычаи можно лишь путем систематической и длительной воспитательной работы по поднятию культурного уровня крестьянства. Она признала необходимым созвать при обкоме партии специальное совещание с участием передовых крестьян для обсуждения вопросов, связанных с работой по искоренению суеверий, вредных предрассудков и обычаев. Вместе с тем были осуждены факты административного закрытия церквей и грубого оскорбления чувств верующих, имевшие место во многих селах в 1922—1923 годах во время проведения антирелигиозной кампании. Конференция потребовала от местных партийных организаций не допускать грубости и администрирования в антирелигиозной работе, и проводить ее с учетом конкретной обстановки путем чрезвычайной осторожного подхода к чувствам верующих. Она рекомендовала партийным организациям в дни религиозных праздников устраивать состязания, развлечения и народные игры⁸.

Конференция приняла постановление, в котором говорилось: «Конференция считает, что в деле борьбы с суевериями и религиозными предрассудками в Абхазии партийная организация должна проявить чрезвычайную осторожность и внимательное отношение к обычаям и взглядам, укоренившимся в крестьянстве. Конференция решительно отвергает мысль о простом механическом перенесении в Абхазию тех способов, которые практикуются в других местах. Задачи антирелигиозной пропаганды могут быть правильно разрешены лишь в ходе длительной работы по поднятию культурного уровня крестьянского населения. Конференция признала нужным созвать при обкоме специальное совещание с участием передовых крестьян для обсуждения вопросов об искоренении суеверий и вредных предрассудков и обычаев, разоблачая на каждом шагу проделки духовенства, сочла возможным устройство в городе Сухуме процессии комсомольцев в дни церковных праздников (комсомольского рождества)»⁹.

Абхазский областной комитет КП(б) Грузии и Совет Народных комиссаров Абхазии, создали специальную комиссию для изучения бытовавших в абхазской деревне реакционных пережитков и выработки конкретных мер по борьбе с ними. Комиссия выполнила возложенную на нее работу. Учитывая условия абхазской деревни, она наметила мероприятия по борьбе с суевериями, предрассудками и вредными обычаями. Были выработаны конкретные формы и методы борьбы с пережитками прошлого с учетом их характера и особенностей¹⁰.

Вопрос о работе комиссии по борьбе с суевериями, предрассудками и вредными пережитками быта обсуждался на заседании пленума Абхазского областного комитета КП(б) Грузии 10—16 апреля 1924 года. Пленум одобрил работу комиссии и предложил проект плана работы передать на обсуждение уездных конференций¹¹.


7 Партархив Абхазского обкома КП Грузии (в дальнейшем ПААО КПГ ф. 1, оп. 1, д. 30, л. 3.

8 Там же, ф. 1, оп. 1, л. 6 (1), л. 41.

9 Абхазская организация коммунистической партии Грузии в резолюциях и решениях областных партийных конференций и пленумов. Сухуми, 1971, с. 21—22.

10 ПААО КПГ, ф. 1, оп. 2, д. 53(9), лл. 26—27.

11 Там же, оп. 1, д. 40, л. 1.



В правильной организации и усилении этой работы важную роль сыграло совещание представителей крестьян из уездов Абхазии, состоявшееся в Сухуме 26—28 марта 1924 года¹². На совещании были обсуждены тезисы, выработанные комиссией обкома партии и СНК. Совещание рассмотрело вопросы борьбы с кровной мстостью, похищением девушек, с грандиозными разорительными свадьбами, похоронами и поминками, знахарством и ворожкой и др. Крестьяне приняли живейшее участие в обсуждении этих вопросов¹³.

Таким образом, из вышесказанного видно, что Абхазский областной комитет компартии Грузии при участии самого крестьянства, с учетом бытовых условий и специфических исторических особенностей края, вырабатывал наиболее подходящие формы и методы преодоления средневековых пережитков.

Заседание агитпропколлекции при Абхазском областном комитете КП(б) Грузии 7 января 1925 года постановило издать материалы совещания по борьбе с предрассудками, суевериями и вредными обычаями¹⁴.

Антирелигиозная пропаганда стала вопросом обсуждения на VI Абхазской областной партийной конференции, состоявшейся 20—26 ноября 1924 года. Конференция отметила, что в области антирелигиозной пропаганды проделана определенная работа, в результате чего в Абхазии уже закрыто 45 церквей. Были обсуждены вопросы о закрытии церквей и о вреде, приносимом неправильной антирелигиозной пропагандой.

Конференция приняла развернутую резолюцию, в которой говорилось: «Выработка правильных методов и гибких форм антирелигиозной пропаганды в деревне является одной из очередных задач обкома партии. Антирелигиозная пропаганда в Абхазии должна идти по линии борьбы с суевериями, вредными традициями. Необходимо разъяснение сущности явлений в природе, изучение народных суеверий и предрассудков, освещение их в прессе, в избах-читальнях и на сходах, организация общественных судов над знахарками, пророчицами, постановка пьес на абхазском языке, рисующих вредные последствия темных суеверий, организация массовых народных игр и развлечений в дни поминок и традиционных праздников, с целью отвлечения от пьянства. Активными участниками в организации общественных увеселений в деревне являлись ячейки КП, КСМ и зав, избой-читальней»¹⁵.

Партийная организация Абхазии, исходя из указаний Центрального Комитета РКП(б) и ЦК КП(б) Грузии в зависимости от социально-экономических и политических условий республики и с учетом состояния деятельности религиозных организаций проводила атеистическую пропаганду. Мероприятия, проведенные обкомом партии, дали положительный результат, что было подчеркнуто на восьмой Абхазской областной партконференции, состоявшейся в конце 1927 года. Конференция отметила, что в результате антирелигиозной пропаганды в Гальском уезде крестьяне сами закрывали церкви, принуждали попов к расстрижению, отказывались от открытия дополнительной церкви, к чему их призывало духовенство. Теперь крестьяне и рабочие вме-

12 ПАО КПК, ф. 1, оп. 1, д. 96 (10), лл. 38—39.

13 Там же, оп. 2, д. 96 (10), лл. 39.

14 Там же, оп. 2, д. 118(2), л. 3.

15 Там же, д. 41-а, л. 35.

сто церкви идут в клуб¹⁶. Аналогичная работа проводилась и в других уездах.

4 декабря 1928 года Президиум Абхазского областного комитета КП(б) Грузии принял постановление об организации Союза безбожников¹⁷. Он был организован для длительной и планомерной работы. Методом своей работы Союз избрал не «штурм небес», а создание кружков для научной проработки вопросов, связанных с антирелигиозной пропагандой. Создание Союза безбожников положило начало массовому атеистическому движению в Абхазии. Это общество стало предметом постоянного и неослабного внимания партии.

Советская власть крепла из года в год. С укреплением позиции социализма реакционное духовенство теряло свою былую мощь. Начиная с 1929 года духовенство активно и более открыто выступало против мероприятий Советского государства, прямо противодействовало социалистическому строительству.

Коренные перемены в жизни Абхазии духовенство встретило враждебно. В годы коллективизации в условиях обостренной классовой борьбы наблюдалась значительная активизация контрреволюционной деятельности духовенства против Советской власти. Духовенство выступило в блоке с кулаками. В этот период духовенством были использованы самые различные формы, методы и средства борьбы против Советской власти. Служители религиозного культа распространяли всевозможные провокационные слухи о ее скором падении. В соответствии с советским законодательством правительство вынуждено было принять соответствующие меры против таких враждебно настроенных по отношению к Советской власти монахов. По постановлению 25 мая 1930 года все они были высланы из пределов Абхазии¹⁸.

Без осуществления культурной революции невозможно широкое вовлечение трудящихся масс в социалистическое строительство, политическую и общественную жизнь страны. Культурная революция выступает важным фактором в борьбе с влиянием религии, чему партийная организация в ходе осуществления культурной революции придавала большое значение.

Значительные успехи культурного строительства благотворно сказывались на состоянии атеистического движения. Борьба за ликвидацию неграмотности и малограмотности развернулась широким фронтом в годы первых пятилеток, что явилось важнейшим фактором отхода трудящихся от религии.

Культурная революция оказала огромное влияние на освобождение трудящихся от религиозных предрассудков, формирование научно-материалистического мировоззрения, выражением которого является массовый атеизм. В результате достигнутых успехов в культурном строительстве в годы первой пятилетки, были созданы благоприятные условия для успешной работы по атеистическому воспитанию масс.

В результате социалистической индустриализации и коллективизации сельского хозяйства как в городе, так и в деревне побеждают социалистические производственные отношения. Были ликвидированы такие социальные корни религии, как частная собственность на средства производства, основанная на этом эксплуатация человека человеком, бедность и нищета.

¹⁶ ПАО КПГ, ф 1, д. 205, л. 285.

¹⁷ Там же, оп. 1, д. 101, лл. 42—46.

¹⁸ Там же, оп. 2, д. 345, лл. 222—223; Там же, д. 278, лл. 187—188.



Таким образом, коренные изменения в экономике нашей страны привели к коренным изменениям в сознании советских людей. В этих условиях атеистическое движение в СССР, в том числе в Абхазии, приобрело в 30-ые годы массовый характер.

XII Всеабхазская областная конференция КП(б) Грузии, состоявшаяся в апреле 1930 года, указала пути усиления антирелигиозной пропаганды. Конференция отметила, что в некоторых уездах не ведется плановая систематическая антирелигиозная пропаганда, имеются случаи насильственного закрытия церквей, случаи венчания комсомольцев в церкви и церковного крещения комсомольцами своих детей, продолжается антисоветская агитация духовенством и т. д. Конференция дала ряд конкретных установок по организации борьбы с религией. Она дала директиву об усилении антирелигиозной работы путем поднятия идейно-политической подготовки масс, культурно-массовой работы и расширения сети ячеек «безбожников» в деревне. Директива призывала вести решительную борьбу с администрированием¹⁹.

Обком партии большое внимание уделял работе «Союза воинствующих безбожников», систематически оказывая ему помощь в проведении антирелигиозной пропаганды. С целью оказания помощи и улучшения работы СВБ заседание бюро Абхазского обкома партии в январе 1933 года обсудило вопрос о работе СВБ Абхазии и приняло развернутое постановление по улучшению антирелигиозной пропаганды²⁰.

Партийные организации Абхазии использовали различные формы атеистического воспитания трудящихся масс. Одной из наиболее распространенных форм антирелигиозной пропаганды в период строительства социализма было проведение антирелигиозных кампаний. Кампании стягивали огромные массы трудящихся в сферу своего влияния. Они проходили под политическими лозунгами и мобилизовывали массы на выполнение очередных задач социалистического строительства. В большинстве случаев кампании давали значительный производственный эффект: объявление дней религиозных праздников ударными; повышение производительности труда, сокращение прогулов, снижение брака и себестоимости выпускаемой продукции.

В проведении антирождественской кампании активное участие приняла партийная печать. Так, газета «Советская Абхазия» 29 декабря 1934 года опубликовала статью отдела культуры и пропаганды обкома КП(б) Грузии об антирождественской кампании, в которой отмечалось, что с наступлением религиозного праздника «рождества» будут иметь место попытки классового врага использовать его против социалистического строительства. Поэтому необходимо по всем союзам и по первичным организациям развернуть массовую разъяснительную работу по вопросам сущности религиозных праздников, в частности, «рождества». Предлагалось выделить докладчиков и провести с ними семинары на антирождественские темы²¹.

В годы второй пятилетки духовенство усилило контрреволюционную деятельность. Продолжающиеся антисоветские действия духовенства требовали от областной партийной организации большой бдительности и внимания к антирелигиозной работе.

Абхазская областная партийная организация в период завершения реконструкции народного хозяйства и победы социализма заметно повысила уровень всей идеологической работы, в том числе и по

¹⁹ ПААО КПГ, ф. 1, оп. 1, д. 102, л. 5.

²⁰ Там же, д. 131, лл. 123—126.

²¹ «Советская Абхазия», № 299, 29 декабря 1934 г.

преодолению религиозности населения. Она на новом этапе социалистического строительства с первых же дней обращает серьезное внимание на окончательное преодоление реакционной роли религии для того, чтобы полностью вырвать население из-под влияния религии.

22 мая 1934 года бюро Абхазского обкома КП(б) Грузии обсудило вопрос о состоянии антирелигиозной работы в Абхазии. В целях оживления антирелигиозной пропаганды и перехода к плановой работе бюро обкома оказало парторганизации провести ряд лекций научно-популярного характера, организовать группы студентов госпедвуза, субтропического института, педагогического техникума и провести с ними семинар по антирелигиозной пропаганде с расчетом проведения этими студентами в период отпускного времени в селах работы по антирелигиозной пропаганде; по окончании посадки табака провести по району конференцию.

В результате ослабления антирелигиозной пропаганды со стороны районных и сельских работников в 1935 году в Абхазии оживились разные религиозные секты, которые представляли опасность для Советской власти. Учитывая важность данного вопроса, заседание бюро Абхазского обкома партии 26 апреля 1935 года обредило вопрос о мероприятиях по усилению антирелигиозной пропаганды. Бюро отметило, что в результате прямой недооценки со стороны районных и сельских работников важности антирелигиозной работы имеет место за последнее время серьезное ослабление антирелигиозной пропаганды и оживление деятельности со стороны разных видов религиозных сект: появление разного рода анонимных писем «от бога» и т. д.²²

В постановлении бюро обкома партии с целью решительного улучшения антирелигиозной пропаганды был намечен ряд конкретных мероприятий.

Однако это постановление не было полностью реализовано партийными организациями Абхазии, на что соответственно указало заседание бюро обкома, состоявшееся 13 февраля 1936 года. В резолюции бюро обкома подчеркивалось, что несмотря на постановление бюро Абхазского обкома КП(б) Грузии от 26 апреля 1935 года об усилении антирелигиозной пропаганды, со стороны районных и сельских работников все еще имеет место недооценка данной работы.

В целях изменения такого отношения к антирелигиозной пропаганде со стороны райкомов партии и комсомола, и усиления работы областного Совета СВБ, бюро обкома поручило областному Совету СВБ наметить мероприятия по созданию и выпуску высококачественной массовой антирелигиозной литературы; по внедрению антирелигиозной пропаганды в новые, еще неохваченные пропагандой отдаленные слои населения и промышленные предприятия; по подготовке и организации материалов для антирелигиозного музея.

На ослабление антирелигиозной пропаганды указала также XV Абхазская областная партийная конференция КП(б) Грузии, состоявшаяся в мае 1937 года. Конференция отметила, что антирелигиозная пропаганда — это один из ответственных участков классового фронта²³.

Развернутая работа областной партийной организации по атеистическому воспитанию трудящихся, активная борьба по преодолению влияния религии дали положительный результат. Антирелигиозная ра-

²² ПДАО КПГ, ф. 1, оп. 1, д. 144, лл. 4—9, также д. 152, л. 177.

²³ Там же, д. 209, лл. 261—262.

бота стала более содержательной и разносторонней, заметно возросла научно-атеистическая пропаганда.

О серьезном улучшении антирелигиозной пропаганды в Абхазии можно судить по докладу инструктора ЦС СВБ Грузии Мальцева о работе Абхазской организации СВБ по состоянию на 7 марта 1937 года. В докладе было сказано, что в Абхазии чувствуется заметное оживление массовой антирелигиозной работы.

Во второй пятилетке ячейками СВБ в Абхазии были засеяны «безбожные» гектары земель. Эти гектары были наглядным доказательством бессилия бога перед наукой. В течение ряда лет с «безбожных» полей благодаря применению передовой агротехники снимался высокий урожай.

Областная партийная организация проводила большую работу по подготовке пропагандистов, агитаторов атеизма. Для этой цели организовывались республиканские и районные курсы, семинары; использовалась областная партийная школа, сеть партпроса, курсы усовершенствования учителей и т. д.

Большое место в атеистическом воспитании населения занимала антирелигиозная пропаганда с ее разнообразными формами. Так, широко использовалась как устная, так и печатная пропаганда. В те годы широко применялась такая форма устной пропаганды, как лекционная. Много лекций читалось во время антирелигиозных кампаний, свидетельством чего является то, что в апреле 1937 года во время антипасхальной кампании в городе Сухуми для чтения лекций было выделено 47 лекторов-профессоров, доцентов, научных работников и активистов СВБ²⁴.

Большую роль в атеистическом воспитании трудящихся Абхазии сыграло киноискусство. Во многих клубах Абхазии демонстрировались антирелигиозные кинокартины. Так, в протоколе заседания Абхазского окружного комитета Союза пищевкуса от 8 мая 1929 года записано, что ставились различные доклады на антирелигиозную тему с сопровождением киноспектаклей²⁵.

Антирелигиозные кинокартины были показаны в красном уголке электростанции в апреле 1934 года. В городе Сухуми в 1934 году в период антирождественской кампании было проведено 13 антирелигиозных киносеансов. Выполняя указание вышестоящих партийных органов, партийная организация Абхазии широко использовала партийную печать для антирелигиозной пропаганды²⁶.

Факты показывают, что большинство уездных и районных комитетов партии, первичные партийные организации неукоснительно выполняли директивы ЦК КП(б) Грузии и обкома партии, вели атеистическую пропаганду, руководствуясь ленинскими принципами, активно участвовали в культурно-просветительской деятельности. Однако в рассмотренный период имели место ошибки и недостатки, а в ряде случаев и отклонения от ленинских принципов борьбы с религией. Эти ошибки были вызваны тем, что в первые годы Советской власти многие пропагандисты не имели еще достаточного опыта, вследствие чего допускались грубые ошибки в выборе форм и методов работы. Они заключались в применении административных мер борьбы с религией и,

²⁴ «Советская Абхазия», № 74, 1 апреля 1937 г.

²⁵ ЦГАА, ф. 101, оп. 1, д. 358, л. 39, также, д. 625, л. 46.

²⁶ Там же, оп. 1, д. 152, л. 178.

в частности, не всегда правильном закрытии церквей, а также в допущении оскорбления религиозных чувств верующих.

Партия всегда осуждала неправильные методы борьбы с религией, поскольку они являлись препятствием для освобождения трудящихся от религиозного опиума.

В результате массового закрытия церквей в Абхазии значительно уменьшилось число религиозных организаций. Если накануне установления Советской власти в Абхазии было 6 молитвенных домов, 5 монастырей, 147 церквей, то к концу 1937 года в Абхазии действовало всего лишь 20 религиозных организаций²⁷, что является ярким показателем отхода основных масс верующих от религии, вступление их в сознательные ряды строителей нового общества.

²⁷ ПААО КПГ, ф. 1, оп. 1, д. 197, л. 201.

Представил Абхазский государственный университет
им. А. М. Горького

შავა ჩოჩია

გერმანიის დიპლომატია და ბრძოლა ირანში გავლენის
გაძლიერებისა და ანტანტის გათიხვისათვის (1908—1909 წწ.)

ბოსნიის 1908—1909 წწ. კრიზისის შემდეგ, ადგილი ჰქონდა „მეგობრობის“ განახლების ცდებს გერმანიასა და მეფის რუსეთს შორის. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ გერმანია ჯერ კიდევ თავს იკავებდა ირანში პოლიტიკური გავლენისათვის ბრძოლისაგან. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ირანში სერიოზული უთანხმოებანი გამოიწვია ინგლისსა და მეფის რუსეთს შორის, რომლებიც ექვიპობოდნენ ერთმანეთს გავლენის სფეროებისათვის ბრძოლაში¹. გერმანია მათ მეტოქეობას კმაყოფილებით ხედებოდა, რადგან ამაში ხედავდა შესაძლებლობას ფეხი მოეკიდებინა ირანში. „ამ მხრივ, — აცნობებდა ბულაკელი ჩარიკოვს, — ძალზედ საინტერესოა სპარსეთში ჩვენი მოქმედების შეფასება გერმანული პრესის მიერ, რადგანაც გერმანული პრესა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტი ზომები, უნდა დაუპირისპირდეს ინგლისის ინტერესებს“².

კანცლერი ბიულოვი ჯერ კიდევ გადადგომამდე, 1909 წ. მარტში რაიხსტაგში გამოსვლისას აცხადებდა, რომ გერმანიას მხოლოდ ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა ირანში და როგორც „სახალხო გაზეთი“ აღნიშნავდა, ბიულოვის აზრით, თუ რუსეთი ხელს არ შეუშლიდა გერმანიას მისი ეკონომიკური ინტერესების დაცვაში, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა რუსეთ-გერმანიის შეთანხმება ირანის საქმეებში³. მაგრამ, როგორც საბჭოთა მკვლევარი მ. ივანოვი წერდა, გერმანიას მთელი ირანის თავის კოლონიალ გადაქცევა სურდა, რომ მომავალში გამოეყენებინა ის როგორც პლაცდარმი ინგლისისა და რუსეთის სამფლობელოებზე თავდასხმისათვის⁴.

გერმანია მხოლოდ შესაფერის მომენტს ელოდა და ისიც დადგა. რუსეთის ცარიზმთან დაკავშირებული შაკი მოჰამედ-ალი 1909 წ. 16 ივლისს დაამხეს. გერმანია ცდილობს მიიღოს რკინიგზის მშენებლობის კონცესია ირანში, რასაც მოჰყვებოდა პოზიციების გაფართოება ვაჭრობის სფეროშიც. ამიტომ იყო, რომ „ბაღდადის რკინიგზის მშენებლობით დაინტერესებული წრეები კვლავ პროპაგანდას უწყევნენ რამდენიმე წლის წინ წარმოშობილ აზრს, რომ სასურველია გერმანიის ზნეობრივი და კულტურული გავლენის განმტკიცება

¹ ირანის ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელიც დაიწყო 1905 წ. ამ დროისათვის დიდ აღმავლობას განიცდიდა. 1909 წ. აპრილში მეფის რუსეთის მთავრობამ თავისი ჭარბი გაავაზნა თავრიზში და ჩააქრო იქ სახალხო აჯანყება.

² Архив внешней политики России (АВПР), Ф. Канцелярия, д. 17 л. 60, Булацель Чарикову, 15/28 мая 1909 г.

³ „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 8/21 მაისი.

⁴ М. С. Иванов, Очерки истории Ирана, М., 1952, гл. 218—219.

მცირე აზიაში, ამ ადგილებში გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაციების დაარსებით⁵.

ექსპანსია ეკონომიკის სფეროში⁶, საშუალებას მისცემდა გერმანიას პოლიტიკურადაც მოეხდინა ზეგავლენა ირანზე, რაც მისი მოწინააღმდეგეების — ინგლისისა და რუსეთისათვის საზიანო იქნებოდა. დროებით რომ შეენიღბა თავისი ნაბიჯები ირანში, გერმანია ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მის მისწრაფებებს არ გააჩნდა პოლიტიკური ხასიათი⁷. სინამდვილეში, გერმანია ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა დამკვიდრებულიყო ამ მეტად მნიშვნელოვან რაიონში. როგორც ოსტენ-საკენი წერდა: „დიდი ხანია, რაც ფრთხილი გერმანული პოლიტიკა შეეგუა თავის ეროვნულ თაოსანთა გაბედული ღონისძიებების მარჯვედ გამოყენებას, რომელთა შრომა სხვადასხვაგვარ სარბიელზე, ემსახურება ერთ გარკვეულ მიზანს: გერმანიის წინსვლას ნაჩვენები გზით აღმოსავლეთისაკენ“⁸.

გერმანული პრესა ირანის საქმეებს უხვად აშუქებდა და განიხილავდა ამ ქვეყანაში გერმანიის ეკონომიკური ექსპანსიის საკითხებს. იმავე დროს, ოფიციალური გერმანია დუმილს ამჯობინებდა, რაც მას საშუალებას აძლევდა, საჭირო მომენტში პრესის ზოგიერთი ორგანოს განცხადებების უარყოფით გამოსულიყო, რომ ამით ინგლისისა და რუსეთის უკმაყოფილება აეცილებინა. შეტეკოს ცნობით, „მართალია, გერმანიის პრესა უკანასკნელ დროს აქტიურად ენსახურება სპარსეთის საქმეებს და, კერძოდ უცხოელი, განსაკუთრებით კი გერმანელი მეწარმეების შეკრას სპარსეთში, მიუხედავად ამისა, არც საგარეო საქმეთა აქაური დეპარტამენტის ორგანო „კიოლნიშე ცაიტუნგ“-ი, არც საიმპერიო მთავრობის ოფიციალური „ნორდლოჩე ალგემანე ცაიტუნგ“-ი არ ეხებიან სპარსეთის საქმეებს“⁹. რაც შეეხება „პრესის დამოუკიდებელ ორგანოებს, — განავრძობს შემდეგ შეტეკო, — არ შემოძლია არ მიეუთითო ჩვენდამი ჩვეულებრივად კეთილგანწყობილ „ჰამბურგერ ნახრიხტენ“-ზე. დასახელებული გაზეთის აზრით, ინგლისი თითქოსდა ატარებს რა თავის ჩვეულებრივ პოლიტიკას, ცდილობს გამოიყენოს ირანის ამბები, რათა შეძლებისამებრ უფრო მეტად დააშოროს გერმანია რუსეთს, რომ გადაიბროს ეს უკანასკნელი თავის მხარეზე გერმანიის იმპერიასთან მის მომავალ ბრძოლაში“¹⁰. „ჰამბურგერ ნახრიხტენ“-ი ურჩევს თავის მთავრობას სიფრთხილე გამოიჩინოს, რათა შეცდომები აიცილოს თავიდან, ამასთან რუსეთთან დაახლოებას ის სასარგებლოდ მიიჩნევს. გაზეთის აზრით, „გერმანელი კაპიტალისტების მისწრაფება სპარსეთის ბაზრებისაკენ უადვილებს დიდ ბრიტანეთს ამ მიზნის (გერმანიისა და

⁵ АВПР, ф. Канцелярия, д. 20, л. 382, Остен-Сакен Извольскому, 25 декабря/7 янв. 1909—1910 гг.

⁶ უნდა აღინიშნოს, რომ ირანის საგარეო ვაჭრობაში გერმანიამ შეძლო მისამე ადგილას დაეკავა მეფის რუსეთისა და ინგლისის შემდეგ. 1901—1914 წწ. გერმანიის საქონელბრუნვა ირანთან გაიზარდა 2,5 მლნ კრანიდან 33 მლნ. კრანამდე (См. С. Л. Агаев, Германский империализм в Иране, М., 1969, гл. 7).

⁷ АВПР, ф. Канцелярская д. 20, л. 383, Остен-Сакен Извольскому, 25 дек./7 янв. 1909—1910 гг.

⁸ АВПР, ф. Канцелярия, д. 20, л. 383, Остен-Сакен Извольскому, 25 дек./7 янв. 1909—1910 гг.

⁹ Там же, д. 18, л. 142, Шебеко Сазовнову, 16/29 апреля 1910 г.

¹⁰ Там же, л. 144.

რუსეთს შორის ურთიერთობის გამწვავებას. — ვ. ნ.) მიღწევას და იმპერიის მთავრობამ განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იმოქმედოს სპარსეთში, რათა არ გაიმეოროს თავისი შეცდომები მაროკოს საკითხში და არ გააუარესოს ძველი ურთიერთობანი ჩვენს სამშობლოსთან (რუსეთთან, — ვ. ნ.), რაც ასე საჭიროა ორივე მეზობლისათვის“.¹¹

გაზეთი „რაინიშ-ვესტფელიშე ცაიტუნგ“-ი მოითხოვდა, რომ გერმანიას ებრძოლა ირანში თანასწორი უფლებებისათვის, თუნდაც ამისათვის ძალის გამოყენება დასჭირებოდა: „თუ ბერლინში ამ საშუალებას უფრთხიან — მაშინ სჯობს ამ თავითვე შესწყვიტონ ქაღალდის პროტესტების პოლიტიკა. უკან დახევა გერმანიის დიპლომატიის ხელახალი შერცხვენა იქნებოდა და გერმანიას წაართმევდა ღირსების უკანასკნელ ნატამალსაც კი“¹².

1910 წ. დასაწყისში იწურებოდა რუსეთსა და ირანს შორის 1890 წ. დადებული შეთანხმების¹³ მოქმედების ვადა. ასეთი ხელსაყრელი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება ბერლინს არ სურდა. ამ მიზნების შესახებ, რომელიც გერმანიის დიპლომატიას ამოძრავებდა, შებეგო აცნობებდა პეტერბურგს: „ფოსიშე ცაიტუნგ“-ის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია თეირანიდან... მოწმობს, თუ რაოდენ არიან დინტერესებულნი ამჟამად გერმანიის მმართველი წრეები სპარსეთის საკითხით. ეს ინტერესი გამოწვეულია გერმანიის მრეწველობის სურვილით, ისარგებლოს ახლანდელი არეულობით სპარსეთში და ჩვენი შეთანხმების ვადის დამთავრებით მასთან რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობის თაობაზე, რათა დაიპყროს ახალი ბაზარი ბალდადის რკინიგზის თეირანთან შეერთების მეშვეობით“¹⁴. გერმანია ცდილობდა გამოსულიყო შუამავლის როლში, ერთი მხრივ რუსეთსა და ინგლისს, ხოლო, მეორე მხრივ, ირანს შორის. იმავე დროს, ბერლინში ისწრაფვოდნენ გავლენა მოეხდინათ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც მიიღებდნენ ინგლისი და რუსეთი. თავისი ინტერესების დასაცავად ირანში. დათმობა გერმანიისადმი ზიანს მიაყენებდა ინგლისისა და რუსეთის პრესტიჟს, გერმანიისას კი პიროქით, გაზრდიდა.¹⁵

ირანის საკითხებზე ინგლისის ელჩთან საუბარში კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა გერმანიის მთავრობის სურვილი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „აღნიშნული საკითხი უნდა შევიდეს საერთოპოლიტიკურ შეთანხმებაში გერმანიისა და ინგლისს შორის. რუსეთმა და ინგლისმა უნდა დაამოწმონ თავისი დაპირება ღია კარების მიმართ და გერმანიის ვალდებულების სანაცვლოდ — არ შეეცადონ რკინიგზის, ტელეგრაფის და მსგავსი კონცესიების მიღებას ბრიტანეთის ზონაში, ინგლისმა, მის მიერ მიღებულ კონცესიებში, გერმანიას უნდა დაუთმოს მისი წილი მასალების მიწოდებაზე და ა. შ. გერმანია პრეტენზიას აცხადებს მონაწილეობაზე, სხვა მესამე სახელმწიფოების თანაბრად სპარსე-

¹¹ АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 124, Шебеко Сазонову, 16/29 апреля 1910 г.

¹² «სახალხო გაზეთი», 1910 წ. 9/22 მაისი.

¹³ ეს შეთანხმება ითვალისწინებდა, რომ ირანს უარი უნდა ეთქვა უცხო სახელმწიფოებისათვის საკუთარ ქვეყანაში რკინიგზის მშენებლობაზე.

¹⁴ АВПР, ф. Канцелярия, д. 19, л. 16, Шебеко Сазонову, 16/29 апр. 1910 г.

¹⁵ Центральный государственный исторический архив Ленинграда (ЦГИАЛ); ф. 1276, оп. 6, д. 512, л. 3.

თის სესხებისა და სპარსეთის სამსახურში უცხოელების დანიშვნის საკითხებში¹⁶.

გერმანიის შეჭრა როგორც ირანში, ასევე სპარსეთის ყურის აუზში, საფრთხეს უქმნიდა არა მარტო რუსეთის, არამედ ინგლისის ინტერესებსაც. სპარსეთის ყურის მიმართულებით, გერმანელი იმპერიალისტების წინ წაწვეით შეშფოთებული ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ლენსდაუნი, თემთა პალატაში გამოვიდა განცხადებით იმის შესახებ, რომ ინგლისის მმართველმა წრეებმა უნდა „განიხილონ რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიერ სპარსეთის ყურეში გამაგრებული ნავსადგურის შექმნა, როგორც სერიოზული მუქარა ბრიტანეთის ინტერესებისათვის და, რა თქმა უნდა, ვალდებულნი არიან, წინააღმდეგობა გაუწიონ ამას, მათ განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებით“¹⁷. მაგრამ ხელის შეშლა გერმანიისათვის არც ისე ადვილი საქმე იყო.

რაც შეეხება რკინიგზების მშენებლობას ირანში, საქმე ამგვარად იყო: რუსეთი მოითხოვდა ტრანს-ირანული რკინიგზის ხაზის მშენებლობას. ბერლინი კი მიისწრაფვოდა რკინიგზის ხაზის აგებისაკენ, რომელიც გაივლიდა ირან-თურქეთის საზღვრიდან ირანის სასიცოცხლო ცენტრალური რაიონებისაკენ. „ჩვენ მიერ ჯულფიდან თეირანამდე რკინიგზის ხაზის მშენებლობის შესაძლებლობა, — წერდა შებეკო საზონოვს, — და კიდევ უფრო მეტი, ჩვენ მიერ კონცესიის მიღება რკინიგზის მშენებლობაზე ბაღდადიდან შავი ზღვის რომელიმე პუნქტამდე, დიდი ხანია აწუხებს ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის ინიციატორებს და მართლაც, როგორც ერთი, ისე მეორე, მიაყენებდა მას დიდ ზიანს. აი რატომ შეადგენს ახლანდელ მომენტში ბაღდად-ხანიკინის რკინიგზის მშენებლობა და გერმანული კაპიტალის მონაწილეობა ხანიკინიდან თეირანამდე გზის მშენებლობაში იმ მიზანს, რომელსაც ესწრაფვის გერმანიის დიპლომატია“¹⁸.

გერმანია ბევრს ეცადა მიეღო კონცესია რკინიგზის მშენებლობაზე, რომელიც შეაერთებდა ირანს ბაღდადის რკინიგზასთან. გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების სახელმწიფო მდიენის ბარონ ფონ შონის აზრით, „გერმანიას სრულებითაც არ სურს მიიღოს კონცესიები, რომელნიც გამოიწვევენ რუსეთისა და ინგლისის უკმაყოფილებას, მაგრამ ამ მთავრობების პროექტი შექმნიდა პრინციპულად ყველაზე უფრო ხელსაყრელ მდგომარეობას რუსეთისა და ინგლისისათვის, რაც გერმანიის საზოგადოებრიობის თვალში შეიძლებოდა გაგებულყო, როგორც გერმანიის ეკონომიური ინტერესების დამცირება. გერმანია უარს არ იტყოდა მეგობრული ხელშეკრულების დადებაზე, რომელიც თეორიულად შეუნარჩუნებდა მას უფლებებს და ღირსებებს და იმავე დროს აღიარებდა რუსეთისა და ინგლისის პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს“¹⁹.

ირანის მთავრობას, როგორც ლონდონმა, ისე პეტერბურგმა მოსთხოვეს მათთან კონსულტაციების გარეშე არავისთვის არ მიეცა რკინიგზის მშენებლო-

¹⁶ Центральный государственный военно-исторический архив (ЦГВИА); ф. 2000, оп. I, д. 3898, л. 47, управляющий министерством иностр. дел Российскому посланнику в Тегеране, 2/15 апр. 1910 г.

¹⁷ М. Б р у к с, Нефть и внешняя политика, М. 1949, გვ. 57.

¹⁸ АВПР, ф. Канцелярия, д. 19, лл. 16—17, Шебеко Сазонову, 16/29 апр. 1910 г.

¹⁹ ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 6, д. 512, л. 5.

ბის კონცესია.²⁰ ბერლინში მტრულად შეხედნენ მოწინააღმდეგეთა ასეთ პოზიციას, რადგან მიაჩნდათ ის ირანში ეკონომიკური თანასწორუფლებიანობის დარღვევად და თავის მხრივ მოითხოვეს მოლაპარაკების გამართვა ირანის საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით, თავის მოხსენებაში შებეგო ურჩევდა პეტერბურგს, რომ გერმანიასთან საჭირო იყო მოლაპარაკების გამართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, — დასძენდა ის, — „სპარსეთის საკითხმა შეიძლება მიიღოს ბოსნიის კრიზისის მსგავსი მიმართულება“²¹.

1910 წ. აგვისტოში გერმანიის ელჩმა პეტერბურგში პურტალესმა განუცხადა საზონოვს, რომ გერმანიაში უკმაყოფილებით ხვდებიან იმ ფაქტს, რომ მათს ჭეყვნებს შორის არ იყო მიღწეული გავლენის სფეროების განაწილება ირანში და წინადადებით მიმართავდა განეახლებინათ მოლაპარაკება ამ საკითხზე.²² იმავე დროს, გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელები არწმუნებდნენ საზონოვს, რომ გერმანიას არავითარი პოლიტიკური მიზნები არ გააჩნია ირანში და არ ესწრაფვოდა კონცესიების მიღებას რუსეთის ზონაში²³. ასეთ ვითარებაში, პეტერბურგი დათანხმდა ბერლინის მოთხოვნას ირანის საკითხებზე მოლაპარაკების გამართვის შესახებ.

1910 წ. ივნისში შონი დანიშნულ იქნა ელჩად პარიზში და გერმანიის სახელმწიფო მდივანი გახდა კიდერლენ-ვეხტერი. მისი დანიშვნის შემდეგ გერმანიის საგარეო პოლიტიკა უფრო ენერგიულად წარიმართა. ეს შეეხო ირანის საკითხსაც. ოსტენ-საკენის ცნობით, „გერმანიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის განწყობილება შესამჩნევად შეიცვალა, კერძოდ, სპარსეთის საკითხში, სადაც გერმანია გარეგნულად აქტიურობას იჩენს“²⁴.

1910 წ. ნოემბერში ნიკოლოზ II, რომელსაც ახლდა საგარეო საქმეთა მინისტრი საზონოვი, პოტსდამში შეხვდა ვილჰელმ II. კაიზერი, ისევე როგორც გერმანიის დიპლომატია, იმედოვნებდნენ, რომ ამ ვიზიტის შედეგად საგარეო-პოლიტიკურ პოზიციებს განიმტკიცებდნენ. მათ უწინარეს ყოვლისა, ამოძრავებდათ მისწრაფება — შეემოწმებინათ ანტანტისთან რუსეთის კავშირის სიმტკიცე, რათა მოვლენათა ხელსაყრელი განვითარების შემთხვევაში გაეთიშათ ანტანტის ერთსულოვნება და მომავალში თითოეულ მის წევრს ცალ-ცალკე გასწორებოდნენ. ეს იყო გერმანიის დიპლომატიის მთავარი მიზანი. ოფიციალური მოლაპარაკების სავანი კი იყო ბალდადის რკინიგზისა და ჩრდილოეთ ირანთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

გერმანიის დიპლომატია ცდილობს უარი ათქმევინოს რუსეთს საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკისადმი მხარდაჭერაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს პოლიტიკა მიმართული იქნება გერმანიის წინააღმდეგ. ამას ისახავდა მიზნად გერმანიის სახელმწიფო მდივანი კიდერლენ-ვეხტერი, როცა ცდილობდა დაერწმუნებინა საზონოვი, რომ თავს ვალდებულად არ თვლიდა, მხარი დაეჭირა ავსტრია-უნგრეთის მისწრაფებისათვის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. რაც შეეხება მახლობელ აღმოსავლეთს, კიდერლენ-ვეხტერის განცხადებით, გერმანია არ ესწრაფვოდა იქ რაიმე პოლიტიკურ მიზნებს, ემხრობოდა Status quo-ს და თურქე-

²⁰ «სახალხო გაზეთი», 1910 წ. 9/22 მაისი.

²¹ АВПР, ф. Канцелярия, т. 19, лл. 20—23, Шебеко Сазонову, 19 апр./2 мая 1910 г.

²² «Красный архив», 1933, т. 3 (58), გვ. 54.

²³ «Красный архив», 1923, т. 3, стр. 7—8.

²⁴ АВПР, ф. Канцелярия, д. 204, лл. 2—4, Остен-Сакен Сазонову, 6/19 августа, 1910 г.

თის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. ბალდადის რკინიგზის მშენებლობა კი გერმანიას მიაჩნდა მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებად. რაც შეეხება ირანს გერმანიამ კვლავ დაადასტურა, რომ არ გააჩნდა იქ პოლიტიკური ინტერესები და ზრუნავდა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაზე²⁵.

საზონოვი მიესალმა გერმანიის ასეთ პოზიციას და თავის მხრივ განაცხადა, რომ ბოსნიის კრიზისი წარსულს ჩაბარდა და რუსეთის სავაჭრო პოლიტიკაზე გავლენას არ მოახდენდა მომავალში. საზონოვის აზრით, რუსეთის ერთადერთ ამოცანას იმ დროს შეადგენდა საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება, ხოლო 1908 წ. შეთანხმება ინგლისთან, მიზნად ისახავდა მხოლოდ უთანხმოების მოწესრიგებას შუა აღმოსავლეთში²⁶. რაც შეეხება ინგლისს, საზონოვის თქმით, რუსეთი არ ფიქრობდა მხარი დაეჭირა მისთვის, თუ ის ანტიგერმანულ პოლიტიკას გაატარებდა, რადგან რუსეთს და გერმანიას, როგორც მეზობელ სახელმწიფოებს მეგობრულად უნდა ეცხოვრა²⁷. სწორედ ამაზე ოცნებობდა კიდერლენ-ვეხტერი, მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა. მოლაპარაკება საზონოვთან მხოლოდ ზეპირი საუბრის ხასიათს ატარებდა და ქალაქდზე არ ყოფილა ფიქსირებული. ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ შეთანხმების ხელმოწერამდე საქმე არ მისულა. რუსეთს აზრადაც არ მოსვლია მსგავსი ნაბიჯის გადადგმა, რაც უშუკველია ანტანტის გათიშვას გამოიწვევდა. გერმანიის მმართველი წრეები კარგად გრძნობდნენ ამას, მაგრამ მათ სურდათ, რომ ხელში ჰქონოდათ საბუთი, რათა საჭიროების შემთხვევაში დაერწმუნებინათ ინგლისი რუსეთის დღალატში და ამით მიეღწიათ გარკვეული შედეგისათვის.

გერმანიის დიპლომატიის მთავარ ამოცანად კიდერლენ-ვეხტერს მიაჩნდა რუსეთთან საერთო-პოლიტიკური შეთანხმების დადება. იგი წერდა: „რუსეთის დაპირებანი ინგლისთან მისი დამოკიდებულების შესახებ, ჩემთვის წარმოადგენს მთელი შეთანხმების აღფასა და ომეგას. ის უნდა იქნას ჩამოყალიბებული იმგვარად, რომ იმ დღეს, როცა მის შესახებ გაიგებენ ინგლისელები, მან სახელი გაუტეხოს რუსეთს“²⁸. რუსეთს მსგავსი შეთანხმების დადება შეუძლებლად მიაჩნდა, ამიტომ მოლაპარაკება გაჭიანურდა. იმისათვის, რომ დაემშვიდებინა ლონდონი და პარიზი საზონოვმა პეტერბურგში დაბრუნებისას „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გერმანიის მხრიდან არავითარ ცდას არ ჰქონია ადგილი, ჩამოეცილებინა რუსეთი ანტანტისაგან, რადგანაც გერმანიის პოლიტიკურ მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ რუსეთი თავისი მოკავშირეების ერთგული იყო და ამასთან არავითარი მიზეზი არ გააჩნდა უარი ეთქვა თავის ვალდებულებებზე მათ მიმართ²⁹.

²⁵ Die Grosse Politik der Europäischen Kabinette, Sammlung der diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes, Bd. 1—40, Berlin, 1922—1927. — Bd. 27, T. 2, № 10155, გვ. 842.

²⁶ სინამდვილეში ეს იყო იმპერიალისტური შეთანხმება, რომელიც მიმართული იყო აღმოსავლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და ითვალისწინებდა რუსეთისა და ინგლისის გავლენის სფეროებად ირანის, ავღანეთისა და ტიბეტის განაწილებას.

²⁷ Die Grosse Politik, Bd. 27, t. 2, №10159, გვ. 846.

²⁸ იქვე, t. 2, № 10167, გვ. 861—862.

²⁹ «Новое время», 27 октября/9 ноября 1910 г.



მიუხედავად ამისა, ბერლინში ყოველმხრივ ცდილობდნენ უთანხმოება გამოეწვიათ რუსეთსა და მის მოკავშირეებს შორის. ამას ისახავდა მიზნად კანცლერ ბეტმან-ჰოლვეგის განცხადება რაიხსტაგში, თითქოსდა გერმანიამ მიაღწია შეთანხმებას რუსეთთან. კანცლერმა თავისი გამოსვლისას აცნობა დეპუტატებს «პოტსდამის შეხვედრის დადებითი შედეგების შესახებ. მისი სიტყვით, სანდო და ახლო ურთიერთობა გერმანიასა და რუსეთს შორის განახლდა».³⁰ იმავე დროს, გერმანიის პრესა განსაკუთრებით აღნიშნავდა კანცლერის განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთი და გერმანია ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული მახლობელ აღმოსავლეთში არსებული Status quo-ს შენარჩუნებით და რომ ორივე ქვეყნის მთავრობა არ წაივლიდა კომბინაციაზე, რომელიც ზიანს მიაყენებდა მათ ურთიერთმეგობრულ დამოკიდებულებას.³¹

კანცლერ ბეტმან-ჰოლვეგის ამ განცხადებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია პარიზსა და ლონდონში³², სადაც დარწმუნებული იყვნენ, რომ მოლაპარაკებანი გერმანიასა და რუსეთს შორის მხოლოდ ირანის საკითხს და ბალდადის რკინიგზის მშენებლობას ეხებოდა. განსაკუთრებული აღშფოთებით შეხვდნენ კანცლერის განცხადებას პარიზში. ფრანგული გაზეთები მიუთითებდნენ, რომ რუსეთის პოლიტიკა ბოლოს უღებდა სამთა შეთანხმებას³³. ამიტომ იყო, რომ, როგორც ლონდონმა, ისე პარიზმა სასწრაფოდ მიმართეს ღონისძიებებს, რომ შეგავლენა მოეხდინათ რუსეთზე, თუმცა ეს უკანასკნელი ამის გარეშეც არ აპირებდა გერმანიასთან საერთო-პოლიტიკურ შეთანხმებაზე ხელის მოწერას. პეტერბურგის ასეთი პოზიცია მეტყველებდა იმაზე, რომ გერმანიის დიპლომატიამ თავის მიზანს ვერ მიაღწია, ხოლო ანტანტა კიდევ უფრო შემჭიდროვდა, რადგან რუსეთმა სამთა კავშირთან დაახლოებაზე საბოლოოდ აიღო ხელი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტანტისათვის, რადგან ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობანი იმ დროისათვის ძალზედ გამწვავდა, რაც პოტსდამის მოლაპარაკების დროსაც გამოემჟღავნა³⁴.

ყურადღებას იმსახურებს გერმანიის საგარეო პოლიტიკის შეფასება მთავრობის ოფიციალურ «ნორდდოიჩე ალგემეინე ციატუნგ»-ის მიერ. გაზეთი თავის საახალწლო გამოშვებაში აფასებდა გერმანიის საგარეოპოლიტიკურ მოღვაწეობას გასული 1910 წ. მანძილზე და მიუთითებდა, რომ მან ჩაიარა «შედარებით მშვიდად პოლიტიკის მხრივ, ვიდრე წინა წლებში, თუმცა ზოგიერთი დროის ამ მონაკვეთში ამჟღავნებდა მისწრაფებას დაერღვია პოლიტიკური ცხოვრების მშვიდობიანი მსვლელობა. გერმანიის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს... წარმოადგენს ყველაზე ახლო და გულითადი ურთიერთობა სამთა კავშირის შემადგენლობაში შემაგალ ორ დანარჩენ სახელმწიფოსთან. მტკიცე კავშირს, რომლითაც გერმანია დაკავშირებულია თავის მოკავშირეებთან, სულაც არ შეუშლია ხელი მისთვის გასული წლის განმავლობაში... განემტკიცებინა მეგობრული ურთი-

³⁰ АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 368, Остен-Сакен Сазонову, 28 нояб./11 дек. 1910 г.; Die Grosse Politik, Bd. 27, т. 2, № 10159, Beilage 2.

³¹ АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 368.

³² Н. Н е r z f e l d, Die Deutsche Rüstungspolitik vor dem Weltkriege, Bonn und Leipzig, 1923, გვ. 18.

³³ И. И. А с т а ф ь е в, Русско-германские дипломатические отношения, 1905—1911 гг., М., 1972, გვ. 257.

³⁴ «Красный архив», 1923, т. 3, გვ. 6.

ერთობა სხვა სახელმწიფოთა მიმართ». ³⁵ რაც შეეხება ბალკანეთის საქმეებს, გაზეთი მიუთითებდა, რომ სამთა კავშირის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა შორის აზრთა გაზიარებისას გამოირკვა, ისევე როგორც პოტსდამის შეხვედრისას, რომ სასურველი იყო Status quo-ს შენარჩუნება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ³⁶

გერმანიასა და რუსეთს შორის გაკვიანრებული მოლაპარაკებანი დამთავრდა იმით, რომ 1911 წ. 19 აგვისტოს მიღწეულ იქნა შეთანხმება ირანის პრობლემებზე და ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის შესახებ ³⁷. გერმანია უარს ამბობდა ეკონომიკურ კონცესიებზე (რკინიგზები, გზატკეცილები, ტელეგრაფი და სხვ.) ირანის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ³⁸. შეთანხმება შეიცავდა დადგენილებას, რომ მომავალში როცა გერმანელები მიიყვანდნენ ბაღდადის რკინიგზას ხანეკინამდე, რუსეთს შეეძლო გაეყვანა რკინიგზის ხაზი, თეირანიდან დასავლეთის საზღვრისაკენ, ხანეკინამდე ³⁹.

გერმანიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის თანხმობას არ გაეწია წინააღმდეგობა შემდგომში, ბაღდადის რკინიგზის მშენებლობაზე, რომელიც ემუქრებოდა ინგლისის პოზიციებს სპარსეთის ყურეში ⁴⁰. ასეთი შეთანხმება, მართალია, უადვილებდა გერმანიას ირანში შეჭრას, მაგრამ მთავარი მიზანი — ანტანტის გათიშვა მიუღწეველი რჩებოდა. ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა, რუსეთ-გერმანიის შეთანხმებას 1911 წ. თავის რვეულებში იმპერიალიზმის შესახებ წერდა: „რუსეთის ხელშეკრულება გერმანიასთან (19. VIII): აგრეთვე თავისებური „ურთიერთდაზღვევა“ (ბაღდადი სპარსეთის სამაგიეროდ)“ ⁴¹.

რუსეთის თანხმობა, გერმანიის მიერ ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის თაობაზე, არ ეწინააღმდეგებოდა მისი მოკავშირეების ინტერესებს, რადგანაც იმავე პერიოდში, 1911 წ. მარტში ბერლინმა შესთავაზა ლონდონს, რომ შესაფერისი კომპენსაციის საფასურად ბაღდადის რკინიგზის საზოგადოება ხელს აიღებდა უკანასკნელი მონაკვეთის (ბაღდადი-სპარსეთის ყურე) მშენებლობაზე. ინგლისის პრესა გამოთქვამდა აზრს, რომ პოტსდამის 1911 წ. შეთანხმება, მაშთალია, არ თიშავდა ანტანტას, მაგრამ დარტყმას კი აყენებდა მას, რადგანაც ინგლისის პოზიციები მისთვის მნიშვნელოვან ბაღდადის რკინიგზის საკითხში არსებითად დასუსტებული აღმოჩნდა ⁴². ამ საკითხის შესახებ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ედ. გრეის გამოსვლამ თემთა პალატაში,

³⁵ АВПР, ф. Канцелярия, д. 18, л. 399, Остен-Сакен Сазонову, 24 дек./6 янв. 1910—1911 гг.

³⁶ იქვე.

³⁷ O. H a u s e r, Deutschland und englisch-russische Gegensatz, 1900—1914, Göttingen, 1958, გვ. 120.

³⁸ См. Сборник договоров России с другими государствами, 1856—1917 гг., М., 1952, გვ. 405—407, док. № 64.

³⁹ O. H a u s e r, დასახ. ნაშრომი, გვ. 128—129; L. R a t h m a n n, Berlin-Bagdad, Die imperialistische Nahostpolitik des kaiserlichen Deutschlands, Berlin, 1962, გვ. 90.

⁴⁰ «Красный архив», 1933, т. 3 (58), გვ. 49, 51.

⁴¹ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი., რვეულები იმპერიალიზმის შესახებ, თბზ., ტ. 39, გვ. 714.

⁴² А. В. И г н а т ь е в, Русско-английские отношения накануне первой мировой войны, 1908—1914 гг., М., 1962, გვ. 101.

იტყობინებოდა შებეგო, კეთილსასურველი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინზე⁴³. ედ. გრემ თავის სიტყვებში, თუმცა აღიარა, რომ ბალდადის რკინიგზა იყო გერმანული ხასიათის წარმოება, მაგრამ იმავე დროს, გამოხატა განზრახვა, არავითარ შემთხვევაში არ დაეთმოთ ინგლისის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ამ გზის უკანასკნელი მონაკვეთის საკითხზე გაჩაღებული დავის დროს⁴⁴.

გრემის გამოსვლას, მართალია, დადებითად შეხვდნენ ოფიციალური წრეები ბერლინში, მაგრამ ნაკლები თანაგრძნობა გამოსტვივოდა მის მიმართ საზოგადოებრივი აზრის და პანგერმანული წრეების დამოკიდებულებაში, რომლებიც „მთავარ ყურადღებას აქცევდნენ... ინგლისის განზრახვას, მოეთხოვა არა მარტო კონტროლი გზის უკანასკნელი მონაკვეთისადმი და მისი ბოლო პუნქტისადმი სპარსეთის ყურეში, არამედ აგრეთვე ზოგიერთი კომპენსაცია ახალი რკინიგზის კონცესიის სახით, რომელიც შეაერთებდა ბალდადის რკინიგზის უკანასკნელ მონაკვეთებს რომელიმე პუნქტთან ჩმელთაშუა ზღვის სანაპიროზე“⁴⁵.

გრემის გამოსვლას ინგლისის პარლამენტში, ბერლინის ოფიციალურმა „ნორდლოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-მა სტატია უძღვნა. გაზეთი ხაზს უსვამდა გრემის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ის იმოწმებდა ბეტმან-ჰოლვეგის გამოსვლას გერმანიის რაიხსტაგში 1910 წ. დეკემბერში, რომელშიც კანცლერმა მიუთითა, რომ ინგლისისა და გერმანიის მთავრობებს შორის ურთიერთუნდობლობას არ ჰქონია ადგილი⁴⁶ და საერთოდ, „ნორდლოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ი მთლიანი სიმპათიით გამოეხმაურა გრემის უკანასკნელი განცხადებების შემრიგებლურ ტონს⁴⁷.

პოტსდამის მოლაპარაკებანი არავითარ წინააღმდეგობას არ ბადებდა ავსტრია-უნგრეთში ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, გერმანია თავის მოკავშირეს ყოველი ნაბიჯის შესახებ აწვდიდა ინფორმაციას და მეორეც, ავსტრია-უნგრეთს შუა აღმოსავლეთში განსაკუთრებული ინტერესები არ გააჩნდა.

ვილჰელმ II თავის მემუარებში აღნიშნავდა, რომ გერმანიისა და რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის პოტსდამში წარმოებულმა მოლაპარაკებებმა წარმატებით ჩაიარეს და მომავლისათვის კარგი პერსპექტივები დასახესო⁴⁸. რაც შეეხება ძველ უსიამოვნებებს, — დასძინდა ვილჰელმ II — ისინი სამუდამოდ მიეცა დავიწყებას⁴⁹. გერმანიის პრესაც იმავეს ამტკიცებდა და შეთანხმებას ახასიათებდა როგორც გერმანიის დიდ მიღწევას, რომელმაც ძირი გამოუთხარა მის იზოლაციას. ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ გერმანიისა და რუსეთს შორის პოტსდამში დადებული ხელშეკრულების არსს მართებულად აფასებდა „სახალხო გაზეთი“⁵⁰.

⁴³ AVPR, ф. Канцелярия, д. 18, л. 58, Шебеко Сазоноу, 4/17 марта 1911 г.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე, ფ. 58—59.

⁴⁶ იქვე, ფ. 60.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ Вильгельм II, мемуары, События и люди 1878—1919, пер. с нем., Изд. 2-ое, Пг. 1923, გვ. 68.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ გერმანელებისათვის ამ საქმეში, — შერდა გაზეთი, — ის უფროა გასახარი, რომ ეს ხელშეკრულება სწორედ მაშინ დაიღო, როდესაც გერმანია-საფრანგეთის დამოკიდებულებანი გამწვანდნენ

მართალია, პოტსდამის შეთანხმება გერმანიისათვის უფრო ხელსაყრელი იყო, რადგან იგი აძლევდა ბალდადის რკინიგზის მშენებლობის და სპარსეთში გერმანიის ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობას მომავალში, მაგრამ ამის მიუხედავად მთავარი მიზანი, რომელსაც ესწრაფვოდა გერმანიის დიპლომატია, მიუღწეველი დარჩა. რუსეთი ვერ გადაიბირა თავის მხარეზე და ვერც უთანხმოებანი ჩამოაგდო ანტანტის წევრებს შორის. პირიქით, თავისი მოქმედებით, ხელს უწყობდა ანტანტის რიგების კონსოლიდაციას, ხოლო ურთიერთობას მასთან, რუსეთის გამოკლებით (ისიც დროებით) კვლავ ამწვავებდა.

В. Г. ЧОЧИЯ

ГЕРМАНСКАЯ ДИПЛОМАТИЯ И БОРЬБА ЗА УСИЛЕНИЕ ВЛИЯНИЯ В ИРАНЕ И РАЗРУШЕНИЕ АНТАНТЫ (1910—1911 гг.).

Резюме

В статье на основе архивных и документальных материалов, а также специальной литературы и грузинской прессы, освещена борьба германской дипломатии по осуществлению экспансионистских планов правящих кругов Германии в отношении Ирана и разрушения Антанты.

Берлин стремился под видом экономической заинтересованности в Иране повлиять на политику страны. Поскольку царская Россия и Англия имели свои экономические и политические интересы в Иране, германской дипломатии приходилось лавировать, дабы избежать осложнений. В то же время Берлин получал возможность внести раздор в ряды Антанты и попытаться оторвать от нее Россию.

Потсдамская встреча, превратившаяся в негласную дуэль двух дипломатий — Германии и царской России — не принесла особых выгод Берлину, несмотря на ловкость и изворотливость Кидерлена-Вехтера — руководителя внешней политики Германии. Наоборот, она внесла известную напряженность в отношениях Германии со странами Антанты и способствовала дальнейшей консолидации ее рядов.

და საფრანგეთმა რუსეთს მიმართა ვითარცა პოლიტიკურ მოკავშირეს... შეუძლებელია ეს ორი სახელმწიფო ამას გულგრილად შეხედნენ.. ევროპის პოლიტიკის საერთო მსვლელობაზე ეს ხელშეკრულება რასაკვირველია, ვერ იმოქმედებს, მაგრამ გერმანელებს მაინც წაათმამებს და ეს კი სწორედ რომ უღროვოა» («სახალხო გაზეთი», 1911 წ. 19 აგვ./1 სექტ.).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებამ

А. И. ЦИНАДЗЕ

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ НА СТРАНИЦАХ ГАЗЕТЫ «КАВКАЗ»

Для усовершенствования политического управления Кавказским краем и организации его всестороннего экономического освоения, самодержавие в конце первой половины XIX века проводит на Кавказе ряд преобразований. В числе других мер, следует указать основание в Тифлисе официальной литературно-политической газеты «Кавказ» (1846—1918).

В данной работе мы постарались на основе анализа статей по вопросам истории грузинского народа, опубликованных на страницах русской газеты «Кавказ», показать роль ее в изучении и популяризации вопросов истории Грузии. Ведь она на протяжении почти первого десятилетия своего издания была единственной, не только русской, но и грузинской литературно-политической газетой, на страницах которой помещали статьи и материалы выдающиеся историки и общественные деятели XIX века. Это были: С. Г. Баратов, М. Броссе, Д. З. Баградзе, Н. Г. Берзенов, П. И. Иоселиани, Д. И. Кипиани, Д. И. Чубинашвили, К. Х. Мамацашвили и др.

В результате тщательного анализа статей по вопросам истории Грузии, мы пришли к выводу, что они не являются равноценными по глубине научного исследования, широте охваченных проблем, осведомленности, а некоторые заведомо тенденциозны. В газете встречаются статьи, написанные со знанием материала, с достаточной для того времени глубиной исследования и объективностью¹. Но есть и такие, в которых видна попытка авторов или редакции умалить историческое прошлое грузинского народа, унижить его и назвать невежеством, утратившим историю².

Газета «Кавказ» уделила большое внимание обзору источников по истории Грузии. Однако, постановка проблемы изучения источников и ее решение на страницах издания, в основном, не выходили за рамки общепринятых в историографии XIX века, взглядов на роль и историческую ценность этих источников. Историки XIX века, при работе над вопросами истории Грузии пользовались, в основном, двумя источниками: сборником средневековых грузинских летописей «Қартлис цховреба» и «Историей» Вахушти. Из них, первый, сборник чаще становился объектом исследований и на страницах газеты.

С самого начала издания газеты в ней широко освещались различные вопросы, связанные с изучением и характеристикой «Қартлис цховреба», а именно: его датировка, определение степени достоверности, содержащихся в нем сведений, установление авторов и составителей летописи, а также другие вопросы, связанные с оценкой источника. Статьи, освещающие эти вопросы, публиковались на страницах органа, главным образом, в 1846—1856 гг.

¹ Газ. «Кавказ», 1848, № 37; 1849, № 40; 1850, № 37.

² Там же, 1846, № 50; 1847, № 8; 1849, № 26.

На страницах газеты «Кавказ» сборник «Картлис цховреба» был освещен в нескольких аспектах. Две статьи были о древности и достоверности сведений источника, третья — содержала тенденциозное замечание, ставившее под сомнение наличие в Грузии древних источников истории. В четвертой статье также содержалось «авторитетное» замечание о влиянии на «Картлис цховреба» армянских и иранских хроник.

В первой статье И. А. Сливницкий тепло отзывался по поводу выхода из печати перевода «Картлис цховреба»³. При этом, автор отмечал то благоговение, с которым грузины относятся к летописи как национальному богатству, тщательно укрывая его от посторонних глаз. Теперь же, указывая И. А. Сливницкий, благодаря стараниям М. Броссе, летопись стала общедоступной. Затем в статье был затронут вопрос об авторах и составителях источника. В этой связи И. А. Сливницкий знакомил читателей газеты с распространенным тогда мнением об авторстве Вахтанга VI и, соглашался с утверждением М. Броссе, о всего лишь редакторской роли Вахтанга. Вместе с тем автор возмущал упрощенный взгляд на «Картлис цховреба» как на сочинение, содержащее искаженные и неверные сведения. Так, по убеждению автора, могли рассуждать «люди, не читавшие ее, или читавшие, не приняв на себя труда обсудить слова летописца, или поверить их показаниями историков других наций», (здесь автор высказывал правильную мысль о необходимости сопоставления, при исследовании исторических событий, источников разных народов)⁴. При этом И. А. Сливницкий обвинял в безответственности составителей статьи «Грузины» из «Энциклопедического лексикона», которая по словам автора, на первый взгляд имеет «ученый вид, однако, позволяя себе иметь суждения одинаковые с людьми, неблагоприятно отзывающимися о грузинской летописи».

Далее автор высказал интересные и ценные мысли о методах исследования «Картлис цховреба», о надежности памятника как исторического источника. Все это свидетельствует о том, что автор, не только хорошо знал текст летописи, но и был знаком с литературой, существовавшей тогда по этому вопросу. Поэтому, знаменательны слова, которыми И. А. Сливницкий заканчивал свою, проникнутую благожелательностью статью: «Мне кажется, что прежде чем произнести окончательный приговор над грузинскими летописями, нужно увидеть их изданными в таком виде, как издает и переводит их г. Броссе — с примечаниями, с объяснением текста. Нужно отыскать, собрать и обнародовать всю историческую письменность народа, все эти обрывочные факты, сохранившиеся на бумаге и камнях — чтобы приобрести право сказать: имеет ли Грузия свою историю и в какой степени достойны веры показания ее летописцев»⁵. Приведенная обширная выдержка показывает, что автор ее, русский чиновник, которому, казалось бы, должны быть чужды интересы народа, отбросив чиновничью чопорность, стал в ряд прогрессивно мыслящих русских общественных деятелей, отмежевавшихся от официальной России в ее колониальной и русификаторской политике.

Вторая статья по указанному вопросу, «Несколько мыслей о материалах для истории Грузии», принадлежит Д. И. Кипиани⁶. Ввод-

³ Газ. «Кавказ», 1850, №73, /История Грузии с древнейших времен до XIX века, переведенная с грузинского г. Броссе, ч. 1-я, Древняя история до 1469 г./

⁴ Там же, 1850, №73.

⁵ Там же.

⁶ Там же, 1854, № 30.

ная часть ее, адресованная графу В. А. Соллогу, как гласит примечание, очень кратко излагает ключевые моменты русско-грузинских отношений, завершившихся присоединением Грузии к России. Автор указывал на древнюю историю грузинского народа и его царства. В связи с этим он ставил перед историками задачу изучения исторического прошлого Грузии⁷.

Предисловие Д. И. Кипиани не случайно адресовал именно В. А. Соллогу. Потому, что за два года до этого письма в той же газете «Кавказ», В. А. Соллогуб опубликовал библиографическую статью «Об источниках для познания Кавказа», написанную по поручению Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества⁸. В свою очередь, эта работа, по утверждению В. А. Соллогу, как бы восполняла пробелы, имевшиеся в библиографической статье Г. Токарева «Об источниках сведений о Кавказе»⁹.

Во введении к своей статье В. А. Соллогуб указывал, что о Кавказе существует много сведений, содержащихся отрывками в источниках, перечисленных в статье Г. Токарева. Однако, утверждал он, «нет удовлетворительных монографий, нет ни одного полного описания, которое могло бы служить руководством для изучения всего края»¹⁰. Поэтому В. А. Соллогуб в своей работе назвал исследования, которые содержали наиболее полные сведения о Кавказе. Вместе с тем, автор не придавал большого значения этим сведениям, так как «эти источники мало принесут пользы для познания настоящего положения Кавказа. Они могут бросить некоторый свет на его баснословную историю, на его древнюю географию, в особенности, могут возбудить много предположений и догадок на счет его древних обитателей, коих следы затерты и имена исчезли»¹¹. Одновременно он отрицал их какую-либо значимость в деле познания Кавказа, указывая, что действительность Кавказа не является результатом внутреннего, последовательного исторического развития края и его населения. Современное состояние, в первую очередь, Грузии, считал автор, обусловлено вмешательством России. Поэтому, утверждал он, «древние источники о крае представляют интерес лишь библиофилам, археологам и вообще любителям исторических изысканий»¹². Исходя из этого, он призывал историков отражать именно действительность и современность, описывать события, связанные с завоеванием Россией Кавказа, доблесть ее солдат, так как, «трудно поверить, — возмущался он, — что до сего времени не изображена история полувековой войны, ознаменованной столь блистательными подвигами русского оружия»¹³. Как образец для подражания, в числе других произведений, он указывал на неизданную работу О. И. Константинова «История владычества русских на Кавказе и за Кавказом»¹⁴.

Д. И. Кипиани — патриота, знатока и почитателя истории своего народа, взволновала недооценка В. А. Соллогу значения изучения истории Грузии. Тогда, как в познании прошлого Д. И. Кипиани

⁷ Газ «Кавказ», 1854, № 30.

⁸ Там же, 1852, № 47.

⁹ Там же, 1847, № 27; 1848, №№ 5, 6, 24, 25, 26, 35.

¹⁰ Там же, 1852, № 47.

¹¹ Там же.

¹² Там же, 1852, № 47.

¹³ Там же.

¹⁴ Там же.

видел исполнение долга перед потомками, которые, писал автор, не простят, «если мы не воспользуемся возможностью внести в науки несколько полных сведений об этом Грузинском царстве, судьбы которого уже потому интересны, что оно возникло одновременно с первыми царствами исторического мира нашего, в продолжение 22-х веков выдерживало напор времени и событий...»¹⁵. Кроме того, Д. И. Кипиани предполагал изучением прошлого решить и другой вопрос, правильно сформулированный им в данной статье. Точно подметив политическую ситуацию в разгар Крымской войны, он писал: «При нынешней дерзновенной борьбе ислама против Креста, были бы весьма любопытны и поучительны возможные подробности о горсти Христианского народа, против которого сокрушались в продолжение тысячи пятисот лет сокрушительные везды, кроме Грузии, силы Чингиз-Ханов, Тамерланов, Шах-Аббасов и других завоевателей»¹⁶.

Д. И. Кипиани выдвигал и другие задачи, решение которых, по его мнению, ускорило бы изучением исторического прошлого грузинского народа. Поэтому он писал: «Критическая разработка указанных мною материалов могла бы оказать важную услугу и Правительству и науке: Правительство в познании прошедшего приобретает ручательство в вероятности успеха тех мер, которые предпринимает оно к устройению благосостояния для народа на прочных основаниях; а науке — необходимо пополнить пробелы развитием того, на что имеются в виду только намеки и указания, более или менее точные»¹⁷.

Не затрагивая других вопросов статьи, так как в дальнейшем мы неоднократно будем к ним возвращаться, продолжим исследование с анализа ее вводной части, посвященной критике «Картлис цховреба». Положительно оценивая издание Броссе «Картлис цховреба», Д. И. Кипиани указывал, что это всего лишь материал для истории, и не сама история, которая должна в дальнейшем разработана на основе этого богатого материала¹⁸.

Самым интересным для нас, является, предпринятая автором попытка критики начальной части летописи, в которой изложена библейская легенда о происхождении предков грузинского народа от потомков Ноя. Д. И. Кипиани не пытался подвергнуть сомнению достоверность библейской сказки, его критика не выходила за рамки недовольства негрузинским звучанием, следовательно, происхождением, окончаний имен библейских предков грузин. Для автора являлось свидетельством «весьма важным» признание грузинскими и армянскими источниками, ссылающимися на соответствующее место книги Бытия, Таргамоса предком грузин¹⁹. Вместе с тем, в рассуждениях автора, несмотря на наивное утверждение, «что потомки эти были», содержатся два рациональных момента²⁰.

Во-первых, он был прав, когда предполагал, что имена потомков Ноя являются позднейшей вставкой. Здесь автор, невольно для себя, ставил вопрос о поздней датировке начальной части «Картлис цховреба». Действительно, советская историческая наука датирует ее ранним средневековьем, подтверждая, тем самым, догадку Д. И. Кипиани. В то же время, появление в летописи версии о библейском происхожде-

¹⁵ Газ. «Кавказ», 1854, № 30.

¹⁶ Там же.

¹⁷ Там же, № 39.

¹⁸ Там же, № 30.

¹⁹ Там же.

²⁰ Там же, № 31.

нии народов, распространившейся одновременно с христианством, советские историки связывают с попыткой причислить предков грузин к ветви библейских прародителей. Во-вторых, рациональным в рассуждении Д. И. Кипиани о происхождении имен предков грузин, является стремление автора, признавая историчность потомков Таргамоса, считать, что «имена их, по всей вероятности, забыты историей и восстановлены едва-ли не географией: т. е. едва-ли не приурочены к местам известным...»²¹. Таким образом, здесь Д. И. Кипиани высказывал, развитую в дальнейшем советской историографией мысль об отражении в библейской легенде определенного исторического положения, при обращении к данным «о границах владений названных родоначальников. Они, несомненно, отражают историческую обстановку определенной эпохи (другой вопрос — какой именно) и заслуживают пристального внимания»²².

В статье Д. И. Кипиани следует отметить также, высказанное им недовольство по поводу описания в «Картлис цховреба» только жизни и царствования царей²³. Автор считал неправдоподобной известную легенду о происхождении грузинских дворян от воинов Язона или Азона — полководца Александра Македонского. Он не допускал мысли о том, чтоб воины врага первого грузинского царя Фарнаваза были оставлены в стране в таком привилегированном положении и, поэтому восклицал: «...основательно-ли говорим, что мы дворяне, происходим от Азоновцев, Азоновских воинов?»²⁴. Критика азонской версии о происхождении грузинского дворянства была беспочвенна, так как Александр Македонский и, следовательно, его воины, никогда не были в Грузии.

Такова была, в основном, позиция различных авторов в отношении «Картлис цховреба», публиковавших на страницах газеты «Кавказ» на протяжении ряда лет статьи и очерки по изучению замечательного грузинского исторического памятника.

Разноречивое толкование «Картлис цховреба» на страницах газеты было характерно для господствовавшей в XIX веке ее оценки в историографии. Глазным образом летопись отрицательно оценивалась некоторой частью русской буржуазной ориенталистики XIX века.

В русской историографии одним из первых, затронувший вопрос о древнейшем периоде истории Грузии на основе сведений «Картлис цховреба», был русский ориенталист, профессор петербургского университета О. И. Сенковский (1800—1858). Он опубликовал весьма тенденциозное исследование, в котором утверждал, что «Картлис цховреба» составлен в XVIII веке царем Вахтангом VI и представляет собой последовательное изложение библейских сказок от Ноя и до XVI века н. э. Однако, не довольствуясь подобными «открытиями», он ядовито замечал, что «от Александра Македонского до Петра Великого они (т. е. грузины — А. Б.) преспокойно жили без летописей»²⁵.

Несмотря на то, что грузинская историография XIX века осудила и отвергла тенденциозную трактовку О. И. Сенковского в 1846 году на страницах газеты «Кавказ» появилось безапелляционное заявле-

²¹ Газ. «Кавказ», 1854, № 31.

²² Г. А. М е л и к ш и л и. К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 34.

²³ Кавказ, там же, № 39.

²⁴ Кавказ, 1854, № 31.

²⁵ А. Б а р а м и д з е. Из истории изучения «Картлис цховреба.» «Материалы к истории Грузии и Кавказа», т. 34, 1962, стр. 96.

ние, что якобы в Грузии «редко можно найти летопись и документы исторические для какой-нибудь эпохи»²⁶.

Итак, для хозяйства ранних земледельцев западной части Ближнего Востока на этапе VII—VI тыс. до н. э. характерно расширение ассортимента возделываемых культур, появление зернохранилищ на поселениях; возможное использование во время земледельческих работ плуга и быков как тягловой силы, что было вызвано необходимостью интенсификации сельского хозяйства в связи с ростом численности населения; появление нового вида земледельческих орудий — мотыг; появление керамики; изобретение сырового кирпича для строительства домов; начало фортификационных работ в виде сооружения обводных стен вокруг поселений; появление святилищ; изобретение ткачества; знакомство с металлом — самородная медь, руда (в Чайюню-теписи даже в конце VIII тыс до н. э.); появление глиняных фигурок людей и животных.

О развитии раннеземледельческой культуры в VI—V тыс. до н. э. рассказывают материалы памятников, расположенных на низких приморских равнинах Южной Турции, Западной Сирии и Ливана и относящихся к Сиро-Киликийской культуре, которая, как отметил Г. Чайлд, может соперничать в отношении своей древности с любой культурой в долине Нила и Месопотамии³¹. Это весьма своеобразная культура. Ее типичными представителями являются такие памятники, как Мерсин²³, Амур А, В, С и т. д.³², Тарс³⁴, Рас-Шамра³⁵, Сакче-Ге-зи³⁶. Какие черты характерны для данной культуры?

Культурные слои в Мерсине (С¹⁴—5750 г. до н. э.) имеют мощность 10 м. Они представлены остатками глинобитных строений на каменном фундаменте. Остатки лощенных стен встречены в Тарсе. Охота для обитателей поселений Сиро-Киликийской культуры все еще сохраняла свое значение. Охотились на газель и, видимо, на свинью и быка. Приморское расположение некоторых из этих памятников способствовали занятию населения добычей моллюсков и рыб. Но в то же самое время их обитатели уже типичные оседлые земледельцы и скотоводы. О развитии животноводства свидетельствуют кости домашних коз в слое Амур А и овец в

²⁹ Н. Нелбаек. Prepottery Neolithic Farming at Beidha, «Palestine Exploration Quarterly», jan-june, 1966.

³⁰ Ч. Рид, ук. раб., с. 372.

³¹ Г. Чайлд, Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1956, с. 329.

³² J. Garstang, Prehistoric Mersin, Oxford, 1953; П. П. Ефименко, Неолитической Мерсин, СА, 1959, №1, с. 291—299.

³³ R. J. Braidwood and L. S. Braidwood, Excavations in the plain of Antioch I. The earliest assemblages. Phases A—J, «OIP», v. LXI, Chicago, 1960.

³⁴ H. Goldman, Excavations at Gözlu Kule, Tarsus II, Princeton, 1956, с. 5, 65, 255 sqq.

³⁵ C. F. A. Schaeffer, 1) Les fouilles de Ras Shamra-Ugarit, Sixième campagne (printemps, 1934), «Syria», t. XVI, 1935, с. 164—168; 2) Ugaritica, I, «Bibliothèque archéologique et historique», t. XXXI, Paris 1939, с. 3—8; 3) Les fondements pre-ét protohistoriques de Syrie du Néolithique ancien au Bronze ancien, «Syria».

³⁶ J. Garstang, W. J. Phytian-Adams, M. V. Seton-Williams, Third report on the excavations at Sakje-Geuzi, 1908—1911 «Annals of Archaeology and Anthropology» v. XXIV, Liverpool, 1937, p. p. 119—140; J. du Plat Taylor, M. V. Seton-Williams, J. Waechter, The excavations at Sakce Gözü, «Iraq», v. XII, 1950, с. 53—138.



слое Амур В. В Амуке Д Стампфли обнаружил кости домашнего крупного рогатого скота³⁷. Среди палеоботанического материала из Мерсина Г. Хельбеком определены зерна пленчатого многорядного ячменя (*Hordeum vulgare*). В Амуке А—В (С¹⁴—5750 г. до н. э.) определены культурные пшеница двузернянка (*Triticum dicoccum* Schrank) и ячмень двурядный (*Hordeum distichum* L.), а также дикорастущие марь белая или лебеда (*Chenopodium album*), овес (*Avena* sp.) и райграс (*Lolium* cf. *gaudium*)³⁸. В раннеземледельческих слоях Рас-Шамры (5500—5000 лет до н. э.) обнаружены пшеница однозернянка (*Triticum monocossum*), пшеница двузернянка (*Triticum dicoccum*), ячмень многорядный (*Hordeum* cf. *vulgare*), чечевица (*Lens culinaris*), горох (*Pisum sativum*), лен (*Linum usitatissimum*) и семена дикорастущих растений. Определения сделаны В. ван Цайстом.³⁹

Кремневая индустрия представлена ограниченным набором орудий. Наиболее характерны крупные наконечники дротиков, обработанные прекрасной ретушью. Много вкладышей для серпов в виде правильных пластин без решуши, а в южном варианте культуры с зубчатой ретушью. Найдены миниатюрные проколки, многочисленные каменные шлифованные топоры, тѣсла, долота, ядра для пращи, наворачия для булавы. Из кости изготовлены проколки, лошिला, лезвия колющих орудий типа кинжала. Разнообразны пряслица из глины и керамики. В ранних слоях Мерсина роль напярсел, возможно, играли овальные камни с отверстием в середине. Каменные сосуды встречаются здесь редко. Много керамики с темлощенной поверхностью. Имеются печати или амулеты.

Какие же новые черты характерны для раннеземледельческой культуры Присредиземноморья на этапе VI—V тыс. до н. э.? Это прежде всего активное освоение низких равнин. Климат низких приморских равнин способствовал развитию земледелия, но, очевидно, не стимулировал раннего введения ирригации, как это стимулировал засушливый климат Месопотамских равнин. Появление в культурных слоях одномашенного крупного рогатого скота здесь зафиксировано также несколько позже (Амур Д). Наблюдается дальнейшее совершенствование керамического производства: лучший обжиг, лощение, разнообразие форм. А вообще, если сравнить одновременные сирокликийскую и хассунскую культуры, то вторая явно богаче в результате интенсивного развития сельского хозяйства благодаря переходу к ирригации.

Восточноанатолийский центр (Юго-Восточная Турция), соприкасающийся с южным Кавказом, в археологическом отношении изучен слабее, чем остальные. Но в последнее время там стало известно несколько памятников V—IV тыс. до н. э., для которых характерна экономика но-

³⁷ Ч. Рид, ук. раб., с. 373.

³⁸ Н. Helbaek, 1) Domestication of Food Plants in the Old World, «Science», 130, № 3372, Chicago, 1959; 2) Now Farming began in the Old World, «Archaeology», v. 12, № 3, New York, 1959.

³⁹ W. van Zeist, J. A. H. Bakker-Heeres, Evidence for Linseed Cultivation Before 6000. В. С., Journal of Archaeological Science, 2, London, 1975.



вого типа — это Коруджу-тепе⁴⁰, Тепеджик и Герикихаджиян⁴¹ с его характерной круглоплановой жилой архитектурой и халафской керамикой, расположенные на внутригорной равнине Алтынова (1500 м над ур. м.) в провинции Диярбекир, близ памятника Чайкню-тепеси, и уже известный памятник Тилки-тепе на берегу озера Ван⁴². Состав возделывавшихся растений на первых трех памятниках достаточно разнообразен: пшеницы однозернянка (*Triticum monocossum*), двузернянка (*Triticum dicossum*) и мягкая (*Triticum aestivum durum*), ячмень пленчатый двурядный (*Hordeum distichum*), чечевица (*Lens culinaris*), горох (*Pisum sativum*), лён (*Linum usitatissimum*). На Коруджу-тепе обнаружены также семена дико го винограда (*Vitis sp.*)⁴³. Состав инвентаря обычен для раннеземледельческих поселений. На основании полученных здесь археологических и палеоэтноботанических данных вряд ли можно говорить о развитии ирригационного земледелия. Это район обеспеченной богары, хотя не исключено временное использование паводковых вод для орошения отдельных участков.

Таким образом, если сравнить уровень развития различных раннеземледельческих центров Ближнего Востока, то становится очевидным, что первыми высокоразвитыми поселениями с новой экономикой были поселения Южной Турции (Хаджилар, Чатал-Гуюк) в период VII—VI тыс. до н. э. Но уже с VI тыс. до н. э., когда началось освоение предгорий и низких равнин Месопотамии, засушливый климат которых стимулировал введение и развитие искусственного орошения для интенсификации сельского хозяйства, центром более развитых и богатых раннеземледельческих поселений становится Месопотамия, сначала северная, потом южная (хассунская, халафская и убейдская культуры). Именно в Южной Месопотамии на базе богатых поселений с высокоразвитым ирригационным земледелием зарождаются впоследствии древние цивилизации.

Укоренившаяся в литературе мысль о приоритете раннеземледельческих культур Ближнего Востока и об отставании периферийных регионов, в частности Закавказья, в своем развитии в период становления экономики нового типа в свете новейших исследований не подтверждается. Если сравнить уровень развития хозяйства раннеземледельческих поселений Южного Кавказа в VI—IV тыс. до н. э. и раннеземледельческих поселений того же периода на Ближнем Востоке, то вырисовывается следующая картина. В результате палеоэтноботанических исследований, особенно тщательно про-

⁴⁰ M. N. van Loon, Korusutepe. Final Report on the Excavation of the Universities of Chicago, California (Los Angeles) and Amsterdam in the Keban Reservoir, Eastern Anatolia, 1968—1970, vol. I, Amsterdam—Oxford, 1975.

⁴¹ R. Braidwood, H. Cambel, P. J. Watson, Prehistoric investigations in South-Eastern Turkey, «Science», v. 164, 1969, с. 1275—1276.

⁴² С. А. Вурнеу, Eastern Anatolia in the chalcolithic and early bronze age, «Anatolian Studies», VIII, 1958; А. А. Нещен, Кавказ и Древний Восток в IV—III тыс. до н. э., КСИА; вып. 93, 1963, с. 11.

⁴³ W. van Zeist, J. A. H. Bakker-Heeres, Prehistoric and early historic plant husbandry in the Altinova Plain Scutheastern Turkey, in: M. N. van Loon (Ed.), Korusutepe...

веденных для таких южогрузинских поселений, как Арухло I—II и Имирис-гора, определены семь видов пшениц: мягкая, карликовая, двузернянка, однозернянка, спельта, твердая и тургидум; среди ячменей встречаются пленчатые и голозерные, двурядные и многорядные (в частности, шестирядные) бутылковидные формы и дикий вид *Hordeum spontaneum*; из других зерновых культур — просо и овес; бобовые — чечевица, горох и вика, а также большая группа сопровождающих их сорняков и других дикорастущих видов⁴⁴. Как считает Г. Н. Лисицына, среди перечисленных выше палеоэтноботанических остатков обращает на себя внимание разнообразие видов пшениц, что составляет одну из замечательных особенностей Закавказского раннеземледельческого центра. Столь ранняя их культивация свидетельствует о том, что их первичная domestикация происходила непосредственно на месте, на базе местной флоры, и вместе с тем столь широкий ассортимент указывает на длительность предыстории их культивации, корни которой, несомненно, должны уходить в эпоху неолита, а может быть, и глубже.⁴⁵ На то, что Южный Кавказ является независимым очагом земледелия, указывают и некоторые виды культурных пшениц, находящихся в памятниках V тыс. до н. э. В этом аспекте особое значение следует придать находкам злаков спельты (*Triticum spelta* L.) на поселении Арухло I—II⁴⁶.

Предположение о том, что спельта должна иметь переднеазиатское происхождение, высказал Н. И. Вавилов. Однако помимо Ирана, в частности, на плоскогорьи Исфа хап-Шехед (высота 2300—2500 м. над ур. м.), где были обнаружены ее чистые посевы, именно в Закавказье (в Грузии, Армении и Азербайджане) оказалось большое внутривидовое разнообразие спельты. На этом основании В. Ф. Дорофеев предполагает, что центр происхождения спельты более узкий и приходится на территорию Ирана, Закавказья и Турции с эпицентром видообразования в Закавказье, где и находятся ареалы исходных видов, принимавшие участие в гибридизации исследуемой пшеницы.

Наконец, следует указать что в других районах Передней Азии в древнейших поселениях спельта не обнаружена.⁴⁷ На этом основании З. В.

⁴⁴ Г. Н. Лисицына, Л. В. Прищепенко, укр. раб., с. 42—43.

⁴⁵ Г. Н. Лисицына, Л. В. Прищепенко, укр. раб. с. 43.

⁴⁶ Т. Чубинишвили, Л. Небиеридзе, Г. Пахакадзе, Г. Григолия, Г. Мирцхулава, А. Орджоникидзе, К. Эсакиа, Л. Прищепенко, Итоги полевой работы Квемо-Картлийской экспедиции, «Полевые археологические исследования в 1974 г.», Тбилиси, 1976, стр. 17; Г. Н. Лисицына, Л. В. Прищепенко, укр. раб. с. 61.

⁴⁷ Подробный анализ происхождения спельты см. З. В. Янушевич, Культурные растения Юго-запада СССР по палеоботаническим исследованиям, Кишинев, 1976, с. 60—88.

Статья была уже сдана в производство, когда нам достоверно стало известно, что следы спельты обнаружены в памятниках VI—V тыс. до н. э. в северной Месопотамии, на поселении Ярым-тепе (З. В. Янушевич, Культурные растения первобытного периода и средневековья на юго-западе СССР, автореферат докторской диссертации, Кишинев 1978, с. 14) и на Балканском полуострове, в слоях докерамического неолита Агриссы (Б. В. Андрианов, Земледелие наших предков, Москва, 1978, с. 36); Это обстоятельство заставляет нас на данном этапе воздержаться от категорических

Янушевич высказывает предположение, что если спельта возникла первоначально в Закавказье, как показывают многие данные, то, по-видимому в этом или близком к нему районе следует искать и первичный очаг происхождения карликовой пшеницы (*Tr. compactum* Host),⁴⁸ зерновки которой теперь уже найдены в Закавказье на поселениях V—IV тыс. до н. э. (Арухло I—II-Имирис-гора, Кюль-тепе I).⁴⁹

Не менее значительным представляется и факт самого раннего появления на энеолитических поселениях южного Кавказа (Тойра-тепе, Иланлы-тепе, Кюль-тепе I)⁵⁰ т. н. средиземноморских выходцев, каковыми считают Тургидиум (*Tr. Turgidium*) и твердую пшеницу (*Tr. durum* Desf), которые обогащают и без того многочисленный древнейший ботанический состав пшениц Южного Кавказа.

По мнению Г. Н. Лисицыной и Л. В. Прищепенко наибольший интерес представляют находки мягкой пшеницы, которая в Закавказье на раннеземледельческих памятниках распространена очень широко, и в этом случае нет оснований говорить об интродукции, поскольку в составе растительных фитоценозов этой области присутствуют исходные виды, участвовавшие в ее формировании. Мягкая пшеница найдена в комплексе с другими представителями рода *Triticum*, среди которых имеются виды, до сих пор не встреченные ни на одном из исследованных древнеземледельческих памятников Ближнего Востока. О длительной предыстории культивации можно говорить и рассматривая находки ячменя⁵¹. Обнаружение косточек такой многолетней культуры, как виноград, на поселениях Шому-тепе, Шулаверис-гора и Дангреули-гора также говорит, по свидетельству М. Ф. Рамишвили, о длительной предыстории его культивации.

Установлен факт двукратного посева и сбора урожая за год, так как в палеозитоботанических коллекциях среди многочисленных дикорастущих растений определены засорители, свойственные только озимым или только яровым посевам⁵². И все это производилось в условиях полупустынного климата, на что указывают пыльцевые данные из поселений Арухло I (определения Л. Гогичайшвили, 1968) и Имирис-гора (определения И. Рамишвили, 1972), по которым на Нижне-Картлийской равнине в этот период господствовал открытый ландшафт,

суждений о первоначальном месте культивации этого вида пшеницы, являющейся разновидностью грузинской эндемной культурной пшеницы Маха — *Tr. macha*, Dek. et Men. (А. Д. Горгидзе, Филогенетика грузинских эндемных пшениц, Тбилиси, 1977, с. 120—121).

С другой стороны, следует учесть, что при определении спельтовидных злаков из Арухло I—II, Ярым-тепе и др. пунктов, которые исследовались Л. В. Прищепенко, не имелось эталонных образцов *Tr. macha*. Поэтому не исключено, что на поселении Арухло I—II и других пунктах обнаружены не зерновки спельты, а маха, которая впоследствии была засвидетельствована на поселении Арухло I вместе с другой эндемной пшеницей (*Tr. Paleo-colchicum*) (А. Д. Горгидзе, «Живой реликт пшеницы», Сообщения Академии Наук ГССР, т. 95, № 2, 1979).

⁴⁸ З. В. Янушевич, ук. раб., стр. 80.

⁴⁹ Г. Н. Лисицына, Л. В. Прищепенко, ук. раб. с. 77—78.

⁵⁰ Г. Н. Лисицына, Л. В. Прищепенко, ук. раб., с. 19, 77.

⁵¹ Г. Н. Лисицына, Л. В. Прищепенко, ук. раб., с. 43—44.

⁵² Т. Чубинишвили и др., ук. раб., с. 17; Г. Н. Лисицына, Л. В. Прищепенко, ук. раб., с. 48.

характеризующийся травянистыми однолетними растениями ксерофитного типа. На существование подобной же природной среды и в других межгорных долинах Южного Кавказа в означенное время указывают находки костей джейрана в западном Азербайджане, лошади домашней (?) в Мильской степи и др. Следовательно, на равнинах, находившихся до 300—500 м над ур. м., годовой объем осадков в древности, как и теперь, не мог превышать 400—500 мм³.

Учитывая полуаридность климата рассматриваемой территории, комплекс пшениц мягкой, карликовой и спельты с многорядными ячменями, а также находки винограда, говорящие о достаточно благоприятных условиях для их культивации, можно предполагать наличие здесь искусственного орошения⁵³. Прямым подтверждением этого является обнаружение простейшей по своей конструктивной части ирригационного сооружения («мокрый» ров) у поселения Арухло I.

Кроме обычного сельскохозяйственного инвентаря на поселении Арухло I обнаружено сохообразное орудие из оленьего рога, что указывает на существование уже пашенного земледелия. Находки глиняных скульптурок быков на раннеземледельческих поселениях Закавказья указывают на связь крупного рогатого скота с пашенным земледелием, ибо возведение быков в культ плодородия, по этнографическим, в частности грузинским, материалам (В. В. Бардавелидзе, 1957), отмечается именно в тех случаях, когда бык уже использовался человеком при земледелии.

И вообще, большое количество костей домашнего крупного рогатого скота, наряду с костями домашних овец, коз, свиней, среди фаунистического материала из поселений VI—IV тыс. до н. э. говорит о столь же высоком уровне развития в основном придомного скотоводства в этот период на Южном Кавказе, как и на Ближнем Востоке.

Сырцовый кирпич в качестве строительного материала, обводные рвы вокруг поселений, керамика, глиняная скульптура, зарождение металлургии — все эти признаки также характерны для раннеземледельческих поселений Южного Кавказа в V—IV тыс. до н. э.

Следовательно, в свете новейших исследований Южный Кавказ в указанный период представляется самостоятельным мощным очагом с высокоразвитой земледельческой культурой, первичные центры которой на этой территории пока неизвестны⁵⁴.

Возникает вопрос, местного ли происхождения закавказский очаг и, следовательно, поселения с начальными этапами новой экономики нужно ли искать здесь же, на месте⁵⁵, либо корни этой высокоразвитой раннеземледельческой культуры следует искать на соседней территории Ближнего Востока.

Закавказский раннеземледельческий центр является весьма своеобразным. Поселения с идентичными культурными комплексами нигде больше неизвестны. Обнаружение керамики с похожими налепными украшениями в предшествующем по времени, самом нижнем слое поселения Телль-Сотто в Северном Ираке не говорит еще об идентичности этих культур, так как во многих важных элементах имеются расхож-

⁵³ Т. Н. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971, с. 32; Г. Н. Лисицына, Л. В. Прищепенко, ук. раб., с. 47.

⁵⁴ О связях энеолитической культуры с неолитической, представленной в Западной Грузии, пойдет речь особо.

⁵⁵ При этом, конечно, не исключается стимулирующая роль Передней Азии в появлении в VI—IV тыс. до н. э. в кавказском регионе целого ряда различных новшеств.

дения. Так, для нижнего культурного слоя Телль-Сотто характерны прямоугольная архитектура, большое количество ребристой кухонной простой керамики, овальные корыта и прямоугольные сосуды, большое количество каменных сосудов, каменные браслеты, наконечники стрел с черешком и прекрасной двусторонней обработкой, редкие скребки, в основном невыразительные отщепы из кремня и пр. Такие элементы не характерны для раннеземледельческих поселений Южного Кавказа. И вообще, по мнению исследователя Телль-Сотто Н. О. Бадера, чтобы рассматривать нижний слой этого памятника как самостоятельную культуру нет достаточных оснований, так как он имеет аналогии, с одной стороны, с более ранним поселением Джармо, а с другой — некоторые характерные признаки, присущие последующей хассунской культуре, что более ярко выражено в последующих слоях Телль-Сотто. Скорее всего этот памятник представляет неизвестный ранний этап хассуны⁵⁶. Из всего вышесказанного следует вывод, что схожие с нашими налепные украшения на керамике являются результатом взаимодействия разных культур, примеров чему имеется масса.

Таким образом, по некоторым определяющим признакам хозяйства есть достаточно оснований считать, что Закавказская раннеземледельческая культура в эпоху неолита является очагом местного происхождения, и ее первичные центры нужно искать, очевидно, в горных и предгорных районах Южного Кавказа⁵⁷, имевших базу (некоторые виды дикорастущих злаков) для постепенного перехода обитавшего там человека к новой производящей экономике.

⁵⁶ Н. О. Бадер, Раннеземледельческое поселение Телль-Сотто, СА, 1975, № 4.

⁵⁷ Т. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, с. 158; его же, Памятники раннеземледельческой культуры в Квемо Картли. «Мацне», 1973, № 4.

Представлена Отделом археологии эпохи неолита, ранней и средней бронзы Центра археологических исследований Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР.



ბიორგი ვულაძე

რეპრეზენტატული შერჩევის მოცულობის განსაზღვრა საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის დროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს რეპრეზენტატული შერჩევის მოცულობის განსაზღვრა. მკვლევარი გამოკითხვის ჩატარებამდე რთული პრობლემის გადაწყვეტის წინაშე დგას: რაოდენს უნდა გამოკითხოს და ვის უნდა გამოკითხოს, რომ საბოლოოდ სწორი პასუხი მიიღოს?!

რეპრეზენტატული შერჩევის მოცულობა დამოკიდებულია გენერალური ერთობლიობის სტრუქტურაზე, კვლევის ხასიათზე და კვლევის პროგრამაზე. ყოველი კონკრეტული კვლევის დროს, ის შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობის აღმოჩნდეს.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული შერჩევის მოცულობის განსაზღვრის მეთოდიკა თავის საფუძველში ითვალისწინებს გენერალური ერთობლიობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების არსებობას.

ვთქვათ, გვაინტერესებს შობადობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა რომელიმე ქალაქში.

კონკრეტულ შემთხვევაში გვაინტერესებს ოჯახში ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა.

იმ ქალაქში, სადაც ჩვენ კვლევას ვატარებთ, ცხოვრობს 100 000 კაცი, საერთოდ მიღებულია, რომ ამ სახის კვლევების დროს გამოკითხული იყოს მხოლოდ გათხოვილი ქალები, თანაც უმთავრეს შემთხვევაში 40 წლამდე გათხოვილი ქალები.

ქალაქში სადაც კვლევას ვატარებთ 25 000 გათხოვილი ქალია. აქედან 40 წლამდე არის 15 000 გათხოვილი ქალი.

ჩვენთვის გენერალურ ერთობლიობას სწორედ ეს 15 000 40 წლამდე გათხოვილი ქალი შეადგენს.

გენერალური ერთობლიობა შედგება სხვადასხვა ასაკის, განათლებისა და ეროვნების ქალებისაგან.

ამ შემთხვევაში ზემომოყვანილი ნიშნებით გენერალური ერთობლიობის დიფერენციაციას იმიტომ ვახდენთ, რომ ასაკი, განათლების დონე და ეროვნება წარმოადგენს ოჯახში ბავშვების რაოდენობის (რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის) განმსაზღვრელ ფაქტორებს.

დავუშვათ, რომ გენერალური ერთობლიობის შემადგენელი ეროვნებების ქალების რაოდენობაა:

I—6 000

II—4 500

III—4 500

თითოეული ეროვნების ქალების ნიშნებად ვიღებთ განათლების დონესა და ასაკს.



ეთქვით გენერალური ერთობლიობა ამ ნიშნებით დიფერენცირებული შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

გენერალური ერთობლიობა

ჯგუფი	კლასი	ასაკი j	განათლება k				
			1	2	3	4	
			უმალესი	საშუალო სპეციალური	საშუალო ზოგადი	არასრული საშუალო	
1	I	1	25 წლამდე	120	120	720	240
		2	25—29	145	130	600	325
		3	30—34	250	250	900	700
		4	35—39	180	170	550	600
2	II	1	25 წლამდე	85	85	540	190
		2	25—29	100	100	450	300
		3	30—34	200	200	600	500
		4	35—39	150	100	450	450
3	III	1	25 წლამდე	90	90	540	180
		2	25—29	110	100	450	240
		3	30—34	200	200	700	500
		4	35—39	130	120	400	450

გენერალური ერთობლიობა დიფერენცირებულია 3 ნიშნის მიხედვით: ეროვნება (3 ჯგუფი), ასაკი (4 ჯგუფი), განათლება (4 ჯგუფი).

B_{ijk} -ით აღნიშნით გენერალურ ერთობლიობაში i —ეროვნების, j —ასაკის და k —განათლების წევრთა რაოდენობა (i, j, k -ური ჯგუფის მოცულობა). ხოლო N -ით გენერალური ერთობლიობის მოცულობა.

ცხადია

$$N = \sum_{i, j, k} B_{ijk} \quad (1)$$

M -ით აღნიშნით B_{ijk} -ს უმცირესი მნიშვნელობა.

$$M = \min_{i, j, k} B_{ijk} \quad (2)$$

მაქსიმალური ენტროპიის შემთხვევაში გენერალური ერთობლიობის უმცირესი ჯგუფის (რომლის მოცულობა ტოლია M -ის) შესაბამისი შერჩევის ჯგუფის მოცულობა უნდა იყოს არანაკლები ალტერნატიული პასუხების რაოდენობისა. თუ ამ უკანასკნელს აღნიშნავთ m -ით, მაშინ მინიმალური მოცულობის რეპრეზენტული შერჩევის ჯგუფთა მოცულობები (B'_{ijk}) იქნება

$$B'_{ijk} = \alpha \cdot B_{ijk} \quad (3)$$

სადა $\alpha = \frac{m}{M}$ არის პროპორციულობის კოეფიციენტი.

შერჩევის მოცულობა (n) ტოლია:

$$n = \sum_{i, j, k} B'_{ijk} = \alpha \cdot N. \quad (4)$$

მთავარი მნიშვნელობა ენიჭება m -ის განსაზღვრას. გამომდინარე კვლევის სპეციფიკიდან m -ს სხვადასხვა მნიშვნელობა ექნება.

ჩვენს შემთხვევაში ალტერნატიული პასუხების რაოდენობა იცვლება 0-დან 8-მდე, რადგან გამოკვლევებისას ოჯახში ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობის პასუხების უდიდესი რაოდენობა მოთავსებულია სწორედ ამ ინტერვალში. ამ პირობიდან გამომდინარე m ტოლია 9-ის.

ცხრილი 1 ასახავს გენერალურ ერთობლიობას დიფერენცირებული სახით. უმცირეს მოცულობის ჯგუფს წარმოადგენს II ეროვნების 25 წლამდე, უმაღლესი განათლების მქონე ქალთა ჯგუფი. ე. ი. ჩვენ შემთხვევაში

$$M = B_{2,1,1} = 85, \text{ შაშინ}$$

$$\alpha = \frac{9}{85} = 0,10587$$

ენახოთ, კერძოდ, თუ რისი ტოლი იქნება მოცულობა (შერჩევის ჯგუფის წევრების რაოდენობა) I ეროვნების 30—34 ასაკის საშ. სპეციალური განათლების შესაბამისი ჯგუფისათვის:

$$B'_{1,3,2} = 0,10587 \cdot 250 \approx 26$$

ასეთივე გზით მივიღეთ, რომ ეროვნების I ჯგუფის 30—34 ასაკის საშუალო ზოგადი განათლების შემთხვევაში იქნება $B'_{1,3,3} = 95$ და არასრული საშუალოსათვის— $B'_{1,3,4} = 74$.

ასეთივე გამოთვლების შემდეგ შერჩევის ერთობლიობა დიფერენცირებული სახით შემდეგნაირად წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 2).

შერჩევის ერთობლიობა

ცხრილი 2

ეროვნება	ასაკი j	განათლება k					
		1	9	3	4		
		უმაღლესი	საშუალო სპეციალური	საშუალო ზოგადი	არასრული საშუალო		
1	I	1	25 წლამდე	13	13	76	24
		2	25—29	15	14	63	34
		3	30—34	26	26	95	74
		4	35—39	19	18	58	63
2	II	1	25 წლამდე	9	9	57	20
		2	25—29	11	11	48	32
		3	30—34	21	21	64	53
		4	35—39	16	11	48	48
3	III	1	25 წლამდე	10	10	57	18
		2	25—29	12	11	48	24
		3	30—34	21	21	74	53
		4	35—39	14	13	42	48

მოყვანილ ცხრილში ცალკეულ შემთხვევებში დაშვებულია ერთგვარი დარღვევები, რომლებიც არ აღემატება 2%-ს.

მოყვანილი გენერალური და შერჩევის ერთობლიობა დიფერენცირებულია

სანი ნიშნის მიხედვით. მათი დიფერენციაცია სხვადასხვა, კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროების მიხედვით შესაძლებელია მოვახდინოთ გაცილებით მეტი ნიშნის მიხედვით. მართალია, ამისათვის აუცილებელია გენერალური ერთობლიობის შესახებ ვრცელი ინფორმაციის ქონა.

მიზანშეწონილია გენერალური და შერჩევის ერთობლიობის დიფერენციაცია იმ ნიშნების მიხედვით, რომლებსაც გავლენა აქვთ შესასწავლ საკითხზე (მაგალითად: ოჯახში ბავშვების რაოდენობაზე გავლენა აქვს ეროვნულ მიკუთვნილობას, განათლების დონეს და ა. შ.).

გენერალური ერთობლიობის ერთგვაროვნების შემთხვევაში შერჩევის მოცულობა გაცილებით ნაკლები აღმოჩნდება.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც გენერალური ერთობლიობა ძალიან არაერთგვაროვანია შერჩევის მოცულობა საკმაოდ დიდი შეიძლება აღმოჩნდეს.

მართალია, მთელი ერთობლიობისათვის ალტერნატიული პასუხების რაოდენობა ზემომოყვანილ მაგალითში განსაზღვრული იყო ცხრის ტოლი, მაგრამ უდავოა ისიც, რომ თითოეული B'_{ijk} ჯგუფისათვის დამახასიათებელი იქნება მისთვის მისაღები ალტერნატიული პასუხების რაოდენობა, რომელიც გაცილებით ნაკლები იქნება მთელი ერთობლიობისათვის აღებულ ალტერნატიული პასუხების რაოდენობაზე. თუ გვეცოდინება B'_{ijk} ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ალტერნატიული პასუხების რაოდენობა, შევძლებთ შევამციროთ როგორც უმცირესი B'_{ijk} შერჩევის ჯგუფის მოცულობა, ისევე მთელი შერჩევის მოცულობა.

ეს მოსაზრება სავსებით დადასტურდა კონკრეტული კვლევების შედეგად. რომელიმე B'_{ijk} ჯგუფისათვის ალტერნატიული პასუხების მაქსიმალური რაოდენობა გამოვიდა ხუთის ტოლი (ქართველებისათვის რეპროდუქციული განწყობის კვლევისას).

მთელი ერთობლიობისათვის (ქართველებისათვის) ალტერნატიული პასუხების რაოდენობა B'_{ijk} ჯგუფებში შემდეგნაირად განაწილდა: ალტერნატიული პასუხების რაოდენობა 2 დამახასიათებელი იყო B'_{ijk} ჯგუფების 10,4%-თვის, 3—43,7%, 4—41,7% და 5—4,2%-თვის. ჯგუფებისათვის ალტერნატიული პასუხების საშუალომ შეადგინა $3,40 \pm 0,33$.

კვლევის პროგრამიდან გამომდინარე ცალკეული B'_{ijk} ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ალტერნატიული პასუხების რაოდენობა განსხვავებული იქნება ერთმანეთისაგან.

B'_{ijk} ჯგუფებისათვის ალტერნატიული პასუხების რაოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია კონკრეტული კვლევების შედეგად.

Г. Е. ЦУЛАДЗЕ

ОПРЕДЕЛЕНИЕ РЕПРЕЗЕНТАТИВНОГО ОБЪЕМА ВЫБОРКИ ПРИ ИЗУЧЕНИИ ОБЩЕСТВЕННОГО МНЕНИЯ

Резюме

При изучении общественного мнения одной из важнейших задач является определение объема выборки. Предлагаемая нами методика

ს. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1979, № 3

определения объема выборки базируется на статистических данных относительно генеральной совокупности. Показана и математически обоснована возможность определения объема выборки в случае, когда имеются статистические данные генеральной совокупности.

В этом случае объем выборки (n) определяется формулой

$$n = \alpha \cdot N,$$

где $\alpha = \frac{m}{M}$ — коэффициент пропорциональности;

M — объем минимальной группы при дифференцированной генеральной совокупности;

m — количество альтернативных ответов;

N — объем генеральной совокупности.

Все вышесказанное рассмотрено на конкретном примере изучения репродуктивной установки.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტულ სოციალურ კვლევა-ძიებათა განყოფილებაში.

შოთა ბაღრიძე

შირიშნის ბრძოლის ლოკალიზაციისა და თარიღის შესახებ

1021—1022 წწ. საქართველო-ბიზანტიის შორის დავით კურაპალატის შემკვიდრობისათვის დიდი ომი მიმდინარეობდა, რომელიც ქართველთა მძიმე დამარცხებით დამთავრდა.

XI ს-ის ქართველი ავტორები სუმბატ დავითის-ძე და „მატიანე ქართლისას“ ავტორი მოგვითხრობენ, რომ პირველი დიდი ბრძოლა საქართველოს მეფე გიორგი I-სა და ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ს შორის მოხდა კოლას მხარეში, შირიშნის¹ თუ შირიშთას² მიდამოებში. ქართველები, რომლებსაც დასაწყისში ერთგვარი წარმატებაც მოუპოვებიათ, შემდეგ დამარცხდნენ. ამას მოჰყვა ბასილი II-ის მიერ ქართველთა ქვეყნის აოხრება. მომდევნო წელს ომი ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის კვლავ გაგრძელდა და საბოლოოდ 1022 წლისათვის ბასიანის მხარეში ქართველთა სრული დამარცხებით დამთავრდა³.

არსებითად ქართული წყაროების მსგავსად მოგვითხრობს ზემოხსენებულ ომზე არისტაკეს ლასტივერტიცი. იგი გვამცნობს, რომ ქართველ-ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლა მოხდა პალაკაციოს ახლო მხარეს⁴. უკანასკნელი ომის ადგილად კი 1022 წლისათვის არისტაკეს მიაჩნია შლფა⁵.

მსგავსი, თუმცა ზემოხსენებულ წყაროებთან შედარებით სქემატური თხრობა აქვთ დაცული იაჰია ანტიოქიელს⁶ და სკილიცა-კედრენეს⁷.

თვალში საცემია ის გარემოება, რომ სუმბატ დავითის-ძისა და „მატიანის“ ავტორის ცნობები დიდი სიზუსტით მისდევენ ერთმანეთს ჩვენთვის საინტერესო ამბების აღწერისას, თუმცა ზოგიერთი დეტალი მათაც განსხვავებულად აქვთ წარმოდგენილი. ასეთი მსგავსების მიზეზად ლიტერატურაში ის გარემოება დასახელებული, რომ ერთ-ერთი მათგანი მეორისათვის (ან „მატიანე“

¹ მათიანე ქართლისას, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 284.

² ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს - ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონანთა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 383.

³ მათიანე ქართლისას, გვ. 284—287; ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს - ძ ე, გვ. 383—384.

⁴ Повествование Вардапета Аристакэса Ластивертци. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Ю з б а ш я н а, М., 1968 გვ. 61.

⁵ იქვე, გვ. 67.

⁶ თ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის ხანაში, მაცნე, 1968, № 4, გვ. 125—130.

⁷ Ioannis Scylitzae, Synonisis historiarum, ed. princ rec. I. Thurn. 1973, გვ. 366—367. Georgius Cedrenus, Ioannis Scylitzae ope ab Immanuele Bekkero suppletus et emendatus, I—II, Bonnae, 1838—1839, გვ. 447—448, 477—478; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტ. V, თბ., 1965, გვ. 45—48.

სუმბატის თხზულებისათვის⁸, ან პირუკუ⁹) წყაროს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ჩვენ ნაშრომის მოცულობა საშუალებას არ გვაძლევს, რომ ამ საკითხზე ვრცლად ვიმსჯელოთ და საამისო საბუთიანობაც წარმოვადგინოთ (ასეთი სამუშაო ჩვენ ცალკე გვაქვს შესრულებული). აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სპეციალისტთა მიერ ფიქსირებულია მავალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ როგორც სუმბატის თხზულებას, ასევე „მატიანესაც“ რიგი ისეთი ცნობები მოეპოვებათ, რომლებიც მხოლოდ მათშია დაცული და ქმნიან საფუძველს იმის მსჯელობისათვის, თუ რომელი რომლის წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ ასეთ ვითარებაში, როცა ფიქსირებულია დიდი მსგავსება ორივე ძეგლს შორის, ისე კი, რომ ორთავე მათგანში რჩება ორიგინალური დეტალები, რომლებიც არც ერთისაგან არ მომდინარეობენ, შეცდომაა იმის გამოტყობვა, რომ შესაძლოა, როგორც სუმბატის, ასევე „მატიანის“ მსგავსი და ამსთანავე განსხვავებული ცნობების ნაკადი რალაცა საერთო წყაროდან მომდინარეობენ. სწორედ ასე და, ვფიქრობთ, სამართლიანადაც, ესმოდა ეს საკითხი ივ. ჯავახიშვილს.¹⁰

მას შემდეგ რაც აღინიშნა სუმბატის თხზულებისა და „მატიანის“ დიდი მსგავსება ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთებში, შეიძლება მსჯელობა იმის აღნიშვნითაც გაგრძელდეს, რომ ასეთივე მსგავსება არსებობს ორივე ზემოთ-დასახელებულ ძეგლსა და არისტაკესს შორისაც...

არისტაკესი ვრცლად ყვება ბასილი II-ისა და გიორგი I-ის ურთიერთობაზე ომის დასაწყისში, კეისართან ქართველი ეპისკოპოსის მისვლაზე, ბასილი II-ის დაბანაკებაზე კარინის ფართო ველზე... ამის შემდეგ არისტაკესი იმ ამბებზე ჩერდება, რომლითაც ქართველი მემკვიდრეები საერთოდ იწყებენ ომის აღწერას. არისტაკესის ისტორიის ზემოხსენებულ მონაკვეთში აღწერილია ბასილი II-ისა და გიორგი I-ის ყოფნა ბასიანის ველზე, გიორგი I-ის მიერ უხტიქის (ოლთისი) დაწვა, რამაც ბასილის საშინელი მრისხანება გამოიწვია¹¹. არისტაკესის თხრობის ეს პასაჟები შინაარსობრივად თითქმის მთლიანად ემთხვევა ქართული წყაროების ცნობებს.

ქართული წყაროები და არისტაკესი თითქმის ერთნაირ ხაზებში წარმოგვიდგენენ შირიმნის ბრძოლის პერიპეტებს. ამ შემთხვევაში ქართულ წყაროებსა და არისტაკესს შორის თითქოს ადგილი აქვს წინააღმდეგობას, ვინაიდან ქართველი მემკვიდრეების ცნობით ბრძოლა მოხდა შირიმნის მიდამოებში, არისტაკესის თანახმად კი ქართველ-ბიზანტიელთა პირველ ბრძოლას ადგილი ჰქონდა „პალაკაციოს ტბის მახლობლად“. მაგრამ ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა ქრება, თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ქართული წყაროების „შირიმნი“, სადღაცა კოლას რაიონში რომ მდებარეობდა, და პალაკაციოს ტბის ახლო მხარეები ფაქტიურად ერთ და იმავე მხარეში თავსდება.¹²

⁸ გ. გ. ი. გ. ო. ლ. ი. ა., ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 234—235; ს. ყ. ა. უ. ხ. ჩ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., «ქართლის ცხოვრების» ძეგლთა წყაროებისათვის, წიგნში «ქართლის ცხოვრება», ტ. I, თბ., 1955, გვ. O36—O39

⁹ გ. გ. ე. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., სუმბატ დავითის-ძე და «მატიანე ქართლისა», თსუ შრ., ტ. 87, 1960, გვ. 250—253.

¹⁰ ი. ვ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 204.

¹¹ Повествование Вардапета Аристакуса..., გვ. 61.

¹² ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, «დასავლეთისაკენ» პალაკაციო კოლას საზღვრამდე უწყებდა; მაშასადამე, მისი მდებარეობა კოლას გასწვრივ უნდა ყოფილიყო და, რასაკვირველია, აღმოსავლეთით». ი. ვ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, თბ., 1965, გვ. 61.



ქართული წყაროების სიუჟეტურ ქარგას არისტაკესის თხრობის შინაარსი იმ მონაკვეთშიც ემთხვევა, სადაც აღწერილია ბასილი II-ის მიერ ქართული მიწების აოხრება „ბალაკაციოს ტბასთან“ გადახდილი ბრძოლის შემდეგ.¹³ ამ მონაკვეთში არისტაკესის თხრობის თავისებურება იმაშია, რომ თავისი მხატვრულ-ერემიული სტილისა და განწყობილების შესაბამისად იგი ბასილი II-ის მიერ ქვეყნის აოხრებას ზოგადად და ხატოვნად აგვიწერს...

არისტაკესის თხრობა შინაარსობრივად შემდგომშიც მიჰყვება ქართული წყაროების სიუჟეტურ ქარგას. არისტაკესს ქართველი ავტორებივით აქვს აღწერილი ბასილი II-ის პონტოში გამოზომიერება, ქსიფიასის და ფოკას ამბოხება, ომის ბოლო ეტაპზე ბასილი II-ის ბასიანში ყოფნა¹⁴. ამასთანავე ერთად, სუმბატი და „მატიანის“ ავტორი ომის ბოლო ეტაპზე ბასილი II-ის ადგილსამყოფელად მარტივად ბასიანს ასახელებენ, არისტაკესი კი უფრო აკონკრეტებს ამ საკითხს და გვამცნობს, რომ კეისარი დაბანაკებული იყო სალქორში¹⁵... ასევე, თუ ქართული წყაროები ძალზე ლაკონურად მოგვითხრობენ, რომ ბასილი II გიორგი I-საგან მოითხოვდა მიწებს დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოებიდან, არისტაკესი უფრო ვრცლად ჩერდება ამ საკითხზე¹⁶.

ანალოგიურად უნდა ითქვას ქართველ-ბიზანტიელთა ფინალური ბრძოლის საკითხთან დაკავშირებითაც. სუმბატის თანახმად ეს ბრძოლა უნდა მომხდარიყო ბასიანში¹⁷. „მატიანის“ ავტორიც ზემოაღნიშნულ ბრძოლას ბასიანში გულისხმობს და თანაც იმას დასძენს, რომ ქართველები გიორგი I-ის მეთაურობით თავს დაესხნენ ბასიანში მყოფ ბასილი II-ს დაბანაკებულსა, „რომელსა სუნდაქსად უხმობენ“¹⁸. ამათგან განსხვავებით არისტაკესი პირდაპირ ასახელებს ფინალური ბრძოლის ადგილს — შლფას, სადაც ბასილი კეისარი სალქორიდან მოსულა¹⁹.

შინაარსობრივად ქართულ-სომხური წყაროების ცნობებს ემთხვევა იაპია ანტიოქიელის სიუჟეტიც, თუმცა ამ უკანასკნელს ერთგვარი სქემატიზმი ახასიათებს²⁰.

ამ მხრივ, ე. ი. სქემატიზმით, განსაკუთრებით გამოირჩევა სკილიცა-კედრენეს თხრობა²¹, რომელსაც ქართულ-სომხური წყაროების ცნობებთან შედარებით არა მარტო ზოგადობა, არამედ აშკარა შეუსაბამოებაც ახასიათებს. ასე მაგალითად, სკილიცა-კედრენეს მიხედვით ქართველ-ბიზანტიელთა შორის ბრძოლა ორჯერ მომხდარა და ისიც ქსიფიასისა და ფოკას აჯანყების შემდეგ²², თუმცა სხვა დანარჩენი ცნობებით პირველ ბრძოლას ქართველ-ბიზანტიელთა შორის ზემოხსენებულ ამბოხებამდე კარგა ხნის წინ ჰქონია

¹³ Повествование Вардапета Аристакеса..., გვ. 61.

¹⁴ იქვე, გვ. 63—66.

¹⁵ იქვე, გვ. 65.

¹⁶ იქვე, გვ. 68.

¹⁷ ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, გვ. 384.

¹⁸ მათიანე ქართლისაჲ, გვ. 287.

¹⁹ Повествование Вардапета Аристакеса, გვ. 67.

²⁰ ი. ც კ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის...

გვ. 128,

²¹ Ioannis Scylitzae, ed. Thurn, გვ. 367; Cedrenus, გვ. 478; გეორგიკა, ტ. V,

გვ. 48.

²² I. Scylitzae, გვ. 367; Cedrenus, გვ. 478; გეორგიკა, V, გვ. 48.

ადგილი. მცდარად გადმოსცემენ სკილიცა-კედრენე იმ ფაქტსაც, თითქოს დავით კურაპალატის მიწები რომ დაიდგინა, ბასილი II-ემ „კურაპალატის ძმა გიორგი, შიდა იბერიის მმართველი, დაარწმუნა დაკმაყოფილებულიყო თავისი საკუთარი სამფლობელოთი და სხვისას არ შესეოდა, შეკრა მასთან ზავი, მძევლად წაიყვანა მისი ვაჟი, რის შემდეგაც ფინიკიაში წავიდა“²³. სკილიცა-კედრენეს უზუსტობა აქ იქიდანა ჩანს, რომ გიორგი დავით კურაპალატის ძმა არ ყოფილა და გიორგის შვილიც ბასილი II-ემ მძევლად მხოლოდ დავით კურაპალატის გარდაცვალებიდან 22 წლის შემდეგ წაიყვანა.

მიუხედავად ცალკეული განსხვავებებისა, კიდევ ერთხელ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ მიმოხილული წყაროები, განსაკუთრებით კი სუმბატ-მატიანე-არისტაკეს-იაპია არსებით ხაზებში ერთნაირად გადმოგვცემენ საქართველო-ბიზანტიის 1021—1022 წწ. ომის სიუჟეტს, თუმცა ამასთანავე ერთად თითოეული მათგანი ამა თუ იმ ცალკეულ საკითხზე ზოგიერთ ისეთ ორიგინალურ ცნობასაც შეიცავს, რომელიც მხოლოდ მასშია დაცული.

ასეთ ვითარებაში საქართველო-ბიზანტიის 1021—1022 წწ. ომის მკვლევარი ვალდებულია მისთვის საინტერესო საკითხის გასაშუქებლად წყაროებში დაცულ საერთო სიუჟეტურ მასალასთან ერთად ცალკეული, ამა თუ იმ წყაროში დაცული ორიგინალური დეტალებიც გაითვალისწინოს და გამოიყენოს.

ასე მოიქცა, მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც თუმცა საქართველო-ბიზანტიის 1021—1022 წწ. ომი არსებითად „მატიანე ქართლისაჲს“ სიუჟეტის მიხედვით წარმოდგინა²⁴, მაგრამ ამასთანავე ამ ქარგაში მთელი რიგი დეტალებიც შემოიტანა სუმბატის, არისტაკესის და იაპიას მათიანეებიდან, რომელთა საფუძველზეც „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობები გაამუქა და ცალკეულ შემთხვევებში დააკონკრეტა კიდევაც²⁵.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე — „მატიანის“ ცნობებზე დაყრდნობით — რომლებიც განსაკუთრებით სანდო ინფორმაციის შემცველ მასალად მიაჩნდა²⁶, ივ. ჯავახიშვილი ქართველ-ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლის ადგილად 1021 წლისთვის მიიჩნევდა კოლა-არტაანის მხარეს მდებარე შირიმნ-შირიმთას²⁷. ასევე იქნა წარმოდგენილი თუ გააზრებული შირიმნის ბრძოლის საკითხი სხვა ნაშრომებშიც²⁸.

მდგომარეობა მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც შირიმნის ბრძოლის შესახებ სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა ვ. კობალიანმა²⁹. მან ყურადღება მიიქცია არისტაკესის რუსულად მთარგმნელისა და კამენტატორის კ. იუზ-

²³ I. Scylitzae, გვ. 367; Cedrenus, გვ. 478; გეორგიკა, ტ. V, გვ. 48.

²⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 134—136.

²⁵ იქვე.

²⁶ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 206—207.

²⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 134—135.

²⁸ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, თბ. 1948, გვ. 165; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, თბ., 1958, გვ. 106; ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 221 ლ. შაღსანი, Саур. Фрагменты к истории. А. სენა, 1973, გვ. 221—222.

²⁹ ვ. კობალიანი. «შირიმნის» — შირიმთას ბრძოლისა და ადგილმდებარეობის შესახებ, მნათობი, 1972, №7, გვ. 176—182.

ბაშინის ერთ შენიშვნას, რომელშიც განმარტებულია სომეხ მემატიანესთან მოხსენიებული შლფას საკითხი, სადაც ბასილი II-სა და გიორგი I-ს შორის 1022 წელს უკანასკნელი დიდი ბრძოლა მოხდა. კ. იუზბაშინის თანახმად, შლფა ესაა „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში მოხსენიებული პუნქტი „შირიშქი“, რომელსაც ამ ძეგლის ქართულ ორიგინალში „შირიშნი“ ეწოდება. კ. იუზბაშინის მიხედვით, ეს პუნქტი — შლფა, ე. ი. შირიშქი არშარუნიქის გავარში, ყარსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა³⁰. კ. იუზბაშინის ამ შენიშვნის საფუძველზე, რომ ქართული წყაროების შირიშნი იგივე შლფაა და იგი არშარუნიქის ქვეყანაში მდებარეობდა, ვ. კოპალიანმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ ქართულ წყაროებში შირიშნის ბრძოლის თარიღი და ლოკალიზება არეულია. მკვლევრის სიტყვებით, მართალია ქართული ნარატიული ძეგლების მიხედვით საქართველო-ბიზანტიის ომის პირველ ეტაპზე ბასიანიდან წამოსული მოწინააღმდეგეები (ბასილი II და გიორგი I) ოლთისსა და კოლაზე გავლით მოვიდნენ შირიშნში, სადაც მოხდა ბრძოლა, მაგრამ სომხური წყაროების მიხედვით „შირიშნი“ მეორე ბრძოლის ადგილია და ის სამხრეთით ბევრად უფრო შორს უნდა ყოფილიყო იმ ადგილიდან, სადაც ქართველ-ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლა მოხდა³¹. ამასთან დაკავშირებით, ვ. კოპალიანი შედარებითი თვალსაზრისით სვამს ქართული (სუმბატი-მატიანე) და სომხური (არისტაკესი) წყაროების ლირებულების საკითხს და უპირატესობას არისტაკესის ინფორმაციას ანიჭებს. მკვლევრის აზრით, არისტაკესის ცნობის უპირატესობაზე ის უნდა მიუთითებდეს, რომ მან კარგად იცის მეორე ბრძოლის ადგილის სახელწოდება. მაშინ როცა ქართველი ისტორიკოსები მეორე ბრძოლის ადგილს ვეღარ ასახელებენ, ვინაიდან ის პირველი ბრძოლის ადგილად მიიჩნეის³².

ზემოთ შეხედულებიდან გამომდინარე ვ. კოპალიანი ახლებურად ცდილობს საქართველო-ბიზანტიის ომის მსვლელობის წარმოდგენას და თვლის, რომ 1021 წელს ომი ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის არ დამთავრებულა, არამედ იგი კვლავ განახლდა 1022 წელს, რასაც ერთნაირად გადმოგვიცემენ როგორც ქართველი მემატიანეები, ისე არისტაკეს ლასტივერტცი, რომელიც, თითქოს, ერთადერთი მოიხსენიებს ქართველ-ბიზანტიელთა ფინალური ბრძოლის ადგილს და მას შირიშნად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში თავისი მსჯელობისას ვ. კოპალიანი აპრიორულად გულისხმობს, რომ შირიშნი ეს იგივე შლფაა, რომელსაც მოიხსენიებს არისტაკესი. შემდგომშიც, სადაც ვ. კოპალიანი არისტაკეს ლასტივერტცის იმ ცნობებს გადმოსცემს, რომ 1022 წელს ომის დასკვნით ეტაპზე ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის შლფაში გადამწყვეტი ომი მოხდა, ეს უკანასკნელი ყველგან გაიგივებულია შირიშნთან. ასე მაგალითად, ვ. კოპალიანი თვლის, რომ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობა, სადაც მითითებულია გიორგი I-ის ბრძოლაზე ბასილის წინააღმდეგ, რომელიც დაბანაკებული იყო ბასიანში „სუნდაქსად“... ისე უნდა გავიგოთ, რომ ქართველები თავს დაესხნენ შირიშნში-შლფაში მდგომ ბასილი II-ს. „ამრიგად, — შენიშნავს ავტორი, — ისე როგორც 1020 წელს, ქართველები ახლაც ღრმად შეჭრილან

³⁰ Повествование Вардапета Аристакеса... გვ. 149.

³¹ ვ. კოპალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

³² იქვე, გვ. 178.

სადავო მიწებზე, კერძოდ არშარუნიქის მხარეებში... ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამჯერად საკმაოდ დიდი ტერიტორიების იმედი ჰქონდათ³³.

დასასრულ, ვ. კოპალიანი თვლის, რომ არშარუნიქის მიწებისათვის ბრძოლის სტიმული ქართველებისათვის უნდა აღედგრა ნიკიფორე ქსიფიასისა და ნიკიფორე ფოკას აჯანყებას, რომლის ზოგიერთმა ქართველმა მონაწილემაც (ასეთი იყო, მაგალითად, ფერის ჯოჯიკის ძე) იმთავითვე კავშირი დაამყარა გიორგი I-თან და, როგორც ეს წყაროებში პირდაპირაა მითითებული, ეს უკანასკნელი დაარწმუნა, რომ აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში გიორგი I მიიღებდა დავით კურაპალატის სამფლობელოების ერთ ნაწილს³⁴.

ამრიგად, ვ. კოპალიანის გამოკვლევის ძირითადი დასკვნები შემდეგში მდგომარეობს: 1. „შირიმნი“ მდებარეობდა არა კოლას მხარეში, როგორც ეს სუმატ დავითის-ძესა და „მატიანის“ ავტორს წარმოუდგენიათ, არამედ არშარუნიქის მხარეში. ამასთანავე „შირიმნი“ არის არა ქართველ-ბიზანტიელთა 1021, არამედ 1022 წ. ბრძოლის ადგილი და შეესაბამება არისტაკეს ლასტივერტის შლფას; 2. 1021 წ. პირველი წარუმატებლობის შემდეგ ბასილი II-ის წინააღმდეგ ბიზანტიელ შეთქმულებთან შეთანხმებამ და საკუთარი ძალების იმედმა საფუძველი მისცა გიორგი I-ს როგორც დავით კურაპალატის მემკვიდრეს, 1022 წელს ბრძოლა განეხლებინა არა მარტო სამხრეთი ტაოს, არამედ უფრო ვრცელი ტერიტორიების (კერძოდ, არშარუნიქის მიწების — შ. ბ.) დაბრუნების იმედით³⁵.

როგორც ვხედავთ, ვ. კოპალიანის განხილული ნაშრომით საქართველო-ბიზანტიის 1021—1022 წლების ომის ფაქტიური მხარის გაგებაში არსებითი მნიშვნელობის კორექტივები იქნა შეტანილი... ეს, უეჭველია, იმაზეა დაფუძნებული, რომ საძიებელ საკითხზე იგი განსაკუთრებით ენდობა სომხური წყაროების მონაცემებს, ქართველ მემკვიდრეთა ცნობებს კი შედარებით ნაკლებად ენდობა და მათ სომხურ მასალასთან პარალელურად კი არა, მათგან მოწყვეტით იხილავს³⁶.

³³ ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

³⁴ იქვე, გვ. 179—180. ამ შემთხვევაში ვ. კოპალიანი ეფუძნება არისტაკეს ლასტივერტის ცნობას იმის შესახებ, რომ «ფერის და ანდრონიკე თვნიანთ აჯანყების დროს აფხაზის მოკავშირენი იყვნენ და დაპირება მისცეს მას» მიუცათ ქვეყანა ხალტო-არიჟამდე, ვინაიდან ჯერ კიდევ წინათ ეს (მხარეები) დავით კურაპალატს ეპყრა, მაგრამ არა როგორც თავისი მამული... ((Повествование Вардапета Аристакеса..., გვ. 65—66.)

³⁵ ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

³⁶ ასევე უკანა პლანზეა გადატანილი ქართული წყაროების მონაცემები ზოგიერთ სხვა ავტორთანაც: გვიხსენით თუნდაც ერთი ასეთი მაგალითი. ცნობილია, რომ ქართველ-ბიზანტიელთა 1021—1022 წწ. ომს შინ უსწრებდა ბასილი II-ის პროტესტები გიორგი I-ის წინააღმდეგ. არისტაკესის თანახმად ომის დაწყებამდე ბასილი II კატეგორიულად მოითხოვდა გიორგი I-საგან, რომ დაეტოვებინა ის მიწები, რომლებიც მის მამას დავით კურაპალატის სამფლობელოებიდან ჰქონდა ნაბოძები ბასილი II-საგან და მხოლოდ საკუთარი მამულებით დაკმაყოფილებულიყო. ბასილი II გიორგი I-ს უთვლიდა: «თავი ანებე ყველაფერ იმას, რაც მე ვუბოძე შენ მამას დავით კურაპალატის სამფლობელოდან და საკუთარი მამული იკმარე» (Повествование Вардапета Аристакеса..., გვ. 58)

იმის გარკვევას, თუ ბასილი II გიორგის მამისათვის ბოძებულ რომელ მიწებზე დავობდა, ჩვეულებრივ არისტაკეს ლასტივერტის ზემოთ ციტირებული სიტყვებითვე ცდილობენ. სწორედ ამ სიტყვების მიხედვით მსჯელობს, მაგალითად, კ. იუზუმაშვიანი, რომელიც აღნიშნავს, რომ 1001 წელს «ბასილიმ დავითის მემკვიდრეობის ნაწილი, ჩანს, სიცოცხლის ვადით უბოძა ბაგრატ III-ს» (Повествование Вардапета Аристакеса..., გვ. 21). მაგრამ კონკრეტულად რომელი

უნდა ითქვას, რომ ვ. კოპალიანის თვალსაზრისის შირიმნის ბრძოლის საკითხზე ზოგიერთი მკვლევარი იმთავითვე უქვით შეხვდა და, როგორც ჩანს, არც თუ უსაფუძვლოდ. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ა. აბდლაძის აზრი, რომელიც მან გაატარა თავის საკანდიდატო დისერტაციაში³⁷.

ა. აბდლაძემ თავისი კვლევის საგნად აქცია ერთი ძველი სომხური ტექსტი ი. თოვფქეანის წიგნიდან³⁸, რომელსაც ქართველი მკვლევარი პიშატაყარანად, ე. ი. ანდერძმინაწერად ასახელებს. ამ ტექსტში მოთხრობილია: „იყო სომეხთა წელთაღრიცხვის „დჰკ“ (1021 წ. 16/III—1022 15/III). რომელთა მეფე ვასილი ბარბაროს ტომთაგან შეკრებილი ურიცხვი მხედრობით დაიძრა აღმოსავლეთისაკენ და მოვიდა სომეხთა ქვეყანაში; (მან) სომეხთა მეფეს ჰოვანეს გაგიკის ძეს მოსთხოვა ქალაქი ანი და ყოველი შირაკი; ჰოვანესმა თავისი სხეულის უძღურების გამო აღუთქვა (ვასილს) ანისის მიცემა თავისი სიკვდილის შემდეგ. მაშინ მეფე მიბრუნდა ქართველთა ქვეყანაში, მოციქული მიუგზავნა ქართველთა მეფეს გორგს, რათა (გორგი) მასთან მისულიყო; ქართველთა მეფემ ყური არ ათხოვა, რადგან მას მრავალი რომაელთა მთავარი მოესპო და ბერძენთა ქვეყნიდან დიდდინი აღევაჟა. მაშინ მეფე ვასილი ჩაება ქართველებთან ომში. (მოწინააღმდეგეები) ერთმანეთს მიუახლოდნენ შირაკის ველზე და შეებნენ ერთმანეთს. ქართველთა მხედართმთავარი რატი და ზოიატი კვეთებით უღებდნენ რომაელთა ჯარს; ამ დროს რატის ცხენი ერთ ადგილას წყალში შევიდა, დაეფლო ტალახში და იქ მოკლეს მხნე (რატი): იძლია ქართველთა მხედრობა და ივლტოდა რომელთაგან. საშინელი ზოცვა-ყლექა შეიქმნა. მეფე ვასილმა იმ (ქართველთა) ქვეყანაში 6 თვე დაჰყო, დაიმორჩილა ქართველები და ტრაპიზონში მობრუნდა გამოსაზამთრებლად“³⁹.

ა. აბდლაძემ ზემოთ ციტირებული ტექსტი რამდენიმე თვალსაზრისით შეისწავლა და შეეხო 1021 წელს ქართველ-ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლის საკითხსაც. ა. აბდლაძე იმ აზრისაა, რომ შეუძლებელია შირიმქი და შლფა ერთიმეორესთან გავიგივებოთ, ისე როგორც ამას ვ. კოპალიანი

შპრე იყო ეს მიწები—ანაწილი. კ. იუზბაშიანი ვერ არკვევს. კ. იუზბაშიანის თვალსაზრისი სხვაგანაცაა კომპირებული (იხ. М. П о р д к и п а н и д з е, История Грузии XI — начало XIII века, Тб., 1974, გვ. 52).

ჩვენი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ არისტაკესის ცნობებთან ერთად ქართული წყაროების მონაცემებიც იქნება გათვალისწინებული. ამ უკანასკნელთა მიხედვით ჩანს, რომ 1021—1022 წწ., როცა ქართველ-ბიზანტიელთა ომი მიმდინარეობდა, ბასილი II-მ დალაშქრა მიწები ჯავახეთში, კოლა-არტანში და თრაილეთს (ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს-ქ ე, გვ. 383; შ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს-ს, გვ. 383), სადაც ადრე დავით კურაპალტს სამამულე სამფლობელოები ჰყონდა. ამ ფაქტებიდან საფიქრებელია, რომ თავის ულტიმატუმში გიორგი I-სადმი ბასილი II დავითის სამამულე ტერიტორიებს გულისხმობდა და იმ აზრს გამოხატავდა, რომ ისინი გარკვეულ დროს გიორგი I-ის მამას მან, ე. ი. ბასილიმ უბოძა. კურაპალტის სამფლობელოთა ერთი ნაწილი კი (ბიზანტიის მიერ ქართველებისათვის ნაბოძები ტერიტორიები არაქს-ეფერატის ხეობებსა და ტალა სამხრეთში) ბასილი II-ს ჯერ კიდევ 1001 წელს ჰქონდა უკვე დაკავებული.

³⁷ ა. აბდლაძე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძმინაწერები როგორც წყარო X—XIII სს. საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973. დისერტაციის ტექსტი იხანება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, გვ. 76—77.

³⁸ მ. შ ი ძ ხ ა ნ ი. წიგნაკ ბნაყრავ შერაჯი ქონქინ, ლხნისიქ, 1962, გვ. 402.

³⁹ ციტირებულია ა. აბდლაძის შრომიდან «სომხურ ხელნაწერთა ანდერძმინაწერები...» გვ. 27—28.

აგეთებს, ვინაიდან უცნობია თვით შლფას ადგილმდებარეობა⁴⁰. ა. აბდალაძევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თვით სომეხი მეკლდე-რებიც კი შლფა პუნქტის ლოკალიზების საკითხში ერთსულოვანნი არ არიან. ასე მაგალითად, ლ. ინჰიპიანი შლფას ბასიანში ათავსებს⁴¹, გ. ალიშანი კი მას ტაოში მდებარე პუნქტად მიიჩნევს⁴². ყოველივე ამასთანავე ერთად, შენიშნავს ა. აბდალაძე, ჩვენ ძალზე მწირი ცნობები გვაქვს თვით შირიმნზეც, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ გარდა მოიხსენებს XI ს-ის სომეხი გემატიანე ასოლიკი⁴³. ა. აბდალაძისავე თქმით, შირიმი თუ შირიმთა შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ არშარუნიქში, არამედ სხვაგანაც. თანაც, შირიმი მართლაც არშარუნიქის მხარეში რომ ყოფილიყო, იქ 1022 წელს ბრძოლა მაინც ვერ მოხდებოდა, რადგანაც, როგორც ქართული ნარატიული წყაროები, ისე არისტაკესი ქართველ-ბიზანტიელთა ფინალური ბრძოლის ადგილად ბასიანს თვლიან⁴⁴. დასასრულ, წერს ა. აბდალაძე, „ჩვენ ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, თუ სად მდებარეობდა „შირიმი“ და მოხდა თუ არა აქ გადაამწყვეტი ბრძოლა 1021 წელს, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ქართული და სომხური წყაროების მიხედვით ბრძოლა ხდება ერთმანეთისაგან არც თუ დაშორებულ კოლაში თუ მის მახლობლად (იგულისხმება, ალბათ, ამ ტბის სამხრეთი მიდამოები), ან შირაკის ველზე. ბრძოლა, ალბათ, მართლაც, „სადღაცა ამ სამ მხარეს შორის მოხდა“⁴⁵.

ა. აბდალაძის კრიტიკული შენიშვნები ვ. კოპალიანის სქემისადმი ჩვენ საკმაოდ საფუძვლიანად მიგვაჩნია და გვგონია, რომ მან არსებითად სწორად აღლო ალლო საკითხს. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნული შენიშვნების გამოთქმა მეტი კატეგორიულობითაც შეიძლებოდა, რაზეც ა. აბდალაძე თავს იკავებს. ეს კარგად ჩანს, თუნდაც ა. აბდალაძის განცხადებიდან, რომ იგი ვერ იტყვის „დაბეჯითებით, თუ სად მდებარეობდა შირიმი და მოხდა თუ არა იქ გადაამწყვეტი ბრძოლა 1021 წელს“. გარდა ამისა ა. აბდალაძეს არსად წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით არა აქვს შესწავლილი მის მიერ მოხმობილი სომხური ტექსტი, რომელიც, როგორც ეთქვით, მას ანდერძმინაწერად მიაჩნია. ეს კი თავისთავად უაღრესად საინტერესო და აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ქართველ-ბიზანტიელთა ბრძოლის ადგილად ეს სომხური წყარო შირაკის ველს ასახელებს და ამრიგად სუმბატ-მატიანე-არისტაკესისაგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის.

ქვევით ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ა. აბდალაძის მიერ გარჩეულ სომხურ ტექსტს ქართველ-ბიზანტიელთა 1021 წლის ბრძოლის ადგილთან დაკავშირებით, ახლა კი კიდევ ერთხელ შეუდაროთ ერთიმეორეს შირიმის ბრძოლაზე არსებული ტრადიციული და ვ. კოპალიანისეული სქემები, რომელს მიმართ ერთგვარი სწორი კრიტიკული პოზიცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა. აბდალაძემ გამოამჟღავნა.

როგორც მივეუთითებდით, ვ. კოპალიანი სრულად ენდობა რა არისტა-

⁴⁰ ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძმინაწერები, გვ. 76.

⁴¹ ვ. ბენჩინსკი, *Стихияречияхъ нѣнъ Ляуаითанскаѣ*, 1822, გვ. 534.

⁴² *Պատմութիւն Արիստակէսյ վարդապետի Լաստիվբոցույ, Վենետիկ. 1844*, გვ. 121.

⁴³ ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

⁴⁴ იქვე, გვ. 77.

⁴⁵ იქვე.

კეს, მის ცნობებს და მასთან მოხსენიებულ შლფას შირიმქ-შირიმთან აიგი-
 ვებს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს შირიმნ-შლფა იყო არა 1021, არამედ
 1022 წლის ბრძოლის ადგილი

ეს თვალსაზრისი დამაჯერებელი არაა.

საჭიროა, კერძოდ, იმის აღნიშვნით დაიწყოთ, რომ არსებითად ვ. კოპა-
 ლიანის მთელი თვალსაზრისი წინააღმდეგობაში იმყოფება ქართულ ისტორი-
 ოგრაფიაში დამკვიდრებულ იმ უდავო შეხედულებასთან, რომ სუმბატ დავი-
 თის-ძის თხზულება და „მატიანე ქართლისაჲს“ ის მონაკვეთი, სადაც XI ს-ის
 პირველი მესამედის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებია გადმოცემული,
 განსაკუთრებით სანდო ინფორმაციას შეიცავენ. ეს არცაა გასაკვირი, თუ
 იმას გაეითვალისწინებთ, რომ საქმე ეხება ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-
 ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის გადმოცემას... თანაც, ზემოხსენ-
 ნებულ თხზულებათა ავტორები იმ ეპოქის მოღვაწეები იყვნენ, როცა მათ (თუ
 მათი თანამედროვეების) მესხიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალი უნდა ყოფილი-
 ყო მრავალრიცხოვანი მოგონებები 1021—1022 წწ. საქართველო-ბიზანტიის
 ომისა თუ მის შედეგებზე... ასეთ ვითარებაში ულოგოკობა იქნებოდა იმის მტკი-
 ცება, რომ ქართველ მემკვიდრეებს, ან მათ წყაროს, არეოდათ საქართველო-
 ბიზანტიის ომის დროს მომხდარი ბრძოლების თანამედრობა და შეშლოდათ
 სხელი და ადგილი შირიმნის ბრძოლისა, სადაც ქართველებმა კინალამ სძლიეს
 კიდევაც ბიზანტიის დიდ ავტოკრატორს ბასილი II-ს.

ვ. კოპალიანის ახალი სქემისადმი ეჭვებს სრული კატეგორიულობით
 აღმავეებს არისტაკეს ლასტივერტცის ინფორმაციაც, რომლის საფუძველზეც
 კ. იუზბაშიანი და მის მიდევნებით ვ. კოპალიანი თვლიან, რომ შლფა იგივე
 არშარუნიქში მდებარე შირიმქია.

თავისთავად გეოგრაფიული პუნქტი „შირიმქ“ მართლაც მდებარეობდა
 არშარუნიქის გავარში და როგორც კ. იუზბაშიანი, ვ. კოპალიანი და ა. აბ-
 დალაძეც შენიშნავენ, სწორედ მასზე გვაწვდის ცნობებს XI ს-ის სომეხი მე-
 მატიანე ასოლიკი, რომლის მიხედვითაც შირიმქში ეკლესია და საძვლევც ააშე-
 ნა კარის სომეხთა მეფე აბასმა⁴⁶, რომელიც მმართველობდა 944—989 წწ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის ცნობილია შირიმქზე უფრო აღრინ-
 დელი ცნობაც, რომელიც ეკუთვნის V ს-ის სომეხ მემკვიდრეს ლაზარე ფარპე-
 ცის. იგი თავის თხზულებაში მოგვითხრობს ნერსეს კამსარაკანის ძეძუმტეზე
 ხურსიზე, რომელიც იყო არშარუნიქის მხარის შირიმქიდან⁴⁷.

ასეთი ცნობების მიუხედავად, არისტაკეს ლასტივერტცის თხზულები-
 დან ჩანს, რომ ბასილი II და გიორგი I არასოდეს, არც 1021 და არც 1022
 წლებში ერთმანეთს არ შეხვედრიან არშარუნიქის მხარეში. არისტაკესის
 ცნობით, 1021 წელს აღმოსავლეთისაკენ დაძრული ბასილი II ჯერ მოსულა
 კარინის დიდ ველზე, შემდეგ კი ბასიანში, ხოლო აქედან კარმირ ფორაკში გა-
 დასულა⁴⁸. ეს უკანასკნელი — კარმირ ფორაკი იგივე ქართული წყაროების

⁴⁶ Всеобщая история Степаноса Таронского, прозванного Асохиком. Перевод Н. Эмина, М., 1864, გვ. 139.

⁴⁷ Lazare de Pharbe, Histoire d'Arménie, Traduit pour la premier fois en français... par le P. S a m v e l Dr. Ch é s a r i a n, Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie, t. II, Paris, 1869, გვ. 61.

⁴⁸ Повествование Варданаeta Аристакеса..., გვ. 61.

კარნიფორია და ყარსის დასავლეთით მდებარეობდა⁴⁹. ამდენად, ომის დასაწყისის ეტაპზე ბასილი II არშარუნიქის მხარიდან საკმაოდ შორს იმყოფებოდა.

ამ ამბების შემდეგ, არისტაკესის ცნობით, ბასილი II საქართველოს მიწებზე შეჭრილა და გიორგი I-თან დიდი ბრძოლა გადაუხდია „ბალაკაციოს ტბასთან“. უფრო მოგვიანებით კი პონტის ქვეყანაში მიიშულა, სადაც ზამთარიც გაუტარებია⁵⁰.

მომდევნო, ე. ი. 1022 წელს, ბასილი II კვლავ ბასიანში მოსულა და დამდგარა მახდატის ციხეში... სწორედ აქ გაუგია, რომ მის წინააღმდეგ აჯანყება დაუწყიათ ქსიფიასა და ფოკას. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ კი ბასილი II ბასიანის ქვეყანაში — სალქორას დაბანაკებულა⁵¹. ლიტერატურაში კარგადაა გარკვეული, რომ მახდატი და სალქორი ბასიანის ქვეყანაში მდებარეობდნენ⁵².

დასასრულ, არისტაკესის ცნობითვე, ბასილი II-ს შლფაში მიუღწევია, სადაც 1022 წელს მომხდარა დიდი ბრძოლა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის.

სად უნდა ყოფილიყო შლფა?

უეჭველია, ბასიანის ქვეყანაში. ეს, თითქოს, კარგად ჩანს არისტაკეს ლასტივერტის ცნობებითვე. ავტორი უბრალოდ ყვება, რომ სალქორიდან ბასილი II-მ შლფაში წაიწია. აქ არისტაკესი საჭიროდ არა თვლის მიგვანიშნოს, რომ ბასიანის სალქორაში მყოფი ბასილი II სხვა გავარში გადავიდა, როგორც ამას არისტაკესი ჩვეულებრივ აკეთებს ზოლმე, თუ მისი პერსონაჟი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის... მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ თუმცა ბასილი II სალქორიდან შლფაში გაემართა, მაგრამ არსებითად ისევ ბასიანის ქვეყანაში დარჩა. ამ დასკვნას კატეგორიულად ემოწმებიან სუმბატ დავითის ძე ღზ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი, რომლებსაც ქართველ-ბიზანტიელთა მხედრობის უკანასკნელი ბრძოლის ადგილად ბასიანის მხარე წარმოუდგენიათ⁵³.

ამ ფაქტების შუქზე მართლაც სავსებით სწორია ა. აბღაღის მიხედვით, რომ შლფა არ შეიძლება ყოფილიყო არშარუნიქში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შლფა სხვაგან მდებარე ადგილი უნდა ყოფილიყო. აქედან, ბუნებრივია, თავისთავად იხსნება დებულება იმის შესახებ, რომ ქართველ-ბიზანტიელთა უკანასკნელი დიდი ბრძოლა 1022 წელს მოხდა არშარუნიქის მიწაზე, სადაც ქართველები ამაზე უწინ შეიჭრნენ, ვითომცდა, ამ უკანასკნელებმა ისარგებ-

⁴⁹ M. S. ხრეჩკან, *Հայաստանը բողոքականության* „მედიკალიცა“-ի (ჩიბრ VII դარხი ნაქს-კან რაიონის ქრისტიანობის დანაწილების რაიონის რაიონის ჩიბრ ქრ) ხრეჩკან, 1963, გვ. 58.

⁵⁰ Повествование Вардапета Аристокеса... გვ. 61—63.

⁵¹ იქვე, გვ. 64.

⁵² ზ. ჭანტია, *სსრკ-ის საზოგადოებრივი მეცნიერების აკადემიის ვესტნიკი* (Вестник отделения общественных наук АН Армянской ССР, 1976, № 8, გვ. 73—85).

⁵³ სუმბატ დავითის-ძე, გვ. 384; მათიანე ქართლისაჲს, გვ. 287. ამ ცნობას „მატიანე“ კერძოდ იმსაც უმატებს, რომ ქართველები, რომლებსაც გიორგის I მეთაურობდა, თავს დასხმიათ „ბასილი მეფესა“ დაბანაკებულსა, რომელსა უწოდებდნენ სენდაქსად. მათიანე ქართლისა, გვ. 287. ს. ყაუხჩიშვილის მართებული განმარტებით, „სენდაქსი“ ბერძნული სიტყვაა—სენტაქსის—, რაც ნიშნავს „დარაზმას“, „საბრძოლველად დარაზმას“. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 039.

ლეს რა ბასილი II-ის მძიმე მდგომარეობით ქსიფიასის და ფოკას აჯანყების დროს...

ასეთ ვითარებაში ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს არ ვენდოთ ქართული წყაროების იმ ცნობას, რომ 1021 წელს პირველი დიდი ბრძოლა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის მოხდა სადაცა კოლას მიდამოებში. მით უმეტეს, რომ ამ ცნობას არსებითად არისტაკეს ლასტივერტის მიერ მოთხრობილი ფაქტებიც ემორწმებოდა... აქვე-კოლასა თუ პალაკაციოს სექტორში უნდა ყოფილიყო ქართველ-ბიზანტიელთა ურთიერთბრძოლის ადგილი შირიშინი, რომელიც აშკარაა, ძალზე დაშორებული უნდა ყოფილიყო არშარუნიქში მდებარე მისივე თანამოსახელე ადგილისაგან...

„შირიშ“ ტოპონიმის ერთდრული არსებობა არშარუნიქში და კოლას მუწახზე, სადაც საქართველო-ბიზანტიის 1021 — 1022 წ.. ომის თეატრი მდებარეობდა, მოულოდნელი არ უნდა გვეჩვენოს, თუ გავითვალისწინებთ „შირიშ“ ფუძიანი ტერმინის გავრცელების შესაძლებლობას როგორც ძველ სომხურში, ასევე საქართველოშიც. შირიშ (მრ. შირიშქ) სიტყვა ძველ სომხურში სასაფლაოს, საძვლეს ნიშნადაა⁵⁴. მაგრამ ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა ქართულშიც იყო ცნობილი და გავრცელებული. ეს სიტყვა გვხვდება, მაგალითად, იპოლიტე რომაელის „ქებაი ქებათას“ ძველ ქართულ თარგმანში⁵⁵ და სხვა ნათარგმნ პავიოგრაფიულ ძეგლებში⁵⁶, რომლებიც არსებითად ადრეფეოდალური ხანის ქართული ლექსიკის ბაზაზეა შექმნილი.

ბუნებრივია დაუშვათ, რომ ქართულ-სომხურისათვის საერთო ეს სიტყვა — შირიშ ფუძით — საფუძვლად დასდებოდა არა ერთსა და ორ ტოპონიმს როგორც ქართულ, ასევე სომხურ მიწებზე, ან ისეთ მხარეებში, სადაც ქართული და სომხური ეთნიკური მასები მჭიდრო კონტაქტებში იმყოფებოდნენ. 1021—1022 წწ. საქართველო-ბიზანტიის დიდი ომი ხომ ნაწილობრივ ასეთნაირ მხარეში მიმდინარეობდა...

საინტერესოა, რომ ქართული წყაროები კოლა-პალაკაციოს მხარეში მდებარე შირიშნს წმინდა ქართული ფორმით მოიხსენიებენ: „შირიშთა“ — „შირიშინი“... სამწუხაროდ, ამჟამად ვერ ხერხდება „შირიშთა“ — „შირიშინის“ კვალის მიგნება-მინიშნება კოლა-პალაკაციოს სექტორში, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ეთნიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით დიდი ცვლილებები აქვს განცდილი. ე. თაყაიშვილი, რომელმაც კოლასა და მის საზღვრებში ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს იმოგზაურა, შენიშნავს, რომ „სიძველეთა ნაშთები, ეტყობა, კოლაში ბევრი ყოფილა. არ არის სოფელი ან ნასოფლარი, სადაც არ იყოს ნანგრევები ან ნაშთები ეკლესიებისა, კოშკებისა თუ ციხეებისა, მაგრამ ახლა ყველა ეს უმეტეს შემთხვევაში განადგურებულია“⁵⁷. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ძალზე ძნელდება შირიშნის კვალის მიგნება...

დასასრულ, რამდენიმე სიტყვით სომხური ტექსტის შესახებაც, რომელიც

⁵⁴ Н. М а р р, Ипполит. Толкование «Песни Песней», Грузинский текст по рукописи X века, перевод с армянского. исследование и издание. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. III, СПб., 1901. გვ. LXI.

⁵⁵ იქვე, გვ. 24.

⁵⁶ ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 506.

⁵⁷ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩა ნგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 10.

ა. აბდლაძემ გაარჩია. როგორც ვთქვით, მასში საუბარია გიორგი I-ის და ბასილი II-ის ურთიერთბრძოლის შესახებ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ა. აბდლაძე ამ სომხურ ტექსტს ანდერძმინაწერად თვლის და მის ცნობებს სანდო ინფორმაციის შემცველად მიიჩნევს. სწორედ ამ ცნობების საფუძველზე დაასკვნის იგი, რომ ბრძოლა, ჩანს, მოხდა არა მაინცდამაინც „პალაკაციოს ტბის მახლობლად“, როგორც ეს არისტაკეს ლასტივერტის ცნობებით ვიცით, არამედ — „შირაკის ველზეც“. „ბრძოლა, ალბათ, მართლაც ამ სამ მხარეს შორის მოხდა“.

ჩვენი აზრით, ა. აბდლაძის მიერ გარჩეული ტექსტისადმი ასეთი ნდობა და მის მიხედვით ისტორიული ფაქტის დადგენა გამართლებული არ უნდა იყოს. თვითონ ა. აბდლაძესვე აქვს აღნიშნული, რომ მის მიერ განხილულ ტექსტს შეიცავს XVII ს-ის სომხური ხელნაწერი. თუ ეს ასეა, ვფიქრობთ, უკვე მართო ეს გარემოებაც გვიკარნახებს იმას, რომ ზემოხსენებული სომხური ტექსტის ინფორმაციის გამოყენებისაგან ასე ნაუცბათევად თავი შევიკავოთ და წინასწარი წყაროთმცოდნეობითი შესწავლის გარეშე მასში დაცულ ცნობებს ისევე არ ვენდოთ, როგორც ვენდობით, მაგალითად, XI ს-ის ზემოთ უკვე არაერთხელ ციტირებულ ავტორებს...

უნდა აღინიშნოს, რომ ი. თოვფჰეანის წიგნში მართლაც არის დაბეჭდილი ბასილი II-სა და გიორგი I-ის ურთიერთბრძოლის მუწყებელი ცნობები,⁵⁸ მაგრამ იგი ანდერძმინაწერი კი არაა, როგორც ეს აღნიშნულია ა. აბდლაძის დისერტაციისა და გამოქვეყნებულ ავტორიფერატში, არამედ თანდართვა. დასაწყისი იოვანე კოზერნის „ხილვისა“, რომელიც არმენისტიკაში კარგად ცნობილი აპოკრიფული შინაარსის ლიტერატურული ძეგლია და რომლის დასაწყისსაც ის ტექსტი წარმოადგენს, რომელიც ა. აბდლაძეს აქვს განხილული. იოვანე კოზერნის „ხილვის“ ტექსტი მთლიანობაში, რუსული თარგმანითა და სათანადო გამოკვლევითურთ ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს გამოაქვეყნა ნიკო მარმა⁵⁹. ნ. მარის მიხედვით იოანე კოზერნის „ხილვა“ ესაა აპოკრიფული შინაარსის თხზულება სისწაულებით განთქმულ იოვანე კოზერნზე, რომელიც სომეხთა კათალიკოს პეტროსთან (ვედროს) ერთად 1022 წელს ტრაპიზონში მდგომ ბასილი II-ს ეახლა. „ხილვა“ შექმნილია XII საუკუნეში, შავ მთაზე, 1147 წლის მეორე ჯვაროსნული ომის მოლოდინში. ხსენებული ძეგლი გამოყენებული უნდა ჰქონდეს XII ს-ის ცნობილ სომეხ ჟამთააღმწერელს მათეოს ედესელ-ურჰაელს თავის „ჟამთააღმწერლობაში“. ან შესაძლებელია, კოზერნის „ხილვის“ სათანადო ადგილები მათეოსის თხზულებაში სხვის მიერაც იყოს შეტანილი⁶⁰.

ნ. მარის მიერ მოტანილ არგუმენტებს, რომლებიც აშკარას ხდიან იოვანე კოზერნის „ხილვისა“ და მათეოს ედესელის „ჟამთააღმწერლობის“ შინაარსობრივ-ფაქტობრივ დამთხვევას, უთუოდ ის ფაქტიც უნდა დაემატოს, რომ ასეთი დამთხვევა არსებითად თავს იჩენს კერძოდ იმ ბრძოლების აღწერისას, რომლებიც მიმდინარეობდა ბასილი II-სა და გიორგი I-ს შორის.

იოვანე კოზერნის „ხილვის“ ზემოთციტირებულ ნაწყვეტთან შეხვედრას

⁵⁸ В. Ф и л х а н. Мювас бхрарყаг Արմաշի վանքին, ՎՃՆՏԻԿ, 1962, გვ. 402.

⁵⁹ Н. М а р м. Сказания о католикосе Петре и ученом Иоанне Козерне. Восточные записки, СПб., 1905.

⁶⁰ იქვე, გვ. 17—18.

ამკლავებს მათეოს ედესელის „ჟამთაღმწერლობის“ ის ადგილი, რომელშიც მოთხრობილია 1021—1022 წწ. ბასილი II-სა და გიორგი I-ის შორის მიმდინარე ბრძოლებზე. მათეოს ედესელი წერს: „სომეხთა წელთაღრიცხვის 470-ე წელს (1021 წ. 16/III—1022 წ. 15/III) ვასილი უამრავი მხედრობით გაემართა აღმოსავლეთში და სომეხთა მეფისაგან მოითხოვა ანი და ყარსი. გაგკ ოვანესის ძემ თავისი სულმოკლეობის გამო გადაწყვიტა მიცემა. ვასილმა, დაბრუნდა რა თავის ქვეყანაში, წერილი მიწერა ქართველთა მეფე გორგის, წინადადებით, გამხდარიყო მისი ქვეშევრდომი, რაზეც გორგემ უარი განაცხადა. მაშინ ვასილიმ ომი გამოაცხადა და მის წინააღმდეგ დაიძრა. ლიპარიტის მამაცი ძმები რატი და ზოიატი გაემართნენ მის წინააღმდეგ და ვასილის მხედრობას მძიმე დარტყმა მიაყენეს. რატის მოკვლის შემდეგ (მისი შვილი ქვიშიან მიწაში ცოცხლად ჩაიფლო), ლტოლვილ ქართველთა ჯარს ვასილის მხედრობა მისდევდა უკან. ვასილიმ აქ დაჰყო სამი თვე, ვიდრე არ დაიმორჩილა ისინი და შემდეგ გამოსაზამთრებლად ტრაპიზონს მივიდა“⁶¹. ასევე იოვანე კოზერნის „ხილვის“ მისდევს ის ადგილი, სადაც მოთხრობილია იოვანე კოზერნის სასწაულებზე, ხოლო შემდეგ კვლავ გიორგი I-ისა და ბასილი II-ის ურთიერთბრძოლებზე⁶².

როგორც უკვე აღინიშნა, ა. აბდლაძე იოვანე კოზერნის „ხილვის“ თანდართვას სანდო ღირებულების შემცველ წყაროდ თვლის და მასზე დაფუძნებით ცდილობს 1021—1022 წწ. ომის დეტალების დაზუსტებას. ამასთანავე ერთად იგი ფიქრობს, რომ კოზერნის „ხილვის“ თანდართვას, მისა თქმით ანდერმინაწერს, ისე როგორც მათეოს ედესელსაც, მთელი რიგი ისტორიული ფაქტები უფრო სწორად აქვს გადმოცემული, ვიდრე XI ს-ს წყაროებს, კერძოდ, კედრენეს და არისტაკესს. საქმე ის არის, რომ სკილიცა-კედრენეს მიხედვით, ანის მეფე იოანე-სუმბატი თავის დროს მიემხრო გიორგი I-ს (როცა ეს უკანასკნელი ბიზანტიელებს ებრძოდა). ამის შესახებ ზემოხსენებულ ავტორთან ვკითხულობთ: „როდესაც აფხაზთა მთავარმა გიორგემ იარაღი ააქლარუნა რომაელთა წინააღმდეგ, მისი მოკავშირე იყო იოვანესიკეც, რომელიც ფლობდა ანისის ქვეყანას. ხოლო როდესაც, როგორც ზემოთ ითქვა, ბასილი მეფე იბერიაში გაემგზავრა და ბრძოლა გაუმართა გიორგის, აოტა იგი და გადამტერა, იოვანესიკეს შეეშინდა, ვაითუ მეფემ განრისხებულმა იმით, რომ გიორგის მოკავშირე ვიყავი, საშინელი რამ დამმართოსო, ქალაქის გასაღებებით ეახლა მეფეს, დანებდა მას და გასაღებებიც გადასცა“⁶³. დაახლოებით ასეთაირად ესაზება მოვლენათა ერთი ნაწილი არისტაკესსაც, რომელიც გვამცნობს, რომ კათალიკოსმა პეტროსმა იოვანე-სუმბატის მითითებით მოაწერა ხელი ანის ბიზანტიისათვის გადაცემის აქტს, როცა ბასილი II ტრაპიზონში იმყოფებოდა⁶⁴.

ა. აბდლაძეს ეკვი ეპარება მოვლენათა თანმიმდევრობის კედრენე-არისტაკესისეულ თანმიმდევრობაში და უპირატესობას მათეოს ედესელისა და კოზერნის „ხილვის“ თანდართვას ანიჭებს. ა. აბდლაძის აზრით, შეიძლება დავუშვათ, რომ იოვანე-სუმბატი დახმარებას ჰპირდებოდა გიორგი I-ს, მაგრამ

⁶¹ შ ა თ რ ხ ი ა მ ც რ ა ხ ე გ ი. ტ ა მ ა ნ სა ს კ ა გ რ ი კ ი ძ ე, რ ა რ ც მ ა ნ ი რ ი კ ი ძ ე, ნ ს რ ა - ბ ა ტ ი კ ი რ ს რ ს ბ ა ნ ი რ ა გ რ ი კ ი ა ნ ს ნ ს რ ე რ' ჯ რ ო ე რ ა რ ც ი კ ა ნ ს ი, ს რ ს ა ნ, 1973, გვ. 33.

⁶² იქვე, გვ. 34.

⁶³ J. Scylitza e, გვ. 556—557; გეორგია, ტ. V. გვ. 59.

⁶⁴ Повествование Вардапета Аристакеса..., გვ. 63.

მას ბიზანტიის წინააღმდეგ მოქმედებაში არ მიუღია მონაწილეობა. ამ შემთხვევაში ვაცილებით სწორი უნდა იყოს „1021 წლის ანდერძნამავისა“ და, აგრეთვე, მათეოს ურპაელის ცნობა იმის შესახებ, რომ ბასილი II-მ იოვანე-სუმბატი გიორგი I-თან ომამდე დაიმორჩილა. გიორგი კედრენეს ცნობა კი, რომ იოვანე-სუმბატმა თავისი სამეფო ბიზანტიას გადასცა, რადგან ეშინოდა, რომ კეისარს იგი არ დაესჯა, აშკარად ტენდენციურია. გიორგი კედრენე, ან მისი წყარო, რომელიც მას გამოუყენებია, ცდილობს გაამართლოს ანის სამეფოს ანექსია⁶⁵.

ა. აბდალადის ეს მსჯელობა ლოგიკურია, მაგრამ მათეოს ურპაელის, ისე როგორც კოზერნის „ხილვის“ თანდართვის ცნობები სინამდვილეში გვიანდელი ინფორმაციის საფუძველზეა შექმნილი და თანაც, როგორც ვნახეთ, ხსენებული თანდართვა არც ანდერძნამავია და არც 1021 წელს განეკუთვნება. ამასთანავე ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შეგვექმნას, რომ მათეოს ედესელის და არისტაკესის ცნობები იმდენად განსხვავდებიან, რომ სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენენ ისტორიულ ფაქტებს. მათეოსის ისტორიული ქარგა (იგივე ითქმის იოვანე კოზერნის „ხილვის“ თანდართვაზეც) ჩვენ შეიძლება იმ აზრით გავიგოთ, რომ 1021 წელს ბასილი II-მ ჯერ დიპლომატიულად დაიმორჩილა ანის მეფე იოვანე-სუმბატი და აიძულა იგი თავისი სამეფო ბიზანტიის სამფლობელოდ ეცნო, რის შემდეგაც მან დაიწყო ცნობილი ლაშქრობა გიორგი I-ის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის პირველმა ეტაპმა 1022 წლის ზამთრამდე გასტანა, შემდეგ კი ბასილი II-ემ ტრაპიზონს მიაშურა გამოსაზამთრებლად. აქ ეახლნენ მას იოვანე კოზერნი და კათალიკოსი პეტროსი.

ანალოგიურად მოგვიტხრობს არისტაკესიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი 1021 წელს ბასილი II-ის და იოვანე-სუმბატის ურთიერთობებს კი არ ეხება, არამედ გადმოგვცემს 1022 წელს ტრაპიზონში პეტროსის მოსვლის ამბავს ბასილი II-სთან, როცა სომეხთა კათალიკოსმა უკვე დოკუმენტურად გააფორმა იოვანე-სუმბატის სურვილი. არისტაკესის თქმით, სწორედ აქ დაიწერა სომეხთა დაღუპვის წერილი⁶⁶.

ვფიქრობთ, არისტაკესისა და მათეოსის მოთხრობათა შორის წინააღმდეგობას არა აქვს ადგილი და მათ შორის განსხვავებანიც მხოლოდ იმაშია, რომ არისტაკესს, რომელიც სომეხეთის ტრაგიკული ბედის გადმოცემას ტაოს ამბებით იწყებს, ამ უკანასკნელს მეტ ყურადღებას უთმობს. ტრაპიზონის ამბების აღწერისას კი ძირითადად ხსენებული ფაქტების ფინალზე ჩერდება. ასე რომ, რაიმე არსებითი განსხვავება მათეოსისა და არისტაკესის მოთხრობათა შორის არაა. ასევე უფლება არ უნდა გვქონდეს ეჭვი შევიტანოთ იოვანე-სუმბატის მონაწილეობაზე გიორგი I-ის მხარეზე, როცა ეს უკანასკნელი ბასილი II-ის წინააღმდეგ მოქმედებდა. მართალია, 1021—1022 წწ. მოვლენათა აღწერისას სომეხი ისტორიკოსები ამის შესახებ არაფერს გვამცნობენ, მაგრამ სკილიცა-კედრენეს ცნობაში მაინცდამაინც 1022 წელი როდი იგულისხმება. ბიზანტიელი ქრონისტის თქმით, იოვანე-სუმბატმა გიორგი I-ის მხარე დაიკავა მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა ბასილის წინააღმდეგ იარაღი ააქლარუნა. გიორგის გა-

⁶⁵ А. Бадаладзе, Памятные записи армянских рукописей как источник по истории Грузии X—XIII веков, автореферат на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1975, გვ. 10.

⁶⁶ Повествование Вардапета Ариstackеса..., გვ. 63.

მოსვლები კი ბასილის წინააღმდეგ დაიწყო 1015 წლიდან⁶⁷. ეს იმას ნიშნავს, რომ იოვანე-სუმბატმა გიორგი I-ის მხარეზე ბრძოლა დაიწყო, საფიქრებელია, 1020 წელზე გაცილებით ადრე. აქედან გამომდინარე, სავალდებულო არაა სკილიცა-კედრენეს ცნობის სიმართლეში ეპქი შევიტანოთ მარტოოდენ იმ საფუძველზე, რომ სხვა ისტორიკოსები, რომელთა ყურადღებაც უმთავრესად 1021—1022 წწ. მოვლენებზეა კონცენტრირებული, იოვანე-სუმბატს ხსენებულ დროში გიორგის აქტიურ მომხრედ არ წარმოსახვენ.

საერთოდ, ჩვენ უნდა მუდამ გვახსოვდეს იოვანე კოხერნის „ხილვის“ და ამასთანავე მათეოს ურჰაელის თხზულების შედარებითი ნაკვიანობა, ის, რომ მათ მიერ აპოკრიფული ხასიათის ცნობებია გამოყენებული, რაც, ჩანს, მათში მთელი რიგი ფაქტების არასწორი გადმოცემის მიზეზი უნდა იყოს.

ასეთ უზუსტობად უნდა მივიჩნიოთ, კერძოდ, კოხერნის „ხილვის“ თანდართვაში ბასილი II-ისა და გიორგი I-ის პირველი დიდი ბრძოლის ადგილად „შირიმნის“, „თუ შირიმნის ველის“ ნაცვლად „შირაქის ველის“ დასახელება. ეს აღრევა იმის შედეგი უნდა იყოს, რომ XII ს-ის ავტორი, თუ მისი წყარო, თავის მოთხრობაში მისთვის უფრო ნაცნობი გეოგრაფიული ტერმინების გამოყენებას ცდილობს. მან არ იცის რა ქართველ-ბიზანტიელთა პირველი დიდი ბრძოლის ზუსტი სახელწოდება, მას მისთვის ნაცნობი შირაქის ველით ცვლის. ყველაფერი ეს საესებით გასაგებია იმ ავტორისათვის (თუ გადამწერი?), რომელიც ჩვენთვის საინტერესო ფაქტზე მსჯელობს მისი მოხდენიდან საუკუნეზე მეტი დროის შემდეგ და გეოგრაფიულადაც შირიმნის ველიდან ძალზე დაშორებულ მხარეში, სადაცა სირია-ანტიოქიასა თუ მის სანახებში.

ამდენად, ჩვენი ნაშრომი შეიძლება დამთავრდეს შემდეგი დასკვნებით:

1. შირიმნი, ისე როგორც ამას ქართული წყაროები გვაუწყებენ, ნამდვილად მდებარეობდა კოლა-პალაკაციოს სექტორში და 1021 წელს სწორედ აქ მოხდა პირველი დიდი ბრძოლა ბასილი II-სა და გიორგი I-ს შორის; 2. მცდარია ის აზრი, თითქოს შირიმნის ბრძოლა მოხდა 1022 წელს კარის სამხრეთ-დასავლეთით არშარუნქის მხარეში, ან თითქოს, ქართულმა წყაროებმა ამ მეორე ბრძოლის ადგილი შეცდომით დაუკავშირეს 1021 წლის ბრძოლის ადგილს და მის სახელწოდებას; 3. ქართველ-ბიზანტიელთა ბოლო დიდი ომი უნდა მომხდარიყო 1022 წელს ბასიანის მიწაზე. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ის ადგილი, რომელსაც არისტაკეს ლასტივერტიცი შლფას ადგილად იხსენიებს.

Ш. А. БАДРИДЗЕ

О ЛОКАЛИЗАЦИИ И ДАТИРОВКЕ ШИРИМСКОГО СРАЖЕНИЯ

Резюме

По данным грузинских источников, в 1021 году между царем Грузии Георгием I (1014—1027) и императором Византии Василием II (976—1025) произошло крупное, неудачное для Грузии сражение в

⁶⁷ Повествование Вардапета Аристикэса..., გვ. 57. სადაც მითითებულია, რომ დავით კურაპალატის სამფლობელოების ანექსიის შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა 450 წელს (-1001. 21/111—1002. 20/111), «ქვეყანაში 14 წლით დაშვიდრდა მშვიდობა». იგი, მამასადაც, 1015 წელს დაირღვა გიორგი I-ის პოლიტიკის მეოხებით.

6. «მ ა ე ე», ისტორიის სერია, 1979, № 3

местности Ширимни, находящемся в Кола-Палакацио. После этого последовал целый ряд военных действий, закончившийся полным разгромом грузин в 1022 году в Басиане.

В последние годы было высказано предположение о том, что место сражения Ширимни находилось в Аршарунике, юго-восточнее г. Қарса, где в 1022, а не в 1021 году грузинами велся бой против византийских сил. Причиной, побудившей грузин проникнуть в столь отдаленную от их границ область, следует считать тяжелое положение Василия II в период мятежа Қсифия и Фоки.

В предлагаемой статье выявляется ошибочность вышеизложенных соображений и доказывается, что Ширимское сражение в действительности произошло в 1021 году в Кола-Палакацио; в 1022 году грузины сражались против византийцев в Басиане, где они потерпели полную неудачу, имевшую плачевные последствия для Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის
 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
 ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის გან-
 ყოფილებამ

დარეჯან კლდიაშვილი

ჯაყელ-გოცოცხეთა საგვარეულოს ისტორიისათვის
(XI—XII სს.)

ჯაყელთა საგვარეულომ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში. წინამდებარე წერტილში შესწავლილია ჯაყელთა ფეოდალური სახლის ისტორია XI—XII სს.-ში. ჯაყელთა საგვარეულო ისტორიის შესწავლა ამ საუკუნეთა ფარგლებში სპეციალურად არავის უცდია. წერილი აგებულია ძირითადად ქართულ პირველწყაროებზე. გამოყენებულია როგორც ეპიგრაფიკული, ისე დოკუმენტური და ნარატიული მასალა.

I. ალის მაღისიის ეპიგრაფის წარწერა და ჯაყელთა ფეოდალური სახლის ისტორია XI ს-ში

პირველი ცნობები ჯაყელთა საგვარეულოს შესახებ ისტორიულ წყაროებში XI ს-ის I ნახევრიდან ჩნდება. რაც შეეხება ჯაყელთა საგვარეულო ისტორიის ადრეულ პერიოდს, მის შესახებ პირდაპირი მითითება არა გვაქვს. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით, ჯაყელთა საგვარეულო სახელი ჯაყის ციხის მფლობელობიდანაა ნაწარმოები¹. თუ რა დროიდან ფლობდნენ ჯაყელები ჯაყის ხეობას და სად მდებარეობდა ჯაყის ციხე, ცნობილი არ არის. ჯაყის ციხე საძიებელია ჯაყის-წყლის ხეობაში. იგი აქ მდებარე ჩანჩახისა და ყალა-ბოინას ციხეთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს. ამ ციხეების ადრინდელ სახელებს ჩვენამდე არ მოუღწევია. პ. უვაროვას არქეოლოგიური ექსპედიციის აღწერილობით, ყალა-ბოინა ჯაყის ხეობის ბოლოში მდებარეობდა და, როგორც ჩანს, ხეობის ჩამკეტ სიმაგრეს წარმოადგენდა². ამავე ექსპედიციის მიერ არის აღწერილი ჩანჩახის ციხე-სიმაგრეც, რომელიც ასევე ჯაყის-წყალზე მდებარეობდა³.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ „ჯაყ“ ფუძესთან დაკავშირებით სამი გეოგრაფიული პუნქტია აღნიშნული: ჯაყისმანი, ზედა ჯაყი და ჯაყის რაბათი, ე. ი. ჯაყის ციხე⁴. ჩვენთვის საინტერესოა ჯაყის ციხე და ზედა ჯაყი. აქედან პირველი მდებარეობდა დიღვირიდან 6 ვერსის მანძილზე აღმოსავ-

¹ Посховский участок, Материалы по археологии Кавказа, вып. IV, М., 1894, გვ. 95; Е. Такайшлин, заметка насчет статьи Д. И. Девицкого—«Древности Пощховского участка», Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 35, Тифлис, 1905, გვ. 247; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1938, გვ. 53; პ. ინგოროვია, რუსთველიანის ეპილოგი, თბ. კრებ. ტ. I, თბ., 1963, გვ. 597; ი. სიხარულიძე, სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან XIII—XV სს. კრებ. «სამხრეთ საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საკითხები», VIII, ბათუმი, 1975, გვ. 26.

² Материалы по археологии Кавказа, вып. IV, გვ. 95.

³ იქვე, გვ. 97.

⁴ ს. ქიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, თბ., 1958, გვ. 455.

ლეთით, ხოლო ზედა ჯაყი ჯაყის-წყალზე სოფ. არილას ჩრდილო-დასავლეთით. აქვე მდებარეობდა სოფ. ჩანჩახი⁶. ამდენად, შესაძლებელია ყალა-ბოინას ციხე გავივიგოთ ჯაყის ციხესთან, ხოლო ზედა ჯაყი ჩანჩახთან⁶.

ჯაყის ციხის მდებარეობის განსაზღვრისას უპირატესობა 993 წ. დათარიღებულ ყალა-ბოინას ეკლესიის წარწერას ენიჭება:

„სახელი(ლ)თა ღმრთ[ისაათა] დ[ა] მეოხებითა
 წმიდ[ისა] ღმრთის[მ](-)ა)შობელისაათ(ა) და [შე]წევნი[თა]
 ნათლი[ს]მცე[მელისაათ]თ[ა] აღვაშენე[ნე] წმიდ[აჲ] ესე ეკლესიაჲ
 მე მოვანე [...] სადი[დე]ხელ[აჲ] დ[ა] [სა]ლოცველად
 ძმ[ათა] დ[ა] შვილთ[ა], ჩუენდ[ა] საჯს(ა)რაჲლ,
 სულ[თა] ჩუენ[] ბაგრატ ქართ[ველ]თა მეფობასა დაე[ითის]
 [კ]ურაბალატობას[ა], ერთობით აღ[ი]დენე[ნე] ღმერთმან, ქრონიკონი
 იყო სივ /993/“⁷.

თუ დავუშვებთ, რომ ყალა-ბოინას ციხე იგივე ჯაყის ციხეა, მაშინ ყალა-ბოინას ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული იოვანე ჩვენ ჯაყელად შეგვიძინია მივიჩნიოთ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ იოვანე ტრადიციული სახელი იყო ჯაყელთა გვარში. წარწერის მიხედვით იოვანეს ჰყავს შვილები და ძმები. იგი ამ მხარის ფეოდალი უნდა იყოს. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ჯაყელები ჯაყის ხეობაში უკვე X ს-ის დამლევიდან ჩანან.

ოცდაათიოდე წლის შემდეგ, ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელთა შესახებ ბირდაპირ მითითებას ვხვდებით ალის ეკლესიის ეგვტერის წარწერაში, რომელიც ფოცხოვის ხეობაში მდებარეობდა⁸, წარწერა ორჯერ არის გამოცემული. ე. თაყაიშვილი ამ წარწერას შემდეგნაირად კითხულობს:

სახელითა ლ[მრთისათა] აღვაშენეთ ეგვტერი ესე მე ასან და
 ...[და]რსმან სამარხავად ჩუენთს, შვილისა [ჩუენთათს], აღიდენ
 ღმერთმან ერისთავთ ერისთავი ბოციო... [იო]ვანე და ბეშქენ.
 არავისი წა[რსაგებელი რთავს] და ვერცავინ დაემარხოს უკუნ[ისამ-
 დე ჩუენის] შვილთაგან კიდე. ღიდნი ჭირნი [გვინახავს ამისა] შე-
 ნებასა შინა. ამინ⁹.

ა. ბაქრაძე და ს. ბოლქვაძე კი ასეთ წაკითხვის გვთავაზობენ:

⁶ ს. ჯიჭია, დასახ. ნაზროში, გვ. 456.

⁷ სახელი ჩანჩახი გვხვდება ამ მხარის ძველ ონომასტიკონში. 1028 წელს ჩანჩახი ფალეს კონსტანტინე კეისრისათვის ვარჯლობის ციხე გადაუცია და საბერძნეთში წასულა (მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1, თბ., 1955, გვ. 292; სუმბატ დავითის ძე, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 385.).

⁸ საქართველოს სახ. მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილია და დასაბუჟდად მომზადებულია ა. ბაქრაძის და ს. ბოლქვაძის მიერ, თბ., 1953, გვ. 17 (იხ. ტაბ. IX, სურ. №1).

⁹ წარწერაინი ქვა წამოღებულია ფოცხოვის ხეობიდან სოფ. ალის ეკლესიიდან (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია). თბილისში ჩამოტანილი და საეკლესიო მუზეუმში ჩაბარებულია 1899 წელს ფოცხოვის უზნის უფროსის მ. ხერხეულიძის მიერ. წარწერაინი ქვა გატეხილია ოთხ ნაწილად, რომელთაგან ერთი დაკარგულად ითვლება. ამჟამად ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმში 115. /13-14/.

⁹ Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, III, Тифлис, 1907, გვ. 3.

1. ქ. სახელითა ლ[მრთისაჲთა აღვაშენეთ ეგუტერი ესე
2. მე, ასან და [...] რწმან სამარხავად
3. ჩუენთუს და შვილისა, ადიდენ ღმერთმან
4. ერისთავთ-ერისთავი ბოცოჲ, [ი]ვანე¹⁰ და ბეშქენ,
5. არა ვისი წა[...] და ვერც[ა] ვინ დაე
6. მარხო[ს] უკნ[...]-ის შვილთაგან კიდ[ე]
7. დიდნი ჭირნი [...] [შ]ენებასა შინა, ა[შენ]¹¹.

წარწერა შესრულებულია ასომთავრული ხუცურით, რომელშიც შერეულია ნუსხა-ხუცური და მხედრული ასოები. ვანკვეთის ნიშნები ნახშირი არ არის. ეპიგრაფიკულ ძეგლებში ნუსხური ასოების შერევა X ს-დან იწყება, როდესაც ასომთავრულში ერევა მხოლოდ ნუსხური ლ-ასი, ხოლო XI ს-ში სხვა ნუსხური ასოებიც¹². ალის წარწერაში გვხვდება ნუსხური ლ-ასი და ც-ინი; მხედრული მ-ანი და ნ-არი. ამდენად, ქველის პალეოგრაფიული მხარე შესაძლებლობას იძლევა იგი XI ს-ის 1 ნახევრით დათარიღდეს. მაგრამ ალის წარწერის დათარიღება ძირითადად მასში მოხსენიებული პირების მიხედვით ხდება.

ე. თაყაიშვილი წარწერაში მოხსენიებულ ბოცო, იოვანე და ბეშქენს XI ს-ის სამცხის ძველ მმართველ ჯაყელებად მიიჩნევდა. მისი აზრით, ბეშქენ ჯაყელი იყო თუხარისის ერისთავი, ბოცო ჯაყელი მარზპანი, ხოლო იოვანე ისენიებოდა გიორგი II-ის დროს¹³, მაგრამ მას ბაგრატ IV დროსაც უნდა ეკხოვრა¹⁴.

ალის წარწერას შეეხო ა. ბაქრაძე თავის სადისერტაციო ნაშრომში „ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო (V—XII სს.)“ ა. ბაქრაძე ეთანხმება ე. თაყაიშვილს, რომ წარწერაში მოხსენიებული პირები უნდა იყვნენ XI ს-ის სამცხის მოღვაწენი — ბეშქენ თუხარისის ერისთავი და ბოცო მარზპანი, რაც იგივე ერისთავია. იოვანე კი ნარატიულ წყაროებში არ არის ცნობილი. მისი აზრით, ამ შემთხვევაში ეგვეტრთა მაშენებლები იხსენიებდნენ ჯაყელთა საგვარეულოს წევრებს, როგორც ამ მხარის უშუალო მმართველებს. მათი თანამიმდევრობით დასახელება მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ ეს პირები უფროს-უმცროსობის წესით არიან მოხსენიებულნი. ორი უკანასკნელი შეიძლება შვილები იყვნენ ერისთავ ბოცოსის¹⁵.

ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით ალის წარწერაში მოხსენიებულ ერისთავთ-ერისთავ ბოცოს, იოვანეს და ბეშქენის ვინაობას და მათთან დაკავშირებულ ჯაყელთა სახლის დანარჩენ წარმომადგენლებს.

პირველად სახელი ბოცო გვხვდება XI ს-ში აწყურში ლიპარიტ ერისთავ-

¹⁰ თუ ბოცო, [ი]ოვანე. წარწერას ამ ადგილას ერთი ნაწილი აკლია. შესაძლებელია ამ შემთხვევაში ე. თაყაიშვილის წაკითხვა უფრო მართებული იყოს.

¹¹ საქართველოს სახ. მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, გვ. 20 (იხ. ტაბ. IX, სურ. №2).

¹² ე. ი. ს. კ. ა. რ. შ. ი. ლ. ი., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 42—44.

¹³ ე. თაყაიშვილი გულისხმობდა «მატიანე ქართლისაჲს-ს ერთ ცნობას, რომელიც გიორგი II-ის შეუღობას განეკუთვნება და საკმაოდ ბუნდოვანია.

¹⁴ E. T. A. K. A. I. S. V. I. L. I., Археологические экскурсии, вып. III გვ. 3—4.

¹⁵ ა. ბ. ა. კ. ა. ძ. ე., ქართული ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო (V—XIII სს.), თბ., 1954, გვ. 79—81.

ვის შეეკეთით გადაწერილ იოანეს სახარების თარგმანის ანდერძში: „დაიწერა წმინდაა ესე წიგნი დიდებულსა საყდარსა აწყურისასა, საყოფელსა წმიდნა ლ'თისმშობლისასა, კელითა საპყრისა ჩემისა გაბრიელ მწერლისა კოტაისათა, მღვდელთმოდურებასა არსენი ეპისკოპოსისასა, ბოცოისა მარზპანისა ჯაყელისა ძისასა. ქორონიკონი იყო სიიგ (482)“¹⁶, ე. ი. 1053 წ. ამ მინაწერის მიხედვით, ბოცო მარზპანი XI ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან 1053 წ. მისი ძე არსენი უკვე აწყურის ეპისკოპოსი ყოფილა. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, 1046 წელს ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს შორის მომხდარი ბრძოლის დროს „... გამოიყვანნა მაწყუერელმან მესხნი, განძითა ბაგრატისითა, შუელად მეფისა“, მაგრამ შემდგომ უღალატა მეფეს და მიემხრო ლიპარიტს¹⁷. ხომ არ იყო ეს მაწყვერელი არსენ ეპისკოპოსი ჯაყელი, რომელიც 1053 წ. აწყურის ეპისკოპოსად ოსენიება? მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ აწყურში გადაწერილი სახარება ლიპარიტ ერისთავის ბრძანებით არის შესრულებული.

დღემდე არც ერთ მკვლევარს ყურადღება არ მიუქცევია, თუ რისი ერისთავი უნდა ყოფილიყო ბოცო მარზპანი ანუ ერისთავთ-ერისთავი. ჩვენი აზრით, იგი შეიძლება ყველის ერისთავი ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით, ყველი „...არსიანის გზას უდარაჯებდა, ამასთანავე ერისთავის საჯდომადაც ითვლებოდა“¹⁸. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით, ყველი ჯავახეთს ეკუთვნოდა¹⁹. ეს თვალსაზრისი უგულებელყოფილია დ. ბერძენიშვილის მიერ, რომლის აზრით, ყველი სამცხის საერისთავოს პუნქტი იყო²⁰. ასევე უგულებელყოფილია ლ. მუსხელიშვილის თვალსაზრისი ყველის ერუშეთში მდებარეობის შესახებ. ს. ჯიქიას მიხედვით, იგი აჭარა-ფოცხოვის მიჯნაზე მდებარეობდა²¹. ჩვენი აზრით, ამ მხარეში გარკვეულ პერიოდში ყველის დამოუკიდებელი საერისთავო არსებობდა, საფიქრებელია, რომ ყველის საერისთავოში ფოცხოვისა და ჯაყის ხეობები შედიოდა²². „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, XI ს-ის 40-იან წლებში არტანუჯის ერისთავი აბუსერი იყო „...ხიხთა და ციხის — ჭუარისა და აწყურის ციხის პატრონი“²³. ე. ი. სამცხის დიდი ნაწი-

¹⁶ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ 1, ტფილისი, 1892, გვ. 194. ქუთაისის სახ. ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი და დასაბუქლად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, ტ. I, თბ., 1953, გვ. 101.

¹⁷ მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 300.

¹⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 11, თბ., 1948, გვ. 55.

¹⁹ იქვე; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 119; ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. «შოთა რუსთაველი», თბ., 1966, გვ. 59.

²⁰ დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. კრებ., «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებულები», V, 1975, თბ., გვ. 102—104, 130.

²¹ აბუსერიძე ტბელი, ბოლოკაბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მათიანე, გამოსცა ლ. მუსხელიშვილი, თბ., 1942, გვ. 19; ს. ჯიქია, გურჯისტანის დიდი დაეთარი, III, გვ. 441.

²² ს. უვაროვას არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით, არსებობდა გადმოცემა, რომ ყველი არქიმანდრიტის რეზიდენციას წარმოადგენდა და ამ მხარის დანარჩენ ციხე-სიმაგრეებს მეთაურობდა (იხ. Материали археологии Кавказа (შემდეგში: МАК), вып. IV, გვ. 102—103).

²³ მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 300.



ლი არტანუჯის ერისთავის საპატრონოს წარმოადგენდა. ამდენად, ყველის საერისთავოს ამ დროისათვის სამცხის საერთისთავოდ ვერ ვიგულისხმებთ.

განსაკუთრებით ძნელდება ალის წარწერაში მოხსენიებული იოვანეს ვინაობის დადგენა. აღსანიშნავია, რომ წარწერაში იოვანე და ბეშქენი ერისთავებად არ იხსენიებიან. „მატიანე ქართლისაჲ“-ში ორჯერ გვხვდება ივანე ერისთავი, მაგრამ თხზულების ეს ადგილები ორივეგან ბუნდოვანია. 1046 წ. ბავრატ IV-ის მეფობაში, ლიპარიტმა „...გამოიტყუენა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი, და ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე, ბეჟის ციხისა პატრონი, -და შეიპყრნა იგინი ანისის კარსა“²⁴. როგორც ვხედავთ, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ამ ცნობის მიხედვით, ივანე ერისთავის ვინაობა გაურკვეველია.

კიდევ უფრო ბუნდოვანია, „მატიანე ქართლისაჲ“-ს მეორე ადგილი. 1073 წ. როდესაც ახლად გამეფებულ გიორგი II-ს ქვაბულის ძემ, ივანე ლიპარიტის ძემ და ვარდან სვანთა ერისთავმა ქვეყანა აუშალეს, „გიორგი მეფემან სძლო სიკეთითა, სიბრძნითა, და ძურ-უქსენებელ იქმნა: „უბოძა ივანეს სამშულდე; დე ძესა ივანესსა ლიპარიტს მისცა ლოწობანნი ნაცვლად რუსთავისა, რომელი მიეცა კახთა; და ნინიას თმოგვ და სხუანი საქონელნი რჩეულნი; ვარდანს უბოძა ასკალანა და უთალუბო“²⁵ ჯაყელთა, ივანეს სიტყვით, უბოძა და ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა, და დაიწყნარა მეფობა თჳსი გიორგი მეფემან“²⁶. საინტერესოა თუ, სად მდებარეობდა უთალუბო? მ. ბროსეს აზრით, „უთალუბო“ შეიძლება ნიშნავდეს გათავისუფლებას ბაჟისაგან²⁷. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უთალუბო გეოგრაფიული სახელია. მის მდებარეობას, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ. აღსანიშნავია, რომ პირის სახელი ოთალო ამ პერიოდში გავრცელებული იყო შარვაშიძეთა გვარში²⁸. რაც შეეხება ივანეს, ის თითქმის იგულისხმება ჯაყელად, რომელსაც „სიტყვით“ ებოძა უთალუბო.

ივანე (იოვანეს და იოანეს ფორმით) გვხვდება 993 წ. დათარიღებულ ყალა-ბოინას წარწერაში, რომელიც უკვე განვიხილეთ და ყველის წარწერაში. ყველის ეკლესიის წარწერაში იხსენიება იოანე ერისთავი. ა. ბაქრაძის და

²⁴ მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 300, (ხაზი ჩვენია,—დ. კ.)

²⁵ უთალუბო MM, ოთალობა C, უთალუბა dp.

²⁶ მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 316; მ. ბროსემ შემდეგნაირად გამართა ეს ადგილი „...მისცა სამშვილდე იოვანეს, ლოწობანი ლიპარიტს იოვანეს ძეს, ნაცვლად რუსთავისა, რომელიც ვადსცა კახთ, ნინიას თმოგვი და სხვა სამფლობელობი; ვარდანს ასკალანა და იოანეს ჯაყელთა გვარიდან უთალუბო“. Histoire de la Géorgie, M. B r o s s e t, I^{re} Partie, 1849, გვ. 342. რუსული თარგმანით, ვარდანს უბოძეს ასკალანა და ჯაყელების უთალუბო, ივანეს რჩევით, (იხ. Матиане Карлиска, перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1976, გვ. 60).

²⁷ Histoire de la Géorgie, M. B r o s s e t, I^{re} partie, გვ. 342, შენ. 8. მ. ბერძენიშვილის აზრით, უთალუბო ჯაყის და მათი საგამგეო ტერიტორიის-თუხარისის სიახლოვეს არის საძიებელი. შეიძლება ამ სახელწოდებაში იგულისხმება ჯაჯახეთში მდებარე ოთა და ლობიეთი (იხ. მ. ბერძენიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 55).

²⁸ მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 299; ისტორიანი და აზმანი შარვაენდელთანი, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს შვირ, თბ., ტ. II, 1959, გვ. 33.

ს. ბოლქვაძის გამოცემით წარწერა პალეოგრაფიულად XI ს. არ სცილდება და წაკითხულია შემდეგნაირად:

[საყ]დარი [ი]ოანე
 ერისთ[ვისა]

სახელითა [ი]ეთი
 ესე ჭუარი ჩუენ
 შვა [ვა]ს ძეთა

ავჰმართეთ კ[ელი]თ[ა]²⁹.

თუ დავუშვებთ, რომ ყველის წარწერაში მოხსენიებული იოანე ერისთავი არის ალის წარწერაში და „მატიანე ქართლისაჲ“-ში 1046 წელს მოხსენიებული ივანე, მაშინ ის ყველის ერისთავი უნდა ყოფილიყო XI ს-ის 40—50-იან წლებში, ბოცო ერისთავთ-ერისთავის შემდეგ. 1058 წ. ბაგრატ IV-ის მიერ ლიპარიტის დამარცხების შემდგომ მეფემ „კელთა აღიხუნა ლიპარიტეთგან ციხენი არტანუჯი და ყუელი, უფლისციხე და ბირთვისი“³⁰. გამოთქმაში „ლიპარიტეთგან“, ლიპარიტის მომხრეები იგულისხმება. ჭაყელები, როგორც ცნობილია, ლიპარიტს უჭერდნენ მხარს (ბეშქენ ჭაყელი, აწყურის ეპისკოპოსი არსენი). 1068 წ. ფადლონის წინააღმდეგ წარგზავნილთა შორის იხსენიება მურვან ჭაყელი, ყველის ერისთავი³¹.

ასევე გამორიცხული არ არის, რომ ყველის წარწერის იოანე ერისთავი არის — „მატიანე ქართლისაჲ“-ში 1072 წ. მოხსენიებული ივანე, რომელიც შესაძლებელია ყველის ერისთავია მურვან ჭაყელის შემდეგ. ცნობათა სიმცირის და გაურკვევლობის გამო რომელიმე თვალსაზრისის გადაჭრით მტკიცება ძნელია.

რაც შეეხება ბეშქენს, მის შესახებ ცნობები დაცულია „მატიანე ქართლისაჲ“-ში, დავითის ისტორიკოსთან და აგარის სატრაპეზოს წარწერაში. ბაგრატ IV-ის მეფობაში ჩანს ბეშქენ ჭაყელი, რომელიც თუხარისის ერისთავი ყოფილა. XI ს. 40-იან წლებში ბაგრატსა და ლიპარიტს შორის ბრძოლის დროს იგი ლიპარიტის მხარეზე უნდა ყოფილიყო: „და ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი, და ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთაუფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატიისა, თვნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჭაყელისა, თუხარისისა ერისთავისა“³². აგარის სატრაპეზოს წარწერაში ბეშქენი ერისთავთ-ერისთავად იხსენიება³³.

ბეშქენი იხსენიება დავით აღმაშენებლის დროსაც. 1118 წ. ნახიდურს მყოფ დავითს „მუნ მოართუეს ამბავი ბეშქენ ჭაყელისა ჯავახეთს თურქთაგან მოკლვისა“³⁴. ამ ორ ცნობას შორის დაახლოებით 68 წელია გასული. ნ. ბერძენ-

²⁹ ესა ყველის წარწერის ბოლო გამოცემა. იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, გვ. 16; (იხ. ტაბ. X, სურ. №1, 2, 3) აგრეთვე: Е. Такайшвили, Археологические экскурсии, III, გვ. 6; მ. ჯანაშვილი, კორიდოს ოთხთავი და მისი ქართული წარწერები, ძველი საქართველო, 1, 1909, გვ. 78—79; М. Джанашивили, Каталог предметам церковного музея грузинского духовенства, Тифлис, 1914, გვ. 61, № 8.

³⁰ მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 305.

³¹ მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 310. ერისთავთ-ერისთავი. მურვან ჭაყელი იხსენიება აგარის მონასტრის სატრაპეზოს წარწერაში. რომლის მიხედვით «...ეჲთა ბეშქენ და მრენის მლოცველმან მე ვფრემ ზელეყავ შენებად ტრაპეზისა ამის...» (იხ. А. С. Х а х а н о в, Экспедиция на Кавказ 1892, 1893, 1895, МАК, вып. VII, 1898, გვ. 66—67).

³² მათიანე ქართლისა გვ. 298.

³³ А. Х а х а н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 66—67; ვ. ბერძენი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 166.

³⁴ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება I, გვ. 324.



ნიშვილის ვარაუდით, 1118 წ. მოხსენიებული ბეშქენ ჯაყელი არის თუხარისის ერისთავის ბეშქენ ჯაყელის შვილიშვილი და თვით ერისთავი³⁵. ცხადია, რომ ამ ორ ცნობაში ორი სხვადასხვა პირი იგულისხმება.

რატომ ჩანს ბეშქენ ჯაყელი ჯავახეთში? ჯაყელები ამ დროისათვის დამკვიდრებულები არიან ფოცხოვის ხეობაში და ოძრხე-ციხისჯვარში, რაც შეეხება ჯავახეთს ისინი აქ ბევრად გვიან იკიდებენ ფეხს.

შტრაღლებას იქცევის სათხის წარწერა (მდებარეობს ჯავახეთის ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოციოდე კმ-ის მანძილზე):

1. „ჭრისტე შეიწყალე გიორგამ. ქრისტე, შეიწყალე ჩ'ა/ხოვამ?/ ბეშქენის ყმაა“.

II. „ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ-ერისთავი, აემენა ეკლესია სადიდებლად მათდა და მშობელთა მათთა სამლოცველოდ“³⁶.

ვ. ცისკარიშვილი ვარაუდობს, რომ ფარსმან ერისთავთ-ერისთავი იყო ბაგრატ IV-ის დროინდელი ფარსმან თმოგველი. მისი აზრით, ამას პირველ წარწერაში ბეშქენის მოხსენიებაც ადასტურებს. „მატიანე ქართლისაჲ“-ში ფარსმან თმოგველი და ბეშქენ ჯაყელი, ერთად იხსენიებიან ბაგრატ IV-სა და ლიპარიტის შორის ბრძოლის დროს, ვ. ცისკარიშვილის აზრით, ბეშქენ ჯაყელს ასევე ჯავახეთში უნდა ჰქონოდა მამულები, თუკი მისი ყმა თავის მოსახსენებელს აწერს სათხის ეკლესიას³⁷.

საყურადღებოა, რომ წარწერაში ბეშქენი ერისთავობის გარეშეა მოხსენიებული, ამიტომ აქ საფიქრებელია რომელიმე ადგილობრივი ფეოდალი და არა ბეშქენ ჯაყელი. საეშვოა აგრეთვე, რომ ბეშქენს ჯავახეთში ჰქონოდა მამულები. ის ფაქტი, რომ ბეშქენ ჯაყელი იხსენიება ფარსმან თმოგველთან ერთად „მატიანე ქართლისაჲ“-ში და 1118 წ. ჩანს ჯავახეთში, შეიძლება აიხსნას იმით, რომ იგი მონაპირე ერისთავის მოვალეობას ასრულებდა. 1118 წ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობიდან ისე ჩანს, რომ იგი ახლდა ლაშქარს თურქთა წინააღმდეგ.

ამრიგად, XI ს-ში ჯაყელები სახლობენ ჯაყისა და ფოცხოვის ხეობაში და ალში (ფოცხოვის ხეობაში) იშენებენ საგვარეულო ეკლესიას, რაც დასტურდება განხილული წარწერით. წარწერა ეკუთვნოდა ალის ეკლესიის ერთ-ერთ ეგვტერს, რომელიც XI ს. 30—40-იანი წლებით თარიღდება. ვინაიდან წარწერაში თვით ეკლესიის აშენებაზე არაფერია ნათქვამი, მისაღები უნდა იყოს ე. თაყაიშვილის მოსაზრება, რომ ალის ეკლესია ზარზმის თანამედროვეა და აშენებულია ბაგრატ III-ის და დავით კურაპალატის დროს, როდესაც აშენდა ყალა-ბოინას ეკლესია, ე. ი. X ს. დამლევს³⁸.

ქართული წერილობით წყაროებში შემორჩენილი ცნობების მიხედვით, ჯაყელები აქტიურად იბრძვიან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და ყოველგვარ დახმარებას უწყვეტ ლიპარიტ ობრელიანს ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბრძოლაში (არსენ ეპისკოპოსი, ბეშქენ ჯაყელი).

ამ პერიოდშივე ხდება ჯაყელთა და ციხისჯვარელთა საგვარეულოს დაპი-

³⁵ ნ. ბ. ბ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 64.

³⁶ ვ. ც. ი. ს. კ. ა. რ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 38.

³⁷ იქვე, გვ. 38—39.

³⁸ Е. Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, III, გვ. 4.

რისპირება. სულა კალმახის ერისთავი ბაგრატ IV-ის ერთგულთა რიგებშია. იგი ამ ერთგულებისათვის იღებს სამამულედ ციხისჯვარს და საფუძველს უყრის ციხისჯვარელთა ფეოდალურ საგვარეულოს³⁹.

1177—1178 წწ-ში ორბელთა ამბოხების დროს ჯაყელები კვლავ ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში არიან. სტეფანოზ ორბელიანი სხვა აჯანყებულებთან ერთად მემნა ჯაყელს ასახელებს. პ. ინგოროყვა და ი. სიხარულიძე მემნა ჯაყელს ბოცოსძედ მიიჩნევენ⁴⁰. ი. სიხარულიძის აზრით, „მემნას ბოცოსძეობას მისი სახელიც (მემნა) აღსატურებს. ეს სახელი ძალიან პატივდებული იყო ჯაყელ-ბოცოსძეთა სახლში“. ამავ დროს ი. სიხარულიძე იზიარებს ლ. მუსხელიშვილის მოსაზრებას, რომ მემნა ჯაყელის ასულია კრავაჟ ჯაყელი, რომელიც დიდი გამრეკელის თანამეცხედრე უნდა ყოფილიყო⁴¹. როგორც ვხედავთ, ავტორი იზიარებს პ. ინგოროყვას მოსაზრებას მემნას ჯაყელ-ბოცოსძეობის შესახებ და იმოწმებს ლ. მუსხელიშვილს, რომელიც მემნას ჯაყელ-ციხისჯვარელად მიიჩნევს, თუმცა ამ ფაქტს პირდაპირ არ ასახელებს⁴².

სტეფანოზ ორბელიანი 1177 წ. დემნას ამბოხებასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „და მიემხრნენ ივანე ორბელს ყოველნი მთავარნი და აზნაურნი ქართველნი. ყველა ისინი ერთობლივ წარემართნენ და მივიდნენ მასთან აგარაკს დარბაზში. ქართლის ერისთავნი, ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ა ა ნ ი, ჯავახელნი კახა და მისი შვილები, დიდი გამრეკელი, ჯ ა ყ ე ლ ი მ ე მ ნ ა...⁴³ ამ ცნობაში მოხსენიებულ მემნა ჯაყელს ყვარყვარიანთ სახლს ვერ მივაკუთვნებთ, ვინაიდან ციხისჯვარელთა ფეოდალური საგვარეულო ჯაყელად მხოლოდ 1191წ. აჯანყების შემდგომ იწოდება.

II. ჯაყელთა ძირითადი შტო — ჯაყელ-ბოცოსძეები

ა. სამცხის ერისთავი და სპასალარი ბოცო ჯაყელი

ჯაყელ-ბოცოსძეებში ფოცხოვის ხეობაში დამკვიდრებულ ჯაყელთა ძირითადი სახლი იგულისხმება. ბოცოსძეთა საგვარეულოზე მუშაობისას ჩვენ საშუალება მოგვეცა გამოგვეყენებინა ქრ. შარაშიძის მიერ გამოსაცემად მომზადებული „ალის მონასტრის საბუთები და აღაპები“. აქ დაცული მასალა ნაწილობრივ ავსებს იმ მცირერიცხოვან ცნობებს, რომელიც ამ საგვარეულოს შესახებ მოგვეპოვება.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“-ში, იქ, სადაც ჩამოთვლილია თამარის დროის ერისთავები, აღნიშნულია, რომ „...სამცხის ერისთავად და სპა-

³⁹ მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 305.

⁴⁰ პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 598; ი. სიხარულიძე, სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან XIII—XV სს.

⁴¹ ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

⁴² ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამპლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, X—B, ტფილისი, 1940, გვ. 33; 23—46.

⁴³ მოგვეყვას სომხურიდან სტეფანოზ ორბელიანის ამ ცნობის ნ. შოშიაშვილისეული თარგმანი. იხ. ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. «შოთა რუსთაველი», თბ., 1966, გვ. 27.

სალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი⁴⁴. აღსანიშნავია, რომ აქ ჩამოთვლილ ერისთავებს შორის მხოლოდ ბოცო ჯაყელია ახლად დადგენილი, ამავდროს სხვა ერისთავებისაგან განსხვავებით იგი „ერისთავად და სპასალარად“ იწოდება.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, სპასალარი ამირსპასალარის სახელოში შედიოდა და თითოეულ თემსა და კუთხეს თავისი სპასალარი ჰყავდა⁴⁵ ივ. ჯავახიშვილს ყურადღება მიუქცევია, რომ წყაროებში მხოლოდ სამცხის სპასალარია დასახელებული. მისი აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ „...სამცხის სპასალარი ვითარცა მეწინავე ჯარის უფროსი ომების აღწერილობაში, რასაკვირველია სხვებზე ხშირად უნდა იყოს მოხსენიებული“⁴⁶.

საფიქრებელია, რომ სამცხის სპასალარობა ძველის გადმონაშთი იყო. უფროკი საქართველოს გაერთიანების შემდგომ პერიოდს უკავშირდება.

როგორც აღვნიშნეთ, სამცხის სპასალარი და ერისთავი წერილობით წყაროებში პირველად თამარის დროს გვხვდება. შესაძლებელია ეს ხელი მანამდე ეკავა ბეშქენ ჯაყელს, რომელიც 1118 წელს მოკლეს თურქებმა, ხოლო შემდეგ მემნა ჯაყელს, რომელიც 1177 წ. მონაწილეობას იღებდა ორბელთა ამბოხებაში, მაგრამ ცნობების უქონლობის გამო ამის თქმა ძნელია. თავდაპირველად სამცხის სპასალარობა და ერისთავობა ცალ-ცალკე ხელი ჩანს. საფიქრებელია, რომ სამცხის სპასალარის ხელის შემოღება განპირობებულია ქართულ ფეოდალურ ლაშქარში შესხთა მოწინავეობით და საქართველოს სამხრეთი საზღვრის დაცვის მიზნით (მონაპირეობა). მაგრამ სამცხის სპასალარის და ერისთავის ხელის ცალ-ცალკე არსებობა საკმაოდ ხანოკლე აღმოჩნდა და „სამცხის სპასალარად“ წოდებული თანამდებობის პირი მალე ჩვეულებრივ ერისთავად იქცა⁴⁷.

სამცხის სპასალარი იგივე მონაპირე ერისთავი იყო. ბასილი ეზოსმოძღვარი თამარის დროის მონაპირეებზე საუბრისას აღნიშნავს: „ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს, რომელთა შორის იყო ყუარყუარა, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯვებული და ერთგული მეფეთა“⁴⁸.

სამცხის სპასალარის მოვალეობაში, სამხედრო ფუნქციის გარდა ხარკის აკრეფაც უნდა ყოფილიყო. ვახუშტი ბაგრატიონი სპასალარის ფუნქციის შემ-

⁴⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34.

⁴⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, ტფილისი, 1928, გვ. 50.

⁴⁶ იქვე, გვ. 151.

⁴⁷ ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, «გიორგი ათონელის ენაში, ჯარის უფროსს მხედართმთავარს სპასალარი ეწოდებოდა. ეს იყო ცოცხალი სახელი და არა ერისთავი, რომელიც ეხლა უმთავრესად ერის (დაბალი ხალხის) უფროსს, ადმინისტრაციულ მოხელეს, ფეოდალს ეწოდებოდა. ის რა თქმა უნდა, თავისი ქვეყნის, ჯარის უფროსი იყო. ასევე ფეოდალიც მის მამულში ჯარის უფროსი იყო. ამიტომ შეძლო ერისთავმა სპასალარის შეთავსებაც». ნ. ბერძენიშვილი სვამს კითხვას: „სპასალარობის ინსტიტუტი ხომ არ გააძლიერა დავით აღმაშენებელმა და ხომ არ სცადა მათი დაპირისპირება ერისთავობისადმი?“ (იხ. როგორც ყოფილნი დაყო გუარად და უჩინა სპასალარნი?) /მაგრამ იმ მოვლენამ, რამაც ძველი ერისთავები (ჯარის უფროსები) ფეოდალებად აქცია, იგივე მოვლენა იყო მიზეზი სპასალართა ინსტიტუტის დამოუკიდებელი არსებობის უღელტეხობისა, მისი ერისთავობის მიერ შეთავსებისა». (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 70).

⁴⁸ ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 129.

დღეგანირად განსაზღვრავს: „ესევე შეპკრებდა ლაშქართა და ხარკსა სამეფოსა ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა“⁴⁹.

აღსანიშნავია, რომ „ველმწიფის კარის გარიგება“-ში საწელიწადო ძღვენის მირთმევა „ერისთავთა, ქართლის ერისთავისა, სამცხის სპასალარისა...“ არის⁵⁰. ე. ი. სამცხის სპასალარი ქართლის ერისთავის და სხვა ერისთავთა რიგის მოხელედ ითვლება.

ამრიგად, სამცხის სპასალარი იგივე ერისთავია, მხოლოდ მისი სამხედრო ფუნქციები გაზრდილია (მეწინავე ჯარის მეთაურობა, მონაპირეობა), რაზედაც მისი სამცხის სპასალარად და არა ერისთავად მოხსენიებაც მიგვანიშნებს. სწორედ სამცხის სპასალარის ხელი წარმოადგენდა სამცხეში პირველობის საწინდარს.

წიგნის ძირითადი ღირსება იმაში გამოიხატება, რომ ყველა დასახელებულ მცენარეს თან ახლავს ლათინური, არაბული და სპარსული შესატყვისი ტერმინები, ხშირად არის ნახმარი თურქული, უფრო იშვიათად ბერძნული და ებრაული ტერმინები. მცენარეულის დასახელებასთან ერთად მოცემულია სამკურნალოდ მათი ხმარების წესი, დაავადებები, რომელთა დროს იხმარება მცენარე, დოზები და ა. შ. ყველა მცენარის და დაავადების განხილვას თან ახლავს ლიტერატურული წყაროები.

ს. შარიმანაშვილის ეს კაპიტალური ნაშრომი დიდი მეცნიერული ღირებულებისა არა მარტო კავკასიის, არამედ მსოფლიოს სამკურნალო მცენარეულის შესწავლა-განოყენების საქმეში. იგი შესრულებულია ღრმა მეცნიერული ცოდნით და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. ზოგი მეცნიერის აზრით (ი. მულკაჯანიანი, კ. მარჯანიანი), ეს შრომა რუსეთში ბოტანიკის ტერმინოლოგიური ლექსიკონის შექმნის ერთ-ერთი პირველი ცდაა, რითაც მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

ს. შარიმანაშვილი, დასახელებული შრომების დიდი მეცნიერული ღირებულების გამო, გათანაბრებულია სომხეთის მედიცინის გამოჩენილ კლასიკოსებთან მხითარ გერაცისა და ამირდოვლათთან³.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე მედიცინის ისტორია ს. შარიმანაშვილის მეცნიერულ შრომებს რამდენადმე კარგად იცნობს და ჭეროვნადაც არის შეფასებული. სამწუხაროდ, ბევრი რამ მისი ვინაობის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უცნობია.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეძლებისდაგვარად შეგვეგროვებინა მასალები ს. შარიმანაშვილის შესახებ და დღის სინათლეზე გამოგვეტანა ბურუსით მოცული მისი ცხოვრების ზოგი მომენტი.

სტეფანე შარიმანაშვილის ბიოგრაფიას მრავალი ავტორი შეეხო (ლ. ოგანესიანი, მ. სააკაშვილი, მ. შენგელია, ა. ლალაიანი, ვლ. ჟღენტი, ი. ტატიშვილი და სხვები), მაგრამ ბევრი რამ მისი ცხოვრებიდან კვლავ უცნობი დარჩა, ბევრი კი შეცდომითა და შეუსაბამოდ გაშუქდა.

ყველაზე ვრცლად ს. შარიმანაშვილის ცხოვრებას შეეხო სომეხი მეცნიერი ა. ოგანესიანი, მაგრამ მისთვის უცნობი დარჩა ბევრი საინტერესო მომენტი მეცნიერი ექიმის ბიოგრაფიიდან: კერძოდ, იგი არასწორ ინტერპრეტაციას გვაძლევს მისი დაბადებისა და განათლების მიღების შესახებ. მისი ვარაუდით, ს. შარიმანაშვილი უნდა დაბადებულიყო 1755—1765 წლებში⁴. ასევე, ვ. თორგომიანის რეზონურ ვარაუდზე დაყრდნობით ის ამბობს, რომ ს. შარიმანაშვილს სამედიცინო განათლება იტალიის ერთ-ერთ ქალაქში მიუღიაო, სახელდობრ რომელში, ეს ამ ავტორებმა არ იციან⁵.

ჩვენ შემდეგში ვნახავთ თუ რამდენად სწორ ცნობებზე დაყრდნობით აკეთებენ ზემოდასახელებული ავტორები თავიანთ დასკვნებს.

ვ. თორგომიანს ლივორნოს სომხური ეკლესიის სიაში აღმოუჩენია ვინმე შერიმანიანი, რომელიც 1788 წელს ცხოვრობდა ამ ქალაქში: ლ. ოგანესიანის აზრით, აქ იფულისხმება სწორედ სტეფანე შარიმანაშვილი, რომელმაც სამედიცინო განათლება ლივორნოში მიიღო⁶. ჩვენი აზრით, ეს სინამდვილეს არ უნ-

³ А. Оганесян, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

⁴ იქვე გვ. 215.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 215, 216.

და შეესაბამებოდეს, რადგან ს. შარიმანაშვილი სასწავლებლად ლივორნოში არასოდეს ყოფილა. საფიქრებელია, ლივორნოს სომხური ეკლესიის სიაში მოხვედრილი პიროვნება იყოს იტალიაში მცხოვრები მარქარე შეპრიმანიანი, რომელმაც 1788 წელს ქ. ტრიესტში ლათინურიდან ქართულად და სომხურად თარგმნა „მოთხრობა ჯენიგზ ხანისა“. ეს წიგნი ინახება საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ხელნაწერების ფონდში (A—კოლექცია, საბუთი 1165).

ამ ავტორებისათვის ცნობილია, რომ ს. შარიმანაშვილი ჩამოვიდა კავკასიაში, მაგრამ კერძოდ სად, არ იციან. „როგორც ჩანს, თბილისშიო“ — წერენ ისინი⁷. ასევე უცნობია ლ. ოგანესიანისათვის ს. შარიმანაშვილის გარდაცვალების თარიღი⁸.

რაც მთავარია, ავტორებმა ხელი ვერ მიაწვდინეს ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც ასე თუ ისე ნათელყოფდა სტეფანე შარიმანაშვილის წარმომავლობასა და ვინაობას; ნაკლებად, ან სრულიად არა აქვთ შესწავლილი ქართული და რუსული საარქივო მასალები და უქანასკნელ წლებში ქართული მიდრეკინის ისტორიისადმი მიძღვნილი წყაროები.

ამ მხრივ ყველაზე უფრო სანდოდ და უტყუარად მიგვაჩნია თვით ს. შარიმანაშვილის ავტობიოგრაფია, რომელიც პირადი თხოვნით გაეგზავნა იმპერატორ ალექსანდრე I; იგი დათარიღებულია 1804 წლის ნოემბრით. საბუთობევრ საინტერესო ცნობას შეიცავს, რის გამოც მოგვეყავს მისი სრული ტექსტი.

Всподданейшее прошение медика Степана Шериманова Лойнова, от ноября 1804 года

Имея от роду 28 лет, с малолетства моего обучали меня медицинской науке родственники мои Антон и сын его Иосиф Караевы, кои были лейб-медиками грузинских царей Теймураза, Ираклия и Георгия; но я будучи недоволен здешнею практикою отправился в Австрию и продолжал учение врачебной науки по теоретической части в г. Триесте, в Монастыре святых мучеников, на языках латинском и армянском; потом обучался при медике Петре Ермесiane, у коего изучал практическую часть врачебной науки, и от сего вступил докончить науки в Венецианский университет, откуда отправился в Грецию и в самом Константинополе продолжал 6 лет практику и упражнялся с великим прилежанием в пользовании мирового поветрия. Бude же высшее медицинское начальство потребует от меня о сем важном и о других болезнях мои примечания, то я на латинском языке их представить имею. Непоследок потребован царем Георгием и был употреблен им здесь и в Ширване по повелению его ширванскому хану Мустафе; потом отправлен был в Елисаветополь, где пользовал Джевад-хана и все его семейство, после чего поехал в Эриван во время главноуправляющего Грузиею кн. Цицианова к Эриванскому хану, выслечил сына его; потом по бытности моей в Эривани, получил письмо от удаленных царевичей Александра и Теймураза, кои по многим обещаниям звали меня к себе, чтобы я их пользовал; но

⁷ А. Оганесян, დს. ხ. ნაშრომი, გვ. 216.

⁸ იქვე, გვ. 217.

как я был связан присягою В. И. В., то не пожелав никаких сокровищ, даваемых ими, отказался и, приехавший в Тифлисе, тот же день писанное от них ко мне письмо представил кн. Цицианову во уверение чего, буде угодно высшему медицинскому начальству, могу представить свидетельства от тех людей, коих я пользовал, почему всеподданейше прошу, дабы высочайшим В. И. В. указом повелено было сие мое прошение принять и о позволении мне продолжать свою практику в Тифлисе в рассуждении вышеписанных наук моих, приобретенных с малолетства великими трудами воспитания в Европе, и знания двух Европейских, четырех Азиатских языков, дать кому следует предписание и о том учинить милостивое рассмотрение⁹.

ამ თხოვნის დაწერა გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა: ცარიზმის პოლიტიკით უკმაყოფილო ბატონიშვილები და დიდებულები არ ემორჩილებოდნენ ახალ კანონებს და ცდილობდნენ აღედგინათ თავიანთი ფეოდალური პრესტიჟი. ს. შარიმანაშვილს ისე როგორც სასახლესთან დაახლოებულ სხვა პირებს, ბრალად დაედოთ უფლისწულებთან საიდუმლო კავშირის დამყარება.

ქართული სამეფოს დაშლისა და ცარიზმის სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმის დამყარების შემდეგ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფეოდალად ითვლებოდა მეფეთა ძველი შთამომავალი ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი, შემდგომში 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, რომელსაც შეთქმულების პროგრამით, წარმატების შემთხვევაში, იუსტიციის მინისტრის პოსტი უნდა დაეკავებინა. შეთქმულთა მასალების გაცნობით ირკვევა, რომ ეს დინასტია საქართველოს სამეფო ტახტის დაუფლების პრეტენზიასაც აცხადებდა¹⁰. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკისთან ერთად ს. შარიმანაშვილმა შეადგინა მასალები კათალიკოს ნერსეს აშტერაკეცის წინააღმდეგ, რომელზეც მიიტანეს ეჭვი, რომ მოსყიდული იყო რუსებისაგან და თავისი ნათესავების მეშვეობით სპარსეთიდან მიღებულ საიდუმლო ცნობებს უგზავნიდა რუსეთის მმართველობას. ეს მასალები გადაიგზავნა ერევანში, რომელიც იმ დროს სპარსეთთან ეასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა¹¹.

ცხადია, ეს იყო სერიოზული ბრალდება, რის გამოც ს. შარიმანაშვილი იძულებული გახდა თხოვნით მიემართა იმპერატორ ალექსანდრე I-თვის (იხ. წერილი), რომელშიც შეძლებისდაგვარად ასაბუთებს, რომ მიღებული აქვს საეჭირო განათლება და მემამბოხე უფლისწულებთან არავითარი კავშირი არა აქვს. გარდა ამისა, ს. შარიმანიშვილი იმპერატორს ჰპირდება, რომ დაავადებების შესახებ, ლათინურ ენაზე დაწერილ შენიშვნებს (примечания) ვფიქრობთ, რომ «შენიშვნებში» ს. შარიმანიშვილი გულისხმობს თავის შრომას შავი ჭირის შესახებ. გარდა ზემოთქმულისა ამ საბუთიდან ირკვევა, რომ ს. შარიმანაშვილის სახელი არის სტეფანე, გვარი ლიონოვი, ხოლო შარიმანი არის მამის სახელი¹².

⁹ Акты Кавказской Археологической Комиссии, т. 2, გვ. 1056.

¹⁰ შ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, 1970, გვ. 245.

¹¹ Л. Оганесян, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.

¹² სხვათა შორის საკუთარი სახელი შარუმა, შარუმი, გვხვდება ხევსურეთში, მსგავსი სახელები: თარიმანი, ნარიმანი, შადიმანი მთელს საქართველოში (იხ. ა. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 141).

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო აგრეთვე ქალის სახელი «შარშიანთ გიორგის ასული». (იხ. დ. უჩანეთიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 122).

ერთი შეხედვით, გვარი ლიონოვი რუსულად ჟღერს, მაგრამ რუსული გვარ-სახელის შესანიშნავი მცოდნის ნ. ა. პეტროვსკის წიგნში ამის მსგავსი ვერაფერი მოვიძიეთ¹³. წინამდებარე სტატიაზე მუშაობის დროს დაგვებადა აზრი, რომ „ლიონოვი“ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული გვარის ლიონიძის სახეცვლილებაა. „ძე“-ზე დაბოლოებული გვარების „ვი“-თი დაბოლოება ცნობილი ფაქტია და დამახასიათებელია ცარიზმის სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმის დამყარების პირველი წლებისათვის.

ჩვენი ადრინდელი მოსაზრების თანახმად, „ლიონიძიდან“ ჯერ მივიღეთ გვარი „ლიონოვი“ (ასე ხშირად იხსენიებენ ცნობილ დიპლომატსა და მჭერ-მეტყველს სოლომონ ლიონიძეს), შემდეგ კი „ი“ და „ო“ ასოების ურთიერთ-გადაანაცვლების შედეგად ზემოთ მოტანილ დოკუმენტში გვარი „ლიონოვად“ გადაკეთდა.

მოგვიანებით ჩვენი ვარაუდი უარყვავით, რადგან გაირკვა, რომ XVIII საუკუნეში თბილისში ცხოვრობდა ვინმე ლიონანთ (ე. ი. ლიონის შვილი, ლიონას ძე ან ლიონაშვილი) სიმოვანა, რომელსაც თბილისში ზირკინანთ ეკლესიის მახლობლად (დღევანდელი ალ. ჭავჭავაძის და გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში) გაუშენებია ბაღი, „დიდი ძალის თეთრის დახარჯვით კლდიდამ წყალი ძირს ჩამოუტანია და აუზი აუშენებია და ბაღი გაუკეთებია... და ალიზის გალავანი შემოუვლია“. ეს ადგილი შემდეგში ხშირად საქეიფოდაც ყოფილა გამოყენებული.

„ზირკინანთ საყდრის თავში ჰაუზი რომ არის, იქ ბევრჯერ გვისომს და რომელნიცა ხანდაჟამუნს კაცნი იქმნებიან, ისინი თასს ხელთ დაიჭერდნენ და ლიონანთ სიმოვანას შენდობას ეტყოდნენ. წყალიც იმის ნასყიდი და გაკეთებულია და ეს აუზიცო“¹⁴.

1786 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ოსმალოთა შემოსევასა ძალზე დარბეულა თბილისის ე. წ. გარეთუბანი, ზირკინანთ ეკლესია და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ლიონანთ ბაღი წყალსადენითა და აუზით¹⁵.

როგორც ჩანს, ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას სტეფანე ლიონოვს თბილისში პყოლია სახლიცაი ლიონანთ სიმოვანა, რომელიც შესაძლოა მისი უშუალო წინაპარიც იყო. ამის სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობს, რომ ოსმალოთაგან გარეთუბნის და ლიონანთ¹⁶ ბაღის დარბევა ნახსენებია იმ პერიოდის საბუთში, როცა სტეფანე 20 წლისა იქნებოდა.

ამგვარად, უფრო სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ აზრი იმის შესახებ, რომ ს. შარიმანაშვილი ლიონაშვილის ან ლიონაძის შთამომავალია. ამ გვარის „გარუსულება“ ე. ი. „ლიონოვად“ გადაკეთება კი ზემოთ დასახელებული მიზეზის გამო კიდევ უფრო კანონზომიერია.

შარიმანაშვილი (შარიმანოვი) ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს მამის სახელისაგან, გვარის გადაკეთება შესაძლოა დაკავშირებული იყო კათოლიკური სარწმუნოების მიღებასთან. ზოგი ავტორის მიერ (ლ. ოგანესიანი,

¹³ Н. А. Петровский, Словарь русских личных имен, М., 1966.

¹⁴ სსცა. ფ. 226, 1802, საბუთი № 7752, ციტირებულია შამისა ბერძენიშვილის წიგნიდან, თბილისის გარეგანი სახე მე-18 საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 44, 45.

¹⁵ იქვე. გვ. 46.

¹⁶ სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონსა მიხედვით ლიონი მამალი აქლემია. საყურადღებოა, რომ ამ სიტყვას სხვების მსგავსად არ ახლავს რაიმე შენიშვნა: „სხვათა ენაა“ „სომხურია“ და ა. შ. (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1948, გვ. 100).

ა. ლალიანი, ი. მულკიჯანიანი და სხვები) ხმარებული სახელ-გვარი, „სტეპანოს შერიმანიანი“, ხელოვნურია და არ შეეფერება სინამდვილეს.

ს. შარიმანაშვილი დაბადებულია 1766 წელს (1804—38-1766) თბილისში, სადაც ქართველი მეფეების სამსახურში იყო კარის ექიმების ყარაშვილების მთელი დინასტია.

როგორც ცნობილია, XVIII ს-ის შუახანებში რომიდან საქართველოში დაბრუნდა სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ ცნობილი მეცნიერი, ანატომი და ასტრონომი, წარმოშობით ქართველი, პატრი ივანე. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით თბილისში გაიხსნა სპეციალური სამედიცინო სკოლა, ინვალიდთა სამეთვალყურეო სახლი და აფთიაქი „წამალ ხანა“¹⁷. გამორიცხული არ არის, რომ რომ ს. შარიმანაშვილი სწავლობდა სამედიცინო სკოლაში, სადაც მედიცინას ასწავლიდნენ მისი ახლო ნათესავები ანტონ და იოსებ ყარაშვილები, მაგრამ აქაური განათლება ჰაბუტემა საკმარისად არ მიიჩნია და იგი სამედიცინო ცოდნის გასაღრმავებლად გაემგზავნა ევროპაში. ამას ხელი შეუწყო ევროპელი კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობამ საქართველოში. როგორც აკად. ა. წულუკიძე წერს: «Влияния католиков в Грузии в это время было огромным, и неудивительно, что первые врачи грузины в конце XVIII столетия и начала XIX века были католиками. Родители некоторых из них имели торговые связи с границей и при помощи миссионеров могли определить детей в высшие учебные заведения западной Европы»¹⁸.

ს. შარიმანაშვილი ჩავიდა ავსტრიაში, ქ. ტრიესტიში¹⁹ აქ ის მიიღეს წმინდა ჯიმბელთა კათოლიკურ მონასტერში, სადაც ასწავლიდნენ ლათინურ და სომხურ ენებს. შემდეგ ჩავიდა ვენეციაში და იქ სწავლობდა ექიმ პეტრე ერემესიანთან²⁰ პრაქტიკულ მედიცინას. იქვე შევიდა უნივერსიტეტში (და არა ლივორნოს უნივერსიტეტში როგორც ლ. ოგანესიანი წერს), რომლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა კონსტანტინოპოლში საექიმო პრაქტიკის მისაღებად.

ლ. ოგანესიანი იმოწმებს თვით ს. შარიმანაშვილის ნაშრომს, სადაც აღწერილია შავი ჭირით დავადებული ავადმყოფები. ყველაზე ადრინდელი ავადმყოფი მიღებულია 1791 წლის აგვისტოში, ხოლო გვიანდელი 1796 წელს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით იგი თვლის, რომ ს. შარიმანაშვილმა კონსტანტინოპოლში დაყო 5 წელი. თვით მის თხოვნაში იმპერატორისადმი აღნიშნულია, რომ «В самом Константинополе продолжал 6 лет практику». აბათილებს ამ აზრს და ნათელს ხდის, რომ საქართველოში სტეფანე დაბრუნდა არა 1796, არამედ 1797, შესაძლოა 1798 წელს (1791+6=1797). ამის სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობს, რომ იგი სამუშაოდ საქართველოში გამოითხოვა არა ერეკლე მეორემ, რომელიც ამ დროს, ჩვენი აზრით, მძიმე ავადმყოფი ან უკვე გარდაცვლილი იყო (1798 წ... 11 იანვარი), არამედ ახლად გაეფეხებულმა გიორგი XII-ემ: ეს თარიღები საინტერესოა იმიტომ, რომ დაახლოებით მიუთითებს ვენეციის უნივერსიტეტის დამთავრებისა და საქართველოში ს. შარიმანაშვილის ჩამოსვლის დროს.

¹⁷ А. П. Ц у л у к и д з е, Врачи-грузины XIX столетия, Тб., 1948, გვ. 12, 13.

¹⁸ იქვე, გვ. 13.

¹⁹ XIV ს-ის დასასრულს იტალიის ქალაქი ტრიესტი ჰაბსბურგების, ავსტრიელების ხელში გადავიდა და მხოლოდ 1919 წელს, სენ-ჟერმენის მოლაპარაკებით, დაუბრუნდა იტალიას.

²⁰ ეს გვარი ლ. ოგანესიანს «გერმეტანად» აქვს მოხსენიებული: იხ. დასახ. ნაშრომში, გვ. 269.

8. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1979, № 3

ამგვარად, 1797 წლის დასასრულს ან 1798 წლის დამდეგს ს. შარიმანაშვილი ჩამოვიდა საქართველოში, მუშაობდა გიორგი XII-ის კარზე. შემდეგ მისი ბრძანებით გადაიყვანეს შირვანის ხანის მუსტაფას განკარგულებაში, აქედან კი ელიზავეტობოლში ჯავად-ხანისა და მისი ოჯახის წევრთა სამკურნალოდ. საქართველოს მთავარმართებლად პ. ციციანოვის ყოფნის პერიოდში ს. შარიმანაშვილი გაგზავნეს ერევანში, ერევნის ხანის ვაჟის სამკურნალოდ. აქ ყოფნისას ექიმს მიუღია მოწვევა მეამბოხე უფლისწულებისაგან (ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებისაგან), რომლებიც ამ დროს ირანში იყვნენ „...ზაგრატიონთა დაქცეული ოჯახის აღსადგენად“... (ალექსანდრე ჯერ კიდევ ერეკლე მეფის სიცოცხლეში გადაიხვეწა, ხოლო თეიმურაზი 1803 წლის 25 თებერვალს გაიპარა ირანში²¹). მათი თხოვნის დაკმაყოფილება იმპერატორზე მოცემული ფიცის დარღვევა იქნებოდა. ამიტომ ამ მიწვევაზე ს. შარიმანაშვილს უარი უთქვამს.

მიუხედავად ამისა, მას ბრალად დასდეს ცარიზმის პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველ დიდებულებთან კავშირი. თბილისში დაბრუნებული ს. შარიმანაშვილი რეაბილიტირებისათვის მიღის პ. ციციანოვთან, გადასცემს ბატონიშვილების წერილს (ნიშნად იმისა, რომ ფიცი არ გაუტეხია) და თან თხოვეს საექიმო პრაქტიკის გაგრძელებას თბილისში, პირდება (თუ მისი უდიდებულესობა საჭიროდ მიიჩნევს) განკურნებულ პაციენტთა მოწმობების წარდგენას; პ. ციციანოვმა მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ განათლება უცხოეთში ჰქონდა მიღებული.

თხოვნის ბოლო სტრიქონებით ირკვევა, რომ ს. შარიმანაშვილი ფლობდა ევროპის ორ და აზიის ოთხ ენას. ჩვენი აზრით, ეს ენები უნდა იყოს ლათინური, იტალიური, ქართული, სომხური, არაბული და სპარსული.

ირკვევა, რომ გიორგი მეფის კარზე ს. შარიმანაშვილი თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა. პლ. იოსელიანის ცნობით, მეფის სახელზე რომის პაპის პიუს VI-ის მიერ გამოგზავნილი ეპისტოლე, რომლითაც იგი სამძიმარს უცხადებდა მამის (ერეკლეს) გარდაცვალების გამო და მადლობას უხდიდა კათოლიკე მისიონერების პატივისცემისათვის, ლათინურიდან თარგმნა სწორედ სტეფანე შარიმანაშვილმა²². „იოანე ყარაევმან კათოლიკემან ექიმმან მეფისა გიორგისა მომითხრო ამბავი ესეო“ — წერს პლატონ იოსელიანი, რაც კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ს. შარიმანაშვილის მთავრმნელობით საქმიანობას და მეფის კართან სიახლოვეს.

ს. შარიმანაშვილის დაბადების წელი სწორად აქვთ აღნიშნული ი. მულკიჯანიანს და კ. მარჯანიანს (1766 წ.), ხოლო გარდაცვალების თარიღად მათ 1830 წელი აქვთ მიჩნეული. ჩვენ არ ვიცით რას ეყრდნობიან ავტორები. ჩვენ ხელთ არსებული მასალებით კი ცხადი ხდება, რომ ეს თარიღი სწორი არ არის; ამის დამადასტურებელი საბუთი (იოანე ზაგრატიონის კარაბადინი) ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (საბ. №4005), რომელზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ. ამ ავტორებს სხვა უფრო უხეში შეცდომააც მოსვლიათ. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ ს. შარიმანა-

²¹ შ. მ. ხ. ი. ა., თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 1, თბ., 1939, გვ. 29—32.

²² პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1895, გვ. 240.

შვილის «ბოტანიკა» მოიცავს სომხეთის ისტორიული ტერიტორიის ფლორას («Охватывает флору территории исторической Армении»)²³

ი. მულეიჯანიანი და კ. მარჯანიანი ამ ერთი ფრაზით დაუსაბუთებლად უპირისპირდებიან სომხეთის მედიცინის ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს, ლ. ოგანესიანს, რომელმაც შედარებით ღრმად შეისწავლა ს. შარიმანაშვილის ხელნაწერი და თქვა, რომ «в тексте приводится описание многих растений не встречающихся в Армениии»²⁴...

«Он часто в точности указывает на районы их произрастания и не только в Армении, но и в других странах»²⁵.

ამასაც, რომ თავი დაენებოთ, მულეიჯანიანი და კ. მარჯანიანი მხოლოდ სომხეთის ტერიტორიით რომ შემოფარგლავენ, აკნინებენ შესანიშნავი შრომის ზოგად საქვეყნო მნიშვნელობას²⁶.

ს. შარიმანაშვილის თხოვნაში იმპერატორისადმი (სხვა უფრო სიამედო წყარო არც ჩვენ და არც სხვა ავტორებს არ გააჩნიათ), ნათქვამია, რომ საქართველოში ჩამოსვლის, ე. ი. 1797-98 წლის შემდეგ იგი ჯერ მუშაობდა გიორგი მეფის კარზე, შემდეგ კი 1802 წლამდე დროებით შირვანის სახანოში და ელიზავეტპოლში, ე. ი. ისტორიულ აზერბაიჯანში. 1803 წლის თებერვლის შემდეგ, ვიდრე 1804 წლის მაისის შუა რიცხვებამდე, ს. შარიმანაშვილი გაგზავნეს ერევანში ერთადერთი ავადმყოფის, ერევნის ხანის შვილის სამკურნალოდ. მართო ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი ხანმოკლე დროის მანძილზე იგი ვერ შეძლებდა შეედგინა ვრცელი ნაშრომები სომხეთის ფლორაზე, მით უმეტეს, თვითონვე წერს, რომ ეს ნაშრომი „20 წლის გულდასმითი მუშაობის შედეგიაო“.

ლ. ოგანესიანი სამართლიანი სინანულით აღნიშნავს, რომ ს. შარიმანაშვილის ნაშრომები თავის დროზე არ დაიბეჭდა²⁷. ამასთან ერთად მიუთითებს მხოლოდ ორ სომეხ მეცნიერს (მხითარისტი ალიშანი და ნორაირ ბიუზანტაცი), რომლებმაც გამოიყენეს ეს ნაშრომები. სამწუხაროდ, ავტორისათვის უცნობია იოანე ბაგრატიონის ზემოთ დასახელებული კარაბადინი, რომელიც ს. შარიმანაშვილის ცხოვრებისა და მისი შრომის მნიშვნელობაზე ორიოდ წინადადებით ბევრ საინტერესო საკითხს ჰყენს ნათელს. აი რა წერია კარაბადინის ერთ-ერთ გვერდზე: „რომში აღზრდილმან კათოლიკემან ქართველთ გვარისა შარიმანაშვილმან (სტეფანემ), რომელიც მოკვდა თბილისს 1836 წელსა. ამან შეადგინა ლექსიკონი ბოტანიკური მცირე ბალახთა და მცენარეთათვის სამკურნალოთა. შემდეგ იოანე მეფის ძემან დაურთო ესე თვისაგან ქმნილს ლექსიკონს. ნ. დ. ჩუბინოვმან შეიტანა ლექსნი ესენი თავისსა ლექსიკონსა, რომელიც დაბეჭდა შემდეგ დავით ჩუბინოვმან. შარიმანაშვილის წერილი ნამდვილიცა და თარგმნილიცა ქართულად აქენდა დავით თუმანიშვილსა, ეგნატ თუმანიშვილის ძმასა (გარდაიცვალა 1832 წ.) ვის დაშთა იგი, არა ვუწყი“²⁸.

²³ XIII Международный конгресс по истории науки, Материалы по истории химии и биологии, М., 1971, გვ. 62.

²⁴ Л. Оганесян, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

²⁵ იქვე, გვ. 230.

²⁶ თუ ავტორებს სომხეთის ისტორიული საზღვრების დადგენა სურთ, ვფიქრობთ, ამ შრომით ეს შეუძლებელია, რადგანაც ასეთი დანიშნულება მას არცა აქვს.

²⁷ Л. Оганесян, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

²⁸ იხ. იოანე ბაგრატიონი, კარაბადინი (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, სპ. № 4005).

როგორც ვხედავთ, ს. შარიმანაშვილის ნაშრომის ორიგინალიც და მისი თარგმანიც საქართველოში ყოფილა. მაგრამ შემდეგ დაკარგულა (ყოველ შემთხვევაში მისი კვალი ჩვენს არქივებსა და წიგნთსაცავებში არა ჩანს). მიუხედავად ამისა, იოანე ბაგრატიონის ეს პატარა მინაწერიც ნათელყოფს, რომ ს. შარიმანაშვილის ბოტანიკური ლექსიკონით დაინტერესებული იყო იმდროინდელი საქართველოს რამდენიმე ცნობილი მეცნიერი: ენციკლოპედისტი იოანე ბაგრატიონი, ლექსიკოგრაფები ნიკო და დავით ჩუბინაშვილები და შესაძლოა სხვებიც. ეს ერთხელ კიდევ მეტყველებს ჩვენთვის საინტერესო ნაშრომის დიდ მეცნიერულ ღირებულებაზე.

სიტყვამ მოიტანა და მინაწერის დასაწყისსაც შევეხოთ, აქ გარკვევით წერია, რომ რომში მოღვაწე სტეფანე შარიმანაშვილი ქართველი გვარის კათოლიკეა. ამ ფაქტს კიდევ უფრო უტყუარს ხდის ის გარემოება, რომ ს. შარიმანაშვილი ქართველი კათოლიკეების ანტონ და იოსებ ყარაშვილების ნათესავად აცხადებს თავს იმ დროს, როცა კავკასიაში ცარიზმის პოლიტიკის თავგამოდებული გამტარებელი პ. ციციანოვი რუსეთის შორეულ გუბერნიებსა და ციმბირში ასახლებდა ყველას, ჭვისაც რაიმე აკავშირებდა ქართველ მეფეებთან და მეამბოხე უფლისწულებთან; ასეთ პირობებში პატარა მიზეზიც რომ ყოფილიყო, ს. შარიმანაშვილი დამალავდა თავის ქართველობას და მის ნათესაობით კავშირს ქართველი მეფეების კარის ექიმებთან — ყარაშვილებთან. ამ აზრს განამტკიცებს კიდევ ერთი ფრაზა, რომელიც თვით ს. შარიმანაშვილს ეკუთვნის და მოტანილი აქვს ა. ლალაიანს თავის სადოქტორო დისერტაციაში: «Московском университете экзаменовался первый из грузинских народов медицинских знаниях в 1807 г. по окончании коего снабжен свидетельством дозволяющим производить медицинскую практику»²⁹.

1812 წელს შედგენილი ერთი საბუთით შარიმანაშვილი იხსენიება როგორც «Вольнопрактикующий из грузин».

საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს მ. მალინსკის 1812 წლის 31 ივლისის წინადადება მიუცია საქართველოს საექიმო სამმართველოს ინსპექტორ რიზენკოსათვის თელავის კომენდანტის განკარგულებაში, წინადადში გადამდები სენის გავრცელებასთან დაკავშირებით შენობების დასუფთავების ჩასატარებლად საჭირო სადღეინფექციო საშუალებების გაზგავნისა და ქართველი ექიმის მივლანების შესახებ. საპასუხო წერილში რიზენკო გუბერნატორს ატყობინებს, რომ თბილისში სახელმწიფო სამსახურში მყოფთაგან ქალაქის ექიმის (городской лекарь) აქიმოვის გარდა არავინ არ აღმოჩნდა. ამიტომ თხოულობს ნებართვას ამ საქმისათვის — გამოიყენონ «находившийся в Тифлисе из грузин вольнопрактикующий Степан Шариманов, экзаменованный», რომელსაც მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ ნება ეძლევა გამოყენებულ იქნეს ყველა თანამდებობაზე³⁰.

როგორც ირკვევა ამ წინადადებაზე ს. შარიმანაშვილს უარი განუცხადებია ავადმყოფობის გამო, საექიმო სამმართველოს შეუმოწმებია მისი ჯანმრელობა და შრომისუნაროდ უცენია³¹.

²⁹ А. Лалаян, Русско-армянские медицинские связи, Автореферат, Ереван, 1966, 33. 8.

³⁰ სსცსა, ფ. 16, ს. 1436, ფურც. 6,

³¹ იქვე, ფურც. 33;

ვფიქრობთ, ეს ცნობები საკმარისია და განმარტებას არ საჭიროებენ.

იტალიაში კათოლიკური სარწმუნოების მქონე ს. შარიმანაშვილი ახლოს იყო კათოლიკურ წრესთან, რომელთა შორის განსაკუთრებით ჭარბობდნენ სომეხი კათოლიკეები: სამედიცინო საქმის შესწავლასთან ერთად მათი დახმარებით აქ იგი ღრმად დაეუფლა ძველ სომხურ ენას. კითხულობდა მდიდარ სომხურ ლიტერატურას. სწორედ ამიტომ წერდა იგი, «На древнеармянском языке, местами неудобнопонятным» (ლ. ოვანესიანი)³².

ამრიგად, სარწმუნო წყაროების არასრული შესწავლით ან მათზე გვერდის ავლით დღემდე ცალმხრივად არის გაშუქებული სტეფანე შარიმანაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. ცალმხრივად ვამბობთ იმიტომ, რომ სომხურ წყაროებში მოცემულია მისი შრომების ანალიზი, ხოლო ბიოგრაფია ზერეულედ არის გაშუქებული. ქართულ წყაროებში პირიქით, მოკლედ მოცემულია ს. შარიმანაშვილის ბიოგრაფია და შრომების ანალიზს რომ თავი დაეანებოთ, უბრალოდ ნათქვამიც არ არის, რომ ს. შარიმანაშვილი ორი ვრცელი და მეტად საყურადღებო შრომის ავტორია.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მცირდება სტეფანე შარიმანაშვილის ავტორიტეტი, მისი დამსახურება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მისი გვარი შეტანილი არ არის „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ სიტყვანის პროექტში. ს. შარიმანაშვილმა პირველმა მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება ევროპაში, ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები მოსკოვის უნივერსიტეტში, დაწერა ორი ლირსშესანიშნავი ნაშრომი, რითაც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს და მოძმე სომხეთის მედიცინის განვითარების ისტორიაში.

1832 წლის ახლოს სტეფანე შარიმანაშვილი კვლავ თბილისშია. ამას ადასტურებს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთი დოკუმენტი (№ 14599). ამ საბუთით ირკვევა, რომ იგი მკურნალობდა ავადმყოფებს, რისთვისაც მიიღო გასამრჯელო³³. ჩვენი ვარაუდით, ეს საბუთი დაწერილია გიორგი მეფის მდივნის, „კაცის გონიერის, მწერლისა და მწიგნობრის“ (პ. იოსელიანი), ეგნატე თუმანიშვილის მიერ, რომელიც იქვე იხსენიებს ახლადგარდაცვლილ თავის ძმას დავითს. როგორც ადრე განხილული საბუთებიდან, კერძოდ იოანე ბაგრატიონის კარაბადინის მინაწერიდან ჩანს, დავით თუმანიშვილი გარდაიცვალა 1832 წელს, თბილისში, მას მკურნალობდა სტეფანე შარიმანაშვილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი ამ დროისათვის უკვე თბილისში ეწეოდა საექიმო პრაქტიკას.

ჩვენი და სხვა ავტორების მიერ მიკვლეული მასალების შეჯერებით

³² ლ. ოვანესიანი თავის გამოკვლევაში რატომღაც დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მეორე შრომის, «ბოტანიკა ანუ ფლორა სომხეთისას» წერა ს. შარიმანაშვილმა დაიწყო პირველი შრომის (შეაეი კირის საწინააღმდეგო საშუალებებზე) დამთავრებიდან 24 წლის შემდეგ და 1818 წელს დაასრულა (გვ. 296).

მეორე ადგილას იმავე ავტორს მოჰყავს თვით ს. შარიმანაშვილის მინაწერი ერთ-ერთ ფურცელზე, რომ იგი დაწერილია «20 წლის გულდასმითი მუშაობის შედეგად»³⁴. ვფიქრობთ, ეს ფრაზა უფრო სარწმუნოა, მაგრამ ჩვენი აზრით, მის ავტორს მხედველობაში არა აქვს 20 კალენდარული წელი ზედოხედ, არამედ ამ წიგნზე მან მუშაობა დაიწყო იტალიაში ყოფნისას, გამოიყენა იქაური მდიდარი ბიბლიოთეკა, შემდეგ კი, სხვადასხვა დროს, მუშაობას აგრძელებდა საქართველოში, ე. ი. სულ იმწავა 20 წელი (გვ. 226).

³³ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. 3. თბ., 1955, გვ. 530.

ს. შარიმანაშვილის ბიოგრაფია მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: სტეფანე შარიმანის ძე ლოიონოვი (ლოინაშვილი, შარიმანაშვილი) დაიბადა 1766 წელს თბილისში, კათოლიკის ოჯახში. ბავშვობიდანვე იზრდებოდა თავის ნათესაეებთან, ქართველ მეფეთა კარის ექიმებთან ყარაშვილებთან, სადაც ეუფლებოდა საექიმო ცოდნას.

ოჯახში მიღებული განათლება არ აკმაყოფილებდა ახალგაზრდას და დაახლოებით 1784 წელს გაემგზავრა ავსტრიაში, ქ. ტრიესტში, სადაც წმინდა კათოლიკურ ეკლესიაში ეუფლებოდა თეორიულ მედიცინას ლათინურ და სომხურ ენებზე. შემდეგ ს. შარიმანაშვილი ჩავიდა ვენეციაში ექიმ პეტრე ერმესიანთა (გერმეტიანთა). რომელიც ესმარებოდა პრაქტიკული მედიცინის შესწავლაში. ევროპაში ყოფნისას იქ არსებული მდიდარი ბიბლიოთეკის გამოყენებით და სომეხი კათოლიკე ექიმების დახმარებით ს. შარიმანაშვილმა დაიწყო თავისი ვრცელი და ძალზე ღირსშესანიშნვი ნაშრომის „ბოტანიკა, ანუ ფლორა სომხეთისა“ წერა, რომელიც 1918 წლის 20 ივნისს დაასრულა თბილისში, დაახლოებით 1786 წელს ს. შარიმანაშვილი შევიდა ვენეციის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1791 წელს და სამუშაოდ ჩავიდა კონსტანტინოპოლში. აქ იგი დარჩა 1797 წლამდე, მონაწილეობდა შავი ჭირის წინააღმდეგ ბროლაში. კონსტანტინოპოლში ყოფნის პერიოდში საკუთარი გამოცდილების საფუძველზე დაწერა ნაშრომი „შავი ჭირის საწინააღმდეგო საშუალებები“.

1797 წლის დასასრულს, გიორგი XII-ის თხოვნით, ს. შარიმანაშვილი მუშაობას იწყებს სამეფო კარის ექიმად, მალე მისივე დავალებით სტეფანე შარიმანაშვილი გადაჰყავთ ჯერ შირვანის სახანოში, შემდეგ კი ელიზავეტოპოლში, სადაც დაყო დაახლოებით 1802 წლის მაისამდე. შემდეგ მთავარმართებელ პ. ციციანოვის ბრძანებით, არა უადრეს 1803 წლის 25 თებერვლისა, ს. შარიმანაშვილი ჩადის ერევანში და მკურნალობს ერევნის ხანის შვილს.

1804 წლის 24 მაისს ს. შარიმანაშვილი ბრუნდება თბილისში, საექიმო პრაქტიკის გასაგრძელებლად, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექიმად მუშაობის ეფლება არ მისცეს. ამის გამო იგი იძულებული ხდება 1807 წლის 30 იანვარს გამოცდები ჩააბაროს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

1812 წელს სტეფანე შარიმანაშვილი თბილისშია, ხოლო 1825 წლის ერთ-ერთ საბუთში მას ვხვდებით თელავის მაზრის ექიმად. აქ იგი ყვავილის აცრის სამაზრო კომიტეტის შემადგენლობაში შედის³⁴.

თელავიდან ს. შარიმანაშვილი 30-იან წლების დასაწყისში გადმოვიდა თბილისში, სადაც ეწეოდა კერძო პრაქტიკას. გარდაიცვალა აქვე, 1836 წელს, 70 წლის ასაკში.

სტეფანე შარიმანაშვილმა, ღრმა განსწავლულობითა და თავისი საქმის ცოდნით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული და სომხური სამედიცინო აზროვნების განვითარების ისტორიაში და ღირსშესანიშნავი ფურცელი ჩაწერა ქართველი და სომეხი ხალხების ტრადიციული მეგობრობის მატრიანეში.

ვიმედოვნებთ, რომ ს. ლოინაშვილი (ს. შარიმანაშვილი) დიდი დამსახურების გამო სათანადო ადგილს დაიკავებს ამიერკავკასიის ხალხების ისტორიასა და სამეცნიერო ლიტერატურაში.

³⁴ ფ. 16, ს. 3298, ფურც. 21 სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ამ საბუთებზე არის თვით ს. შარიმანაშვილის ფაქსიმილე — Шариманов.

Р. Д. СУРМАНИДЗЕ

К БИОГРАФИИ СТЕПАНА ШАРИМАНОВИЧА ЛОЙНОВА
(ШАРИМАНАШВИЛИ)

Резюме

В статье на основе архивных и других документов рассматриваются малоизвестные моменты жизни и деятельности одного из первых врачей Грузии, получивших высшее медицинское образование в Европе, Степана Шариманашвили. Установлены даты рождения и смерти, его генеалогия, связи с тогдашним грузинским обществом, высокопоставленными лицами Грузии.

Наряду с критической оценкой трудов других авторов, посвященных биографии С. Шариманашвили, в статье освещается его общественная и практическая деятельность.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის
საქეცნეო-კვლევითმა ინსტიტუტმა

შუშუნა ვარიაშვილი

საწულე

(უძველესი ქართული სოციალური ცნებები — ყმა, კაცი, წული-
აღმოსავლეთ საქართველოს მთის ზოგიერთი ეთნოგრაფიული მონაცემის
მიხედვით)

აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებში, კერძოდ, ფშავეს-ხევსურეთ-
ში, თემის წევრად ითვლებოდა მხოლოდ თემის მფარველი ღვთაების (ჯვარ-
ისი სხატის) „ყმა“. ხევსურეთის თემების უმრავლესობაში მეთემენი და-
ბადებით ითვლებოდნენ თემის მფარველი ჯვარის „ყმებად“ და მხოლოდ ზო-
გიერთში ისინი ასეთებად ხდებოდნენ „საწულეს“ წესის შესრულების
შემდეგ¹. ამდენად საწულეს ხევსურეთის მხოლოდ ზოგიერთ თემში იხ-
დიდნენ.

„საწულეგადახდილი“ ბავშვი ამ ჯვარის „ყმად“ იწოდებოდა და
მისი ვალდებულებანი და უფლებები ამ ჯვარისადმი როგორც პატარაობისას,
ასევე დიდობისას, მეტ-ნაკლებად ისეთივე იყო, როგორც ჯვარის სხვა, რიგი-
თი ყმებისა; განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ ეს ბავშვი „ყმის“ კატეგორი-
აში „საწულეს“ წესის შესრულების შემდეგ ჩაითვლებოდა. მაშინ, როდესაც
ხევსურეთის სხვა უმრავლეს თემებში ბავშვები (ვაყები) დაბადებით იყვნენ
ჯვარის „ყმები“ და მათ „საწულეს“ არ უხდიდნენ.

ხევსურ მთხრობელთა ცნობით, „საწულეს“ შესრულებით, როდესაც ბავ-
შვი (ვაყი) ჯვარის „ყმა“ და თემის წევრი ხდებოდა, მას „წილი ჩაედებოდა
სოფლის წილ-ნაწილი“². „წილ-ნაწილს“ ხევსური ხმარობდა მი-
წის, დედა-მიწის, მთა-ბარის, ადგილ-მამულის: „საჯნავის“, ტყის, სათიბის
მნიშვნელობით. იყო „სოფლის წილ-ნაწილი“, რომელშიც სოფლის
კუთვნილი ადგილ-მამული: სახნავი, ტყე, სათიბი, სამოვარი შედიოდა. „წილ-
ნაწილს“ „ქონებასაც“ უწოდებდა ხევსური, მაგრამ მასში არ გუ-
ლისხმობდა არც საქონელს, არც სახლს; „სასახლე ადგილი“ კი წილ-
ნაწილი იყო³.

ხევსურეთში „სოფლის წილ-ნაწილის“ უზენაესი პატრონი, მფლო-
ბელი, სოფლის მთავარი სალოცავი ჯვარი ჩანს.

უწვილო ოჯახს „უნაწილო“ ეწოდებოდა³. უწვილოდ დარჩენილი ოჯახი
ჯვარს (სხატს) ეხვეწებოდა, რომ შვილი მიეცა და ამით „ჩაედო წილი“

¹ „საწულეს“ წესის აღწერილობის შესახებ იხ. ქ. ვ. რ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., «საწულესა» და «მისამბა-
როსა» წესები ხევსურეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI—XVII, გვ. 176;
მ. ი. ვ. ე., შთამოავლობით-ნათესაური ცნებების სოციალური მნიშვნელობის საკითხები ეთნო-
გრაფიის შუქზე («წული»), «საისტორიო კრებულები», IV, თბ., 1974, გვ. 361.

² ავტორის 1974-1975-76 წლების ხევსურეთში მივლინების დღიური.

³ მ. ბ. ა. ლ. ი. ა. უ. რ. ი., ბავშვის დაბადება-ვაზრდის წესები ხევსურეთში, 1938 წ., რვ. №5-6
(ხელნაწერი ინახება საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში).

„სოფლის წილ-ნაწილში“, რათა არ დაჰკარგოდა „სოფელში ნაწილი“⁴.

მაგრამ თუ ხევსურეთის თემების უმრავლესობაში უშვილო ოჯახისათვის ვაჟიშვილის შეძენა უკვე ნიშნავდა, რომ იგი აღარ იყო „უნაწილო“ და წილი ედებოდა სოფლის წილ-ნაწილში, ზოგიერთ თემში ეს არ იყო საკმარისი. აქ ვაჟიშვილს დაბადების შემდეგ „საწულეს“ წესს უხდიდნენ, რომ „წილდებულნი გამხდარიყო“, „წილ-ნაწილში წილი ჩასდებოდა“.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, კერძოდ, ფშავე-ხევსურეთში, „უნაწილო“ ეწოდებოდა იმ ოჯახსაც, რომელსაც მარტო ქალიშვილები ჰყავდა. აქედან ჩანს, რომ „წილ-ნაწილში წილი არ ედო თემის მდებარეობითი სქესის მოსახლეობას. ამიტომ იმ თემებში, სადაც „საწულეს“ წესი იცოდნენ, მას არ უხდიდნენ ქალიშვილს და მხოლოდ ვაჟების სახელზე ასრულებდნენ. „წილ-ნაწილში“ წილი არ ედო „ამანათს“, როგორც თემის გამართიანებელი ჯვარის არაყმას და თემის გარეთ მდგომ პირს, მიუხედავად იმისა, რომ თემის ტერიტორიაზე სახლობდა. წილ-ნაწილში წილი არ ედო უკანონო ბავშვს.

„საწულეს“ წესის შესრულებით ბავშვს წილი ედებოდა „წილკერძშიც“. ყოველ მამაკაცს, ჯვარში დღეობის დროს, საჯარო პურობის — „ჯარის დასწდომისას“ თავისი „წილკერძი“ ეკუთვნის, რომელიც შედგება პურის, ხორცისა და ლუდისაგან. საჯარო პურობაში მონაწილეობა და „წილკერძი“ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მამაკაცი თემის წევრია და იმ კულტის მატარებელი, რომლის „წილკერძსაც“ ის ღებულობდა. მამაკაცის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას და მის ოჯახს პატივს სცემდნენ, ხშირად ერთი წლის განმავლობაში უგზავნიდნენ ჯვარიდან გარდაცვლილის „წილკერძს“. წილკერძში წილის ჩადებით ბავშვი თემის წევრი და ჯვარის იმ კულტთან ნაზიარები ხდებოდა, რომელშიც „საწულეს“ იხდიდნენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ „წილკერძი“ — ხორცი და პური — ჯვარიდან ეკუთვნოდა ყველა „ყმას“, დიდსაც და პატარასაც⁵.

მთიულეთში გავრცელებულია ლეგენდა ლუდას წმ. გიორგის შესახებ: „ხალხური თქმულებით, ლუდას ხატობაზე, კერძის განაწილების დროს, ერთ მლოცვაც ქალს ზედმეტ იკერძის მიღების მიზნით, კალთაში ბავშვივით გრძელი ქვა გამოუხვევია, მზარეულთან⁶ მისულა და მისთვისაც კერძი უთხოვია. ეს ქვა ლუდას განგებით მართლაც წულად ქცეულაო. ამის შემდეგ ლუდას წმ. გიორგის „ქვა-წულად“ მქცევლად იხსენიებენო“⁷.

„წილკერძში“ წილი არ ჰქონდა „ამანათს“, უკანონო ბავშვს, ისეთ ქვრივს, რომელსაც ვაჟიშვილი არ ჰყავდა; მაშასადამე, „წილკერძში“ წილი არ ედოთ თემის მდებარეობითი სქესის წარმომადგენელთ.

თუ „საწულეგადახდილი“ ბავშვი ჯვარის ყმა ხდებოდა (რასაც მთხრობელთა ზოგადი განაცხადის გარდა წესის შესრულებისას ხუცობათა ტექსტი და კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალაც ცხადყოფს), მაშინ „წილ-ნაწი-

⁴ მ. ბალიაური, დას-ხ. ნაშრომი, რვ. № 3. გვ. 98—99.

⁵ ავტორის 1974 — 75—76 წლების ხევსურეთში მივლინების დღიურები.

⁶ მთიულეთში მზარეულები იყვნენ სპეციალური პირები ხატში, რომლებსაც ხატის მთებისა და მამულების კულუხი ბარდებოდათ. «ესენი აწადებდნენ სათემო სუფრას...» (რ. ხარაძე, აღ. რ. ბაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, გვ. 52—53).

⁷ ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 178.

ლისა“ და „წილ-კერძის“ გარდა იგი წილს იღებდა ყველა იმ უფლებასა და ვალდებულებაში, რომელიც მას, როგორც ჯვარის ყმასა და თემის წევრს ეძლეოდა და მოეთხოვებოდა. ხოლო როგორც ჯვარის ყმა უკვე, იგი ამავე ჯვარის მფარველობის ქვეშ ექცეოდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთიელის რწმენა-წარმოდგენებში.

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, ჩვენ მიერ ფიქსირებული საველე ეთნოგრაფიული მასალებით „საწულეს“ წესს ხევესურეთში მხოლოდ ზოგიერთ თემში და ჯვარში ასრულებდნენ, ზოგიერთში კი — არა. „საწულეს“ არ ასრულებდნენ ისეთ თემებში, რომლებშიც გაერთიანებულ გვარებს აქვთ გადმოცემები საერთო წარმოშობისა და თემის გამაერთიანებელი ჯვარისადმი თავდაპირველი ყმობის შესახებ. მაგალითად, ე. წ. სამაგანძუროს თემში შემავალ გვარებს (ჭინჭარაული, არაბული და გოგოჭური) აერთიანებთ გადმოცემა მათი საერთო წარმოშობის შესახებ. როგორც ცნობილია, ისინი ძმათა-ჭინჭარას, არაბასა და გოგოჭას — შთამომავალნი არიან; აერთიანებთ გადმოცემა მათი საერთო სალოცავისადმი — გუდანის საღმრთო გიორგის ჯვარისადმი — თავდაპირველი ყმობის შესახებ: ეს გვარები გუდანის ჯვარის „თავდაპირველ“, „საკუთარ“ ყმებად ითვლებიან. ამიტომ, აღნიშნული გვარები (რომლებიც დროთა განმავლობაში ისე არიან ნათესაურად დაშორებული, რომ ერთმანეთში კიდევც ქორწინდებიან), „საწულეს“ წესს არ იხდიან გუდანის ჯვარში. „საწულეს“ წესს არ იხდიან ჭინჭარაულნი თავიანთ „უნჯ“ („საკუთარ“, „ნამდვილ“, „თავდაპირველ“) სალოცავში — ნაკარელაღთისმშობლის ჯვარში; ოჩიაურნი — თავიანთ „უნჯ“ სალოცავში — „ჯაჭველში“; ცისკარაულნი — მთისვეშაგში“ და ა. შ. დასახელებული გვარები, „საწულეს“ წესის გადახდის გარეშეც, თავისი სალოცავების „ყმებად“ ითვლებიან. თანაც, ისინი მათი „ნამდვილ“, „საკუთარ“, „თავდაპირველი“, ანუ „უნჯი ყმები“⁸ არიან. მაშასადამე, ხევესურეთში „უნჯი ყმები“ ჯვარში „საწულეს“ არ იხდიდნენ.

მაგრამ იგივე ჭინჭარაულნი, რომლებიც მივიდნენ და დასახლდნენ სოფ. ჟიანახოში, გუდამაყარში გადასახლებულ წიკლაურთა და ბექაურთა წინაპრის ნადგომ ადგილში, იმისათვის, რომ მათი სალოცავის — ფუძის ანგელოზის — ყმები გახდნენ და წილი ჩაიდონ „წილ-ნაწილში“, უკვე „საწულეს“ იხდიდნენ. ასევე არაბულნი, რომლებიც დასახლდნენ სოფ. გველეთში, გიგაურთა ჯვარის ადგილ-მამულში, „საწულეს“ წესით ეყმობიან ძველი მოსახლეობის სალოცავს — მთავარანგელოზის ჯვარს. ასევე ცისკარაულნიც, რომლებიც, როგორც ვთქვით, „საწულეს“ არ იხდიან თავის „უნჯ“ სალოცავში, აღნიშნულ წესს ასრულებენ სოფლის მთავარ სალოცავში — მიქიელ მთავარანგელოზის ჯვარში. ე. ი. ცისკარაულნი „საწულეს“ იხდიან იმ გაერთიანების (სოფლის) სათავეში მდგომ ჯვარში, რომელშიც თვითონაც შედიან.

ყველა იმ თემის შესწავლამ, რომლებშიც „საწულეს“ წესი სრულდებოდა, მოგვცა ასეთი შედეგები:

1. „საწულეს“ არ არსულებენ „უნჯი ყმები“ თავიანთ „უნჯ“ სა-

⁸ „უნჯი ყმის“ შესახებ, იხ. В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 35.

ლოცავებში: 2. თემები, რომლებშიც „საწულეს“ ასრულებენ, აერთიანებენ სხვადასხვა გვარებსა და „მამებს“, რომელთა შესახებ დაცულია გადმოცემა მათი არასაერთო, არანათესაური წარმოშობის შესახებ, ე. ი. ეს თემები, ადგილობრივი, მკვიდრი („უნჯი“) მოსახლეობის გარდა აერთიანებენ უცხო წარმოშობის პირთა შთამომავლობებს, რომლებიც საწულეს წესით „ეყმობიან“ სოფლის მთავარ სალოცავს და უკვე როგორც „ყმები“ და თემის წევრები მისი ტერიტორიის, ადგილ-მამულის (წილ-ნაწილის) მოწილენი ხდებიან; 3. „საწულეს“ მაორგანიზებელი ძალა ხევესურეთში სოფლის ფარგლებს არ სცილდება: ამ წესს მხოლოდ სოფლის მთავარ სალოცავში ასრულებენ⁹; 4. სოფლის მთავარ სალოცავად, უმეტეს შემთხვევაში, ვაფიქსირებთ სოფლის მკვიდრი (უნჯი) მოსახლეობის სალოცავს. გვარაუღობთ, რომ ასეთ დროს საწულეს იხდიდნენ მხოლოდ არამკვიდრნი სოფლისა, რადგან მკვიდრნი („უნჯნი“) წესის შესრულების გარეშეც ამ ჯვარის ყმებად ითვლებოდნენ.

ცალკეულ შემთხვევებში, სოფლის მკვიდრი მოსახლეობაც შეიძლება იხდიდეს „საწულეს“ წესს. ეს შემთხვევები შემდეგია:

ა) თემის დაპყრობის შემთხვევაში. ამ დროს სოფლის მთავარ სალოცავად ექცევა დამპყრობლის ჯვარი; ბ) როდესაც მკვიდრი მოსახლეობის თანდათან გაუქვაცურება (უკაცრიელი გვარი) ასუსტებს მისი ჯვარის სიძლიერეს და სოფლის მთავარ სალოცავად წინაურდება არამკვიდრის სალოცავი; ანდა მკვიდრის დაღვევის (ამოწყვეტის) შემთხვევაში, მკვიდრად ფორმდება თემში სხვებთან შედარებით ადრე მოსული და დასახლებული გვარი ან „ნამა“. ასეთ შემთხვევაში, ახალი მკვიდრი ტრადიციულად აგრძელებს წესის შესრულებას; ვ) როდესაც ჯვარი „თვითონ მოდის“ და არსდება თემის ტერიტორიაზე, ამ შემთხვევაში, „საწულეს“ წესს ასრულებს მთელი სოფელი, თემის ყველა მამრობითი სქესის წარმომადგენელი გარკვეულ ასაკში. ასეთი თემების შესწავლამ, რომლებშიც ამ ორ ბოლო შემთხვევას ვაფიქსირებთ (მკვიდრის ამოწყვეტა, ან ჯვარის „თავისით მოსვლა“), შეიძლება შეცდომით გადაფიქრებინოს რომ „საწულეს“ სრულიად ხევესურეთისათვის დამახასიათებელი, საყოველთაო შესასრულებელი წესია თემის ყველა მამაკაცისათვის ერთი წლის ასაკში, რაც სწორი არ იქნებოდა¹⁰.

4. საყურადღებოა ის გარემოება, რომ „საწულეს“ გადახდა, რომელიც წილ-ნაწილში წილის ჩადებასაც გულისხმობდა, სოფლის მთავარ სალოცავში ხდებოდა. აქედან აშკარად ჩანს იდეა იმის შესახებ, რომ სოფლის ტერიტორიის, მისი ადგილ-მამულის მფლობელი, მესაკუთრე, ჯვარია და თანაც ყველა კი არა, არამედ სოფლის გამაერთიანებელი, მთავარი სასოფლო ჯვარი. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ადრე აღნიშნავდა ვ. ბარდაველიძე თავის წერილში „ხევესურული თემის მმართველობის სისტემა“: „თემის მოსახლეობა სათემო მიწაზე იჯდა, რომელიც არა მარტო ამ ქართველი ეთნიკური ერთეულის ცხოვრების ჩვენთვის საყურადღებო ხანაში, არამედ გაცილებით უფრო ადრეც,

⁹ იხ. ე. ერიაშვილი, «საწულესა» და «მისამწარეს» წესები ხევესურეთში.

¹⁰ ასეთ მცდარ აზრს ვაკეთებდით ჩვენ ადრე გამოქვეყნებულ წერილში, სადაც ვყარდნობოდით ხევესურეთის ერთი თემის, კერძოდ არხოტის თემის, მონაცემებს. იქვე.

გაგებული უნდა ყოფილიყო როგორც თემის ერთობლიობის განმასახიერებელი ჯვარის საკუთრება¹¹.

ეს იდეა გამოსკვივის შემდეგ ფაქტებშიც: როგორც ცნობილია, ხევსურეთში უშვილო („უნაწილო“) კაცის წილ-ნაწილი მისი სიკვდილის შემდეგ, თუ უახლოესი ნათესავი არ ჰყავდა, ჯვარს რჩებოდა; აი, რას გვაცნობებს ამის შესახებ ალ. ოჩიაური: „ხევსურეთში წინაა ასე იცოდნენ, რომ სოფელში ვინც ამოწყდებოდა, მისი ქონება და მამული შეაწირებოდა ჯვარს, რომელიც თემში უფრო დიდი იყო ან სასოფლო დიდ სალოცავს“¹². მაგალითად, სოფ. ახიელში ცხოვრობდა პატარა გვარი (მალუშანი), რომელიც ამოწყდა და მისი ადგილ-მამული და ქონება სოფლის მთავარ სალოცავს — მთავარ ანგელოზის ჯვარს დარჩენია¹³; ასევე არხოტში, როდესაც „კვირიკანი“ ამოწყდა, მათი ადგილ-მამულიც არხოტის ჯვარს დარჩენია; არხოტში ყოფილან „ბაჩინი“, „ამაყი ხალხი“, რომლებიც „გადასდგომიან“ ხალხსაც და ჯვარსაც; გასწყრომია სომხოს გიორგი, ამოწყვეტილან და მათი მამული „დამარჩალა სულმთლად სავაროდ“. ასეთი ფაქტების შესახებ მრავალი მაგალითის მოტანა შეგვეძლო, მაგ., როგორცაა არხოტის ჯვარისთვის შეწირული „უპატრონო მკვდრის“, „ნანაის ყანანი“ და სხვა¹⁴.

მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ მიწის თავისუფალი ფონდი მაშინვე ჯვარის საკუთრებაში გადადიოდა. ჯვარივე აძლევდა შემდეგ თემის გარეთ მდგომ პირთ (მაგალითად, ამანათს) დროებით სარგებლობაში და თემში მოსულ, შემოხიზნულ, ყმად გამხდარი მოსახლეობის შთამომავლობებს მუდმივ სარგებლობაში.

* * *

ხევსურეთის ზოგიერთ თემში „საწულეგადახდილი“ ბავშვი „ყმის“ გარდა ტერმინ „წულ-ყმითაც“ მოიხსენიებოდა. შატილისა და გურო-გიორგ-წმინდის თემებში ვამოწმებთ აგრეთვე „საწულეს“ პარალელურად ხმარებულ ტერმინსაც „საწულ-ყმო“//„საწულ-ყმე“¹⁵. „წულ-ყმის“ ხმარებას ვხვდებით ხუცობათა ტექსტებშიც, სადაც იგი „წულის“ პარალელურად იხმარება¹⁶.

ჩვენთვის საინტერესო წესის სახელწოდების უძველეს ვარიანტად, უეჭველია, „ს ა წ უ ლ ე“ უნდა ჩაითვალოს; წესის შესრულების უძველეს მიზანდასახულობად კი არა „ყ მ ა დ“, არამედ „წ უ ლ ა დ“ ვახდომა; ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს, ჯერ ერთი, თვით სახელწოდება „ს ა წ უ ლ ე“ და შემდეგ წესის აღწერილობაში დამოწმებული ტერმინები: „წ უ ლ ი“,

¹¹ იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ი ს ნაშრომი (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, №10, 1952, გვ. 623—624).

¹² ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, სახატო მიწები ხევსურეთში, 1950, გვ. 44—45 (მასალები იხსნება საქართველოს ეთნოგრაფიის არქივში).

¹³ იქვე.

¹⁴ ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, დსახ. ხელნაწერი. გვ. 15, 87, 89, 125—126.

¹⁵ ავტორის მიერ სოფ. ვამარჯებაში ჩაწერილი მასალები. 1974—75—76 წლები. მთხრ.: 80 წლის ხაზონ სოსოს ძე გოგოჭური, ნანაიძე თოთიასძე ჭინჭარაული.

¹⁶ იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთის სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვეთი 1, 1938, გვ. 15. იხ. აგრეთვე, გვ. 12, 19, 25, 16, 13.

„ახალწული“, „მესაწულე“. „საწულეობა“, „სასაწულეო“¹⁷, და ა. შ. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ წესის შესრულების მთავარ მომენტად მიჩნეულია შიშველი, ახალდაბადებული (1 წლამდე ასაკის) ბავშვის ჯვარის დროშის ქვეშ „შეგორება“, რომელსაც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში შესატყვისი ახსნა აქვს მოძებნილი. ეს იყო მისტერია ღვთაების (ჯვარის) მიერ ბავშვის შვილებისა. ბავშვის ჯვარის დროშის ქვეშ „შეგორებით“ ჯვარსა და ბავშვს შორის მამაშვილური რიგის (ანუ წულეობრივი. — შ. ე.), ხელოვნური ნათესაობა მყარდებოდა¹⁸. ასეთი დასკვნის უფლებას იძლეოდა აგრეთვე ჯვარხატების დროშის საკითხის შესწავლა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ასევე სვანეთში. დროშა ამ რეგიონებში თვით ღვთაების (ჯვარ-ხატების) სახე, მისი გამოხატულება იყო¹⁹.

ჯვარის დროშის ქვეშ ბავშვის „შეგორების“ ასეთი ახსნის სასარგებლოდ დამატებით შეიძლება მოგვეტანა სამეგრელოში გავრცელებული „სქუაშ მითორგინაფას“ წესი. „სქუაშ მითორგინაფას“ სიტყვასიტყვით ნიშნავდა „შვილის შეგორებას“ და შეილად აყვანის ცერემონიას წარმოადგენდა. ცერემონიის მთავარი მომენტი იყო მომავალი დედისათვის შეილად ასაყვანი ბავშვის ლოგინში „შეგორება“, რაც ქალის მიერ ბავშვის შობის სიმულაცია იყო²⁰.

ასეთი ახსნის სასარგებლოდ ლაპარაკობს თვით ტერმინ „წულის“ მნიშვნელობაც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში და კერძოდ ფშავ-ხევსურეთში.

თანამედროვე ქართულში „წული“ აღამიანებს შორის ნათესაური დამოკიდებულების აღმნიშვნელი ტერმინია და „შვილს“ ნიშნავს, როგორც ვაჟს, ასევე ქალს, ამისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთში, „წული“ მართალია „შვილს“ ნიშნავდა (ამასთან მხოლოდ ვაჟიშვილს), მაგრამ ჯვარისა (//ხატისა) და აღამიანის, ჯვარისა, და მეთემე მამაკაცის ურთიერთ-დამოკიდებულებას აღნიშნავდა.

ხევსურეთში, „ჯვართ ენაში“, სხვა ტერმინებთან და გამოთქმებთან ერთად ქვებდებით „წულსაც“, რომელსაც ასეთი განმარტება აქვს: „შვილი“. ჯვართ ენაშივე ქვებდებით ტერმინსაც „ახალწული“, რომელიც „ახლადდაბადებულ ბავშვს“ ნიშნავს²¹. ვინაიდან „ჯვართ ენა“ ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან განსხვავებულ ტერმინთა კრებას წარმოადგენდა, რომელსაც ქადაგი და, ალბათ, ჯვარის მომსახურე პერსონალი ხმარობდა²², უნდა ვივარაუდოთ, რომ „წულიც“ ხევსურის ყოველდღიურ მეტყველებაში არ იხმარებოდა. თავისთავად ის ფაქტი, რომ „წული“ „ჯვართ ენაში“ დამოწმებული, დიდი მნიშვნელობის მქონედ გვეჩვენება და ერთხელ კიდევ, დამატებით, ხაზს უსვამს აღნიშნული ტერმინის სიძველეს.

¹⁷ მოცემული ტერმინების მნიშვნელობის შესახებ საუბარია ჩვენს ნაშრომში «საწულესა» და «მისამბარეოს» წესები ხევსურეთში.

¹⁸ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, გვ. 61

¹⁹ იქვე.
²⁰ დაწვრილებით «სქუაშ მითორგინაფას» წესის შესახებ იხ. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956 გვ. 74—75.

²¹ თ. თჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954, გვ. 129—132.

²² იქვე გვ. 135.

გარდა მოჩანს „წულე“ და „კაცო“, და რომ „ყმაზე“ ადრე სწორედ ეს ცნებები უნდა ვიგულისხმოთ თემის წევრ მამაკაცთა აღსანიშნავად.

მაგრამ როგორ აისახა წულიდან//კაციდან ყმაზე გადასვლა თვით საწულეს წესში? ხევესურეთში დამოწმებული სახელწოდების ახალი ვარიანტი „საწულე-ყმო“//„საწულე-ყმა“, წულის პარალელურად ხმარებული ტერმინი „წულ-ყმა“, აგრეთვე წესის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტის-დანათესავეების რიტუალის — „შეგორების“ — თანდათანობითი სახეცვლილება (ბავშვის ჯერ „შეგორება“, მერე „გადაქნევა“ და დანათესავეების ახალი რიტუალის ჩამოყალიბება: „თმის შეჭრა“) გვაფიქრებინებს, რომ „გადასვლა“ თანდათანობით უნდა მომხდარიყო. აღნიშნულ კომპოზიტებში უნდა ივარაუდებოდეს „წულის“ „კომპრომისი“ „ყმასთან“, ანუ ისეთი პერიოდი, როდესაც წული და ყმა ერთმანეთის პარალელურად ხმარებული ცნებებია. წესის სახელწოდების ძველი ვარიანტი „საწულე“ (და ზემოთ აღნიშნული „წულიდან“ ნაწარმოები სხვა ტერმინები) კი უნდა მიუთითებდეს ისეთ პერიოდზე, როდესაც ასეთ „კომპრომისს“ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ადგილი.

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ყმის კიდევ ერთი მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებში და, კერძოდ ფშა-ხევესურეთში. „ჯვარის ყმისგან“ (//ხატის ყმისგან) დამოუკიდებლად, რომელიც თავისთავად მხოლოდ მეთემე მამაკაცს გულისხმობს, „ყმა“ აღნიშნავს მამაკაცს, კაცს, რაც თავისი „წინაპრებისგან“ მიღებულ „მემკვიდრეობაზე“ უნდა მიუთითებდეს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან. მაგ., „კაის ვაჟისა ცოლობა ნუ გიხარიათ ქალო, კაი ყმა მალედ მოკვდება, დამრჩები ცარიელა“²⁷; „...ტანხედით აბჯარს ვინ ამყრის? ვა დედას შავის ყმისას! ცხენხედით ვინ ჩამომაცდნეს, შავ ბიჭსა მთრეხელისასა?“²⁸; „კაი ყმა ლაშქარ მკვდების სწორების მჯობინობასა; ცუდაი საცხვრის ყურესა, ქალებში ლოგინობასა“²⁹. ნათელია, რომ აქ მოტანილ ნიმუშებში, არც ერთში ყმა ნახმარი არაა „ჯვარის ყმი“ მნიშვნელობით.

ზემომოტანილი მასალის გააზრების შედეგად „საწულეს“ წესის წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს გვაროვნული თემის, განსახლების გვაროვნული პრინციპის რღვევასთან, როდესაც თემში დაშვებულ იქნენ უცხო, არამონათესავე გვარები, მამები თუ პირები, რომლებიც აღნიშნული წესის საფუძველზე ხელოვნურ ნათესაურ კავშირს ამყარებდნენ არამონათესავე ჯგუფებთან. ამრიგად, „საწულეს“ წესი ტერიტორიული თემის პირშო ჩანს. ამ დროს იცვლება „წულის“ შინაარსიც. ჩნდება ისეთი წული-მეთემენი, რომლებიც მხოლოდ „საწულეს“ გადახდით სხდებიან თემის წევრის — „წულის“ — უფლებრივ ჩარჩოებში. ვიმეორებთ, თემში ჩნდებიან ისეთი „წულები“, რომლებიც სხვა „წულეებისაგან“ განსხვავებით, თემის წევრობას და „წულის“ უფლებებს საწულეს წესის (გარკვეული გამოსაღების) შესრულება-გადახდით მოიპოვებენ. სხვა წულეებისაგან განსხვავებით მათ შეიძლება გუწოდოთ „შამაგორებული“, „შამაბარებული“ წულები“³⁰.

27. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I ხევესურული, 1931.

28. იქვე.

29. იქვე.

30. აღნიშნულ ტერმინებს ვამოწმებთ წესის აღწერილობის ტექსტებში.

დაბოლოს, კიდევ ერთი საკითხის შესახებ. რომელი ხალხური რწმენა-წარმოდგენების ზეგავლენით უნდა ჩამოყალიბებულიყო „საწულესა“ და მასში შემავალი დანათესაების რიტუალის მინცადამინც ასეთი სახე? ამის ილუსტრაცია განსაკუთრებით კარგად შეიძლება მასალით, რომელიც შვილიერებისა და უშვილობის შესახებ ფშავ-ხევსურთა წარმოდგენებს ეხება. მათი რწმენით, კაცს უშვილოდ ტოვებს ჯვარი (//ხატი), რომელიც უშვილო კაცს „ბედში წილს არ უდებს“, „უბედოდ ტოვებს“. ხევსურეთში უშვილოდ დაოჩენილი ოჯახი ჯვარს (//ხატს) ეხვეწება, რომ შვილი მისცეს. ასეთი ჯვარი შეიძლება იყოს იმ გვარის სალოცავი, რომელსაც ოჯახი ეკუთვნის; ასეთი ჯვარი შეიძლება იყოს სასოფლო, ე. ი. იმ სოფლის საერთო, მთავარი, სალოცავი, სადაც ეს ოჯახი სახლობს; ასეთი ჯვარი შეიძლება იყოს არც საგვარო და არც სასოფლო, არამედ სულ სხვა, რომელსაც მიკუთვნებული აქვს შვილიერებისა და საერთოდ ნაყოფიერების ფუნქცია. ასეთი იყო, მაგალითად, როგორც ცნობილია, ხახმატის ჯვარი, „რჭულიან-ურჯულოთ სალოცავი“, რომელსაც შვილიერებას შესთხოვდნენ არამარტო ხევსურნი და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა, არამედ უცხო ეთნიკური ჩამომავლობის ხალხიც.

ჯვარს (//ხატს) შეუძლია არა მარტო შვილი მისცეს უშვილო ცოლ-ქმარს, არამედ გარკვეულ შემთხვევაში, სქესიც შეუცვალოს, ე. ი. ქალი გადააქციოს ვაჟად და პირიქით. ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ ცნობილი ლეგენდა „ქვა-წულად მქცეველი“ ლუდას წმ. გიორგის ხატის შესახებ, რომელმაც ჩერებში გახვეული ქვა ქალს ვაჟიშვილად გადაუქცია. ბავშვის ჯვარის დროშის ქვეშ შეგორებიდანაც ამყარად გამოსუვივის რელიგიური იდეა იმის შესახებ, რომ ბავშვი-ვაჟი-ჯვარის „შვილია“, მისი „წულია“, ხოლო წესის შემადგენელი ეს ელემენტი კი ასეთ ურთიერთობას ამყარებდა ჯვარსა და იმ მეთემეს შორის, რომლის მიმართაც ადრე იგი არ იგულისხმებოდა.

თავის მხრივ, ფშავ-ხევსურთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ეს ხალხური რწმენა-წარმოდგენები სათავეს უნდა იღებდნენ (ე. ი. უნდა წარმოშობილიყვნენ) უკვე გარდასულ, ტოტემისტურ-რელიგიური ფორმიდან.

საერთოდ „შვილობის“ რელიგიური მოტივი ძველი და ტრადიციული ჩანს ფშავ-ხევსურეთისათვის. მან მოგვიანებითაც, ღმერთთან დაკავშირებითაც, პოვა გამოყენება და ასახვა. როგორც ცნობილია, ღმერთისა და ჯვარ-ხატების ურთიერთდამოკიდებულება, ამ რეგიონში, გამოიხატა ტერმინებით: ღვთისნასახი („ხთისნასახი“), ღვთისნაბადები („ხთისნაბადები“) და ღვთისშვილი („ხთიშვილი“), რომლებშიც ხაზგასმულია ღმერთისაგან ადგილობრივ ღვთაებათა (ჯვარ-ხატების) ჩასახვა, დაბადება-შობა და შვილობა.

ღმერთის ცნების გაჩენასთან ერთად იცვლება მთელთა რწმენა-წარმოდგენები შვილიერებისა და უშვილობის საკითხში. ამან თავისებური ასახვა პოვა „საწულეს“ წესშიც; შესაბამისად, შეიცვალა წესის შემადგენელი ზოგი ელემენტი, ჩამოყალიბდა დანათესაების ახალი რიტუალი — ბავშვისათვის თმის შეჭრა და ა. შ., მაგრამ ამ საკითხებს წინამდებარე წერილში არ განვიხილავთ.

Ж. Г. ЭРИАШВИЛИ

საყულე (Сақуле)

Резюме

В Хевсурети членом общины считался только лишь джварис кма (gesp. каци, цули)*. В одних общинах общинник с рождения считался кма в других он становился им лишь после выполнения обряда сацуле. Сацуле в Хевсурети являлся обрядом социально-религиозного характера. Его зарождение связано с распадом родового расселения.

* Кма (qma) — название общинника в отношении джвари или хати, т. е. общинного божества и святилища; см. В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, გვ. 15.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებამ

წინა შენაშენი-ჯავახიძე

ჩემი-ზადე მუსტაფა რეზიდის ცნობები დასავლეთ
საპართველოს შესახებ

საქართველოს ისტორიის შესასწავლად, როგორც ცნობილია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოსმალურ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს, რომლებშიც არა ერთი საყურადღებო ცნობაა დაცული საქართველოსა და აგრეთვე საქართველო-ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ.

შუა საუკუნეების ოსმალურ ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლებად ყველა ისტორიკოსს აქვს გადმოცემული თავის თხზულებებში ოსმალთა ლაშქრობების ამბები საქართველოსა და, საერთოდ, მთელ ამიერკავკასიაში. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩემი-ზადე მუსტაფა რეზიდს, რომლის „ისტორიაში“ დაცული ცნობები საქართველოს შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა ცნობილი.

ჩემი-ზადე მუსტაფა რეზიდი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVIII საუკუნეში. იგი დაიბადა სტამბოლში, მეჰმედ საიდ ეფენდის ოჯახში. 1740—1741 წწ. იგი მუდგირისი იყო. ჩემი-ზადე მუსტაფა რეზიდს ოთხჯერ ებოძა თეშქერეჯის თანამდებობა. იგი ოფიციალური ისტორიოგრაფი იყო ორი წლის განმავლობაში. (1766—68 წწ.). ამ პერიოდში მან შეაგროვა მასალები საქართველოს, ჰიჯაზის, კვიბროსის, ეგვიპტისა და ოსმალეთის ისტორიისათვის. ავტორის თხზულებაში დაცული ცნობები გამოიყენა მისმა მომდევნო ისტორიკოსმა ვასიფმა². გარდა „ისტორიისა“, ჩემი-ზადე მუსტაფა რეზიდს დაწერილი აქვს მრავალი ლექსი და ინშა. მისი პოეტური ნიჭი იმ ეპოქის სახელმწიფოებში შემოქმედთა შურსაც იწვევდა³.

ჩემი-ზადე მუსტაფა რეზიდი: „ისტორია“ შეიცავს 123 თავს (ჩვენ ვეყრდნობით ბ. ს. ქუთუთოლლუს მიერ გამოცემულ ლათინიზირებულ ტექსტს), აქედან 7 თავი ეძღვნება ოსმალთა ლაშქრობებს დასავლეთ საქართველოში. ამ თავებში გადმოცემულია დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, იმერეთის, სამეგრელოს და გურიის მდგომარეობა XVIII ს-ის მეორე ნახევარში.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ჩემი-ზადე მუსტაფა რეზიდი თავის „ისტორიაში“ გადმოცემს 1766—1768 წლების მოვლენებს⁴, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ისტორიკოსი მოგვიტზობს ადრეული წლების ამბებსაც. ამის საფუძველს იძლევა, ჯერ ერთი, თვით მისი სიტყვები: „რადგანაც ცნობები საქართველოს იმ ლაშქრობებზე, რომლებიც 1176 წლიდან [ჩემ. წ. აღ. 1762—

1 ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, XV—XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 6.

2 Çeşmi-zâde Mustafa Reşid, Çeşmi-zâde Tarihi; Hazırlayan Or. Bekir Kütükoğlu, İstanbul, 1959, გვ. X—XI (ქვემოთ — ჩემი-ზადე).

3 ჩემი-ზადე, გვ. 3.

4 იქვე, გვ. IX; ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

1763 წწ.] ეწყობოდა არასრულად იყო გადმოცემული... და ლაშქრობის დაწყებიდან მისი ისტორიის დაწერამდე განვლილი ოთხი წლის მოვლენები კი მოკლედ იყო მოთხრობილი, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ ლაშქრობის დაწვრილებითი აღწერა...⁵. მეორეც, ავტორი არაერთგზის უთითებს თარიღებს: „ეს ყველაფერი ჩილდირის ვალიმ ჰასან ფაშამ 1176 წლის დამდეგს [1762 წ.] მოგვახსენა და სოლომონის ბიძაშვილი თემურაზი იმერთა მეფედ დაადგინეს⁶. „1176 წლის შევალის თვეში [1763 წ. აპრილი—მაისი.] აბდურაჰმან ფაშა საქართველოს ლაშქრობაში მთავარსარდლად დანიშნეს⁷. „1178 წლის შაბანის თვეში [1765 წ. იანვარი—თებერვალი] ჰასან ფაშა საქართველოს ლაშქრობაში მთავარსარდლად დანიშნეს⁸. „ეს ყველაფერი უზენაეს მთავრობას მოახსენეს 1179 წლის საფარის თვეში [1765 წ. ივლისი—აგვისტო]. ამიტომ მათ ნება დაერთოთ გამგზავრებულ იყვნენ⁹. როგორც ვხედავთ, მოტანილი ფაქტები ჩვენს მოსაზრებას ადასტურებენ.

ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის ენა ისევე, როგორც ამ პერიოდის ყველა სხვა ოსმალთა ისტორიკოსის, ხელოვნურ ხასიათს ატარებს. ამ ფაქტის აღნიშვნისას ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ მის არაბუნებრივ წერის მანერას, სპარსული და არაბული სიტყვებით გადატვირთულ ლექსიკას. თუმცა ასეთი სტილიზებული წერა ყველა იმდროინდელ ისტორიკოსს ახასიათებს, მაგრამ ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის ენა გამოირჩევა გასაოცარი სირთულით, ღვლარჭნილობით, რაც იწვევს დიდ სიძნელეებს წყაროს გაგების დროს.

ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდი ოსმალეთის სასულთნო კარის ისტორიკოსია, დამპყრობლის თვლით აღწერს და აანალოზებს მომხდარ ამბებს და, ამდენად, ბუნებრივია მისი თხრობის ერთგვარი ტენდენციურობა და მიკერძოება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის „ისტორიას“ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც პირველწყაროს, XVIII ს-ის 60-იანი წლების დასავლეთ საქართველოს შესასწავლად. მასში დაცული ცნობები მნიშვნელოვნად ავსებს ქართული წყაროების მონაცემებს ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს შესახებ. ოსმალთა ისტორიკოსის მონაცემებიდან ირკვევა, რომ სულთნის ხელისუფლება თვალყურს ადევნებდა სოლომონ I-ის საქმიანობას. წყაროდან კარგად ჩანს, რომ ამ დროისათვის სოლომონ I იმდენად გაძლიერდა, რომ ლაშქრავს ოსმალეთის საზღვრებს და არბევს მის განაპირა რაიონებს. სულთნის მთავრობამ გადაწყვიტა იმერთზე მოეწყო დამსჯელი ექსპედიცია და გაემეფებინა სოლომონ I-ის ბიძაშვილი, ტახტისმამიებელი თემურაზ ბატონიშვილი. ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის ცნობას იმერთზე გალაშქრების შესახებ თუ შევავრებთ ქართულ საისტორიო მწერლობაში არსებულ ფაქტებს, აღმოჩნდება, რომ ისტორიკოსი აზვიადებს ოსმალთა ლაშქრობის შედეგებს. იგი ყოველთვის უამინდობას და მკაცრ ზამთარს აბრალებს ოსმალთა ჯარის დაუყოვნებლივ დაბრუნებას სამშობლოში და ამტკიცებს, რომ ოსმალთა შემოსევების დროს სოლომონ I თითქოს თბილისის მხარეს გაიქცა. ოსმალთა მართლაც შეძლეს იმერთის სამხრეთი ნაწილის დაკავება, მაგრამ ეს წარმატება დროებითი იყო. მათი გაბრუნების მიზეზი ვახდა არა მკაცრი ზამთარი, არამედ სასტიკი დაამარ-

⁵ ჩემში-ზადე, გვ. 2.

⁶ იქვე, გვ. 3.

⁷ იქვე.

⁸ იქვე, გვ. 4.

⁹ იქვე, გვ. 6.

ცხება: ქართველთა ლაშქარმა მტრის ჯარი იმერეთიდან განდევნა¹⁰. უფრო მეტიც, ამის შემდეგ ოსმალებმა იმერეთზე აღმოსავლეთიდან ცადეს თავდასხმა, მაგრამ ერეკლე II-მ მათ ქართლის გზა ჩაუკეტა და ოსმალებმა ვერც ეს მოახერხეს¹¹. ამის შესახებ ისტორიკოსი დუმს. თუმცაღა, იგი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ოსმალებთან ჯარმა დატოვა იმერეთი, სოლომონი კვლავ დაუბრუნდა თავის ძველ ადგილს და „უწინდებურად ყაჩაღობას და ძარცვას მიჰყო ხელი“¹².

ოსმალთა ისტორიკოსის მიერ მოტანილი ცნობები ჩილდრის ვალის ჰასან ფაშას საქართველოში ლაშქრობის შესახებ მნიშვნელოვნად ავსებენ ქართულ წყაროების მონაცემებს. ირკვევა, რომ ოსმალეთი არ დაჯერდა მხოლოდ საქართველოს მოსაზღვრე ვილაიეთებიდან ჯარის შეკრებას და დამატებით რუმელიიდან ფოთში გემებით გამოუგზავნია იანიჩრები. გარდა ამისა, ოსმალეთი იძულებულია ძალზე დიდი ხარჯები გაიღოს სახელმწიფო ხაზინიდან. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ოსმალეთი მთელი სერიოზულობით მოჰკიდებია განზრახულ ლაშქრობას, რომლის მიზანი იყო იმერეთის საბოლოო დამორჩილება. ისიც აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, ოსმალეთს უჭირს ჯარისთვის სურსათის შოვნა საქართველოში და წინასწარ სახავეს ღონისძიებებს: სულთნის ბრძანებით ბალყანეთის ქვეყნებიდან ფოთში გემებით გამოგზავნა სურსათ-საწვავი. როგორც აქ მოტანილი ცნობებიდან ირკვევა, ოსმალეთი დასავლეთ საქართველოში ლაშქრობების დროს იყენებს შავი ზღვის ნავმისადგომებს, რომელთა დაპყრობასაც იგი ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან შეუდგა. მართალია, XVI—XVIII საუკუნეებში საქალაქო ცხოვრება დასავლეთ საქართველოში უფრო დაბალ დონეზე იდგა, ვიდრე აღმოსავლეთში¹³, მაგრამ შავი ზღვისპირა ნავმისადგომებს: ბათუმს, ჭოხუმს, ანაკოფიას, ბიჭვინთსა და ფოთს არ ჰქონდათ დაკარგული თავისი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. პროფ. შ. მესხია აღნიშნავს:

„ფოთს, როგორც ციხე-სიმაგრესა და პორტს, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით“¹⁴. ერთ-ერთ რუსულ აღწერაშიც ხაზგასმულია:

«Поти не столь важна по ее обширности и укреплениям, как по месту положения»¹⁵. ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის ამ ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ოსმალეთი საკირო შემთხვევაში ხელსაყრელად იყენებდა შავი ზღვის ნავმისადგომებს.

ოსმალთა ისტორიკოსის მოტანილი აქვს სულთნის მიერ გაცემული უზენაესი სიგელის შინაარსი. ეს სიგელი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან ცნობას. ჯერ ერთი, ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ჩილდრის ვალის — ჰასან ფაშას უჭირს

¹⁰ შ. ბურჯანაძე, სოლომონ I მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წწ.), თსუ შრომები, LI, 1950, გვ. 95.

¹¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 643.

¹² ჩეშმეოზადე, გვ. 4.

¹³ ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 170.

¹⁴ III. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, XVII—XVIII вв., Тб., 1959, გვ. 121.

¹⁵ იქვე, გვ. 121; Историческое описание турецких городов... покоренных оружием русских в Европе и Азии в 1828 г., СПб., 1828, გვ. 72, 77.

ლაშქრობა იმერეთში და მატერიალურ დახმარებას ითხოვს სულთნისაგან, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ოსმალეთს უშიშმს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობები. მეორეც, ამ სიგელში სულთანი კატეგორიულად მოითხოვს ომის დაწყებას და უფრო აქტიურ მოქმედებებს დაჟსასაგან. როგორც ჩანს, ჰასან ფაშა გარკვეული მიზეზებით ომის დაწყებას აყოვნებდა.

ოსმალთა ისტორიკოსი სავანგებოდ ეხება ჰასან ფაშას გამგზავრებას საქართველოში და იმერეთის ზოგიერთი ციხის დაპყრობას. მისი ცნობიდან ირკვევა, რომ ჰასან ფაშა, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა იმერეთის მეზობელი სამთავროების დაპყრობას და სოლომონ I-ის იზოლირებას. როგორც ჩანს, მას კარგად ესმოდა, თუ რაიღენ ძნელი იქნებოდა სოლომონ I-თან ბრძოლა, თუ კი ამ უკანასკნელს შეუერთდებოდნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები. ჰასან ფაშამ მხოლოდ მას შემდეგ შეუტია სვერის ციხეს, სოლომონ I-ის ძირითად დასაყრდენს, როცა გურია და სამეგრელო დაიმორჩილა, ხოლო ქვემო იმერეთი — დაიპყრა.

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ეს ფაქტი შემდეგნაირადაა გაშუქებული. 1765 წელს, ვიდრე თურქები იმერეთზე გაილაშქრებდნენ, მათ დაიკავეს გურია. გურიის დაპყრობა თურქებს მძიმე ბრძოლის ფასად დაუჭდათ. ფაშამ გადააყენა მთავარი მამია გურიელი და მის მაგივრად მისი ძმა გიორგი V დაადგინა. სამეგრელოს მთავარი დადიანიც დემორჩილა ფაშას და სურსათით მოამარაგა თურქთა ჯარი. თურქებმა სამეგრელოში გამოიზამთრეს¹⁶. როგორც ვხედავთ, ქართული წყაროები და ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის „ისტორიაში“ აღწერილი ფაქტები ერთურთს ავსებენ და ადასტურებენ.

ოსმალთა მემატიანე ვაღმოსცემს ოსმალთა მიერ სვერის ციხის აღებას. მის მიერ სვერის ციხის აღწერა სავსებით ემთხვევა ვახუშტი ბატონიშვილისეულ აღწერას: „სუერის ჯეგზუდ არს ციხე სუერი. არაოდეს ძალით აღებული. ესე დგას კლდესა ზედა და გარემოსა მისსა ფრიად დიდ-ჯრამოვანსა“¹⁷. სვერის ციხის აღება ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ისევეა გაშუქებული, როგორც ეს ოსმალთა ისტორიკოსის აქვს. კერძოდ, აღნიშნულია: „გურია-ოდიშის დაპყრობის შემდეგ თურქებმა ქვემო იმერეთი დაიკავეს და 31 დღიანი ალყის შემდეგ, 1766 წლის სექტემბერში სვერის ციხე აიღეს“¹⁸.

მართალია, ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდი აქვე არ ასახელებს ქართველი მღვდელმთავრის ვინაობას, რომელიც ოსმალთა ჯარის მთავარსარდალს ეახლა და მორჩილება განუცხადა, მაგრამ აშკარაა, რომ აქ საუბარია რაჭის ერისთავის როსტომის ძმაზე, აფხაზ-იმერთა კათალიკოსზე ბესარიონზე, რომელიც ოპოზიციაში ედგა მეფეს და მის წინააღმდეგ აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას¹⁹. შემდგომშიც ბესარიონი ხელს არ იღებს თავის ზრახვებზე, რის გამოც 1769 წელს მეფემ იგი იმერეთიდან გააძევა²⁰.

¹⁶ შ. ბ. უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94—95; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV გვ. 642.

¹⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 759.

¹⁸ შ. ბ. უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 644.

¹⁹ ვ ა ხ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. II, გამოც. უ. ჩუბინოვისაგან, 1854, გვ. 468—469.

²⁰ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 647.

ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდი ტენდენციურია, როცა ხსნის ოსმალთა ლაშქრის გარკვეული ნაწილის საქართველოში დარჩენის მიზეზს. მისი განმარტებით, ჰასან ფაშამ მხოლოდ ქართველ წარჩინებულთა დაჟინებითი თხოვნის შემდეგ დატოვა თურქთა ლაშქარი იმერეთში, რომელიც დაიცავდა ხალხს სოლომონის მოძალებობისაგან. მაგრამ სინამდვილეში ჰასან ფაშამ ჯარის ნაწილი ქუთაისის ციხეში დატოვა იმისათვის, რათა მათი დახმარებით ჰაჯი ალი-ბეგს დაემყარებინა წესრიგი და მოეხერხებინა გადასახადების აკრეფა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ოსმალებმა ვერც ამჯერად შეძლეს საბოლოოდ დამორჩილებინათ დაპყრობილი იმერეთი. წყაროდანაც კარგად ჩანს, რომ მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს. სოლომონ I კი შესაფერ დროს ელოდა, რათა ქვეყანა საბოლოოდ გაენთავისუფლებინა თურქთა ბატონობისაგან.

ოსმალთა მემბტიანის მოტანილი ცნობიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის შედეგებით სულთანს არ იყო კმაყოფილი. ოსმალებმა დაიმორჩილეს გურია-სამეგრელო და დაიპყრეს იმერეთი, მაგრამ ლაშქრობის მთავარი მიზანი განუხორციელებელი დარჩა: იმერეთის საბოლოო დამორჩილება მათ ვერ მოახერხეს, ამიტომ სულთანს ჰასან ფაშასაგან მოითხოვდა დაპყრობილი იმერეთის საბოლოო დამორჩილებას. მაგრამ იმერეთიდან თურქთა ჯარის ძირითადი ნაწილის წასვლისთანავე, 1766 წელს, სოლომონ I-მა შემოიკრიბა თავისი მომხრეები და ლეკთა დაქირავებული რაზმის დახმარებით მთელი იმერეთი დაიკავა. ამგვარად, იმერეთში კვლავ სოლომონ I-მა იგდო ხელთ ძალაუფლება. მისი შიშით ციხეებში ჩაყენებული თურქთა გარნიზონები გარეთ ვერ გამოდიოდნენ. სულთანს ომი მეტად ძვირად უჯდებოდა, სასურველი შედეგი კი არ ჩანდა. ამიტომაც 1767 წელს სტამბოლში დაიდო ხელშეკრულება იმერეთის ელჩობასა და სულთანს შორის²¹.

ამ ხელშეკრულებით ოსმალებმა იმერეთი ცნო თავის მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ. იმერეთს ყოველწლიურად უნდა გაეგზავნა ნებისმიერი ეროვნების 60 ქალი. ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი ტყვეებით ვაჭრობაზე. უფრო მეტიც, 1767 წელს სოლომონ I-მა ახალციხის ფაშას ხარკის გაგზავნაზე უარი უთხრა, რაც უკვე ნიშნავდა მის სრულ დამოუკიდებლობას. 1768 წელს ცხრაწყაროსთან ბრძოლაში სოლომონ I-მა დაამარცხა თეიმურაზი, მის მხარეზე ნებრძოლი კაცია დადიანი, გიორგი ბატონიშვილი, რაჰის ერისთავი როსტომი და გიორგი V გურიელი²². როგორც ვხედავთ, ჰასან ფაშამ ვერ გაამართლა სულთანის იმედები. მან არა თუ ვერ შეინარჩუნა იმერეთში ბატონობა, არამედ დათმო უკვე მოპოვებული პოზიციები, რაც ოსმალების პოლიტიკის მთლიან კრახზე მეტყველებს. ამიტომაც სულთანმა იგი გადააყენა ჩილდირის ვალის თანამდებობიდან და მის მაგივრად იბრაჰიმ ბეგი დანიშნა²³.

ოსმალთა ისტორიკოსის ჩემში-ზადე მუსტაფა რეშიდის „ისტორიაში“ დაცული ცნობები XVIII ს-ის 60-იანი წლების დასავლეთ საქართველოს შესახებ გარკვეულ სამსახურს გაუწევს როგორც ქვეყნის შინაგანი ისტორიის, ასევე ოსმალეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართ.

²¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 645.

²² იქვე, გვ. 646.

²³ ჩემში-ზადე, გვ. 22.

ქართული თარგმანი

საქართველოში ლაშქრობის დაწვრილებითი ახაპი

ცნობები საქართველოს იმ ლაშქრობებზე, რომლებიც 1176 წლიდან¹ ეწყო-ბოლა, მოკლედ იყო გადმოცემული; რადგანაც ზემოაღნიშნული ლაშქრობა მნიშვნელოვანია და მისი დაწყებიდან ისტორიის დაწერამდე განვლილი ოთხი წლის მოვლენები კი მოკლედ იყო მოთხრობილი, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით ამ ლაშქრობის დაწვრილებითი აღწერა, რათა ეს მკითხველთათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

საქართველოში უბედურმა და უიღბლო იმერთა მეფე სოლომონმა², ბეგები იმ მხარეში თავადებად რომ იწოდებიან, აგრეთვე უფლისწულები და სხვა რჩეულნი პირნი თავისი გამანადგურებელი კლანების ქვეშ მოაქცია, დაასუსტა და ამით ვითარება შეცვალა. მათი მიწა-წყალი და მამულები დაიპყრო; ყოველ მათგანს სჯიდა, ემუქრებოდა და ისლამის ქვეყნის³ საზღვრებსაც გადასწვდა. ამის გამო აუცილებელი გახდა, რომ ოსმალთა სახელმწიფოს იგი აელაგმა და დაე მორჩილებინა. ეს ყველაფერი ჩილდირის ვალიმ⁴ — ჰასან ფაშამ⁵ 1176 წლის დამდეგს⁶ მოგვახსენა. სოლომონის ბიძაშვილს თეიმურაზს⁷ იმერთა მეფობა უბოძეს. ამის თაობაზე ზემოაღნიშნულ ვეზირს ბრძანება გაუგზავნეს და სოლომონის და მისი მომხრეების დასასჯელად და გასანადგურებლად, მათი დაჯგუფებების დასაფანტავად ჯარიც მიაშველეს. ვეზირმაც თავისი ქეთხუდა⁸ ჯარის რამდენიმე ნაწილის მეთაურად დანიშნა და საქართველოს საზღვრებთან მდებარე უღელტეხილზე ორჯერ დაინთო ბრძოლის ცეცხლი. ბედკრული, გააკეზული [სოლომონი] ჩვენი გმირების ხმლების ელვარებამ უკუაქცია და გაუბედურებული მტერი გაიქცა. რამდენადაც ძლიერ ციოდა და ზამთარი დაბრკოლებას ქმნიდა, ძნელდებოდა ისლამის ჯარის გაჩერება, ამიტომ ჯარი უკან დაბრუნდა. რადგანაც კვლავ აცნობეს მათ, რომ სოლომონის განადგურება აუცილებელი იყო, ამიტომ ანატოლიის ვალის-მეკმედ ფაშას მთავარსარდლობა და არზრუმის ვილაიეთი⁹ ებოძა, ხოლო ჩილდირის ვალი ჰასან ფაშა შესანიშნავი ჯარითურთ, არზრუმისა და ჩილდირის ვილაიეთების სანჯაყის¹⁰ მფლობელები ქვეითი ჯარი და მხედრობა, ალაბეგები¹¹ და ზეამეთის¹² და თიმარის¹³ მფლობელები თავიანთი ხალხით ზემოაღნიშნულ სარდლის ამაღლაში იმყოფებოდნენ და ძალიან დიდი მონღოლებით ცდილობდნენ მის დახმარებას. ვასცეს უმაღლესი პატივისმომნიჭებელი ბრძანებები. გარდა იმისა, რომ უზენაესი სულთანი მოითხოვდა იმ მეჯანყეთა სრულ განადგურებას, ხოლო დიდვეზირ ტრაპიზონის ვალი აბდურაჰმან ფაშასაგან მოსალოდნელი იყო მთელი თავისი ძალღონითა და სამსახურით თავის გამოღება, და რადგანაც ცხადი იყო მისი სურვილი და მისწრაფება, რომ ისე განაზორციელებდა სათანადო სამსახურს, როგორც ჰქონდა ნაბრძანები, ამიტომ აბდურაჰმან ფაშა 1176 წლის შევალის თვეში¹⁴ დაინიშნა საქართველოში ლაშქრობის მთავარსარდლად. მას არზრუმის ვილაიეთის გარდა ებოძა აიდინის სანჯაყი, სიასაპურის ბექვის არნახული ხალათი, მტრის გამანადგურებელი ხმალი და 15 ათასი ყურუშიც¹⁵ დაურთეს საჩუქრად. ვეზირმაც, უზენაესი ბრძანების შესაბამისად, გზისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე და ჯარი საქართველოსკენ დაძრა. მაგრამ, რადგანაც მკაცრი ზამთარი ახლოვდებოდა, საქართველოში შესვლა და რამდენიმე ციხე-კოშკის განადგურება და დაწვა მალე იყო საჭირო. უბედური სოლომონი კი თბილისის მხარეს რომ გაიქცა, ეს დადასტურდა.

დიდი თოვლის, მკაცრი ზამთრის გამო ვითარებას კარგი პირი არ უჩანდა. ზემოსხენებული ქვეყნის მოწესრიგების საქმე მათი აღმატებულება სულთნის უზენაესი სიგელის მიხედვით ვიდრე კარგად არ დასრულდებოდა, ოსმალები იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. სოლომონიც კვლავ ძველ ადგილს დაუბრუნდა, თავის მომხრეებს შეუერთდა და გააძაყდა. არ დაუჯერა ჰასან ფაშას მრავალჯობის რჩევას და როგორც უწინ, ახლაც ყაჩაღობას, მარცვასა და უწმინდური საქმეების კეთებას მიჰყო ხელი. (ჩემში-ზადე. გვ.2-4).

ჩილდირის ვალის ჰასან ფაშას სამართველო ლაშქრობაში
 მთავარსარდლად ღა60336ა

როგორც ჩილდირის ვალი ჰასან ფაშასა და ოსმალეთის მთავრობას შორის არსებული მიმოწერებიდან ვახდა ცნობილი, იმ ბრბოსათვის [ქართველებისთვის] თავაზიანი მოპყრობით მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ დაბრუნება შეუძლებელი იყო. საჭირო იყო საგანგებოდ მომზადება და კარგად ორგანიზებული ჯარით თავდასხმა და მათი უწმინდური სხეულების მახვილით განადგურება. თვითონ ის [ჰასან ფაშა] თუ მთავარსარდლად დაინიშნებოდა, და თუ მის მიერ გამოგზავნილი სიგელის შესაბამისად კეთილინებუდნენ და ჯარსა, სურსათ-სანოვაგეს და საჭურჭველს გაუგზავნიდნენ, მაშინ, მაღალი ალაჰის წყალობით, საჭირო იქნებოდა საქართველოს მოსახლეობის დაფანტვა, დაქსაქსვა და მათი მონურ მორჩილებაში მოყვანა. ეს საქმე კი [ოსმალთა] მთელი ძალითა და მამაცობით უნდა გაკეთებულიყო. და მართლაც, თვითონ ის [ჰასან ფაშა] იმ მიდამოებში იყო აღზრდილი. რადგანაც იგი კარგად იცნობდა იმ ქვეყნის მდგომარეობას, ამდენად, ბრძანების შესრულების მისთვის დაკისრება მიზანშეწონილი იყო. ამიტომ 1178 წლის შაბანის თვეში¹⁶ საქართველოზე ლაშქრობის მთავარსარდლად, მართლაც, ის დანიშნეს. საჭურველი, რომელსაც თავის გამოგზავნილ წერილში მოითხოვდა, უხვად გაუგზავნეს. სახელოვან იანიჩართაგან გემებით ფოთისაკენ გაგზავნეს ორი ათასი რჩეული ჯარისკაცი, აგრეთვე ჩილდირიდან — ორი ათასი კაცი, ჭანიკიდან კი — ოთხი ათასი კაცი, რაც საერთო ანგარიშით, რვა ათასი ქვეითი ჯარი იყო. მათთვის საჭირო სურსათ-სანოვაგე და ხარჯა სახელმწიფო ხაზინიდან გაიცა. გაგზავნეს არზრუმის იანიჩართა მამაც ალათა¹⁷, მედროშეთა, იანიჩრების სარდალთა და არზრუმის დამცველ გარნიზონში მყოფი არტილერისტების განსაზღვრული რაოდენობა. სტამბოლიდან გაიგზავნენ, აგრეთვე, საკმარისი რაოდენობის მებაჯრეები, მენაღმეები და მეყუშბარეები, სახელმწიფო არსენალში კი დამზადდა საჭირო საჭურველი, რამდენიმე გემი დაიტვირთა და გაიგზავნა. ამით გარდა, ნაბრძანები იქნა, რომ ზემოაღნიშნული გეზირის ამაღაში ბედნიერ გაზაფხულზე განწესებინათ სივასის, ტრაპიზონის და ყარამანიის ვილაიეთების, ზეამეთების და თიმარების მფლობელთა ცხენოსანი ჯარი და არზრუმის ვილაიეთის ყველა სანჯაყის მმართველი, იმის და მიხედვით, თუ ვის რამდენი კაცის გამოყვანა შეეძლო. გეგმებას ქირა და სურსათ-სანოვაგის გადასატანად საჭირო გარკვეული თანხა სახელმწიფო ხაზინიდან ნაღდად გაიცა. იმ მხარეში [საქართველოში] რომ დამზადდება სურსათი. იმას გარდა საზღვაო ტრანსპორტით დუნაის მხრიდან ფოთისაკენ გაიგზავნა ოთხი თვის ყოველდღიური ულუფისათვის საჭირო ქერი და ფქვილი. მისმა უდიდებულესობა სულთანმა ჰასან ფაშას გაუგზავნა სიასამურის ბეწვით გაწყობილი საპატიო, ძვირფასი, მეფური ხალათი, მასვე ებოძა ქვეყნის დამპყრობელი. საუკეთესო, მოჭედილი ხმალი. ჰასან ფაშა რანგით აამაღლეს და უბოძეს სათანადო

უზუნაესი ფირმანი. გარდა იმისა, რომ მას ჩილდირის ვილაიეთის შემოსავლიდან სახარჯოდ ჰქონდა ოცი ათასი ყურუში. რომელიც გაიცა მოსახლეობის დასახმარებელი თანხიდან რაიათის¹⁵ დასაცავად, მისმა უდიდებულესობამ, სამართლიანმა, უზუნაესმა, გვირგვინოსანმა სულთანმა მას კვლავ მისცა სალაშქროდ დახმარება ოცი ათასი ყურუში. ამას გარდა, იმ საქმისათვის, რომელიც დაწერილებით აქ არის აღწერილი, ვეზირს გაუგზავნეს პატიოსანი და დიდებული ბრძანების პირი. [ჩემში-ზადე, გვ. 4-5]

სულთნის მიერ გაცემული უზუნაესი დაამორჩილებელი ფირმანის პირი

რადგანაც შენ, ჰასან ფაშავ, როგორც ჩილდირის ვალიმ, საქართველოში წესრიგის დამყარება იკისრე. ისე, რომ არავითარ სიმძულეს არ შეხვდია, თანახმად შენს მიერ გამოგზავნილი მოწერილობისა, ჯარი, საჭურველი და სურსათ-სანოვანე განოგვეგზავნა. თუკი ფირმანის საწინააღმდეგოდ იმოქმედებ და ამ დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებ, მამინ შენ ჩემი ფადიშაჰური განრისხების კლანჭებიდან თავს ვერ დაიხსნი [ჩემში-ზადე, გვ. 5].

პასან ფაშას გამგზავრება საძარბოველში და ზოგიერთი ციხის დაპყრობა

ზემოხსენებული ვეზირი ჰასან ფაშა მეუფის პატივმოსილი ბრძანების შესაბამისად ახალციხიდან გაემგზავრა და საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე გურიისაკენ გაემართა. ორი ციხის მოსახლეობა შეწყნარებით დამორჩილა და დაიპყრო. ძლევამოსილი ჯარით თავზარდაცემული, დამარცხებული მეფე მამია¹⁸ თავქუდმოვლევადი გაიქცა და მის მაგივრად მისი უმცროსი ძმა ვიორგი²⁰ გაამეფეს და ამით მას პატივი მიეგო. იმ მხარის მიჯნაზე ბორის ციხისკენ²¹ რომ გაემართნენ, მოსახლეობა აჯანყდა და დააპირა წინააღმდეგობის გაწევა. ამიტომ ისლამის გმირებმა მათი უმრავლესობა ხმლით აკუსეს. გადარჩენილები კი ტყვედ ჩავარდნენ, ხოლო შიდა-ციხეში გარკვეული რაოდენობის ჯარი, ზარბაზანი და საომარი იარაღი დატოვეს. მისი დაცვის პირობები უზრუნველყოფილ იქნა. ამ დროს ოდიშის მეფე დადიანმა²² შეწყნარება ითხოვა, ოსმალთა სახელმწიფოს მონობა თავის მოვალეობად მიიჩნია და დიდი მონდომება გამოიჩინა ოსმალთა უზუნაესი ჯარისათვის სურსათით მომარაგების საქმეში, რითაც თავისი მორჩილება განამტკიცა. ამის შემდგომ მათ, გაჭირვებათა შემამსუბუქებელი ღმერთის შემწეობითა და წყალობით. წილად ზედათ საბანჯუს²³ ციხის ძლევამოსილად დაპყრობა და აღება. ამას წინათ იმერეთში გამეფებული თეიმურაზი აღნიშნული ციხის მცველად დაადგინეს. ამით მას პატივი მიეგო. სოლომონის მიერ დაპყრობილი რამდენიმე ოლქის მცხოვრებლებმა თავაანთი ნებისა მორჩილება გამოაცხადეს და მეფე თეიმურაზს დამორჩილდნენ. ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც მრავალი დაპყრობით ისლამის ჯარმა თავისი სურვილი აღისრულა, არსებული ვითარების მიხედვით, მთავარსარდალმა ფაშამ თავისი ძლევამოსილი ჯარის ნაწილით იმ მიდამოებში გამოიზამთრა და გაზაფხულის დღეგომისას კი თავისი ლაშქრითურთ. გამარჯვების დროშებით სვერის ციხისკენ²⁴ გასწია. ამ აზრის მიზანშეწონილობა ოსმალთა უზუნაეს მთავრობას მოახსენეს 1179 წლის საფარის თვეში²⁵. ამიტომ, კანონის მიხედვით, მათ ნება დაერთო, რომ გამგზავრებულიყვნენ.

[ჩემში-ზადე, გვ. 6].

პასან შაშას გამგზავრება სვერის ციხის დასაყვრობად

ხსენებული მთავარსარდალი გაზაფხულზე საზამთრო ადგილიდან აიყარა, ბაღდადჯიკის ციხის²⁶ წინ დასცა კარავი. საკმარისი რაოდენობის სურსათ-სა-
ნოვანე შემოაღწივს ციხეში გადაიტანა და საწყობში მოათავსა. შემდეგ, რო-
დესაც ბანაკში მყოფ ძლევაძოსილი ჯარის რჩეულ მხედართმთავრებთან ერთად
გაიმართა დილის თათბირი, ერთხმად მოიწონეს აზრი, რომ საჭიროა დიდი მონ-
ღომება და მთელი ძაღლინის დახარჯვა, რათა საქართველოში დამყარდეს წეს-
რიგი, აიღონ ბედკრული სოლომონის დასაყვრენი სვერის ციხე და მისი წყუ-
ლი მომხრეები გაანადგურონ. ამკარად ჩანდა, რომ თათბირის ყველა მონაწილე
ერთსულოვანი იყო. ამიტომ ხსენებული ადგილიდან აიყარნენ და სვერის ციხა-
საკენ დაძრეს აღმები. გზადაგზა, აჯანყებულები რომ დაემორჩილებინათ, მათი
სახლები გაანადგურეს და დაწვეს. მათი ოჯახის წევრები კი ტყვედ წაიყვანეს,
ხოლო ვინც ნებით დამორჩილდა – შეიწყნარეს. შემდეგ სვერის ციხეს მიაღვინ
და, როდესაც შეხედეს მის ადგილმდებარეობას, დანახეს, რომ ეს ციხე ძალაღ-
კლდეზე იყო აგებული, სრულყოფილად მტკიცე და გამძლე. თუმცა გონიერთა-
თვის ამ ციხის აღების შესაძლებლობა წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ძალად
ღმერთის განუსაზღვრელი წყალობით და სვებედნიერი სულთნის ძალ-ღონით
მისი დაპყრობა შეუძლებელი რომ არ იყო, ეს ცხადი შეიქმნა. ამიტომ დაიწვეს
ციხის ალყის შემორტყმა და სათანადო ადგილებში ზარბაზნები და ყუმბარები
განალაგეს. ისლამის სარწმუნოების მტერს დაუპირისპირეს ისლამის ჯარის
ძალა და ციხეს ოთხსავე მხარეს სანგრებით ალყა შემოარტყეს. შიდაციხისაკენ
ჩაამწყრივეს თავიანთი გულადი ვიძრები, ძალ-ღონე მოიკრიბეს და ვაცხარებული
ბრძოლით თანდათან საზიზღარი ურჯულონი შეავიწროვეს. ალყის შემორტყმის
ოცდამეცხრე დღეს, როდესაც ციხის სიმაგრეებიდან გოდებამ და ღრიალმა ზე-
ცის თაღებს მიაღწია, მათი თხოვნა შეწყალების შესახებ მიიღეს და შიდაციხა-
დან გამოყვანილები ახალ მეფე თეიმურაზს გადასცეს. შემდეგ ჯარისათვის სა-
ჭირო სურსათისა და საჭურვლის მომარაგება დაამთავრეს. რად-
განაც აქ გაჩერება და შეყოვნება აღარ იყო საჭირო, სამეფო
ჯარი აღნიშნული ადგილიდან აიყარა. სისწრაფით გაიარეს საღვურები
და ქუთაისის ციხის წინ დაბანაკდნენ. ქუთაისიდან ერთი საათის სავალ
გზაზე შეიკრიბნენ ქართველი წარჩინებულები: ოდიშის მეფე დადიანი,,
სოლომონის ბიძა გურიის მეფე გიორგი, მღვდელმთავარი კათალიკოსი და
თავადად წოდებული სხვა ქართველი ბეგები, რადგანაც მათ თავიანთი შეკრების
ადგილას მიიწვიეს ოსმალთა ძლევაძოსილი ჯარის ამალაში მყოფი მისი აღმა-
ტებულება ფაღმანის ქეთხუდა იბრაჰიმ ალა და ზოგიერთი სხვა წარჩინებულა,
ამიტომ მთავარსარდალმა ფაშამაც მათთან გავზავნა ხსენებული იბრაჰიმ ფაშა და
ქეთხუდა იბრაჰიმ ეფენდი, კაფუჯი-ბაში²⁷ ჰაჯი მეჰმედ-ბეგი, ლაშქრის ყადი²⁸
ისმაილ ეფენდი და ჯარის ერთი ალა. როდესაც ოსმალები იქ მივიდნენ, ზემო-
დასახელებულებმა [ქართველებმა] ერთხმად და ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი,
საესებით ვეპორჩილებით ოსმალებს და შევწყვეტთ წინაღმდეგობასა და აჯან-
ყებასო: „ამას წინათ ჩვენი მცდარი მოქმედება იმის შედეგი იყო, რომ მოქცეუ-
ლი ვიყავით უბედური სოლომონის ბრჭყალებში და უმწიონი და დაშინებულები
ვიყავით. ამის შემდეგ ის სწრაფად გაიქცა და გადაიკარგა. ამიერიდან მას ჯან-
დაბისკენ ჰქონდეს გზა! ყველანი ჩვენ ოსმალთა უზუნაესი სახელმწიფოს ერთ-
გული მონები ვართ. კეთილინებეთ და ჩვენი დანაშული გვაპატიეთ. ამიერიდან
დაუპორჩილებლობა უკვე ძნელია და სოლომონის გამოჩენა ჩვენს მხარეებში –

შეუძლებელი. თუ ეს ხსენებული ბოროტი კაცი საიდანმე გამოჩნდება, ჩვენ ყველანი დავესევით და მის განადგურებას გულითა და სულით შევეცდებით. მაგრამ სახელმწიფოს წესრიგის დასაყრდენი რომ ჰქონდეს, ამისათვის დაპყრობილი სვერის ციხე ახალ მეფეს უბოძეთ. როდესაც ისლამის ჯარი ამ ადგილიდან გაბრუნდება, იმისათვის, რომ თუ სოლომონი საიდანმე გამოჩნდება, ჩვენ მას ჯარით თავს დავესხათ და ქომაგი გვყავდეს, ამჟამად ჭანიკის გადასახადების ამკრეფი, ტრაპიზონის მფლობელი ჰაჯი ალი-ბეგი ჯარით ქუთაისში გამოსაზამთრებლად თუ დაინიშნება ჩვენში წესრიგის განმტკიცებისათვის, ძალიან მოსაწონი საქმე იქნებაო⁴. ეს რომ ჩვენთვის მოეხსენებინათ და გაეგებინებინათ, ამიტომ მათ სასულიერო მეთაურს მიეცა რწმუნება და მოეწყო თათბირი მის გასავზავნად უმაღლესი კარვისაკენ. როცა თათბირზე წარმოდგა აღნიშნული კათალიკოსი, თითო-თითოდ ყველას წინაშე მორჩილება განაცხადა და ეს ყველას მოეწონა. იმ საქმეზე, რომელსაც ისინი იხვეწებოდნენ, ნება დართეს. ხსენებული ციხე ახალ მეფეს გადასცეს და მათ მიერ ნაკისრი საქმეების თაობაზე მტკიცე საბუთები გამოართვეს. სიაში ხსენებულმა თავადებმა, იმისათვის, რომ სანდონი ყოფილიყვნენ, აღნიშნულ მეფეს სანდო მძევლები მისცეს. მანაც მათი გულის დასამშვიდებლად მათი ოჯახის წევრები ქუთაისის ციხეში მძევლად დატოვა. ჰაჯი ალი-ბეგი კი სამ-ოთხ ათასიანი ჯარით ქუთაისის ციხეში გამოსაზამთრებლად გაჩერდა, მთავარსარდალმა ფაშამაც თავისი ცხენის აღვირი მთავრობის რეზიდენციისაკენ — ახალციხისაკენ მიმართა და აღნიშნულთაგან აღებული საბუთები ხსენებულ იბრაჰიმ ალას გადასცა, რათა ის საბუთები ოსმალთა უზენაესი მთავრობისათვის გადმოეგზავნა. ამის მაუწყებელი წერილი, 1180 წლის გვ-2 ჯუმადის თვით⁵ დათარიღებული სტამბოლში ჩამოვიდა [ჩემში-ზადე გვ-6-8].

ჩილდირის პალი ჰასან ფაშასადმი გაგზავნილი მაღალი ბრძანების პირი

როგორც ზემოთაც იყო აღწერილი, საქართველოს ლაშქრობაში მოძხდარი ამბების შემცველი მიწერ-მოწერის მიღების შემდეგ, ოსმალთა უზენაესმა მთავრობამ ჰასან ფაშას მიმართა დიდებამოსილი ფირმანით, რომელშიც სასტიკად აფრთხილებდა და უბრძანებდა [ჰასან ფაშას]: რადგანაც მთელი შენი მიმოწერა ჩემი უდიდებულესობის მიერ განხილულ იქნა, შენი და შენს ამაღლაში მყოფ ალათა, ოფიცერთა და ჯარისკაცთა სანაქებო სამსახური მოწონების ღირსი გამხდარა. ჩვენი ნათელი სარწმუნოებისათვის ჩემს მთავრობას ერთგულად რომ ემსახურებოდნენ, ისინი ბედნიერნი იყვნენ! მაგრამ, გარდა იმისა, რომ ქართველების სიტყვა ნდობის ღირსი არ არის, ვიდრე სოლომონი ცოცხალია, არეულობა და ჯანყი იმ მხარეში მთლიანად არ იქნება მოსაპოვებელი. ამიტომ ჩემი საბოლოო სამეფო ნება-სურვილია, ეს ყაჩაღი [სოლომონი] შევიპყროთ და დავსაჯოთ. ამ სამთარში საქართველოში წესრიგი უნდა განმტკიცდეს და სამიშროება მთლიანად მოისპოს. ყოველივე ამას გადაჭრით შენგან, ახალი მეფისგან — თეიმურაზისაგან, აღნიშნული ბერისაგან და სხვა მეფეებისაგან მოვითხოვ. დასახლებული ყაჩაღის დაჭერის და მოკვლის საქმე ახალ მეფეს და სხვა ზემოჩამოთვლილებსაც დაბეჯითებით მიეწერეთ. უსათუოდ ამას ჩვენ მათგან მოვითხოვთ. მათი [სოლომონის და მისი მომხრეების] დასჯის მოწყობით წესრიგი რომ დაეამყაროთ, ამისათვის არ უნდა დავზოგოთ არავითარი ძალა. ჩემი მაღალი ფირმანი იმისათვის გაიცა, რომ საქართველოში წესრი-

გი დიდხანს მტკიცედ გავრძელდეს და იმისათვისაც, რომ ყურადღება გამოიჩინოთ [ჩემში-ზადე, გვ. 9].

**ქვეყნის მფლობელის მიერ ყოვლილ საჭურაველთა მტკიცებისათვის —
 იბრაჰიმ ბაბისთვის ვეზირობის მინიჭება**

თავისი მონების მცველი უდიდებულესობა ფადიშაჰის ბრძნული სამეფოვრო ნებასურვილით, ზემოაღნიშნულ თვეში მას, თავის ტოლთა შორის უმაღლესს, ვეზირობის უმაღლესი რანგი მიენიჭა და გონიოს სახეჯაყის შეერთებით ჩილდირის ვილაიეთი ებოძა. ამას წინათ საქართველოში დამყარებული წესრიგის განმტკიცება დააკისრეს მას. ჩილდირის ვალის — ჰასან ფაშას კი იჩქლის ვილაიეთი უწყალობეს [ჩემში-ზადე, გვ. 22].

შენიშვნები

- 1 მ. 1176 წელი-1762 წ. 23 ივლისი — 1763 წ. 11 ივლისი.
- 2 სოლომონი — იმერეთის მეფე სოლომონ I; ალექსანდრე V-ის უფროსი ვაჟი. მეფობდა 1752—1784 წწ-ში.
- 3 ისლამის ქვეყანა — იგულისხმება ოსმალეთის იმპერია.
- 4 ვალი — ოლქის მმართველი, ოსმალეთში ვალის სინონიმად იხმარებოდა ბეგლარბეგი, მირმირანა.
- 5 ჰასან ფაშა — ახალციხის ფაშა. სულთნის ბრძანებით მას ეს თანამდებობა ებოძა მას შემდეგ, რაც მისი ბიძაშვილი, ჩილდირის ვალი ჰაჯი აჰმედი დახარჩვეს ხრესილთან თურქთა ჯარის დამარცხების გამო ჰასან ფაშა 1765 წელს სულთანმა დანიშნა საქართველოში ლაშქრობის მთავარსარდალად. ახალციხის ფაშას თანამდებობაზე იგი იმყოფებოდა 1768 წლამდე.
- 6 მ. 1176 წლის დამდეგი-1762 წლის ივლისის ბოლო რიცხვები.
- 7 თეიმურაზი — სოლომონ I-ის ბიძაშვილი. თეიმურაზ მამუკას-ძე, რომელიც 1764 წელს იმერეთიდან ახალციხეს გაიქცა და ოსმალთა ხელისუფლებას დახმარება სთხოვა სოლომონის წინააღმდეგ.
- 8 ქეოხუდა — მამასახლისი, მოურავი, სხვადასხვა სახეობის ჯარების მეთაურთა ზოადგილე, რომელსაც ძირითადად სამეურნეო საქმიანობა ევალებოდა.
- 9 ვილაიეთი — ოლქი, ოსმალეთში ყველაზე მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული. ეიალეთის სინონიმი.
- 10 ხანჯაყი—1) დროშა, 2) სადროშო, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ვილაიეთში შედიოდა.
- 11 ალიბეგი — მისი მოვალეობა იყო სალაშქროდ შეეყარა და ხანჯაყის ბეგთან მიეყვანა მთელი ხანჯაყის თიშარის მფლობელი სიფაჰების ლაშქარი, რომელსაც უშუალოდ მეთაურობდა.
- 12 ზეამეთი — საქარგავი, რომლის წლიური შემოსავალი 20—100 ათას ახჩას შეადგენდა.
- 13 თიშარი — საქარგავი, რომლის წლიური შემოსავალი 100 ახჩიდან 20 ათას ახჩას აღწევდა და სამხედრო სამსახურისათვის პირობით ეძლეოდათ ფეოდალებს.
- 14 მ. 1176 წლის შევალის თვე-1763 წლის 15 აპრილი — 13 მაისი.
- 15 ყურუში — ვერცხლის ფული, რომელმაც ოსმალეთში 1687 წლიდან შეცვალა გაუფასურებელი ახჩა. უდრიდა 80 ახჩას.
- 16 მ. 1178 წლის-შაბანის თვე - 1765 წლის 24 იანვარი — 21 თებერვალი.
- 17 იანიჩართა აჯა — იანიჩართა კორპუსის მეთაური და მთავარსარდალი. აგრეთვე საზღვრისპირა ციხეებში ჩაყენებულ იანიჩართა რაზმების მეთაური. იგი განაგებდა იანიჩართა ვარჯიშს, ჯამაგირის გაცემას, დანიშვნას და გადაყენებას. იხილავდა საჩივრებს და დამნაშავეთ სჯიდა.
- 18 რაიათი [„რაიას“ მხოლოდობით რიცხვი.] — გლეხი.
- 19 მთავარი (პალიქ) მამია—გურიის მთავარი მამია IV გურიელი, უნდა აღინიშნოს, რომ ჩემში-ზადე მუსტაფა რეზიდი ვერ ერკვევა საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ წესობაში. იგი გურიის და სამეგრელოს მთავრებსაც მეფედ მოიხსენიებს.
- 20 გიორგი — მამია IV-ის ძმა გიორგი V გურიელი.

²¹ ზორის ციხე — ნ. შენგელიას აზრით, ზორის ციხე მდებარეობდა ტერიტორიაზე, რომელიც დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ორჯონიკიძის რაიონის კაცხის სასოფლო საბჭოში შედის (იხ. ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოსის აჰმედ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბ., 1971, გვ. 305)

²² მთავარი (მალიქ) დადიანი — სამეგრელოს მთავარი კაცია II დადიანი, სოლომონ I-ის ცოლის ძმა.

²³ საბანჯუს ციხე — ნ. შენგელიას აზრით, საბანჯუ-სიანჩო დამახინჯებული ფორმაა საჩინოს- (იხ. ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოსის აჰმედ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 305). შ. ბურჯანაძის აზრით კი იგივეა, რაც სეზეკას ციხე-სიმაგრე (იხ. შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობის I პერიოდი (1752—1768 წწ.) გვ. 97).

²⁴ სვირის ციხე — დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით მდებარეობს ქიათურის რაიონში.

²⁵ ჰ. 1179 წლის საფარის თვე — 1765 წლის 20 ივლისი-17 აგვისტო.

²⁶ ბალდაღკის ციხე — ბალდაღის ციხე-სიმაგრე, რომელიც მდებარეობდა ახლანდელ მაია-კოცკთან.

²⁷ კაუუჯი-ბაში — სელთნის სასახლის ერთ-ერთი დიდებული. იგი იგზავნებოდა ვილაეთების ბეგლარბეგებთან მნიშვნელოვანი ან საიდუმლო დავალებებით.

²⁸ ყადი — მოსაპართლე.

²⁹ ჰ. 1180 წლის მეორე ჭუპადის თვე — 1766 წლის 4 ოქტომბერი — 2 დეკემბერი.

Н. ШЕНГЕЛИА-ДЖАВЕЛИДЗЕ

СВЕДЕНИЯ ЧЕШМИ-ЗАДЕ МУСТАФЫ РЕШИДА О ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В историческом сочинении Чешми-заде Мустафы Решида содержится много интересных сведений, касающихся походов османской армии в Западную Грузию и политической жизни данного края.

Ряд сведений Чешми-заде Мустафы Решида до настоящего времени не были известны в грузинской историографии и впервые вводятся в научный оборот.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

მახტანა აბაშვიანი

ხელისუფლების დანაწილების თეორია და ყუთლუ-არსლანის პროგრამა

სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ყუთლუ-არსლანის დასი და მისი პოლიტიკური პროგრამა, როგორც ფეოდალური ეპოქის იდეოლოგიური ბრძოლის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამით უნდა აიხსნას აზრთა სხვადასხვაობა და წინააღმდეგობა, რომელიც ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური შემადგენლობისა და მისი პროგრამის პოლიტიკური შინაარსის შეფასების თაობაზე გვხვდება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა მეცნიერულ ლიტერატურაში, მართალია, განიხილება XII ს-ის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად, მაგრამ მისი ზოგადი მნიშვნელობა, რაზეც პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, სრულიად მივიწყებულია. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ყუთლუ-არსლანის აჯანყების შედეგად შეიზღუდა სამეფო ხელისუფლება და ამ მოვლენას „იმ ეპოქის მსოფლიო ისტორიაში ანალოგია შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ინგლისის თავისუფლებათა დიდ ქარტიაში. სწორედ ამ მოწესრიგებულმა სოციალ-პოლიტიკურმა ბრძოლამ გახადა ამ პერიოდის საქართველოს ისტორია არაჩვეულებრივად ინტერესის მქონედ და საგულისხმოდ არა მარტო ადგილობრივი, არამედ ზოგადისტორიული თვალსაზრისითაც“¹.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა უკანასკნელ პერიოდამდე არ გამოკვლეულა, თუმცა ამჟამადაც გვხვდება მისი მნიშვნელობის ლოკალიზაციის ცდები. 1977 წელს ილ. ანთელავას თავის თავად საინტერესო ნაშრომში „ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ“ და აგრეთვე გ. მჭედლიძის სტატიაში „ეტიუდი რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან“ გამოთქმულია საყვედური, რომ ჩვენ ყუთლუ-არსლანის გამოსვლა უფრო მასშტაბურ მოვლენად მივიჩნიეთ და აჯანყებულთა პროგრამაში დავინახეთ ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა².

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა „მასშტაბურ მოვლენად“ და აჯანყებულთა პოლიტიკურ პროგრამაში გადმოცემული იდეოლოგია ზოგადისტორიული მნიშვნელობის მქონედ პირველად წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც აქვე მიუთითა ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევის საფუძვლებზე³. მართლაც, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, თბ., 1965, გვ. 410—411.

² ილ. ანთელავა, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ (მაცნე. ისტორიის სერია, 1977, №4, გვ. 181); გ. მჭედლიძე, ეტიუდი რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან (განთიადი, 1977, № 6, გვ. 176).

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბ., 1929, გვ. 171—174.

პროგრამა, როგორც საერთოდ შუა საუკუნეებში დაწყებული იდეოლოგიური ბრძოლის მანამდე უცნობი მიმართულების გამოვლენა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის შექმნე მსოფლიო კულტურის ისტორიის ახალი ფურცელია და ამდენად, თავისი მნიშვნელობით იგი სცილდება საქართველოს ისტორიის ფარგლებს. ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამას საერთოდ ფეოდალიზმის ეპოქის ადამიანთა სულიერი ცხოვრების განვითარების სრული სურათის წარმოდგენისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საკუთრივ საქართველოს ისტორიისათვის.

დღეია ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ მთელი შუა საუკუნეების ეპოქაში და განსაკუთრებით კი მის ადრინდელ პერიოდში ადამიანთა გონებაზე განუყოფლად ბატონობდა რელიგიური დოგმატები და საზოგადოების სულიერი ცხოვრება სქოლასტიკის უშუალო ზეგავლენით ვითარდებოდა, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის ყველა საკითხს მხოლოდ ღმერთის ნების მიხედვით ხსნიდნენ. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა მთლიანად თავისუფალია ღვთაებრივ-რელიგიური წარმოდგენებისაგან და საერო მოძღვრებებს ემყარება, მასში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულთა მიერ წაშლილი პოლიტიკური მოთხოვნები დასაბუთებულია იდეებით, რომლებიც ფეოდალიზმის ეპოქაში მანამდე სრულიად უცნობი იყო. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის“ უცნობი ავტორი, რომელიც სამეფო ხელისუფლების დამცველია, თავის თხზულებაში ნათლად უპირისპირებს ერთმანეთს იმ იდეოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ურთიერთბრძოლისას სამეფო ხელისუფლება და ყუთლუ-არსლანის დასი. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში მთელი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის იურიდიულ საფუძვლად მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საერო მოძღვრება. როგორც ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნები თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ ასეა გადმოცემული: „ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: „დასნდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინლა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“⁴.

რაც შეეხება სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიას, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა ყუთლუ-არსლანის დასის წინააღმდეგ ბრძოლაში, მის შინაარსს მთლიანად ღმერთის უძლეველობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის რელიგიური დოგმატები განსაზღვრავენ. სამეფო ხელისუფლების რელიგიური იდეოლოგიის მიხედვით, ყველაფერი ამ ქვეყნად ხდება ღმერთის ნებით, მეფეები და სახელმწიფოები ემზობა ღმერთის კარნახით და ღმერთისავე ნებით იცვლება სახელმწიფოს ფორმები. უცნობი ისტორიკოსის აზრით, თამარმა ყუთლუ-არსლანის დასზე იმიტომ გაიმარჯვა, რომ მეფეს ამ ბრძოლაში ეხმარებოდა ღმერთი. სამეფო ხელისუფლების იდეოლოგია „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის“ თხზულებაში ასეა გადმოცე-

⁴ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 11, თბ., 1959, გვ. 31.

მული: „გარნა ვინათგან კელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე და თანამბრძოლ (ექმნებოდა) მბრძოლთა მათ მისთა, და მის წილ ამღებელი ჭურისა და ფარისა ეკუთებოდა დამკობად წინააღმდეგომთა მისთა, ცუდ საქმე იქმნა განზრახვა მათი, ვითარ განზრახვა აბიათარ მღდელისა და იოაბ სპასპეტისა, რომელნი ეთნებოდეს ორნიას, ძმასა სოლომონისასა“⁵.

სამეფო ხელისუფლების და ყუთლუ-არსლანის დასის იდეოლოგიურ თვალსაზრისთა განსხვავებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აჯანყებული მეჭურჭლეთუხუცესის დასის მომხრეების შეთანხმების სიმტკიცე და დაურღვევლობა არა ყოველისშემძლე ღმერთზე მითითებას, არამედ მხოლოდ ფიცს ემყარება. ეხებოდა რა ყუთლუ-არსლანის პროგრამის პოლიტიკური იდეოლოგიის ამ თავისებურებას, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „პირველი შემთხვევა გვაქვს აქ, როდესაც პოლიტიკური საკითხის განსახორციელებლად ძველ საქართველოში ფიცზე დამყარებული შეთანხმებული პოლიტიკური დასი გვევლინება“⁶.

ყველაფერი ეს აუცილებელს ხდის ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის შესწავლას სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის შუქზე, მაგრამ პირველ ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ იმ წყაროებზე და ლიტერატურაზე, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის აჯანყებაზე.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის მეცნიერულ კვლევას საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც XII ს-ის საქართველოს ისტორიისა და მსოფლიო კულტურის ისტორიაში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის აჯანყებას კუთვნილი ადგილი მიუჩინა. მაგრამ ყუთლუ-არსლანის შეთქმულების შესახებ ჩვენამდე მოღწეული წყაროს მრავალნაირი ლოგიკური ახსნა-განმარტების შესაძლებლობა და ამის საფუძველზე მეცნიერულ ლიტერატურაში გავრცელებული ურთიერთდაპირისპირებულ შეხედულებათა არსებობა, აგრეთვე აჯანყებულთა პოლიტიკურ პროგრამაში ჩამოყალიბებულ იდეათა ორიგინალობა, მეცნიერების განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე აუცილებელს ხდის ისევ და ისევ დავუბრუნდეთ ქართული ისტორიოგრაფიის ამ პრობლემას.

ყუთლუ-არსლანის დასის მიერ თამარ მეფის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებისა და მისი პოლიტიკური პროგრამის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ძუნწი ცნობა, რომელიც გადმოცემული აქვს უცნობ ისტორიკოსს თავის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარაგანდელთან“⁷. ამ ცნობის პირველ ნაწილში ლაპარაკია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაზე და აჯანყებულთა პოლიტიკურ პროგრამაზე. მეორე ნაწილი შეიცავს სამეფო ხელისუფლების მიერ აჯანყებულთა პოლიტიკური მოთხოვნის შეფასებას და ყუთლუ-არსლანის დაპატიმრების ამბავს. მესამე ნაწილი კი დათმობილი აქვს სამეფო ხელისუფლებასა და ყუთლუ-არსლანის მომხრეებს შორის შემდგომ ურთიერთდამოკიდებულებას და თამარ მეფის მიერ ამ უკანასკნელთა შემოორიგებას. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის ზემოაღნიშნული

⁵ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 31—32.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 376.

⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 30—32.

თხულებს ტექსტი, რომელიც ყუთლუ-არსლანისადმი მიძღვნილი, დამახინჯებულია და იგი აღდგენილი უნდა იქნას მარიამ დედოფლისეული და შევსებული ქართლის ცხოვრების მიხედვით. კერძოდ, იქ, სადაც ლაპარაკია ყუთლუ-არსლანის „მზაკვარებაზე“ თხულების ტექსტს უნდა ჩაემატოს „ადრე აღზავებად და უფროს-ლა გვარითა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“⁸. გარდა ამისა, ი. ჯავახიშვილის აზრით, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხულებაშიც უნდა იყოს ლაპარაკი ყუთლუ-არსლანზე და მის მომხრეებზე: „მეორე ისტორიკოსმაც იცოდა, რასაკვირველია, ეს ამბები, როდესაც „სიმდიდრით ალაღებულნი“ თურმე „სხუათა განზრახუთა დამოეკიდნენ“ (იგულისხმება ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობა) და „ერთი ერთისა მტრობად მოიცილიდეს ბრძოლად“, რაც მისივე სიტყვით „ყუესცა ვიეთ(თა)მე დაწყებასა ამის (ე. ი. თამარის) მეფობისასა“, მაგრამ რამდენადაც მეორე ისტორიკოსის თხულების გადარჩენილ ნაწილთაგან ჩანს, ამას ის მხოლოდ გაკვრით და ზემომოყვანილი ორიოდ სიტყვით იხსენიებს“⁹.

ყუთლუ-არსლანის დასის აჯანყებისა და მისი პოლიტიკური პროგრამის შესახებ ამ ძუნწი ცნობების მეტი შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიას ჩვენთვის არაფერი შემოუნახავს. სამაგიეროდ ახალი დროის ისტორიულ მეცნიერებაში ყუთლუ-არსლანის შესახებ გაჩნდა მდიდარი ლიტერატურა ურთიერთდაპირისპირებული შეხედულებებითა და მოსაზრებებით. ყუთლუ-არსლანისადმი მიძღვნილი ლიტერატურის მეცნიერული შეფასების გასაადვილებლად ეს მოსაზრებანი პირობითად შეიძლება ორი ურთიერთდაპირისპირებული თვალსაზრისის მიხედვით იქნას წარმოდგენილი: პირველი, მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით აჯანყებული ყუთლუ-არსლანის მრავალრიცხოვანი მომხრეები მესამე წოდებას ეკუთვნოდნენ და მათი პოლიტიკური პროგრამა მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას ანტიფეოდალური სოციალური ფენების ინტერესთა შესაბამისად¹⁰; მეორე, მეცნიერთა სხვა ჯგუფი კი ამტკიცებს, რომ ყუთლუ-არსლანის დასი შედგებოდა ძირძველი დიდგვარაიანი აზნაურებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას¹¹.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული კონცეფციების მომხრეთა მიერ წამოყენებული თვალსაზრისები XII ს-ის საქართველოს სოციალურ-

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვ. II, გვ. 156.

⁹ იქვე.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, 1929, გვ. 160; შ. მეხსია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 107; მ. ს. ივ. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 89; გ. მეღვიძროშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 93—96; ს. ანაშვილი, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, შრომები, 11, 1952, გვ. 428; რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 138—170; ვ. აბაშიძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 368—450 და ა. შ.

¹¹ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ტფ., 1885, გვ. 197; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, 1974, გვ. 176—198; გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ (სოხუმის პედინსტიტუტის შრომები, X-XI, 1958, გვ. 67—99; პ. ინგოროყვა, რუსთაველიანას ეპილოგი, თხულებანი, ტ. 1, 1963, გვ. 596—601; მ. ლორთქიფანიძე, История Грузии IX — начало XIII века, 1974, გვ. 143—146. და ა. შ.

10. „მ. ა. ც. ნ.“, ისტორიის სერია, 1979, № 3

ეკონომიური ცხოვრების საკმარისი მასალებით არაა დასაბუთებული იმ საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო, რომ მათ შემცველ წყაროებს სრული სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყუთლუ-არსლანის პრობლემის კვლევისას გამოყენებული სპეციალური მეთოდები და XII საუკუნიდან ჩვენამდე მოღწეული წყაროების ტექსტთა ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი, აგრეთვე ლოგიკურ მსჯელობებზე დამყარებული სხვადასხვა სახის არგუმენტები, რაც მეცნიერებისათვის პირველად ცნობილი გახადა ივ. ჯავახიშვილმა, საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ყუთლუ-არსლანის დასის მომხრეები მესამე წოდების ინტერესებით მივიჩნიოთ ანტიფეოდალურ ძალად, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას. ჩვენი ეს მოსაზრება უფრო ვრცლად აღმოვაჩინეთ ნაშრომში „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“ და მასზე აქ აღარ შევჩერდებით¹².

ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის თაობაზე მეცნიერებაში გაბატონებულია და მის მომხრეთა რიცხვი თანდათან იზრდება. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ ზოგიერთ ნაშრომში წამოყენებულია საწინააღმდეგო თვალსაზრისი, მეტიც, მოცემულია ყუთლუ-არსლანის დასის თაობაზე მეცნიერებაში გაბატონებული აზრის კრიტიკაც. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამისადმი ახლებური მიდგომით გამოირჩევა ილ. ანთელავას სტატია „ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ“¹³. ამ ნაშრომის ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ ყუთლუ-არსლანის დასის დიდგვაროვნული შემადგენლობისა და მისი პოლიტიკური პროგრამის ფეოდალური შინაარსის დასაზღუტებლად ავტორს მეცნიერულ ლიტერატურაში დღემდე უცნობი და საინტერესო მოსაზრება შემოაქვს. ილ. ანთელავას მიერ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის სიახლე იწყება „ისტორიანი და აზმანი შარაკანდეთთანის“ უცნობი ავტორის ერთი პატარა მითითების თავისებური გააზრებით. ეს მითითება ეხება იმას, რომ ყუთლუ-არსლანი მოითხოვდა შემოღებას „წესსა რასამე სპარსთა განაგისსა“. თამარის ისტორიკოსის ეს მითითება ივ. ჯავახიშვილს არ მიაჩნდა ყუთლუ-არსლანის მიერ სპარსული წესის მიბაძვით ახალი მმართველობის შემოღების მოთხოვნად¹⁴. ილ. ანთელავას მმართველობის „სპარსული წესი“ პირდაპირი მნიშვნელობით ესმის და მიუთითებს, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, მართლაც, გულისხმობდა სახელმწიფო ხელისუფლების გარდაქმნას მუსლიმანურ-მაჰმადიანურ სამყაროში ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის მიბაძვით. ამის დასამტკიცებლად იგი გასცნობია მუსლიმანურ-მაჰმადიანური სახელმწიფოების წყობილების თავისებურებებს, მის შესახებ არსებულ მეცნიერულ ლიტერატურას და ცნობილი მეცნიერის ვ. ბარტოლდის გამოკვლევებიდან ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის კვლევისას სახელმძღვანელოდ მიიჩნევს შემდეგ დებულებას: „აღმოსავლურ-მუსლიმანური პოლიტიკურა ორგანიზაციის მთელ სისტემას წითელ ხაზად გასდევს მმართველობის ყველა ორ-

¹² იხ. ვ. აბაშვიძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 368—450.

¹³ «მაცნე», 1977, № 6, გვ. 180—192.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 182—183.

განოს ორ დიდ კატეგორიად, დერგაჰად (სასახლე) და დივანად (კანცელარია) გაყოფა¹⁵.

ილ. ანთელავას მტკიცებით, აღმოსავლურ-მუსლიმანური სამყაროსაგან განსხვავებით XII ს-ის საქართველოში მეფის კარისაგან ცენტრალური მმართველობის აპარატი გამოყოფილი არ იყო და სწორედ დიდგვარიანმა აზნაურებმა ყუთლუ-არსლანის მეთაურობით მოითხოვეს რეფორმის განხორციელება სახელმწიფო მმართველობაში. ილ. ანთელავა წერს: „ჩვენი აზრით, ყუთლუ-არსლანის დასმა მოითხოვა არა პარლამენტური დაწესებულების შემოღება, არამედ ცენტრალური მმართველობის აპარატის გამოყოფა მეფის კარისაგან“¹⁶.

თუ შევადარებთ ილ. ანთელავას მიერ წამოყენებულ მოსაზრებას გაბატონებულ კონცეფციას, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი, დავინახავთ, რომ მას აკლია დასაბუთება. საქმე ისაა, რომ ჯერ-ერთი, ყუთლუ-არსლანის პროგრამის შინაარსის დადგენა შეუძლებელია მხოლოდ ერთი ტერმინის, კერძოდ „სპარსული წესის“ მიხედვით, რადგან ყუთლუ-არსლანის გამოსვლისადმი მიძღვნილ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში გვხვდება ბევრი ისეთი სხვა ტერმინი, რომლებიც ტერმინს „სპარსული წესი“ ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ არ აქცევენ. გარდა ამისა, ილ. ანთელავას მიერ წამოყენებული თვალსაზრისის მთავარი ნაკლოვანება ისაა, რომ იგი დასაბუთებულია იურიდიული მეცნიერების მიერ შემუშავებული ისეთი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტებით (ფეოდალური სახელმწიფოს წყობილება, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, სამეფო ხელისუფლება ფეოდალურ საზოგადოებაში, ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმი, სამეფო კარი და სახელმწიფო მმართველობის აპარატი და ა. შ.), რომელთა არსი, დანიშნულება და ფუნქციები ავტორის ძალიან ხშირად არაზუსტად აქვს წარმოდგენილი.

ილ. ანთელავას ნაშრომში დასახელებულ ყველა სამართლებრივ და სახელმწიფოებრივ ინსტიტუტზე შეჩერება აქ შეუძლებელია, მაგრამ სახელმწიფო წყობილების ზოგიერთ ძირითად ცნებებზე, რომლებიც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამის შესახებ ილ. ანთელავას მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებებში გარკვევისათვის, აქ არ შეიძლება არ გავამახვილოთ ყურადღება.

ყველა ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი საზოგადოებაში ფეოდალთა კლასის ბატონობის დაწესებულებებია. ფეოდალური სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, რომელიც ხელისუფლებას არავის უნაწილებს, ე. ი. მეფე თვითონ არის საკანონმდებლო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი და სასამართლო ხელისუფლების მეთაური. ფეოდალური სახელმწიფოებრიობა წარმოადგენს საკანონმდებლო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ერთობლიობას და მისი მეთაურია მეფე. ამრიგად, ფეოდალური სახელმწიფოებრიობა, როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელ-განმკარგულებელი და სასამართლო ხელისუფლების ერთობლიობა თავისი არსით მონისტურია, რამდენადაც მხოლოდ მეფეა მის სათავეში.

15 ილ. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

16 იქვე, გვ. 189.

სამეფო ხელისუფლება ფეოდალურ საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობის განხორციელების მიზნით ქმნის ორი სახის სახელმწიფო ორგანოს: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რომელიც ფეოდალიზმის ეპოქაში მეფეს ეკუთვნის, გააჩნია უშუალო მბრძანებლური ხასიათის კომპეტენცია, რაც გულისხმობს ქვევის სავალდებულო წესების დადგენისა და ამ წესების შესრულების უზრუნველყოფისათვის იძულებითი ღონისძიებების განოყენებას. რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, რომელთაც მეფე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მეთაური ქმნის თავისი მბრძანებლური ხასიათის ძალაუფლების განხორციელებისათვის, ისინი აწარმოებენ აღმასრულებელ და განმკარგულებელ საქმიანობას, რაც ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ დადგენილი ზოგადი ქვევის წესების საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ დარგებში განხორციელებასა და მთ შესრულებაზე კონტროლს. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების დამხმარე დაწესებულებებია, რომლებიც თავიანთ საქმიანობას აწარმოებენ მბრძანებლური სახელმწიფო ორგანოს (სამეფო ხელისუფლების) უშუალო კონტროლითა და მითითებით, ამრიგად, ფეოდალურ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლება, მთლიანია მონისტურია, ამიტომ ილ. ანთელავას მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ფეოდალურ საზოგადოებაში სამეფო ხელისუფლების (სამეფო კარისა) და მმართველობის ორგანოების გაყოფაზე (დაყოფაზე). სწორედ ამიტომაც, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია ანტიფეოდალურია თავისი შინაარსით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფეოდალური სახელმწიფოს ორგანოების ფუნქციების გამოიჯნაზე, რომელიც ხდება სახელმწიფოს უმაღლესი სუვერენის — მეფის ნების შესაბამისად. ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ასეთი გამიჯვნა დამახასიათებელია ყველა განვითარებული ფეოდალური სახელმწიფოსათვის, რომლის ადრეულ სტადიაზე საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობა ხორციელდება სასახლის ეოტიჩნური მმართველოს ფორმით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ნათელია, რომ ილ. ანთელავას მიერ თავის ნაშრომში ციტირებული ვ. ბარტოლდის საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება აღმოსავლურ-მუსულმანურ განვითარებულ ფეოდალურ სახელმწიფოებში ყველა ორგანოს ორ დიდ კატეგორიად გამოიჯნის შესახებ არაეითარ შემთხვევაში არ იწვევს ეჭვს. რაც შეეხება ვ. ბარტოლდის ამ სწორ მოსაზრებიდან ილ. ანთელავას მიერ გაკეთებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოთხოვნა იყო „ცენტრალური მმართველობის აპარატის გამოყოფა მეფის კარისაგან“, იგი მცდარია. საქმე ისაა, რომ XII ს-ის საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილება თუ მეტი არა, იმდროინდელი ფეოდალური სამყაროს განვითარების დონეზე იდგა. ყოველ შემთხვევაში საქართველო ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მიხედვით აღმოსავლურ-მუსლიმანურ სახელმწიფოებზე მაღლა იდგა. ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ XII ს-ის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები ერთმანეთისაგან ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლამდე უკვე დიდი ხანია გამოიჯნული იყო და ამის თაობაზე ბრძოლის საფუძველიც არ არსებობდა. ივ. ჯავახიშვილმა „ქართული სამართლის ისტორიის“ ორ ტომში XII ს-ის ფეოდალური საქართვე-

ლოს სახელმწიფო სამართლაში ერთმანეთისაგან სავსებით გამიჯნულად წარმოგვიდგინა სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები. ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე ნაკვეთში ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: პირველი, სამეფო ხელისუფლება და მეორე, სახელმწიფო დარბაზი¹⁷. რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, რომელსაც ვაზირები (მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და ა. შ.). ედგენ სათავეში, იგი ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის პირველ ნაკვეთში¹⁸. ივ. ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა მიუთითა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ერთმანეთისაგან გამიჯნაზე და საფუძვლიანად გამოიკვლია ამ ორგანოების სამართლებრივი სტატუსი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების იურიდიული ბუნება ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებათა მიხედვით მომდევნო პერიოდში შესისწავლეს ნ. ბერძენიშვილმა¹⁹, ი. სურგულაძემ²⁰ და სხვებმა.

ილ. ანთელავას მოსაზრება კი იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანი მოითხოვდა ზევის კარისაგან (სამეფო ხელისუფლებიდან) ცენტრალური მმართველობის აბარატის (სავაზიროს) გამოყოფას არ შეიძლება გაზიარებულ იქნას, რადგან ეს მოთხოვნა უკვე დიდი ხანია განხორციელებული იყო XII ს-ის საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში და სხვათა შორის სწორედ ამის შედეგად გაჩდა ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთუხუცესი (ფინანსთა მინისტრი), ვითარცა სავაზიროს (მინისტრთა საბჭოს) წევრი (ვაზირი).

ამრიგად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის გამოსვლისა და აჯანყებულთა პოლიტიკური პროგრამის შესახებ, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული, ძალაში უნდა დარჩეს. მაგრამ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის შინაარსის ი. ჯავახიშვილისეული გააზრების მართებულობის დასასაბუთებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას, რომლის შუქზე ნათლად ჩანს აჯანყებული მეჭურჭლეთუხუცესის პროგრამის შინაარსი და მასში გადმოცემული იდეების მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის ისტორიისათვის.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია მონათმფლობელურ ეპოქაში ჩამოყალიბდა. ანტიკური ეპოქის მოაზროვნეები (პლატონი, აρισტოტელე, ციკერონი და სხვები) საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელების მიზნით საგანგებოდ ამუშავე-

¹⁷ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 108—248.

¹⁸ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, 1928, გვ. 108—217.

¹⁹ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 111, თბ., 1966, გვ. 5—57.

²⁰ ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, სავაზირო ვეფხისტყაოსნის მიხედვით (მნათობა, 1967, №12).



ბენ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას. პლატონის აზრით, სახელმწიფო აპარატის მუშაობა უნდა ემყარებოდეს შრომის დანაწილების პრინციპს: „თითოეულს შეუძლია კარგად შეასრულოს მხოლოდ ერთი საქმე და არა მრავალი; თუ ვინმე შეეცდება ერთდროულად მრავალი საქმის გაკეთებას, იგი ვერაფერს ვერ მიაღწევს“²¹. შრომის დანაწილების პრინციპს პლატონი აგრძელებს სახელმწიფოს საქმიანობაზე და მიუთითებს, რომ ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატებით განხორციელებისათვის, იგი უნდა დანაწილდეს საკანონმდებლო (*ἡ νομοθεσία*)²², აღმასრულებელ (*τὸ ἀρχαῖον*)²³ და სასამართლო (*τὸ δίκαστον*)²⁴ ხელისუფლებებად²⁵. ეხებოდა რა პლატონის სახელმწიფოებრივ მოძღვრებაში შრომის დანაწილების მნიშვნელობას კ. მარქსი წერდა, რომ პლატონის რესპუბლიკაში „შრომის დანაწილება სახელმწიფოს ჩამომყალიბებელ პრინციპად არის აღიარებული“²⁶. პლატონის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია განვითარებულ იქნა არისტოტელეს, პოლიბიოსის, ციკერონის და სხვათა მიერ ანტიკურ სამყაროში²⁷.

ანტიკური ეპოქიდან დაწყებული ფეოდალურ საზოგადოებაში ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვამდე და „მესამე წოდების“ ჩამოყალიბებამდე სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად-თეორიული საკითხები და მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება დავიწყებული იყო. შუა საუკუნეების ეპოქაში ადამიანთა შეგნებაზე რელიგიური დოგმატების განუყოფელი ბატონობის შედეგად, საერო პრობლემებს თითქმის არავინ არ ამუშავებდა. საეკლესიო ხელისუფლება ცდილობდა ყოველგვარი ადამიანურის (*Humana*) დათრგუნვას ღვთაებრივის (*divina*) სასარგებლოდ. სხვა სოციალურ მოვლენებთან ერთად საეკლესიო ხელისუფლება სახელმწიფოსა და სამართალს განიხილავდა, როგორც ღვთაებრივ მოვლენებს, რომელთა განვითარება მთლიანად ღმერთის ნებითაა განსაზღვრული. დიდი ხნის განმავლობაში შუა საუკუნეების ეპოქაში მეცნიერული კვლევა მხოლოდ რელიგიური სქოლასტიკის ფარგლებში წარმოებდა. ადრინდელი რენესანსის ეპოქამდე ძირითადად „მეცნიერება იყო ეკლესიის მორჩილი მსახური, რომელსაც ნება არ ჰქონდა საწმუნოების მიერ დადებული საზღვრები გადაეღახა: მოკლედ იგი ყველაფერი იყო, გარდა მეცნიერებისა“²⁸.

ფეოდალურ ეკონომიკის წიაღში ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვამ, რაც უკვე შესამჩნევნი ხდება XII საუკუნიდან, თავისი გამოხა-

²¹ П л а т о н, Государство, 394.

²² П л а т о н, Законы, 807, 823.

²³ იქვე, 842, 948

²⁴ იქვე, 945.

²⁵ C. Michelakis, Platons Lehre von der Anwendung des Gesetzes und der Begriff der Billigkeit bei Aristoteles, 1958, გვ. 5—27; Forstoff, Gewaltenteilung (Evangelische staatslexikon, გვ. 655.); В. А б а ш м а д з е, Учение о разделении государственной власти и его критики, 1972, გვ. 11—14 და ა. შ.

²⁶ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1952, გვ. 394.

²⁷ Политика Аристотеля, 1297, 1298; Цицерон, О государстве, I, 29, 45; Ш. М о н т е с к ъ е, избранные произведения, М., 1955, გვ. 301-303; ვ. აბაშმაძე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, ტ. 11, თბ., 1977, გვ. 344—351. და ა. შ.

²⁸ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 11, თბ., 1950, გვ. 113.

ტულება პოვა საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. ფეოდალურ საზოგადოებაში სასაქონლო ფულადი ურთიერთობების ჩამოყალიბებამ ქალაქების წარმოშობამ, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა ვაჭრობისა და ხელოსნობის სწრაფი განვითარებისათვის, ფეოდალური საკუთრების ბატონობის მიუხედავად, განაპირობა ახალ კერძო მესაყუთრეთა გაჩენა. კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად იწყება რომის სამართლის რეცეპცია. იზრდება ინტერესი, აგრეთვე, ანტიკური სამყაროს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებისადმი.

უდიდესმა კულტურულმა მოვლენამ — რენესანსმა თავისი იდეური საფუძვლები პოვა ანტიკურობაში, რამდენადაც ქრისტიანული შუასაუკუნეები ყოველმხრივ თრგუნავდა რელიგიური დოგმატებისაგან თავისუფალ აზრს. ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ „არაბებისაგან გადმოღებული და ახლად აღმოჩენილი ბერძნული ფილოსოფიის მიერ ნასაზრდოები ნათელი, თავისუფალი აზროვნება, რომელიც მე-18 საუკუნის მატერიალიზმს ამზადებდა“²⁹, რენესანსის კულტურული მემკვიდრეობის მთავარი დამახასიათებელი თავისებურება ზდება. მეცნიერების თითქმის ყველა დარგში საერო მოტივების კვლევა უმთავრეს ადგილს იკავებს. პლატონის, არისტოტელეს და ანტიკური სამყაროს სხვა მოაზროვნეების მიერ დამუშავებულ პრობლემებს რენესანსის ეპოქაში იყენებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალები თავიანთი პოლიტიკური პროგრამების დასასაბუთებლად. ანტიკურობის ამ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიაა, რომელიც შუა საუკუნეებში უკვე მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, კერძოდ, სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას. მაგრამ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვით დაინტერესებული იყვნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალები და დაწესებულებები, ამიტომ ყველა ისინი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას განიხილავდნენ თავიანთი კლასობრივი პოზიციებიდან. შუა საუკუნეების ეპოქაში ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ორი ძირითადი ძალა იბრძოდა: საეკლესიო ხელისუფლება და რენესანსის მედროშე ბურჟუაზია, რომელიც ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაში სრულყოფდა საკუთარ იდეოლოგიას. ყველა ეს საზოგადოებრივი ძალა, თავიანთი პოლიტიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორც სააზროვნო მასალას იყენებს წარსული ეპოქების მეცნიერულ მემკვიდრეობას, უმთავრესად არისტოტელიზმს, რომელიც ლოგიკის გარდა მთლიანად უცნობი იყო მანამდე დასავლეთის ქვეყნებისათვის³⁰.

ამ მეცნიერული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოძღვრება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ. ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ ეტაპზე, რომელიც მოიცავს XIII—XVII საუკუნეებს³¹, შუა საუკუნეების ეპოქაში პირველად ჩნდება დასავლეთ ევროპაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება და იგი მიმართულია სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისაკენ. ფეოდალურ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლება მონისტუ-

²⁹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 62.

³⁰ Ю. Б о р г о ш, Фома Аквинский, М., 1960, გვ. 9-18.

³¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 456—457.

რია³², ამიტომ ფეოდალიზმში ჩასახული ბურჟუაზიული ელემენტები განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპიდანვე აქტიურად გამოდიან მონისტური სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. დამახასიათებელია, რომ განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ ეტაპზე ფეოდალური სახელმწიფოებრიობის მოსპობა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა არ წარმოადგენს ბურჟუაზიის პოლიტიკურ მოთხოვნას. ამ პერიოდში ბურჟუაზია ცდილობს შეზღუდოს სამეფო ხელისუფლება და ამ მიზნით მათი იდეოლოგები ანტიკურობიდან მემკვიდრეობით მიღებულ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას ავითარებენ.

მეცნიერულ ლიტერატურაში, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის ისტორიისადრე მიძღვნილი, ერთხმადაა აღიარებული, რომ XIII საუკუნემდე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს თეორია ჯერ კიდევ უცნობია³³. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება ფეოდალიზმის ეპოქაში პირველად გვხვდება XIII ს-ის მოაზროვნის, ერთ დროს პარიზის უნივერსიტეტის რექტორის, მარსილუს პადუელის ნაშრომებში. მარსილუს პადუელი წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის იდეოლოგია. ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად იგი მოითხოვს, რომ ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მთლიანად მეფეს ეკუთვნოდა, საზოგადოებაში დანაწილებულიყო საკანონმდებლო, აღმსრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მარსილუს პადუელი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნას ასაბუთებს არისტოტელეს ნაშრომებით, რომლებშიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩამოყალიბებულია მოსაზრება ერთიანი ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილების შესახებ: «Civem autem dico, secundum Aristotelem 3^o Politice, capitulis 1^o, 3^o et 7^o, eum qui participat in communitate civili orincipatu aut consiliativo vel indicativo secundum, gradum suum».³⁴

როგორც ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაშია აღნიშნული საქართველოში აღრინდელი რენესანსის იდეები გვხვდება ჯერ კიდევ XII საუკუნეში. რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება, რომელიც უკვე გვხვდება ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში.

ყუთლუ-არსლანის პროგრამაში გადმოცემული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნის თაობაზე უკანასკნელი პერიოდის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია არასწორი მოსაზრება, რომელზეც საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ. სტატიაში „ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ“ ილ. ანთელავა აღნიშნავს, რომ „ვ. აბაშმაძემ ყუთლუ-არსლანის გამოსვლა... მასშტაბურ მოვლენად მიიჩნია და მასში ხელისუფლების

³² W. K ö g i, Von der klassischen Dreiteilung zur umfassenden Gewaltenteilung, Bern, 1961, გვ. 162.

³³ В. В. А б а ш м а д з е, Учение о разделении государственной власти и его критика, გვ. 18—27.

³⁴ M a r s i l i u s v o n P a d u a, Der Vertiediger des Friedens (Defensor Pacis), Bd. 2, I, XI₄,

დანაწილების მოთხოვნა დაინახა³⁵. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის სრულ გაუგებრობაზე და მყარებული გ. მჭედლიძის მიერ გამოკვეყნებული ნაშრომის „ეტიუდი რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან“ ის ნაწილი, რომელიც ყუთლუ-არსლანის პროგრამის პოლიტიკურ მოთხოვნებს ეხება. გ. მჭედლიძე წერს, რომ ჩვენი მოსაზრებანი XII ს-ის საქართველოში ახალი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის არსებობაზე საისტორიო წყაროებით არ არის დადასტურებული, ამიტომ „მკვლევარი იძულებული გახდა, მსჯელობა სულ სხვა ასპექტში, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის სფეროში გადაეტანა“³⁶.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა შეისწავლა ნეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე და გააკეთა შემდეგი დასკვნები: პირველი, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური გამოსვლა და მისი პოლიტიკური მოთხოვნები სწორედ რომ „მასშტაბურ მოვლენას“ წარმოადგენს; მეორე, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პრობლემა ემყარება არისტოტელეს მიერ შემუშავებულ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას; მესამე, მეჭურჭლეთუხუცესის დასის აჯანყება მხოლოდ მესამე წოდების ინტერესების განხორციელებას ისახავდა მიზნად სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის გზით.

ყუთლუ-არსლანის პროგრამის პოლიტიკური მოთხოვნის დახასიათებისას ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ აჯანყებულები მიზნად ისახედნენ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას პარლამენტით, რააც იგი მსოფლიო ისტორიის უდიდეს მოვლენად თვლიდა³⁷. ივ. ჯავახიშვილის ამ დასკვნის საფუძველზე ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამაში მოცემულია „უზარმაზარი ამბავი პარლამენტური წყობილების შემოღების კრისა“³⁸. ამავე დროს პირველი მეცნიერი, რომელმაც ყუთლუ-არსლანის პროგრამის პოლიტიკური მოთხოვნები სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის დაუკავშირა, ივ. ჯავახიშვილი იყო. თავისი „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე ნაკვეთში იგი წარმატებით ადგენს ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოთხოვნების იურიდიულ საფუძველებს და მიუთითებს: „მეჭურჭლეთუხუცესის დასის პროგრამა რომ თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით გამოითქვას, მეფეს უნდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება შეერჩენოდა, კანონმდებელი ხელისუფლება კი — მართო „ქარავში დასხდომილთ“ უნდა ჰქონოდათ“³⁹. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებით იკვლევს ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამაში გადმოცემული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების გენეზისს XII ს-ის ფეოდალურ საქართველოში და მას საეხებით სამართლიანად უკავშირებს არისტოტელეს მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ცნო-

³⁵ «მაცნე», № 4, 1977, გვ. 181.

³⁶ «განთიადი», № 6, 1977, გვ. 176.

³⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე გვ. 410—411.

³⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 015.

³⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 173.

ბილია, რომ არისტოტელმა სახელმწიფოს ფუნქციების დასახასიათებლად თავისი განთქმული დებულება *Trias politica* წამოაყენა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს სამი ფუნქცია აქვს: კანონმდებლობითი (τὸ βουλευτικόν), მართლმსაჯულებითი (τὸ δικάζον) და მართვა-გამგეობითი (τὸ ἀρχαϊκόν)⁴⁰ მართლაც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული არისტოტელემ პლატონთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას. შუა საუკუნეებში კი არისტოტელეს მოძღვრება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ ფართოდ იქნა გამოყენებული ევროპაში ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპიდანვე (XIII—XVII სს.) მესამე წოდების მიერ სამეფო ხელისუფლების შესაზღვდავად და სახელმწიფოებრიობის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად⁴¹. ამიტომ ბუნებრივია, მესამე წოდება, რომლის პოლიტიკური მოთხოვნები ჩამოყალიბებულია ყუთლუ-არსლანის პროგრამაში, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას იყენებდა სამეფო ხელისუფლების შესაზღვდავად გამანათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპიდანვე, კერძოდ, XII ს-ის დასასრულიდანვე საქართველოშიც⁴².

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრების ცალკეული საკვანძო დებულებები გ. მჭედლიძეს არასწორად აქვს გაგებული თავის ზემოთ აღნიშნულ სტატიაში. ამიტომაც მისი შენიშვნები ყუთლუ-არსლანის პროგრამაში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნათა თაობაზე უსაფუძვლოა.

გ. მჭედლიძე შენიშავს, რომ „ძნელი წარმოსადგენია ყუთლუ-არსლანს რაიმე პოლიტიკური თეორია ჰქონდა, მით უფრო სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, მხოლოდ, რაღაც ჩამოუყალიბებელი იდეის არსებობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ“⁴³. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყუთლუ არსლანის პოლიტიკური პროგრამა რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნებს შეიცავს, იგი ჭერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა ცხადყო, ამიტომ მასზე შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია. მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს გ. მჭედლიძის შენიშვნის ის ნაწილი, რომელშიც გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამაში შეიძლება მხოლოდ „რაღაც ჩამოუყალიბებელი იდეის არსებობაზე ვიმსჯელოთ“. ცხადია, აქ მკვლევარს მხედველობაში აქვს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების „რაღაც ჩამოუყალიბებელი იდეა“. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია თავისი ჩამოყალიბების პერიოდიდან (ანტიკური სამყარო) გულისხმობს ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებად. ყუთლუ-არსლანის პროგრამაში უცნობი ისტორიკოსის მიერ გამოყენებული ტერმინები „განგება“, „სრულქმნა“, „წყალობა და შერისხვა“, როგორც ი. ჯავახიშვილმა

⁴⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 171.

⁴¹ მარსილუს პაღუელი, დასახ. ნაშრომი, Bd. 2, I, XII, 4; R. Trenmann, Die Monarchomachen, Leipzig, 1895 გვ. 41—48 და. ა. შ.

⁴² В. В. Абашмадзе, Учение о разделении государственной власти и его критика, Тб., 1972.

⁴³ «განთიადი», 1977, № 6, გვ. 176.

ცხადყო, ნიშნავს კანონმდებლობას, აღსრულებასა და მართლმსაჯულებას⁴⁴, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეულ ნაწილებს და ამდენად, აქ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების „რალაც ჩამოუყალიბებელი იდეა“ კი არაა მოცემული, არამედ საოცრად ნათელი მოთხოვნა ერთიანი ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებად დანაწილების შესახებ. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ივ. ჯავახიშვილს როცა ხაზგასმით მიუთითებდა: „რაც უნდა იყოს ერთი რამ სრულებით ცხადი და უცილობელია: ყუთლუ-არსლანისა და მისა თანმოაზრების მიერ წამოყენებული მოთხოვნისებანი საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში განსაკუთრებულ და მეტად საგულისხმო მოვლენად უნდა ჩაითვალოს; რამდენადაც ვიცით, არას დროს არავისგან ასე მკაფიოდ და ნათლად არ ყოფილა წამოყენებული საკითხი საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის საჭიროების შესახებ, რომ მეფეს „თვითმპყრობელობით“ და მხოლოდ მას საკუთრივ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის უფლება არა ჰქონდა, არამედ ეს უფლება განსაკუთრებულს უზენაესს დაწესებულებას მინიჭებოდა, მეფეს კი მარტო ამ დაწესებულების გადაწყვეტილების „განგებულს“ აღსრულების, „სრულქმნის“ უფლება შერჩენოდა. მაშასადამე, აქ საუცხოოდ არის ერთმანეთს შორის განსაზღვრული კანონმდებლობისა და განგების უფლება ერთი მხრით და სრულყოფის უფლება მეორე მხრით. მარტო ეს განსაზღვრა ქართული სახელმწიფო სამართლისა და აზროვნების დიდი განვითარების დამამტკიცებელია“⁴⁵. ივ. ჯავახიშვილის ამ დასკვნის შემდეგ გ. მკედლიძის შენიშვნა ყუთლუ-არსლანის პროგრამის „რალაც ჩამოუყალიბებელი იდეის“ შესახებ, რა თქმა უნდა, სრულიად უსაფუძვლო მოჩანს.

ასევე მეცნიერულად დაუსაბუთებლად გვეჩვენება გ. მკედლიძის მეორე შენიშვნა იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება ყველგან და ყოველთვის, მხოლოდ მესამე წოდების მიერ ხელისუფლების მიღებას ნიშნავდა, მაინცდამაინც დამარწმუნებლად არ ჩანს. ნოვეგროდისა და ფსკოვის XII—XIII საუკუნეთა ისტორია ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს“⁴⁶. მკვლევარს აქ არასწორად აქვს გაგებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია. საქმე ისაა, რომ ეს თეორია წარმოიშვა ანტიკურ სამყაროში და, რა თქმა უნდა, არავის არ შეუძლია ამტიკოსს, რომ იგი ყველგან და ყოველთვის, მხოლოდ მესამე წოდების მიერ ხელისუფლების მიღებას ნიშნავდა“ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ანტიკურ სამყაროში მესამე წოდება არ ყოფილა. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია ყველგან და ყოველთვის მიზნად ისახავს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას⁴⁷. ფეოდალიზმის ეპოქაში კი ბურჟუაზია განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ საფეხურზე (XIII—XVII სს.) საწიფო ხელისუფლების შესაზღუდავად იყენებს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას. ამ მოსაზრებას ვერ უარყოფს ის გარემოება, რომ XII—XIII სს. ფსკოვსა და ნოვეგროდში არ იცნობდნენ სახელმწიფო ხელი-

⁴⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 169—171.

⁴⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, გვ. 248—249.

⁴⁶ «განათილი», 1977, № 6, გვ. 176.

⁴⁷ შარასილუს პადუელი, დასახ. ნაშრომი, 2, 1, XII, 4; რ. ტროიმანი, დასახ. ნაშრომი გვ. 41—48 და ა. შ.

სუფლების დანაწილების თეორიას, რადგან ამ ეპოქაში აქ ჯერ კიდევ არ არსებობდა ჩამოყალიბებული მესამე წოდება საკუთარი პოლიტიკური იდეოლოგიით. რაც შეეხება რენესანსულ პოლიტიკურ თეორიებს (სახელმწიფო სუვერენიტეტი, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება და ა. შ.) ნოვეტორდსა და ფსკოვში მათ არსებობაზე ლაპარაკი ზედმეტია. აქ მესამე წოდების ჯერ კიდევ სისტემად ჩამოუყალიბებელი შეხედულებები, ეკლესიის ძლიერ ზეგავლენას განიცდიდა და მისი დოგმატების მიხედვით ვითარდებოდა. საქმარისია აღინიშნოს, რომ ნოვეტორდში ეაქართა კორპორაციები და საზოგადოებები დამოუკიდებლად კი არ არსებობდა, არამედ ცალკეულ ეკლესიებთან იყო ჩამოყალიბებული⁴⁸.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნას გ. მქედლიძის შენიშვნა იმის შესახებ, რომ XII საუკუნეში „ბურჯუაზიული ურთიერთობანი... ისე დაწინაურებულნი არ იყვნენ, რომ მათი შესაბამისი პოლიტიკური იდეოლოგიის ჩამოყალიბება გამზდარიყო შესაძლებელი... საისტორიო წყაროები ასეთი მტკიცების შესაძლებლობას არ იძლევიან“⁴⁹. საქმე ისაა, რომ მესამე წოდების პოლიტიკური იდეოლოგია ყალიბდება ბურჯუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველვე ეტაპზე, რომელიც, როგორც მარქსიზმის ფუძემდებლები მიუთითებდნენ, დასავლეთ ევროპაში დაიწყო XIII საუკუნეში. ეს იდეოლოგია ჩამოყალიბებულია მ. პადუელის, ნ. მაკიაველას, ეან ბოდენის, თ. ჰორის, თ. კამპანელას და სხვათა ნაშრომებში. როგორც ჩანს, XIII საუკუნეში, როცა დაიწყო ბურჯუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპი, დასავლეთ ევროპაში ბურჯუაზიული ურთიერთობანი იმდენად იყო განვითარებული, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ბურჯუაზიის მებრძოლი იდეოლოგიის ჩამოყალიბება, მაგრამ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის დასაწყისში ფეოდალურ საქართველოში? ცნობილია რომ XII ს-ის საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების დონეზე საგრძნობლად მაღალი იყო. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა ივ. ჯავახიშვილის შემდეგ საგულისხმო ცნობას: „საქართველო, თავისი ინტენსიური მეურნეობისა და ფართო აღებ-მოცემობის წყალობით, ფიწანს ურად მდიდარი ქვეყანა იყო. სპარსელი გეოგრაფის აბდალაჰ ყაზვინის ცნობით, საკუთრივ საქართველოს (უყმადნაფიცო ქვეყნებად) ყოველწლიური სახელმწიფო საღაროს შემოსავალი 3 750 000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამ ხანაში კი მცირე აზიის შემოსავალიც 2 475 000 მან., არაბეთის ერაყის 2 250 000 მან. და ფარსის 2 153 000 მან. შეადგენდა მხოლოდ. დას. ევროპის ქვეყნებთანაც ზომბარტით ინგლისის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4 000 000 ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთის 1311 წელს 3 000 000 ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს ეკონომიკაში ზემოაღნიშნული შემოსავლის თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავლის ოდენობაა. ამას გარდა მას სულადად დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა. მხოლოდ სწორედ ასეთმა ეკონომიურმა კეთილდღეობამ მისცა საშუალება საქართველოს და ხალხს აეტანა ის საშინელი პოლიტიკური და ეკონომიური განსაცდელი, რომელიც მას XIII საუკუნეში დაატყდა თავს“⁵⁰. მართალია, ამ სიმდიდრის დაგროვება საქართველოში

⁴⁸ История государства и права СССР, часть I, М., 1967, გვ. 187.

⁴⁹ «განთიადი», 1977, № 6, გვ. 176.

⁵⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, გვ. 394.

ძლევამოსილი ლაშქრობების შედეგიც იყო, მაგრამ ქვეყნის მაღალი ეკონომიკური დონე ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებით იყო განპირობებული. XII საუკუნის საქართველოს განვითარებულ ეკონომიკურ წყობილებაზე წარმოდგენას გვაძლევს ვაჭარ-ხელოსანთა მაღალორგანიზებული გაერთიანებები აშქრებისა და ორტაღების სახით. ქალაქებში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებამ გამოიწვია საქალაქო მოხელეთა ხელისუფლების სისტემის ჩამოყალიბება. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქონებრივი უთანასწორობის ზრდასთან ერთად ვაჭართა და ხელოსანთა წოდების შიგნით სოციალური დიფერენციაცია. თამარ მეფის დროინდელი საქართველოს განვითარებული ეკონომიკური წყობილების ფონზე საესეებით დამაჯერებლად მიგვაჩნია ნ. ბერძენიშვილის ნაშრომებში „პ. კაკაბაძის „დავით მერვე“ და „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის“ ჩამოყალიბებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ XII ს-ის დასასრულს ფეოდალური წყობილება საქართველოში განვითარების იმ დონეს აღწევს, რომ „ამის შემდგომი განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ შეიძლება მხოლოდ“⁵¹.

ნივხედავად ზემოაღნიშნულისა, გ. მჭედლიძე გვისაყვედურებს, რომ მესამე წოდება ჩვენთვის ბურჟუაზიაა, რომელსაც XII ს-ის საქართველოში გააჩნდა ანტიფეოდალური (ბურჟუაზიული) იდეოლოგია. გ. მჭედლიძეს დიდ ცოდვად მიაჩნია ჩვენი ეს მოსაზრება და გვისაყვედურებს, რომ XII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მსჯელობისას ჩვენ გავვიტაცა „ბურჟუაზიულ ურთიერთობათა მაღალგანვითარებულობის დამტკიცების პერსპექტივამ“ და ჩავთვალეთ რა „მესამე წოდება ეკონომიკურად ისე მომძლავრებულ კლასად, რომ მას თითქოს ქვეყნის შემდგომი პოლიტიკური განვითარების პერსპექტივის განსაზღვრა შეეძლო“, საუბარი წამოვიწყეთ „ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაბამისი იდეოლოგიის არსებობაზე“⁵².

წინასწარ უნდა ითქვას, რომ გ. მჭედლიძე ბევრ საყოველთაოდ ცნობილ კვლევებზეა შეცდომად მიიჩნევს. დავიწყეთ იმის გარკვევით თუ რა ურთიერთკავშირია მესამე წოდებასა და ბურჟუაზიას შორის, ნუთუ ისე დაპირისპირებული და დაშორებულია ისინი ერთმანეთის მიმართ, როგორც ეს გ. მჭედლიძეს ჰგონია? რა თქმა უნდა, არა, ქალაქების თავისუფალი მოსახლეობა, მოქალაქეთა ეს წოდება, წარმოადგენს ბურჟუაზიის კლასის ძირითად და უპირველეს ელემენტს. მარქსიზმის ფუძემდებლები მიუთითებდნენ, რომ „შუა საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვა პირველ ქალაქთა თავისუფალი მოსახლეობა; მოქალაქეთა ამ წოდებიდან განვითარდნენ ბურჟუაზიის პირველი ელემენტები“⁵³. კ. მარქსი და ფ. ენგელსი იქვე მიუთითებენ, რომ ბურჟუაზია, როგორც კლასი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყალიბდებოდა და მესამე წოდება წარმოადგენს გვაძლევს ბურჟუაზიის კლასად ჩამოყალიბების განსაზღვრულ ეტაპზე; „თანამედროვე ბურჟუაზია თვითონ ნაყოფია განვითარების ხანგრძლივი მსვლელობისა, წარმოების და აღებ-მიცემის წესში მომხდარი მთელი რიგი გადატრიალებებისა. ბურჟუაზიის განვითარების თიოოეულ ამ საფე-

⁵¹ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, 1971, გვ. 160.

⁵² «განთიადი», 1977, № 6, გვ. 176.

⁵³ კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, 1950, გვ. 12.

ხურს თან ახლდა შესაფერი პოლიტიკური წარმატება. ბურჟუაზიამ, რომელიც წარმოდგენდა დაჩაგრულ წოდებას ფეოდალთა უღელქვეშ, შეიარაღებულ და თვითმმართველ ასოციაციას კომუნაში, აქ დამოუკიდებელ ქალაქის რესპუბლიკას, იქ მონარქიის მესამე გადასახადვალდებულ წოდებას, შემდეგ, მანუფაქტურის დროს, თავადაზნაურობის წინააღმდეგ საპირწონე ძალას წოდებრივ ან აბსოლუტურ მონარქიაში და საერთოდ დიდი მონარქიების მთავარ საფუძველს, — ამ ბურჟუაზიამ, ბოლოს... თანამედროვე წარმომადგენლობით სახელმწიფოში ბრძოლით მოიპოვა თავისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური ბატონობა⁵⁴.

ვერ დავეთანხმებით გ. მჭედლიძის შენიშვნას იმის შესახებ თითქოს ჩვენი მტკიცების საწინააღმდეგოდ, XII ს-ის საქართველოს მესამე წოდებას არ შეიძლებოდა ჰქონოდა ჩამოყალიბებული ანტიფეოდალური (ბურჟუაზიული) იდეოლოგია. სინამდვილეში კარგადაა ცნობილი, რომ ბურჟუაზიას კლასად ჩამოყალიბების პირველ საფეხურზეც კი, ე. ი. როცა იგი მესამე წოდებას წარმოდგენდა, თავისი იდეოლოგია უკვე ჰქონდა შემუშავებული და ამ იდეოლოგიის მიხედვით აწარმოებდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლას. ფ. ენგელსი ნაშრომში „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“ მიუთითებს, რომ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი საფეხური მოიცავს პერიოდს XIII საუკუნიდან XVII საუკუნემდე და ამ ბრძოლას საფუძვლად უდევს რელიგიური იდეოლოგია. ფ. ენგელსი ეხება რა უნივერსალური მნიშვნელობის რევოლუციების რელიგიური იდეოლოგიის ზეგავლენას, მიუთითებს, რომ ასეთ ელფერს ეს რევოლუციები „მხოლოდ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ საფეხურზე ღებულობდნენ, ე. ი. მეცამეტე საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდე“⁵⁵.

დაბოლოს, ასევე გაუგებრობაზეა დამყარებული გ. მჭედლიძის მომდევნო შენიშვნაც. იგი გვისაყვედურებს რომ „ე. აბაშმაძე, როგორც სამართალმცოდნე... არ უნდა დათანხმებოდა მათ, ვინც ფიქრობს, რომ: „ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა მიზნად ისახავდა საქართველოში მანამდე არსებული მონარქიული წყობილების რესპუბლიკურით შეცვლას“⁵⁶. მკვლევარი, რომელიც სამართლიანად ამტკიცებდა, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამა მიზნად ისახავდა მონარქიული წყობილების რესპუბლიკურით შეცვლას, ივ. ჯავახიშვილია. ყუთლუ-არსლანისადმი მიძღვნილ ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით წერდა: „თუ საქმის ამ ვითარებასა და პოლიტიკურ პროგრამას თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით დავახასიათებთ, ეს დაახლოებით იმას უდრიდა, რომ საქართველოს მანამდე არსებული მონარქიული წესწყობილება რესპუბლიკურად უნდა შეცვლილიყო“⁵⁷.

გარდა ამისა, დასაზნაოა, რომ გ. მჭედლიძეს ჩვენი ნაშრომიდან ციტატა მოყვანილი აქვს არასრულად, რაც მთლიანად ამახინჯებს ჩვენს აზრს. კერძოდ, იქ, სადაც გ. მჭედლიძე ეხება მონარქიული წყობილებას რესპუბლიკურით

⁵⁴ ე. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1950, გვ. 13.

⁵⁵ იქვე, გვ. 457.

⁵⁶ «განთიადი», 1977, № 6, გვ. 176.

⁵⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 183.

შეცვლას, გამოტოვებულია მომდევნო, პირველთან ორგანულად დაკავშირებული წინადადება „სამეუფო ხელისუფლების შეზღუდვისა და ფეოდალურ საქართველოში პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნის გზით“⁵⁸. ამ განმარტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი მიუთითებს იმაზე თუ რას გულისხმობდა ივ. ჯავახიშვილი, როცა აღნიშნავდა, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამა მიზნად ისახავდა მონარქიული წყობილების რესპუბლიკურით შეცვლას.

ცნობილია, რომ მესამე წოდების რესპუბლიკური იდეების განხორციელებისათვის ბრძოლა ყველაზე იწყება თავდაპირველად სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და პარლამენტის შექმნის მოთხოვნით. ამას ნათელყოფს ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ საფეხურზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური დოქტრინები. ჯერ კიდევ XIII საუკუნეში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის იდეოლოგი მ. პადუელი მოითხოვდა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით რესპუბლიკური წყობილებისათვის გზის გაკაფვას, რაც მესამე წოდების სასიცოცხლო ინტერესს შეადგენდა. მეტიც, ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპის დასასრულისა და აგრეთვე მეორე ეტაპის დასაწყისში XVII ს-ის ბუნებითი სამართლის წარმომადგენლები თ. ჰობსი, ჯ. ლოკი, ჰ. გროციუსი და აგრეთვე XVIII ს-ის უფროსი თაობის ფრანგი განმათავისუფლებლები ვოლტერი, მონტესკიე და სხვები, რომლებიც ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად მონარქიის რესპუბლიკური წყობილებით შეცვლისათვის იბრძოდნენ, ჯერჯერობით ზომიერ მოთხოვნებს აყენებენ, კერძოდ, ისინი მეფის ხელისუფლების კონსტიტუციით შეზღუდვას ქადაგებენ⁵⁹.

აქედან ცხადია, რომ როცა ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამა მიზნად ისახავდა საქართველოში მანამდე არსებული მონარქიული წყობილების რესპუბლიკურით შეცვლას, იგი სწორედ ზემოთ აღნიშნულ გარემოებას გულისხმობს. მართლაც, ივ. ჯავახიშვილი ყუთლუ-არსლანის აჯანყებასთან დაკავშირებული საკითხების გამორკვევისას წერს: „სომიღრით აღზევებულთა“ დასის პროგრამის ეს დამახასიათებელი რესპუბლიკური წესწყობილებისადმი მიდრეკილება საშუალებას გვაძლევს ამ პროგრამის სადაურობა გამოვარკვიოთ“⁶⁰. ივ. ჯავახიშვილს ჩვენთვის საინტერესო დებულება სხვათა შორის აქვს გამოთქმული, მაგრამ მისი საგანგებოდ აღნიშვნა არც კი იყო საჭირო, რადგან ვინც კარგად იცნობს ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველი და მეორე ეტაპის დროინდელი ანტიფეოდალური აზრის ისტორიას, მისთვის ზედმეტი განმარტებებიც აღარაა საჭირო.

ამრიგად, გ. მჭედლიძის შენიშვნის საწინააღმდეგოდ, სწორედ როგორც იტრისტი უნდა დავთანხმებულიყავი ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა მიზნად ისახავდა სა-

⁵⁸ ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1969, გვ. 420.

⁵⁹ История политических учений, М., 1955, გვ. 110—113, 161—181, 189—200, 237—262.

⁶⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, ორჯონიძე, ნაკვეთი მეორე, გვ. 183; მ ი ს ი ე ვ ე, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, გვ. 250.

ქართველოში მანამდე არსებული მონარქიული წყობილების რესპუბლიკური შეცვლას.

ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია ყუთლუ-არსლანის დასის შესახებ, რომელიც მან წარმოაყენა ამ ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ, მთლიანად დასტურდება მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის მიღწევათა მიხედვით. კერძოდ, ყუთლუ-არსლანის დასი მესამე წოდების (ბურჯუაზიის) ინტერესების შესაბამისად მოითხოვდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას და ეს დასი თავის პოლიტიკურ პროგრამას ამყარებდა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიაზე, რომელიც ყველგან, სადაც კი იგი გაჩნდა ფეოდალიზმის ეპოქაში, ბურჯუაზიის პოლიტიკური იდეოლოგიის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი იყო.

В. В. АБАШМАДЗЕ

ТЕОРИЯ РАЗДЕЛЕНИЯ ВЛАСТИ И ПРОГРАММА КУТЛУ-АРСЛАНА

Резюме

О политической программе министра финансов Кутлу-Арслана, восстановившего в XII в. против царской власти в Грузии, в научной литературе существуют два противоположных мнения. Большинство ученых (И. Джавахишвили, И. Петрушевский, Ш. Месхия и др.) утверждают, что выступление сторонников Кутлу-Арслана является крупнейшим восстанием «третьего сословия» против царицы Тамар. Другие (С. Джанашия, Н. Бердзенишвили, Г. Соселия и т. д.) считают, что Кутлу-Арслан и его сторонники — крупные феодалы, устроившие восстание с целью ограничения царской власти в правах.

В настоящей статье автор доказывает, что поскольку в программе Кутлу-Арслана содержится антифеодалное политическое требование «третьего сословия» о разделении государственной власти, выступление сторонников Кутлу-Арслана никак нельзя считать восстанием крупных феодалов против царской власти. В работе дается также критика новых положений о политической программе Кутлу-Арслана, выдвинутых в последнее время И. Антелава и Г. Мчедлидзе.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრამ

თამაზ ბარაქაძე

მცირე ზენიშვნა

(მ. გაბაშვილის ნაშრომის გამო)

(როდის ჩნდება ქართულ წერილობით წყაროებში გეოგრაფიული სახელი „შავი ზღვა“)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების № 186 ტომში გამოქვეყნდა მანანა გაბაშვილის წერილი „შავი ზღვა ქართული წყაროების მიხედვით“. სხვა საკითხებთან ერთად ამ წერილში ავტორი ცდილობს დაადგინოს თუ როდის მკვიდრდება ტერმინი „შავი ზღვა“ ქართულ სინამდვილეში.

მ. გაბაშვილის აზრით, „სამწუხაროდ, ძნელი გამოსარკვევია, თუ როდის და რომელ ქართულ წყაროშია დამოწმებული პირველად შავი ზღვის ეს ახალი სახელწოდება. ალბათ, ქართული წყაროების სიმცირით აიხსნება, რომ ჩვენ XIII—XIV საუკუნეებისათვის არსად არ გვხვდება შავი ზღვის ასე ფართოდ გავრცელებული სახელი...“

„შავი ზღვა“ XVIII საუკუნემდე არც ერთ ქართულ წყაროებში არ იხმარება. შავი ზღვის ახალი სახელი პირველად სულხან-საბა ორბელიანის წიგნში — „მოგზაურობა ევროპაში“ — უნდა გვქონდეს დასახელებული...

„შავი ზღვა“ როგორც სრულიად გარკვეული შინაარსის შემცველი ტერმინი, ქართულ სინამდვილეში, საბოლოოდ მკვიდრდება მხოლოდ XIX საუკუნეში¹.

ჩვენ თავს უფლებას მივცემთ მ. გაბაშვილის ზემოთ მოყვანილ არც ერთ დებულებას არ დავეთანხმით:

1. „მცნებაა სარჯულოა“ ხმარობს გეოგრაფიულ სახელწოდებას „ზღუაჲ პონტოსა“². ქართულში სახელწოდება „შავი ზღვის“ XIII—XIV სს-ში გავრცელების შემთხვევაში, იგი „მცნებაა სარჯულოაში“ აუცილებლად აისახებოდა, რადგან ეს ოფიციალური, საეკლესიო დოკუმენტი დასავლეთ საქართველოშია შედგენილი XV ს-ის 70-იან წლებში.

2. შავი ზღვის პირველი დამოწმება ქართულ წყაროებში გვხვდება იმერთა მეფის ალექსანდრე IV წერილში რუსეთის ხელმწიფისადმი, რომელიც 1651 წლის 14 სექტემბერსაა შედგენილი. „ველმწიფე რომ მოინდომებს“, — ვკითხულობთ აქ, — „შვ ზღვას დაიჭირავს და სტამბოლის საქმეს ამის დაჭირვით რაც უნდა ისრე გაირიგებს“³.

დაახლოებით ამავე ხანაში მონაზონი მართა აფხაზეთის კათოლიკოსს გრიგოლს პალესტინის წმინდა ადგილების დაკარგვას ატყობინებდა და დახ-

¹ მ. გაბაშვილი, შავი ზღვა ქართული წყაროების მიხედვით, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 186, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1978, გვ. 128—129.

² ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 223.

³ Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, СПб., 1861, გვ. 95.

11. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1979, № 3

მარებას ემუდარებოდა: „უსათუოდ შავი ზღვით გამოაგზავნეთ. კაცი და საპატრიარქოშიდ სტამბოლს მოვიდეს“⁴.

გეოგრაფიული სახელწოდება „შავი ზღვა“ მოხსენიებულია იმერეთის მეფე ბაგრატის 1677 წლის და არჩილ მეფის 1690 წლის წერილებში რუსეთის მთავრობისადმი⁵.

არჩილ მეფე, პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, რომელიც XVII ს-ის 80-იან წლებშია დასრულებული, 1619 წლის ახლო ხანებში თურქეთში გახიზნულ თეიმურაზ I ათქმევინებს:

„რუსეთისაკენ გავემზადე, ეს რა მოსაგონია სა
 შავს ზღვაშიგან ნაეში ჯდომა დიდად დასაღონიასა“⁶.

ამრიგად, XVII ს-ის მეორე ნახევარში „შავი ზღვა“ ქართულ წყაროებში ფართოდ გამოიყენება, როგორც გეოგრაფიული ტერმინი.

ანალოგიური ვითარებაა XVIII საუკუნეშიც: ყველგან, როგორც წესი, შესაბამის ადგილას ეს სახელწოდება იხმარება. „შავი ზღვა“ დატანილია 1737 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე, იხსენიება ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაში“... „შავ ზღვით მპყრობი“ ოდიშის მთავართა მეორე დინასტიის ტიტულატურაშიც შემოდის XVIII ს-ის პირველი მეოთხედიდან⁷.

მართალია, დადიანთა ტიტულატურაში ზოგჯერ პონტოს ზღვაც იხმარება, ისევე, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი „შავ ზღვას“ „სპერის ზღვას“ და „პონტოს ზღვას“ თანაბარი მნიშვნელობით ხმარობს, მაგრამ აქ ძველი ტერმინების ხელოვნურ გაცოცხლებასთან გვაქვს საქმე და არა რეალურ სინამდვილესთან.

⁴ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, გვ. 39.

⁵ Переписка..., გვ. 95, გვ. 131.

⁶ არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ჩვენი საუნჯე, ტ. 4, თბ., 1960, გვ. 213.

⁷ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ., 1909, გვ. 396; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, თბ., 1921, გვ. 30; შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, თბ., 1958, გვ. 105.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

ანან ბანარაძე, მასალაზე ძარბოვანი სვრავისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1978

1978 წელს გამოცემულია „მეცნიერებამ“ გამოაქვეყნა ანა ბანარაძის „მასალები ქართული სვრავისტიკის ისტორიისათვის“ (კატალოგი ნაწ. 1)“. ესაა ქართული ლეგენდიანი ბეჭდების კატალოგი, რომელსაც წამძღვარებელი აქვს ვრცელი გამოკვლევა „ქართული ბეჭდების ზოგადი დახასიათება“, გვ. 3—32).

კატალოგი შეიცავს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საერო და სასულიერო პირთა ბეჭდების არქეოგრაფიულ აღწერა-დახასიათებას (გვ. 35—117). მოცემულია უთარილო საბუთების დათარიღების ცდა (გვ. 118—120). ნაშრომს თან ახლავს რეზიუმე რუსულ და ფრანგულ ენებზე (გვ. 121—122 და გვ. 123). დართული აქვს პირთა საიხებლები (გვ. 124—134). გამოქვეყნებულია ქართული ბეჭდების ტაბულები (გვ. I—XX XVII).

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ქართული ლეგენდიანი ბეჭდების პირველ ნაკვეთს, „რომელშიც შესულია — სამეფო-სამთავრო, დედოფლების, სამოხელეო და სასულიერო პირთა ბეჭდები“ (გვ. 5—6). გამოსაქვეყნებლად მომზადებული მეორე ნაკვეთი განუთავსებელია ფეოდალთა და ეპარქიელისათვის ლეგენდიანი ბეჭდებისათვის.

კატალოგი წარმოდგენილია XV — XVIII სს. ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში დაცული ბეჭდების ანაბეჭდები. შესწავლილია ბეჭდების გაჩენის საკითხი ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში, ბეჭდების აღწერა და თანამიმდევრობა საბუთებში, ლეგენდების შინაარსი და სხვ. კატალოგივე მოცემულია ლეგენდის წაკითხვა და ბეჭდის არქეოგრაფიული აღწერა. ყოველივე ეს ჩვენ აზრით, სანიშნოდ არის შესრულებული.

ქართული სვრავისტიკის შესახებ ზოგადი ხასიათის ცნობები მოგვრებათ ივ. ჯავახიშვილს, ს. ბარნაველს, ნ. თარხნიშვილს. ქართული ბეჭდების ზოგიერთი ლეგენდა გამოქვეყნებული აქვთ ქართული დოკუმენტების გამოცემლებს: ე. თაყაიშვილს, ნ. ბერძენიშვილს, ი. დოლიძეს. აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ბეჭდების ლეგენდები გამოაქვეყნა თ. ვენტქიტიძე. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ „ქართული სვრავის-

ტიკა ჯერჯერობით თითქმის შეუსწავლელი დარგია“ (გვ. 3).

ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად ა. ბანარაძის „მასალები ქართული სვრავისტიკის ისტორიისათვის“.

ნაშრომის ავტორი უკვე დიდიხანია წარმატებით სწავლობს ქართული დიპლომატიკისა და სვრავისტიკის საკითხებს. მის მიერ შესწავლილი და გამოკვლეულია სამეფო და საკათალიკოსო ბეჭდების ერთი ნაწილი — სამეფო ბეჭდები (პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. 11, თბ., 1969, გვ. 2—21; მასალები ქართული სვრავისტიკის ისტორიისათვის, საკათალიკოსო ბეჭდები, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, 11, თბ., 1972, გვ. 109—119). სულ მის მიერ შეგროვილი და შესწავლილია 1000-ზე მეტი სამეფო, სამონასტრო და სასულიერო პირთა ლეგენდიანი ბეჭედი. წინამდებარე ნაშრომი ამ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის ნაყოფია.

ცნობილია, რომ „ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში ქართული ბეჭდები XV საუკუნის 70-იან წლებიდან ჩნდება“ (გვ. 6), მეგრამ ბეჭდები, რა თქმა უნდა, ადრეც იყო დამახასიათებელი ქართული ისტორიული დოკუმენტებისათვის. ეს დამაჩერებლად აქვს ნაჩვენები ივ. ჯავახიშვილს. აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: „ჩვენამდე შემონახულია მხოლოდ ბეჭდების ანაბეჭდები, თვით ბეჭდების უდიდესი ნაწილი კი დაკარგულია. ამდენად, ფაქტიურად, ნაშრომი ანაბეჭდების კატალოგია და სწევს ბეჭდების კატალოგის მაგივრობას“ (გვ. 4). ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით ამ ანაბეჭდებს ასე სრულად თავი მოუყარა. შესწავლა და გამოსცა ა. ბანარაძემ.

ნაშრომში განხილულია ქართული სვრავისტიკის არაერთი საკითხი. კერძოდ, ყურადღება ეთმობა ბეჭდების ფორმას და ამ მხრივ განსხვავებული ვითარების არსებობას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში (ფორმების მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს, ბეჭდები განსხვავდებიან დასავლეთ საქართველოს ბეჭდებისაგან“, გვ. 12). განხილულია ლეგენდების დამწერლობის საკითხიც. დადასტურებულია არა მარტო ორენოვანი ბეჭ-

დების არსებობა (ქართულ-სპარსული, ქართულ-ბერძნული და ქართულ-თურქული), არამედ საბერძნეთი (ქართულ-სპარსულ-სომხური) და შრავალენოვანი ლეგენდებიც. მაგ., „ერეკლე მეფის ბექედი ქართულ, სომხურ, ბერძნულ, ლათინურ და სპარსულ ენებზე“ (გვ. 24).

ნაშრომში ცხადდება ნაწილები ქართული სფრაგისტიკული მასალების როგორც წყაროს მნიშვნელობა. ბექედების ლეგენდათა ყოველმხრივი ანალიზის შედეგად აღნიშნულია მათი განსაკუთრებული ღირებულება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესწავლად. ქართული სფრაგისტიკის მასალები შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულად გავითვალისწინოთ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო წყობილებისა და სამოხელეო ორგანიზაციის თავისებურებანი XV—XVIII სს, მანძილზე.

ქართული ბექედების ლეგენდებში მკაფიოდაა ასახული ფეოდალური ურთიერთდამოკიდებულების ის ფორმები (მეფესა და მთავრებს შორის, მეფესა და ფეოდალებს შორის), რომელიც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის და სათავადოთა სისტემის არსებობიდან გამომდინარეობდა. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა სასულიერო პირთა ბექედების ლეგენდებიც.

შეიძლება მოვიტანოთ ზოგიერთი მაგალითი.

მაშა გურიელის ბექედის ლეგენდა ასეთი შინაარსისაა: „მ /ო/ნა ლო/ისა, ყმა ზონტჭრისა, ხანი გურიისა მაშა“ (გვ. 52). ასეთი ფორმულა მხოლოდ იმერეთის მეფის ხელისუფლების უკიდურესი დასუსტების პირობებში შეიძლებოდა გაჩენილიყო. ამასვე გვიდასტურებს ოლშინი მთავრის ლეგენდებიც — „მიქორავს სვანი ზღვანი შვანი, ოლიშ ლეჩხუმ მპყრობი ვარ ოტია“ (იქვე) ან „უ/ფალმა/ნ მ/ო/მვა შავ ზღვას აქეთი, დადიანს მაქვს ლეჩხუმ სვანეთი კაცია“ (გვ. 51). იმერეთის მეფის არც დადიანი ასახელებს, გურიელის შავვასდ ისიც თავისთავს „ზონტჭრის ყმად“ აცხადებს.

მეფის დასახელება ჩვეულებრივი იყო მხოლოდ სამოხელეო ბექედებისათვის. მაგ., „მ/ო/ნ-ნ/ა/ ლთისა, ყმა იგე მეფისა, დივანბე/გ/ი/ ავთანდილ“ (გვ. 63) ან „მ/ო/ნა ლთისა, ყმა გე/ხან/გისა დივანბე/გი ავთ/ანდილ (გვ. 75). ასევეა ქალაქის, საქვეყნოდ გამჩრივ და მცირე მოხელეების ბექედების ლეგენდებზე — ეახტ/ანგის ბანდა მელიქ აშხარ/ბეგ“ (იქვე): „ლეთის მონებით, მეფის ყმობით, ვნისელთ მოურავი დავით“ (გვ. 82); „ქ. მოსავი ლთისა, მლოარეთხუცად ერთხულად მეფეს ვმონებ პაატა“ (გვ. 81) და სხვ.

ამავე თვალსაზრისით უარესად სა-

ინტერესოა ფეოდალთა ბექედების ლეგენდები (და მათი შედარება დასავლეთ საქართველოს მთავართა და ფეოდალთა ბექედების ლეგენდებთან), რომლებიც ეპარ-ხელოსანთა ბექედებთან ერთად სფრაგისტიკული მასალების მეორე ნაკვეთის მეორეხე და მეხუთე ნაწილებში გამოქვეყნდება. მათი საშუალებით ჩვენ შეიძლება ახალი მასალები მოვიპოვოთ როგორც სათავადოების, ისე ქალაქების ისტორიისათვის. ამიტომ საშურს საქმედ მიგვაჩინა სფრაგისტიკული მასალების მეორე ნაკვეთის გამოქვეყნების დაწესება.

საყურადღებო მასალებს ეპოელობთ ქართული ბექედების ლეგენდებში საქართველოს ირანთან თუ ოსმალეთთან ურთიერთობის პოლიტიკური ფორმის დასადგენადაც.

მაგალითად შეიძლება დავახელოთ სამეფო ბექედების ლეგენდათა ფორმულა: „შა-პაბაზის ფეხთა მტვერი, ძე მეფე როსტომისა ეახტანგ“ (გვ. 39) ანდა „მ/ანგის ფეჯთა მტუ-ერი, მეფე ნაზარალიხან გამტკაუკა“ (გვ. 44). მსგავსი ფორმულები გვხვდება დასავლეთ საქართველოს სამეფო და სამთავრო ბექედებზეც. მაგ., „მონა ლთისა, ყმა ხვანტჭრისა, მეფე გიორგი“ (გვ. 47); „მ/ო/ნა ლ/თ/ისა, ყმა ხვანტჭრისა გურიელი გიორგი“ (გვ. 50); „მონა ლთისა [ყმა], ხვანტჭრისა] დადიანი გიორგი“ (გვ. 51). რა თქმა უნდა, ეს ფორმულები მხოლოდ გარკვეული ქრონოლოგიური მონაკვეთისათვის იყო დამახასიათებელი.

ამგვარ საითხებს ავტორი ყველგან ჭეო-ვან უფრადლებს უთმობს. ამიტომ მართებულად მიგვაჩინა ის, რომ ნაშრომში ცალკე ქვეთავად შეტანილია დასავლეთ საქართველოს მთავრებსა და მათი ოჯახების წევრთა ბექედები (დადიანები, გურიელები). რომელთა ლეგენდებში ისინი ხშირად მეფისა და დედოფლის ტიტულთა იხსენიებიან (გვ. 4).

ავტორი სფრაგისტიკული მასალების მიხედვით ცდილობს გაარკვიოს XV—XVIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხიც, მაგრამ მის მიერ უმთავრესად ქართული დიპლომატიისა და სფრაგისტიკის ძირითადი საკითხებია შესწავლილ-გამოკვლეული.

ა. ბაქრაძის კვლევა-ძიების შედეგები მყარ საფუძველს უქმნის ქართული სფრაგისტიკის ყოველმხრივ ჩამოყალიბებას, „სფრაგისტიკული მასალების“ დასრულებულ გამოკვლევაში გადარჩებას. „ქართული სფრაგისტიკის“ შექმნას.

მოგვეპოება ზოგიერთი შენიშვნაც.

ნაშრომის ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ „სფრაგისტიკა ისტორიის დამხმარე დისციპლინაა“ (გვ. 3), მაგრამ შესწორებას მოიხოვებს იქვე ნათქვამი — „იგი დიპლომატიკის ანუ სივლამცილდენობის შემადგენელი ნაწი-

ლა“ (იქვე). სფრაგისტიკა — დამოუკიდებელი დამხმარე საისტორიო დისციპლინა და არა დიპლომატიკის შემადგენელი ნაწილი. სფრაგისტიკა ისტორიის დამხმარე დისციპლინად ყალიბდება XVII საუკუნეში. მისი ფუძემდებლები არიან მავრისტები. მავრისტების თაოსნობით XVII საუკუნის 80-იან წლებში ისტორიის დამხმარე დისციპლინად ყალიბდება დიპლომატიკაც. მისი ჩამოყალიბება დაკავშირებულია ჟან მაბილონის მოღვაწეობასთან, რა თქმა უნდა, სფრაგისტიკას ისეთივე ახლო ურთიერთობა აქვს დიპლომატიკასთან ანუ სიგელთმცოდნეობასთან, როგორც მავალითად, ჰერალდიკასთან და ნუმისმატიკასთან, მაგრამ არაერთგვარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ იგი დიპლომატიკის შემადგენელ ნაწილად.

სპარსული ბეჭდების გაჩენას ქართულ დოკუმენტებში ავტორი ვარაუდობს XV საუკუნიდან „ე. ი. იმ ხანიდან, როდესაც საქართველო ირანული გავლენის ქვეშ ემცევა“ (გვ. 13—14, 15). ირანული გავლენა, თუ ავტორი პოლიტიკურ გავლენას გულისხმობს, დამახასიათებელი ხდება არა XV საუკუნიდან, არამედ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან.

აღნიშნული ვარაუდობა აუცილებლად მოიხოვს განმარტებას.

სპარსული ბეჭდები დამახასიათებელი იყო ე. წ. ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთებისათვის. ეს აღნიშნული აქვს კიდევ ნაშრომის ავტორს (გვ. 15). ორენოვანი საბუთები კი მხოლოდ XVI საუკუნის 80-იან წლებში ჩნდება. ქართულ ნაწილს ჩვეულებრივ საბუთის გამცემის ხელრთვა და ბეჭდი უზის ბოლოში, სპარსული ნაწილი კი სპარსული ბეჭ-

დით იყო დადასტურებულ-დამტკიცებული (გვ. 15-16). სხვა ვითარება იყო ქართლ-ჯაბუთის მმართველი ხანების დროს. ამდროინდელ საბუთებში „როგორც ქართულ, ასევე სპარსულ ნაწილს მხოლოდ მათი სპარსული ბეჭდები უზით“ (გვ. 15). ამრიგად, სპარსული გავლენის აღნიშვნისას აუცილებლად საჭიროა ირან-საქართველოს ურთიერთობათა პოლიტიკური ფორმის გათვალისწინება, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოლიტიკურ სიტუაციაში.

ფეოდალთა ბეჭდების გამო ნათქვამია, რომ „ეს ბეჭდები შეადგენენ ე. წ. პირადი ბეჭდების ჯგუფს“ (გვ. 5). გამოთქმა „პირადი ბეჭდების ჯგუფი“ არ შეესაბამება იმდროინდელ ისტორიულ სინამდვილეს და სათავადოთა არსებობის ფაქტს. თავადებს (ფეოდალური სახლის უფროსებს) ჰქონდათ საკუთარი კარი, ჰყავდათ საკუთარი კარის მოხელენი და საქვეყნოდ გამრიგენი (სახლთუხუცესები, მწიგნობრები, მოურავენი, მამასახლისები), რომლებიც სათავადოს პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულს განაგებდნენ. ამის შესაბამისად იყო გაფორმებული მათი ბეჭდების ლეგენდებიც: ამიტომ არ შეიძლება ეს ბეჭდები „პირადი ბეჭდების ჯგუფს“ მიეკუთვნებოდ.

ჩვენი შენიშვნები მიზნად ისახავს ქართული სფრაგისტიკის ზოგიერთი საკითხის დაზუსტება-გამართებას.

ა. ბაქრაძის „მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის“ ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ბალერიან გუბაშვილი

**ბ. სილაგაძე, ერაყი გამლუქთა გამგებლობის ხანაში (1749—1831 წწ.)
გამომც. „მეცნიერება“ თბ., 1978, გვ. 355**

აკადემიკოს გ. წერეთელის რჩევით, ბ. სილაგაძე დაახლოებით სამი ათეული წლის წინათ შეუდგა ერაყის ქართველ მამლუქთა (ქულემენების დინასტიის) ისტორიის შესწავლას და ამ ხნის განმავლობაში არა ერთ საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა.

სარეცენზიო მონოგრაფია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ბ. სილაგაძის მრავალი წლის შემაჯამებელი კვლევა-ძიების ნაყოფია, რომელშიც განზოგადებულია ერაყის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორია მამლუქთა გამგებლობის პერიოდში.

დღეს, როდესაც ერაყმა თავი დააღწია კოლონიალური ჩაგვრის უღელს და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა კი-

დეგ უფრო მეტად საჭირო ხდება ამ ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლა. ერაყის ისტორიის შესწავლა მამლუქთა მმართველობის ხანაში მრავალმხრივ საყურადღებოა: ამ დროს ქვეყნის ადგილობრივი მკვიდრი არაბები იწყებენ ბრძოლას ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ და მამლუქებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში. მამლუქთა გამგებლობის ხანაში ერაყში ჩატარდა სხვადასხვა სახის რეფორმები, რის შედეგადაც ქვეყანა ეკონომიკურად და კულტურულად აღწინაურდა. ამ პერიოდში ერაყის ისტორიის შესწავლა სიანდერესობა საქართველო-ერაყის ურთიერთობის თვალსაზრისითაც, რადგან მამლუქთა უმრავლესობა წარმო-



შობით ქართველები იყვნენ და გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ დაკარგულ სამშობლოსთან და მის მფარველ რუსეთთან. ერაყის ამდროინდელი ისტორია საყურადღებოა, აგრეთვე ოსმალეთთან და ირანის დამპყრობლური და ინგლისის კოლონიალური პოლიტიკის შესასწავლად. ამგვარად, ერაყის ისტორიის შესწავლა მამლუქთა გამგებლობის პერიოდში მეტად საინტერესო და აქტუალურია.

ერაყის ისტორია მამლუქთა გამგებლობის ხანაში დიდი ხანა წარმოადგენს მკვლევართა ყურადღების საგანს, რიგი საინტერესო ნაშრომებისა გამოქვეყნდა ამ საკითხთან დაკავშირებით როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ, მაგრამ ამ შრომების უმრავლესობაში ქვეყნის პოლიტიკური ისტორიაა გადმოცემული და სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს სრულიადაც არ ექცეოდა ყურადღება.

ერაყში ქართველ მამლუქთა გამგებლობის ისტორიის შესწავლას საქართველოში პირველად ყურადღება მიექცია გ. ბეი-შაშიონიანმა. შემდგომ ამ საკითხს ვაკერით შეეხებ გ. ლეონიძე და შ. კურდღელაშვილი.

სარეცენზიო ნაშრომი პირველი მონოგრაფიაა, რომელშიც ყოველმხრივ არის შესწავლილი ერაყის როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები.

ნაშრომი დაფუძნებულია აღმოსავლურ (არაბულ, თურქულ) და ევროპულ (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ) ენებზე არსებულ წყაროებზე და გამოკვლევებზე. ავტორი კარგად იცნობს აკადემიკოს თემის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

არაბულ წყაროებიდან ავტორს გამოყენებული აქვს რასულ ჰაფი ეფენდის, შეიხ უსმან ბინ სანად ალ-ბასრის და მისი გამგრძელებლების, ამინ ბენ ჰასან ალ-ჰალჰან ალ-მაღინის, სულეიმან-ბეგ ბენ ჰაჯი თალიბის საისტორიო თხზულებანი. თურქული წყაროებიდან იგი სარგებლობდა აჰმედ ჩვედუთის მრავალტომიანი ისტორიით.

ბ. სილაგაძე განსაკუთრებით უხვად იყენებს ევროპულ წყაროებს: დიდილიპატა და პოლიტიკური აგენტების რეალაციებსა და ჩანაწერებს, მოგზაურთა დღიურებსა და აღწერილობებს და სხვ. მათ შორის შეიქმნა დავასახელოთ ბ. ფრეზერის, კლ. ჯემს რიჩის, ოშე ლუის, ა. ნ. გროვესის და სხვათა წიგნები.

მკვლევარს გამოყენებული აქვს აგრეთვე „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის“ მიერ გამოქვეყნებული საბუთები: თურქეთსა და ირანში მყოფი რუსეთის კონსულებისა და სამ-

ხედრო პოლიტიკური აგენტების წერილები და ჩანაწერები. კავკასიის მთავარმართებლების მოხსენებებით ბარათები და სხვა.

შრომაში ვარდა გამოცემული წყაროების გამოყენებულია აგრეთვე საარქივო მასალებიც. მათ შორის საქართველოს სსრ ცენტრალური არქივისა და საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ფონდები. აქედან პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ დაუდ ფაშას შთამომავალთა სოჯახო არქივის დოკუმენტები და სხვა.

წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიანმა ცოდნამ, მათდამი კრიტიკულმა მიდგომამ და ღრმა მეცნიერულმა ანალიზმა საშუალება მისცა ავტორს მთელი რიგი საკითხები ახლებურად გაეშუქებინა და არა ერთი საყურადღებო მისაზრება გამოეთქვა.

ნაშრომის პირველ ნაწილში შესწავლილია ერაყის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მამლუქთა მმართველობის წინ და მათი მმართველობის დროს, ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი გამოკვლევის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნაწილია, საქმე ისაა, რომ ერაყის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები დღემდე სპეციალურად არაგის შეუღწავლია. ამ საქმეში პრიორიტეტი ბ. სილაგაძეს ეკუთვნის.

კვლევა-ძიების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ აქ, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს ოსმალურ სოციალურ-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურასთან, ხოლო მეორე მხრივ, ერაყში ოსმალთა დაპყრობამდე არსებულ თავისებურებებთან.

ბ. სილაგაძეს, შედარებითი შესწავლის საფუძველზე, სწორად აქვს დახასიათებული ერაყის სოციალურ-ეკონომიკური და ადმინისტრაციული მდგომარეობა და ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომელიც გააჩნდა ბაღდადის საფაშოს ოსმალთა ბატონობის პერიოდში.

მონოგრაფიაში შესწავლილია ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ერაყის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა. დახასიათებულია აქ არსებულ სამმართველო-ადმინისტრაციული ერთეულები: სალიანეს მქონე და სალიანეს არმქონე ვილაეტები, იურთლუკისა და ოჯაკლიკის ტაღის სანჯაყები, თავისუფალი სამირმირანოები, ჰუქუმთაები და სხვა.

ცალკეა განხილული ბაღდადის საფაშოს მმართველობა: ფაშას პრეროგატივები და სამოჩელო აპარატი, საფაშოს სამხედრო ორგანიზაცია.

ნაშრომში გრცელადაა შესწავლილი აგრარული ურთიერთობანი, მიწათმფლობელობის და საკუთრების ფორმები, მიწათსარგებლობის წესები, სოციალური სტრუქტურა, გადასახადები და სავადასახადო სისტემა, სამონეტო სის-

ტემა, ვაჭრობა და სწავლა-განათლება და სხვ. ამ საკითხების განხილვისას ბ. სილაგაძე აკრიტიკებს ზოგიერთი ისტორიკოსის მცდარ შეხედულებებსა და არა ერთ საყურადღებო და ახალ მოსაზრებებს გვთავაზობს.

სარეცენზო ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ერაყის პირველი მამლუქი გამგებლების საშინაო და საგარეო პოლიტიკა (1749—1802 წწ.) აქვე მოკლედია მიმოხილული ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა XVII ს-ის დასასრულსა და XVIII ს-ის დასაწყისში. ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ლენური სისტემის კრიზისის გაღმავლებამ და სამხედრო ძლიერების დაცემამ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას და პროვინციის გამგებლების სეპარატისტულ ტენდენციებს. ბენიამინ სილაგაძე ამასთან დაკავშირებით განიხილავს ბაღდადის საფაშოს პოლიტიკურ მდგომარეობას და ერაყის ვაერთიანებას ბაღდადის საფაშოს გარშემო, ბაღდადის საფაშოს გაძლიერების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა მამლუქთა გამოჩენამ მის სამხედრო პოლიტიკურ ასპარეზზე. მონოგრაფიაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი მამლუქთა ინსტიტუტის შექმნის ისტორია — ერაყში, მისი ორგანიზაცია, ეთნიკური შემადგენლობა და სხვ. ავტორის მტკიცებით, მამლუქთა ძირითად მასას ქართველები შეადგენდნენ. რომლებიც საქართველოდან იყენებდნენ სხვადასხვა მიზეზით წასული ან მოტაცებული და მონებად გაყიდული მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრებზე. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში ნახევნებია, თუ რა უარყოფითი გავლენა მოახდინა „ტყვის სუიდემ“ საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

მონოგრაფიაში ნახევნებია მამლუქთა გამოჩენა ერაყის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. დახასიათებულია პირველი მამლუქი გამგებლების სულეიმან ფაშა აბუ ლაილის, ალი ფაშა აგემის, უმარ ფაშას მოღვაწეობა. ავტორი განსაკუთრებით დეტალურად განიხილავს სულეიმან ფაშა ბუიუქის (დიდი) სამხედრო პოლიტიკურ მოღვაწეობას და სხვ.

წიგნის მესამე ნაწილში განხილულია ერაყის მმართველი ქულემენების ქართული დინასტიის წარმომადგენლების მოღვაწეობა 1802—1831 წლებში, დახასიათებულია ჰაფიზ ალი ფაშას, სულეიმან ფაშა ქუჩუქის; აბდალაჰ თუთუნჯისა და საიდ ფაშას მოღვაწეობა. ამ პერიოდში სულ უფრო მეტად იზარბება უცხო სახელმწიფოების ინტერესები ერაყის მიმართ. ნაშრომში განხილულია ბაღდადის გამგებლების ურთიერ-

ობა ირანთან, ინგლისთან, საფრანგეთთან, მათი ბრძოლა ერაყის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და სხვ.

ავტორი ღიად ყურადღებას უთმობს ქულემენების ქართული დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს დაუდ ფაშას. დაუდ ფაშას მოღვაწეობა. წერს ბ. სილაგაძე, მიმართული იყო ერაყის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად. ამ მიზნით მან, უპირველეს ყოვლისა, ბრძოლა დაიწყო ერაყში ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ, რომლებიც სარგებლობდნენ რა სხვადასხვა პრივილეგიებით და შეღავათებით, კაპიტულაციების რეჟიმის საფუძველზე ცდილობდნენ ერაყი ინგლისის კოლონიალ ექციათ.

მონოგრაფიაში ღიად აღვლილ აქვს დამოუბილი დაუდ ფაშას მიერ ერაყში ჩატარებულ რეფორმებს. ნაშრომის ეს ნაწილი, ვფიქრობთ, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა. ავტორი სწორ შეფასებას აძლევს დაუდ ფაშას მიერ ჩატარებულ რეფორმებს.

გამოკვლევაში განხილულია ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა XIX ს-ის 20-იან წლებში. ბ. სილაგაძეს შესწავლილი აქვს XIX ს-ის დამდეგის ოსმალეთის იმპერიაში შემავალი სხვადასხვა ხალხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. აქვე მოთხრობილია 1828—1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ ომის ოროს კავკასიის ფრონტის საკითხს. იგი სპეციალურად იხილავს ერაყის მდგომარეობას. რუსეთ-ოსმალეთის 1828—1829 წწ. ომის დროს და დაუდ ფაშას პოლიტიკას. ბ. სილაგაძე შენიშნავს, რომ ოსმალეთის იმპერიის საერთო კრიზისის გაღმავლებამ და სულთანის ხელისუფლების დასუსტებამ ბიძგი მისცა ერაყში სეპარატისტული მოძრაობის ახალ აღმავლობას.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაუდ ფაშამ უარი თქვა ომში მონაწილეობაზე, მაგრამ რუსეთთან ომის პირობებში სულთანს თავს იკავებდა ბაღდადის ფაშას წინააღმდეგ რაიმე ზომების მიღებაზე. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო აშკარა ბრძოლა ოსმალეთის სულთანსა და დაუდ ფაშას შორის. აქვე ჩამოთვლილია ის ღონისძიებანი, რომლებიც განახორციელა ოსმალეთის სულთანმა დაუდ ფაშას ბაღდადის გამგებლობიდან გადაყენების მიზნით.

ბ. სილაგაძეს სწორად აქვს შეფასებული დაუდ ფაშას მოღვაწეობა ერაყის პოლიტიკურ ასპარეზზე და მისი ადგილი ამ ქვეყნის ისტორიაში. მონოგრაფიის ბოლოს მოკლედ მოცემულია მამლუქთა ძალაუფლების დაშლის მიზეზები აღწერილია მათი მმართველობის დასასრული.



ნაწრომის მიმართ გვაქვს შენიშვნები: გადასახად ჯიხვისთან დაკავშირებით ბ. სილაგაძე წერს: „XVII საუკუნემდე ის (ჯიხვი, — მ. ს.) შეადგენდა ღარიბებზე 10, საშუალოზე 20 და მიღიდებზე 30 ახნას, ხოლო XVIII — XIX საუკუნეებში უკვე სამჯერ მეტს“ (გვ. 79).

სინამდვილეში ამის საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე: 1690 წლამდე ოსმალეთში ჯიხვის გადასახადის ოდენობა არ იყო ზუსტად დაკანონებული. ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ოლქსა და ქვეყანაში მას სხვადასხვა ოდენობით იხდიდნენ. ეს კარგად ჩანს ცალკეული ვილაიეთებისა თუ ლიეებისათვის შედგენილი კანუნ-ნამუშებიდან. 1690 წელს გამოვიდა სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც ჯიხვის გადასახდლები ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით სამ კატეგორიად იყენენ დაყოფილი ჯიხვის გადასახდის ეს წესი ძალაში დარჩა ამ გადასახადის გაუქმებამდე, ე. ი. 1856 წლამდე.

ჩვენ ვერ დაეთანხმებით ბ. სილაგაძეს, რომ 1858 წლის საადგილმამულო კოდექსით უცვლელი დარჩა მიწისმფლობელების ადრე არსებული ფორმები: 1. მულქი, 2. მირი, 3. ვაკუფი, 4. მეთრუქე და 5. მევათი (გვ. 32). ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ოსმალეთის ისტორიის სპეციალისტები, როგორც წერს ბ. სილაგაძე, ამ საკითხში სხვადასხვა თვალსაზრისს გამოსთქვამენ (გვ. 32), საქმე ისაა, რომ, ოსმალეთში 1858 წ. მიწისმფლობელობის კანონის გამოცემამდე მეთრუქესა და მევათის მიწები ცალკე კატეგორიებად არ იყო გამოყოფილი. ამასთანავე, საჭიროა შევნიშნოთ, რომ XV—XVIII სს. ოსმალეთში მიწისმფლობელობის სხვა ფორმებიც არსებობდა, მაგარა ისინი არ არიან მოხსენიებულნი 1858 წელს კანონში. ასე, რომ 1858 წ. კანონით გარკვეული ცვლილებები მოხდა მიწისმფლობელობის საკითხში.

ბ. სილაგაძე წერს: „1875—1876 საფინანსო წელს გათვალისწინებული იყო, რომ თავუს შემოსავალს ხაზინაში უნდა შეედგინა 193000 ჟისა, ანუ 96,5 მლნ. პასტრი. ამაში არ შედის თავუს ის შემოსავალი, რომელიც თიბარების და ზიათების მფლობელთა სასარგებლოდ მიდიოდა“ (გვ. 87).

აქ საჭიროა შევნიშნოთ. რომ ბ. სილაგაძეს მხედველობიდან გამოარჩა ის ფაქტი, რომ 1858 წ. მიწისმფლობელების კანონის მიხედვით თავუს მნიშვნელობა შეიცვალა. თანზიმათის რეფორმებამდე თავუს გადასახადს, გლეხი ფიოდოს უხდიდა, ხოლო რეფორმების შემდეგ კი თავუს გადასახადი სახელმწიფოსათვის უნდა გადაეხადა ყველას, ვინც კი

სახელმწიფო მიწას ფლობდა, მით შორის ყოფილ თიბაროტებსა და ზიაიმებსაც. ასე, რომ ამ დროს თიბაროტებსა და ზიაიმებს თავუსაგან არაეითარი შემოსავალი აღარ ჰქონდათ.

ვერ გავიზიარებთ ბ. სილაგაძის კრიტიკას ცნობილი ბულგარელი თურქოლოგ-ისტორიკოსის ვერა მუტაფჩიევის მიმართ. ვ. მუტაფჩიევა წერს, რომ „თიბარი არ შეიძლება შეიქნით სამხედრო ლენად. ამ ინსტიტუტის ევროპული გაგებით და არც რაიმე განსაზღვრულ ტერიტორიად, რადგან მას არ გააჩნია გარკვეული საზღვრები“. მართლაც, თიბარი ყოველთვის არ იყო ერთი მთლიანი გარკვეული მიწის ნაკვეთი. მისი საზღვრები შეიძლება ყოფილიყო გაფანტული სხვადასხვა სოფელსა და სანჯაყშიც კი. ამასთანავე თიბარის მფლობელის ყოველწლიურ შემოსავალს შეადგენდა არა მარტო ლენიდან მიღებული შემოსავალი, არამედ სხვადასხვა გამოსაღებიდან, ჯარიმიდან, სამღებროდან, სახელოსნოდან, ბაზრიდან, ბაჟიდან და სხვ.

ვერა მუტაფჩიევის ეს ახალი და ორიგინალური შეხედულება ბევრმა ისტორიკოს-თურქოლოგმა გაიზიარა.

სასურველია იყოს წიგნში, შედარების სახით, მოკლედ მაინც განხილული ეგვიპტის გამგებელის მუჰამედ ალის ბრძოლა ოსმალთა ბატონობისაგან განათვისუფლების მიზნით და მის მიერ ეგვიპტეში ჩატარებულ რეფორმები, მიმართული ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისაკენ. მუჰამედ ალი წარმოშობით ხომ ალბანელი იყო და იგი ეგვიპტეში ამავე საქმისათვის იღვწოდა, რისთვისაც ქართველი მამულეები — ერაყში.

ჩვენი შენიშვნები არაარსებითი ხასიათისაა და სატულიადც არ ჩრდილავს ამ ნაწრომის ღირებულებას.

ბ. სილაგაძის ნაწრომი „ერაყი მამულეთა მმართველობის ხანაში“ მეტად საყურადღებო გამოკვლევაა. იგი დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე. მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე გამოკვლეულია ერაყის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის საკითხები XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის პირველ მესამედში. ავტორმა მრავალი სახელ შეიტანა აღნიშნული პერიოდის ერაყის ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში. ამ მონოგრაფიის სახით ქართულ სააღმოსავლეთ-მცოდნეო სამეცნიერო ლიტერატურას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა შეემატა. ამ ნაწრომს დიდი ინტერესით შეხედობიან არა მარტო აღმოსავლეთმცოდნეები, არამედ ჩვენი ქვეყნის მკითხველი საზოგადოების ფართო წრეებიც.

ფ. რუხაძე, ხალხური აბრიკულტურა დასავლეთ საქართველოში,

თბ., 1977

ჯ. რუხაძის მონოგრაფია „ხალხური აბრიკულტურა დასავლეთ საქართველოში“ (რედ. პროდ. მ. გეგეშიძე) ნაშრომთა იმ კატეგორიის ეკუთვნის, რომელიც გამოირჩევა საკვლევითი ობიექტისადმი არა მარტო ვიწრო მეცნიერული შემეცნებითი მიდგომით, არამედ ხალხის მრავალსაუკუნოვანი საწარმოო მიღწევების მეცნიერული პოპულარიზაციითა და ყოფაში გამოყენების რეკომენდაციებით.

დღეისათვის ყველადაცნობის ცხადია რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ისტორიისათვის მიწათმოქმედების ყოფითი თავისებურებების, ხალხური აბრიკულტურისა და რაციონალური საწარმოო გამოცდილების შესწავლას. აქედან გამომდინარე, ვასაგები ხდება, რომ ჯ. რუხაძის გამოკვლევა გარკვეული ინტერესის შემცველია როგორც სპეციალისტთა წრისათვის, ასევე მომხიჯნავ დარგების მკვლევართათვისაც.

შრომა ეძღვნება დასავლეთ საქართველოს მიწათმოქმედების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს. გამოვლენილია ამ მხარის ძირითადი დარგის — მემინდვრობის სპეციფიკა განსაზღვრული ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებებით. შესწავლილია დარგის საწარმოო მატერიალური ბაზა, რომელიც მოიცავს მარცვლოვან და ბოჭკოვან კულტურებს. სამიწათმოქმედო იარაღებს და სხვა. საგანგებო თავი ეღობა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს და რწმენა-წარმოდგენებს, ყოველივე ეს ემყარება, ძირითადად, ავტორის მიერ მოპოვებულ უხე ახალ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც გაზრებულია ფართო შესაძარბელი მონაცემების შუქზე. საკუთრივ ეთნოგრაფიულის გარდა გამოყენებულია ეთნოგრაფიის მომხიჯნავ სხვა მეცნიერებათა მიღწევები, გათვალისწინებულია კვლევის თანამედროვე დონე.

წიგნი შედგება სამი თავისაგან: I—ნიადაგები, მინდვრის კულტურები; II—სამეურნეო სათავსები და იარაღები; III—მემინდვრობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.

ხალხური აბრიკულტურის დახასიათებას ავტორი იწყებს საკვლევ რეგიონში ნიადაგებისა და მისთან დაკავშირებული ტრადიციული აბრიკულტურის შესწავლით, რაც საკვებით მართებულად მიგვიჩინა, რადგან მიწათმოქმედების წარმოების საფუძველი, მისი მატერიალური ბაზა, უპირატესეს ყოვლისა, ნიადაგია. იგი ეკოლოგიურ თავისებურებასთან ერთად მიწის დამუშავების იმ გარკვეულ რეჟიმს ჰქმნის, რომელიც მიწათმოქმედების სისტემის თუ ტექნიკის

პროფილს განსაზღვრავს. შრომის ამ ნაწილში წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალა წარმოაჩენს ნიადაგების შესახებ ხალხურ აღზრდით ცოდნას, რომელშიც შედგენდება ადგილობრივი მეურნის მიერ მიკრორაიონის სპეციფიკურობის ზედმიწევნითი ცოდნა და ამ რაციონალური გამოცდილების ეფექტურად გამოყენება პრაქტიკულ ცხოვრებაში.

ასლანიშნავია, რომ ეთნოგრაფიული მასალებით ნიადაგების ხალხური კლასიფიკაცია ხდებოდა, როგორც ნაშრომშია წარმოჩენილი, ფერის შედგენილობის, ნაყოფიერება-მოსავლიანობისა და მდებარეობის მიხედვით. ნიადაგებთან დაკავშირებით მოყვანილი თვალსაჩინო და საინტერესო მასალა, ფიქსირებულია ტერმინოლოგია. მოცემულია ცდა ამ ტერმინების ეტიმოლოგიური და სემანტიკური კვლევისა. ტერმინთა შორის განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება მცირე ნაყოფიერი ან ცვლ-მოსავლიანი მიწის აღმნიშვნელად სიტყვა — მოდი|მოლე. წყაროების მოშეღობით და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების შედარებით ანალიზი, ჯ. რუხაძეს, აძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მოდი საზომის სახელისაგანაა წარმოდგარი. მან და მისგან წარმოებულმა სიტყვებმა: მოდლი, გამოდღებულ-ლი, სამოდო და ა. შ. მოგვიანებით მიიღო ყოფაში გამოდღელი მიწისა და მისთვის დაწესებული გამოსაღების მნიშვნელობა (გვ. 17). ასევე გაანალიზებულია ტერმინი ოჩე, რომელიც დასავლეთ საქართველოში ყანის ცნების შესატყვისად იმსარებოდა.

აქვე, ცალკე საკითხად გამოყოფილია ნიადავის განოყიერება. წარმოდგენილი მასალა გამოირჩევა ზედმიწევნითი სისრულით. განხილულია განოყიერების სხვადასხვა ხერხი და საშუალება, რაც უტყუარი მოწმობაა დიდი ემპირიული გამოცდილების არსებობისა ადგილობრივ მოსახლეობაში. ამ ცოდნის გამოვლენა ჯ. რუხაძის დამსახურებად უნდა ჩათვალოს. ავტორი მიწის განოყიერების საკითხებს განიხილავს, აგრეთვე, სოციალური მიდგომით და რელიგიური თვალსაზრისითაც. სხეულებული საკითხის ამგვარი სისრულით გაშუქება ჯ. რუხაძეს აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ დასავლეთ საქართველოში არსებობდა ძველი და ძლიერი სამიწათმოქმედო კულტურა (გვ. 26).

მიწის ნაყოფიერების გაზრდის ერთ-ერთ საშუალებად, სარეცნო წიგნის ავტორი მიიჩნევს შერეული კულტურების თესვის პრაქტიკას.

ტიკას და აქვე განიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბოლო დროს გამოთქმულ მოსაზრებას, რომ შერეული თესლით თესვა გვალვის საწინააღმდეგო ზეზნია, იგი ურწყავი მიწათმოქმედებისათვის არის დამახასიათებელი და მიწათმოქმედების კრიზისის მაჩვენებელია. აღნიშნულია ისიც, რომ ასეთი თესვის დროს მოსავლის ნახევარი იკარგებოდა (გვ. 33). შერეული თესლის თესვის ამგვარ გაზრდობას ჯ. რუხაძე სრულიად სამართლიანად არ ეზიარებს, უფრო მეტიც, თვლის, რომ შერეული თესლით თესვა მოსავლის ნამატის მომცემა საშუალება და რომ იგი ძველთაგანვე მომდინარე წესია. აქ მოიძებნა უფრო მეტის თქმაც მით უმეტეს, რომ მას ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში იყრავანი კვალთვაცია აქვს მიეცემული (გ. ჩიტაია). შერეული თესლით თესვა მოსავლიანობის გაზრდის არა მარტო უბრალო საშუალებად, არამედ კულტურის დიდ მონაპოვად არის აღიარებული, რადგან ერთ სიბერტყეზე დათესილი სხვადასხვა სვედვეტაციო პერიოდის და სიმალის განსხვავებული მარცხენების მქონე მარცვლული, ქმნიდა ჩრდილისა და მზიანი სარტყლის თანაფარდობას. ამგვარად, ერთ პორიზონტალურ კროლში ხელიდან იქნებოდა რამდენიმე ვერტიკალური სიბერტყე, რაც ურწყავი მიწათმოქმედების პირობებში მეტად ეფექტური საშუალება უნდა ყოფილიყო მოსავლის მაქსიმუმის მისაღებად. საკითხის ამ მიდგომით გაშუქების შემთხვევაში, ცხადია, შერეული თესლით თესვა ივერ გამოდგება მიწათმოქმედების კრიზისის მაჩვენებლად. საერთოდ, როგორც ჩანს, ეს ენება (მიწათმოქმედების კრიზისი) დაზუსტებას თხოულობს, მოსავლიანობის ზრდისათვის იღვწოდა მიწის მუშა-მიწათმოქმედი ყველა ისტორიულ ეპოქაში ათავსვარი რაციონალური თუ ირაციონალური საშუალებებით ყველა აგრარტექნიკური ღონისძიება, რომლის ცალკეული შემადგენელი ელემენტების გამოყოფაზე აღარ შეგჩერდებოთ. მიმართული იყო მოსავლიანობის კოეფიციენტის ზრდისაკენ. აქედან გამომდინარე, ალბათ უნდა დადგესკენა, რომ მიწათმოქმედება მუდმივ კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც ცხადია, არ არის მართებული.

აგრიკულტურის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი — მორწყვა გამოიყენებოდა დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში სხვადასხვა მნიშვნელობით. საკუთრივ მორწყვისათან ერთად, პრაქტიკაში იყო მორწყვის საშუალებით მიწის ვანოციერება. გამანოციერებელი მორწყვა და ხალხური კოლმატაჟი როგორც საბავშვო წიგნში სამართლიანადაა შენიშნული, კოლხეთის დაბლობის ადრინდელი ტრადიციის გამოხატულებაა. ამ მხრივ საყურადღებოა ლეკოთა და სილით ვანოციერების წესები, საინტერე-

სოა ქარბ წყალთან ბრძოლის ხალხური საშუალებები, რომელიც ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ერთ-ერთი აუცილებლად საჭირო ღონისძიება უნდა ყოფილიყო. წიგნში წარმოდგენილი მასალა ამის ამაყრა დამამტკიცებელია.

ამავე თავის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია მინდვრის კულტურები. ირკვევა, რომ ისტორიული ხანიდან დასავლეთ საქართველოში მოყავით ხორბალი, ივლი, ქერი, ქართლი, ჰევი, ფეტვი, ღომი, ბრინჯი, სიმინდი, მუხულო, ცერცი, ლობთი და ბოჭკოვანი — კანფი, სელი. მარცვლული კულტურების ეთნოგრაფიული შესწავლით მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტი დგინდება. კერძოდ, რომ დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი გარემო ძველთაგანვე ქმნიდა საუკეთესო პირობებს მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებისათვის. აგრორის ეს ზოგადი ხასიათის დასკვნა ემყარება კონკრეტულ მონაცემებს იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოს აგრარულტურაში შემონახულია მარცვლული კულტურების ისეთი სახეობანი, რომლებიც აუცილებელ გარემავალ რგოლს ქმნიან ველურ და კულტურულ ხორბლულს შორის, ეს კულტურებია: ზანდური, კოლხური ასლი და მახა (გვ. 40). მოსალოდნელი იყო, აგრორის სწორედ ამ მიმართულებით წარმართა კვლევა და ხსენებულ კულტურებზე დაწვრილებითი ეთნოგრაფიული მასალა წარმოდგინა. მაგრამ იმის გამო, რომ ეს მარცვლულები, გარკვეული სახით მაინც შესწავლილია და როგორც ჩანს, სხვა წმინდა ტექნეური მოსაზრებებითაც აგრორმა გერგარეაურა, ამ საკითხებს და სარეცენიო წიგნში განიხილა ფეტვანიჩნი—ღომი, ურიში, ბრინჯი, ბოჭკოვანი — კანფი, სელი და იქნებ სწორაც არის მისი ეს გადაწყვეტილება, რადგან ეს უკანასკნელი შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. ამდენად, წიგნში წარმოდგენილი მონაცემები ხშირ შემთხვევაში სრულიად ახალია. განსაკუთრებით საყურადღებო მასალეია განხილული კანფის კულტურის მოყვანა-მოხმარებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ისიც აღინიშნოს, რომ წიგნში განხილული სვანური მასალა კანფის საკულტო დანიშნულების გამოყენების შესახებ უთოლო. მაჩვენებელია იმისა, რომ ამ კულტურას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართულ სამეურნეო ყოფაში. წიგნის მეორე თავი, როგორც აღნიშნული ვეკონდა, ეძღვნება სამეურნეო სათავსებს და შრომის იარაღებს. თავდაპირველად ყურადღება გამახვილებულია სათავსებზე. აგრორის შრომის ამ ნაწილს იწყებს შემდეგი სიტყვებით: „დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ მარცვლ სათავსებს დიდი ისტორია აქვით“ (გვ. 88). ეს ფრაზა სრულიად ლოგიკურია, გამო-



დინარე წიგნის წინა ნაწილებიდან, სადაც დაბეჭითებით არის დასაბუთებული დასავლეთ საქართველოში მარცვლული კულტურების თესვა-მოყვანის დიდი სიძველე. აქედან გამომდინარე, ტუნებრივია, მოყვანილი მარცვლულის დაუნჯება იმთავითვე უნდა ყოფილიყო აღამიანის პირველი საზრუნავი საგანი და აქ განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ამ ფრაზით ავტორს იმის თქმაც უნდა, რომ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი მარცვლულის სათავსები გენეტიკურად უკავშირდებიან უძველესი დროიდან გავრცელებულ სათავსებს დასავლეთ საქართველოში, რომელიც შესახებ ცნობები დაცულია სხვადასხვა წერილებით წყაროებში და მოგზაურთა თუ მკვლევართა აღწერილობებში. ამას კი კონკრეტულ შემთხვევაში უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა საკითხის კვლევისათვის, მით უფრო, რომ როგორც ავტორი აღნიშნავს, სათავსოა დამზადების ხელოვნება და მათი ფუნქციის გარკვევა მკვლევართა საგანგებო შესწავლის ობიექტი არ ყოფილა (გვ. 86). ნაშრომში ხაზგასმულია ამ სამეურნეო ნაგებობათა ზოგადი თვისებებზე. წარმოდგენილი ტიპოლოგია აგებულიდან და დანიშნულების მრავალგვარობის მიხედვით. განსაზღვრულია თითოეული ტიპის გავრცელების ფარგლები. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე მოცემულია ცდა სათავსოა გენეზისისა. ყოველივე ზემოთქმული დიდად ზრდის შრომის ღირებულებას.

ავტორისეული კლასიფიკაციით სათავსები ორ ჯგუფად განიყოფებიან: პირველ ჯგუფში ერთიანდებიან თაველისა და მარცვლის სახეობი სათავსები; მეორე ჯგუფში — თაველის მარცვლის, ფქვილისა და მწარის პროდუქტების სათავსები. წარმოდგენილი კლასიფიკაციის გათვალისწინებით ნაშრომში აღწერილია კომპლექსურად თითოეული სათავსი — მოცემულია მათი დამზადების ტექნიკა-ტექნოლოგია, გარკვეულია ფუნქცია-დანიშნულება. ისტორიულ კრილი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების გამოყენებით, გააზრებულია მასალა სოციალური თვალსაზრისითაც — გარკვეულია საკუთრებისა თუ მფლობელობის საკითხები და კულტურის ან ელემენტებით განპირობებული აღამიანთა ურთიერთდაყოფილებულობანი თუ დადებულებანი. საინტერესოდ გამოიყურება აგრეთვე, სათავსოა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკური ძიებანი და ბოლოს ყოველივე ამას ემატება რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან ამავე მასალის დაკავშირება. ამგვარად, საკითხი სრულად არის შესწავლილი, როგორც ზაზისურ, ასევე ზედნაშენურ კრილში.

მეორე თავის შემდგომი საკითხი ეხება დასავლეთ საქართველოში ხმარებულ შრომის ია-

რალებს და რამდენადაც აგრიკულტურასთან გვაქვს საქმე, გასაგებია, სამიწათმოქმედო იარაღებზეა გამახვილებული ყურადღება. ეს ნაწილი მოიცავს ხელით სამუშაო იარაღებს, სახენელებს, საცეხველებს და საფშენელებს.

განიხილავს რა ხელით სამუშაო იარაღებს, ავტორი აღნიშნავს, რომ მიწის სამუშაო იარაღების თითოეული სახეობა შეგუებული იყო როგორც გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებს და სათესი კულტურების თავისებურებას, ასევე ამა თუ იმ რაიონის სპეციფიკას და საზოგადოებრივი განვითარების დონეს (გვ. 116). ურიგო არ იქნებოდა ავტორს განმარტა, „ამა თუ იმ რაიონის სპეციფიკაში“ რას გულისხმობს, რამდენადაც გეოგრაფიულ-კლიმატური გარემო როგორც ცნობილია, ერთი მხრივ, აპირობებს გარკვეულ სათესი კულტურების მონობილიას, მეორე მხრივ — კი განსაზღვრავს მიერ რაიონის ნიადაგების სტრუქტურასა და შედგენილობას. მაშ რა შინაარსის ჩაღება შეიძლება „რაიონის სპეციფიკაში“, რომელიც იარაღის ამა თუ იმ სახეობის განმსაზღვრელად შეიძლება წარმოვიდგინოთ? იქნებ ეთნიკური ტრადიციები? მაგრამ წიგნში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი.

ასევე რამდენადმე სუმატულად გამოიყურება შრომის იარაღებთანვე კავშირში საზოგადოების განვითარების დონის საკითხი (გვ. 116), რომელიც როგორც ცნობილია, სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების ხარისხით განისაზღვრება. საკითხი იმის შესახებ კი სოციალური ურთიერთობა რამდენად განსაზღვრავს და როგორ ხარისხში მოქმედებს შრომის იარაღების შექმნა-განვითარებაზე წინაყაბიტალოზ-მამდელ ხანაში, როდესაც მეცნიერების მნიშვნელობა თითქმის ნულამდე დაყვანილი და ტექნიკის პროგრესი მხოლოდ ხანგრძლივი ემპირიული ძიების შედეგად ხდება, მეტად რთულია და საგანგებო მოვლას თხოვლობს მით უმეტეს დღეს, როდესაც საბჭოთა ეთნოგრაფიში გაშლილია ფართო დისკუსია ხსენებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალურ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებები პირდაპირ და უშუალოდ არ მოქმედებს შრომის იარაღებზე, იარაღების ამა თუ იმ სახეობის თუ ტიპის არსებობა განისაზღვრება გეოგრაფიულ-კლიმატური თავისებურებებით (რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ნატურალური მეურნეობის პირობებს.—მ. ქ.) და შემდეგ უკვე მასზე გავლენას ახდენს, ცხადია, საზოგადოების განვითარების დონეც და სხვადასხვა ეთნიკური ტრადიციებიც, რომლებსაც დღეს ზოგჯერ გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იარაღების შექმნა-განვითარებაში.



როგორც ჩანს, საჭირო იყო იმის განსაზღვრა, თუ სოციალური თვალსაზრისით რა საზოგადოებასთან გვაქვს საქმე საკვლევ რეგიონში. ვასაგებია, ამ საკითხების კვლევა ავტორს ძალიან შორს წაიყვანდა და იქნებ არც შედიოდა მის კომპეტენციაში, მით უფრო რომ ეს საკითხები სადისკუსიოა და საარგუმენტო წიგნში მათზე ამოწურავი პასუხის გაცემა იქნებ ვერც მოხერხებულყო. ავტორმა, ეტყობა გარკვეული მიზეზებისა გამო არ განიხილა მიწაზე საკუთრებისა და მფლობელობის ფორმები. შრომის ორგანიზაციისა და საეკორ ურთიერთობის ამსახველი მასალები. მართალია, წიგნის სათაური — ხალხური აგრიკულტურა არ ავალდებულებს ავტორს ზემოხსენებულ საკითხებზე მსჯელობის გაშლას, მაგრამ რადგან ნაშრომი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათისაა, რაც კულტურის მატერიალური კულტურის ელემენტებისა და მეურნეობის ფორმათა სოციალურ ასპექტში გაშუქებას, ამიტომ ვუყენებთ ჩვენც სარეცენზიო წიგნს ესოდენ დიდ მოთხოვნებს, რომელიც შეიძლება ვერც ჩატეულიყო წიგნის ფარგლებში, მაგრამ უსათუოდ გაზრდიდა მის ისედაც დიდ შემეცნებით ღირებულებას.

ხელით სამუშაო იარაღების განხილვას ავტორი იწყებს ყველაზე მარტივი მარგილით და ამთავრებს დასავლეთ საქართველოს სათესი კულტურებისა და ნიადაგების თავისებურებებით განპირობებული მრავალგვარი თხვებით, რომლებსაც მკვიდრი ადგილი ჰქონდათ მოპოვებული ამ მხარის მეურნეობაში.

შემდგომ შესწავლილია საკვლევი რეგიონში ხმაირული სახენილეები. დასაინია, რომ ავტორმა არ გაშალა ფართოდ მსჯელობა ამ მნიშვნელოვან საკითხებზე და დაკმაყოფილა სახენილების სქემატური ჩამოთვლა-აღწერაობით.

ამგვარად, წიგნში განხილული მონაცემები კარგად აშუქებენ მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგის—მემინდვრეობის ყველა ძირითად ასპექტს. წარმოდგენილი ახალი მასალა, ლეიქულის საკითხის სხვადასხვა რაკურსით განხილვის ფართო შესაძლებლობას ქმნის. ყოველივე ეს საკვლევი რეგიონში მემინდვრეობის სისტემის ზოგადი დახასიათების ფონზე რომ გაკეთებულიყო, რა თქმა უნდა, წიგნის მეცნიერული ღირებულება კიდევ უფრო გაიზრდებოდა. მემინდვრეობის მოკვლული სისტემის დახასიათება, როგორც ცნობილია, გამოავლენს ადგილობრივ გეოგრაფიულ-ბუნებრივ პირობებთან მემინდვრეობის ფორმათა შესატყვისობას, განაპირობებს მის ხასიათს და თავისებურებას. ამის გაკეთება კი მეტად სასურველი იყო, რადგან, როგორც ვიცით, საქართველოს ბუნებრივმა პირობებმა ჩამოყალიბა მეურნეობის სამი ძირითადი ფორმა:

ბარული, მთის ძირა და მთური. თითოეული ფორმა გულისხმობს მეურნეობის წარმოების საკმაოდ მკვეთრად ჩამოყალიბებულ მაჩვენებლებს, გარკვეულ ტექნოლოგიას. ამასთან კავშირში ბუნებრივად ისმის კითხვა, საკვლევი რეგიონში მემინდვრეობის რა ფორმასთან გვაქვს საქმე და ამ დარგს რა ხედვრითი წონა ეთმობა სახალხო მეურნეობაში.

საკვებელზე წარმოდგენილი მასალა კი გამოირჩევა სიუხვით, რაც განპირობებულია იმით, რომ დასავლეთ საქართველოში მარცხელული კულტურებისაგან სუფთა მარცხლის მიღება ცეხვა-წყავზე იყო დამყარებული, რისთვისაც ქვისა და ხის საცხვეელები გამოიყენებოდა.

ავტორი ყოფაში დამოწმებულ საცხვეელებს ორ ტიპად ყოფს: ერთია ხელის საცხვეელი და მეორე ღერძით მოქმედი საცხვეელი. ეს მეორე ტიპი ორი სახესვაობითაა წარმოდგენილი — ფეხისა და წყლის საცხვეელებით. წყლის საცხვეელი ორგვარია ბერკტიანი-ერთღერძიანი საცხვეელი და ვერტიკალურ-ბორბლიანი, მრავალღერძიანი საცხვეელი. ეს კლასიფიკაცია მეტად საყურადღებო და მართებულია, მაგრამ წიგნში ასახვა ვერ პოვა ვერტიკალურ ბორბლიანმა და მრავალღერძიანმა საცხვეელებმა, ალბათ იმის გამო, რომ ეს იარაღები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთვის არის დამახასიათებელი.

და ბოლოს, მესამე თავი სარეცენზიო წიგნის ავტორსა მიუძღვნა მემინდვრეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს. ეს სრულიად გასაგები და გამართლებულია თუ გავითვალისწინებთ კვლევის კომპლექსურ მეთოდს, რომელიც გულისხმობს შესასწავლი ობიექტის როგორც ბაზისურ, ისე ზედნაშენური კატეგორიების კვლევას.

სარეცენზიო წიგნში გამახვილებულია ყურადღება წეს-ჩვეულებების აგრარულ ციკლზე, აღწერილი და გააზრებულია ახალი წლის წეს-ჩვეულებათა რთული კომპლექსი, საგანგებოდ გამახვილებულია ყურადღება ბელელზე, როგორც კულტის ობიექტზე და ნათელიყოფილია ბელელის განსაკუთრებული მნიშვნელობა რელიგიურ ყოფაში.

ამგვარად, ნაშრომში გამოყენებული და გაანალიზებული მასალა როგორც თავისი შინაარსით, ასევე მოცულობით საკმაოდ ფართია, რადგან იგი ხალხის ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა ძირეულ სფეროს ეხება. ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას, ჩ. რუხაძის წიგნს — „ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში“ მაღალი შეფასება მივცეთ.

ქრონიკა და ინფორმაცია

ინტორიკოსთა რესპუბლიკური თამბირი

1979 წ. (18—19 ივნისი) ბორჯომში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ მეცნიერ-ისტორიკოსთა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.

რესპუბლიკის ისტორიკოსებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მათი სამეცნიერო მოღვაწეობის გაღრმავებასა და კოორდინაციასთან.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციისა განყოფილების გამგე ვ. ქარუმიძე, პარტიის აუზნაუთის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. მარშანი.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. ხარაძემ. მან აღნიშნა:

— ჩვენმა შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა უფრო უკეთ შეასრულონ თავიანთი ძირითადი ფუნქცია — ქმედითი ზეგავლენა მოახდინონ რესპუბლიკის ცხოვრებაში მომდინარე გამაჯანსაღებელ პროცესებზე, უფრო სრულად გამოიყენონ საბრძოლო არსენალი მშრომელთა კომუნისტური სულიკვეთებით აღზრდაში“.

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელი ბიზისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შეისახებ“ სკვპ ცენტრალური კომიტეტის დიდმნიშვნელოვან დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მთელი იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობის დედაარსი იყო და არის საბჭოთა ადამიანებისათვის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების, პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ჩანერგვა.

საქართველოს მეცნიერ-ისტორიკოსთა შეხვედრა ხელს შეუწყობს რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეცნიერებათა რილის შემდგომ გაძლიერებას, მის სრულყოფას, იმ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას, რასაც საქართვე-

ლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს სკვპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

შეხვედრის პირველ დღეს ისტორიის მეცნიერებათა განვითარების აქტუალურ საკითხებზე მოხსენებები გააკეთეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დ. ჩხავიციანიძემ, სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ძიძარამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის გამგემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ფაკულტეტის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგიულმა პროფესორმა თ. მიქელაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგიემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. გვიგენიშვილმა. ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ბ. ვაჭრაძემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბ. ტუხუაძემ, თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნ. ქორთუამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა,

ლოცენტმა ნ. ასათიანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დ. ხახუტაიშვილმა.

მეორე დღეს სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. სტურუამ, აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზ. ანჩაბაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ჭავჭავაძემ, სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენ-

ტმა ი. ვაგლოთიმ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ი. კაჭარავამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. ლორთქიფანიძემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სსრ კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. პაიჭაძემ თაბორის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ფანგიშვილმა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მახლოვანი აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილება 1977—1978 წწ.

აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მახლოვანი აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილებაში (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ/კორ. პროფ. ვ. გაბაშვილი) შეისწავლება შუა საუკუნეების ირანის, არაბული ქვეყნების და თურქეთის ისტორიის საკითხები.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების უძრადღების ცენტრში იდგა მახლოვანი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის პრობლემატიკა. სახელდობრ, შეისწავლბოდა: სასაუნო ირანის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება III—VII სს. პირველ ნახევარში (გ. ამირანაშვილი); ფეოდალური ურთიერთობები (ავარული ურთიერთობანი, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის ფორმები, სავადასახლო სისტემა და სხვ.) მახლოვანი აღმოსავლეთის ქვეყნებში (ლ. ნადირაძე, მ. სვანიძე); ძვირფასი ლითონების მოპოვება მახლოვლ აღმოსავლეთში VIII—XIII სს. (გ. ჭავჭავაძე); არაბული ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა XIII—XIV სს. (დ. გოჩოლეშვილი); აღმოსავლური დიპლომატიკის (თ. აბაშიძე), ნუმიზმატიკისა და მეტროლოგიის (გ. ჭავჭავაძე) საკითხები და სხვ. 1978 წ. გრძელდებოდა ურბან-ინსტიტუტული პრობლემატიკის დამუშავება. მახ-

ლოვანი აღმოსავლეთის ქალაქების აღმინისტრაციული წყობილება X—XII სს. (ვ. ვაბაშვილი); ახლოაღმოსავლური ქალაქი VI—X სს. (ბალდადი) (თ. ცეციშვილი); X—XII სს. ირანის ქალაქების კლასიფიკაცია და ტიპები (გ. ჯორჯოლიანი); სოციალური მოძრაობები X—XII სს. მახლოვანი აღმოსავლეთის და საქართველოს ქალაქებში (ვ. ვაბაშვილი, მ. ვაბაშვილი); XI—XIII სს. ახლოაღმოსავლური ქალაქის ისტორიის ნუმისმატიკური მასალები (მ. ვაბაშვილი); ნოშაბური X—XIII სს. (მ. ბერიძე); ამიერკავკასიის ქალაქები XI—XIII სს. (პ. თაფურია); ისფაჰანი XVI—XVIII სს. (კ. კუცია); თურქეთის ქალაქების ეკონომიკური ვითარება XVII—XVIII სს. (დ. გუდიაშვილი); თურქული ამქრული ორგანიზაცია XVII—XVIII სს. (რ. სალინაძე) და სხვ.

ქართულ-აღმოსავლური ისტორიული ურთიერთობის საკითხებს მიეძღვნა, თ. ნატროშვილის წიგნი „მშობიერების მარტინაძე“, რომლის მეორე შევსებული გამოცემა განახორციელა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1978 წ. წიგნში წარმოდგენილ 40 ნარკვევში გაშუქებულია XI—XIX სს. საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მთელი რიგი საინტერესო მოვლენები. 1978 წ. მოსკოვში გამოიცა თ. ნატროშვილის ხსენებული წიგნის რუსული თარგმანი.1.

ქართულ-აღმოსავლურ ურთიერთობათა საკითხებზე 1978 წ. საკანდიდატო დისერტაცია დაცვა განყოფილების ორმა თანამშრომელმა: დ. გოჩორელიშვილმა თემაზე — «მეგობრები — საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIII—XIV სს)» და ნ. გელაშვილმა თემაზე — «ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს. 30-იანი წლები)».

განყოფილება განაგრძობდა მუშაობას წყაროთა პუბლიკაციის დარგშიც. 1978 წ. ისტ. მეცნ. დოქტ. კ. კუციამ (ისტ. მეცნ. კანდ. ნ. ვანაძესთან ერთად) გამოაქვეყნა «ცხოვრება და წამება კოსტანტი ქართველისა»-ს ქართული ტექსტი რუსული თარგმანით, გამოკვლევით და კომენტარებით; ისტ. მეცნ. დოქტ. მ. სვანიძემ, ფილ. მეცნ. კანდ. ც. აბულაძესთან ერთად, გამომკვლევას გამოსაქვეყნებლად გადასცა «ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი. 1696—1732 წწ». (თურქული ტექსტი, ქართულ თარგმანი, გამოკვლევა და შენიშვნები); 1978 წ. განყოფილების არაბისტი ისტორიკოსები შეუდგნენ არაბული საისტორიო ტექსტების ქრესტომათის გამოსაცემად მომზადებას და სხვ.

ზემოთ ჩვენ მოკლედ შევეხეთ იმ ძირითად თემებს, რომლებიც შეისწავლებოდა განყოფილებაში 1977—1978 წწ. ნაშრომზე. აღნიშნული საკითხებისა და პრობლემების ირგვლივ განყოფილების თანამშრომლები გამოდიოდნენ მოხსენებებით სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციისა და სესიაზე, სისტემატურად აქვეყნებდნენ თავიანთი კვლევის შედეგებს არა მარტო რესპუბლიკის სამეცნიერო გამოცემებში. არამედ საკავშირო ჟურნალებსა და კრებულებში, აგრეთვე, საზღვარგარეთ.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მუშაობაში, უფროს მეცნიერებთან ერთად, სათანადო წვლილი აქვთ შეტანილი ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლებსაც. აღსანიშნავია, რომ 1978 წ. განყოფილების ახალგაზრდა თანამშრომელი, ისტ. მეცნ. კანდ. მ. გაბაშვილი 1970—1978 წწ. გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია.

ზინა ზარაძე
რუსულზნე სპლინაძე

2 «Житие и мученичество Константи грузина» (перевод, исследование и комментарий К. Д. Куция и Н. З. Вачнадзе), Тб., 1978.

3 საანგარიშო პერიოდში განყოფილება მოხსენებებით წარმოდგენილი იყო თურქეთის საისტორიო საზოგადოების VIII საერთაშორისო კონგრესზე ანკარაში (მ. სვანიძე); საკავშირო კონფერენციაზე «დიდი ოქტომბერი და თურქეთი», თბ., 1977 (მ. სვანიძე); IV საკავშირო კონფერენციაზე «Бартольдовские чтения», მოსკოვი, 1978 (კ. კუცია, გ. ჯაფარიძე, მ. გაბაშვილი, დ. გულაშვილი, გ. ბერაძე); ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნეთა საკავშირო კონფერენციაზე, მოსკოვი, 1978 (გ. შორჭოლიანი); აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის XX წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე, თბილისი, 1978 (გ. ჯაფარიძე, მ. გაბაშვილი, გ. შორჭოლიანი); აკად. ს. ჯიქიას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესიებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. თბ. 1978 (მ. სვანიძე).

4 მარტო 1978 წ., მგალითად, დაიბეჭდა: М. Н. Svanidzé, Point des études sur l'histoire de la Turquie et de la Géorgie. «Turcica (Revue d'études turques)», т. IX/2-X, Paris-Strasbourg, 1978, გვ. 236—246; М. Х. Сванидзе, Турецко-иранские отношения в начале XVII в. и Грузия. «Проблемы истории Турции». М., 1978, М. Х. Сванидзе. Изучение истории Турции в Грузии. «Тюркологический сборник», Л., 1978.

ირაკლი ანთელავას სსოფინსადმი მიძღვნილი სამეცნიერო სენია

ა. წ. 30 მარტს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა საქართველოს საისტორიო საზოგადოებასთან ერთად მოაწყო ახალი ისტორიის განყოფილების განსვენებული ხელმძღვანელის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ირაკლი გიორგის ძე ანთელავას სსოფინსადმი მიძღვნილი სამეცნიერო სენია.

პროფესორი ი. ანთელავა (1912—1978 წწ.) 1956 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში, ხოლო 1956 წლიდან კი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც 1957 წლიდან ახალი ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ი. ანთელავა საქართველოს ახალი ისტორიის ნაყოფიერი მკვლევარი იყო. მისი ნაშრომები საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების, საქართველოს ახალი ისტორიის მრავალ სხვა პრობლემაზე ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენამენია. ი. ანთელავა ათეული წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. მან გარკვეული როლი შეასრულა სტუდენტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნაში.

ირაკლი ანთელავას ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ ვრცლად იყო საუბარი მო-

საგონარ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ.

სესიაზე ირაკლი ანთელავას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილების გამგე პროფ. ვ. მარჯიანი.

სესიამ მოისმინა პროფ. ა. ბენდიანიშვილისა და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ე. ორჯონიკიძის მოხსენება „კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების პრობლემები ირაკლი ანთელავას შრომებში“; ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. როდონაის მოხსენება „ირაკლი ანთელავა ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევარი“; ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ლ. ჩიტაიანის მოხსენება „ირაკლი ანთელავა 1812 წლის სამაჟლო ომის მკვლევარი“ ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. პაპაიას მოხსენება „ირაკლი ანთელავას სახელმძღვანელოები XIX საუკუნის რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში“.

ი. ანთელავას დარჩა მდიდარი პირადი არქივი, რომელიც სათანადო დამუშავების შემდეგ შესაძლებელია გადაეცემა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივს. ამასთან დაკავშირებით სესიამ მოისმინა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ო. ქორდიანიას მოხსენება „ირაკლი ანთელავას პირადი არქივი“.

ზურაბ ჯაფარიძე

ისტორიული თარიღები

ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიულ სათავეებთან

მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიაში ღირსსახსოვარ მოვლენათა შორის ქართული წიგნების 1629 წელს რომში დაბეჭდვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. საზღვარგარეთ განხორციელებული ამ ღრმამინაარსიანი კულტურული ღონისძიების უშუალო მონაწილე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თეიმურაზ I-ის ელჩი ნიკიფორე ირბახი ყოფილა, რომელიც ჩვენს საწევნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია ცნობილ ქართველ სასულიერო მოღვაწე ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირუბაქიძე-ხოლაყაშვილთან. >

1977 წელს იტალიაში სამეცნიერო მივლინების შედეგად ვატკანისა და მისდამი დაქვემდებარებულ „პროპაგანდა ფიდეს“ არქივებში ჩვენ მიერ მოძიებულია XVII ს-ის საქართველო-იტალიის ურთიერთობათა ისტორიის ამსახველი მასალა, რომელიც მეტ-ნაკლებად ავსებს ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებს ნიკიფორე ირბახის ელჩობისა და რომში 1629 წელს გამოქვეყნებული ქართული წიგნების შესახებ.

საღლეისოდ ცნობილია, რომ ნიკიფორე ირბახი სამი თანამგზავრითურთ (მათ შორის ერთი თარჯიმანი იყო) 1626 წლის ზაფხულში მესინას ჩაეიდა და იქ გაეცნო პიეტრო ავიტაბილესა და მის ორ კოლეგას, რომლებიც საქართველოსაკენ მოემგზავრებოდნენ. მათი საშუალებით ქართველი მეფის ელჩი თეოფანელთა ორდენის სხვა წარმომადგენლებსაც გაეცნო და ახლო ურთიერთობა დაამყარა მათთან. ამ უკანასკნელთა უშუალო შემწეობით განხორციელდა ნიკიფორეს ელჩობის ორი ძირითადი ეტაპი — ესპანეთს გამგზავრება და ამის შემდეგ რომში მისი მოღვაწეობა ვიდრე საქართველოში გამომგზავრებამდე, რასაც ადგილი ჰქონია 1628 წლის დამლევს. მ. თამარაშვილის მოწმობით, ნიკიფორე რომში ერთ წელსწინააღმდეგე მეთ ხანს დარჩენილა¹.

ესპანეთიდან იტალიის დედაქალაქში ჩასული ნიკიფორე ირბახის პირველივე ნაბიჯები დიპლომატიურ სარბიელზე უშუალოდ „პროპაგანდა ფიდეს“ კონგრეგაციას დაუკავშირდა. ქართველი მეფის ელჩის მთავარ მიზანს პაპის ურბან VIII-სათვის თეიმურაზ I წერილის გადაცემა და მასში ჩამოყალიბებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილება წარმოადგენდა. ახალი მონაცემებით ირკვევა, რომ „პროპაგანდა ფიდეს“ მესვეურებმა ნიკიფორეს ელჩობის პოლიტიკური მხარე ჭერ სრულიად უგულვებელყვეს და ყურადღება სასულიერო საკითხებზე გაამახვილეს. მათ არა მხოლოდ ის აინტერესებდათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანად უპირისპირდებოდა ქართველთა სარწმუნოება კათოლიკური ეკლესიის დოგმებს, არამედ ნიკიფორეს, როგორც ქართველი მეფის ელჩის, რწმუნებათა გასაზიარებლად მის მიერ კათოლიკური სარწმუნოების აღიარების აუცილებელი პირობაც წამოაყენეს. „რელაცია ქართველებზე“ — ასეა დასათაურებული კონგრეგაციისათვის ოპერატიულად შედგენილი საინფორმაციო შინაარსის საბუთი, რომელიც ძირითადად კათოლიკური ლიტერატურიდან დამოწ-

1 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 92.
2 იქვე, გვ. 95.
12. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1979, № 3

მებულ ფაქტზეა დამყარებული. მის დასკვნით ნაწილში რელიგიის ავტორი შენიშნავს: „გფიქრობ, სინიორ ნიჩეფროს, იბერიის ახლანდელი მეფის ელჩს, არ უნდა გაუკვირდეს, თუ მოციქულებრივი ტახტი მოისურვებს ჯერ თვითონ მოექცეს კათოლიკურ სარწმუნოებაზე, სანამ მის მიერ აღძრული საკითხების განხილვას შეუდგებიან. წმინდა კონგრეგაციის არქივში დაცულ რელიგიებში არაფერი არ არის ნათქვამი ქართველების შეცდომებზე, პირიქით, მათზე წერია, რომ ისინი პაპისა და მოციქულებრივი ტახტის ფრიად ერთგულნი არიან“³.

ამ ოფიციალური დასკვნის საფუძველზე, რომელიც ხელმოუწერელია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ცნობილ სასულიერო მოღვაწეს ფრანჩესკო ინგოლის ეკუთვნის, „პროპაგანდა ფიდემ“ საგანგებოდ იმსჯელა 1628 წლის 20 ივნისის სხდომაზე. ქვემოთ სრულად ვაქვეყნებთ ამ სხდომის ოქმის ტექსტს:

სარწმუნოების გამაგრებელი კონგრეგაციის სხდომა შედგა უწარჩინებულესი მეუფის, კარდინალ ბანდინისა⁴ სასახლეში კვირანალეზენ. მის ესწრაზება ოთხი კარდინალი: ბანდინჯისი, ბორჯია, ბენედიკტოლუსი და ბარბერინუსი, აგრეთვე ყოვლადღირსი მეუფენი: კორსიუსი და ტორნელიუსი და პატრი დომინიკუსი, რომელმაც მოიტანა წმინდა კონგრეგაციისაგან ბოძებული 30 სკულდო.

სხდომაზე პირველ რიგში განიხილეს წერილი იბერიის მეფის თეოფილოსი⁵, რომელმაც წმ. ბასილის წესის ბერის ნიჩეფროს გამოგზავნა ელჩად მის უწმინდესობასთან. ამ წერილში ივსრულად იბერიის მეფედ მოხსენიებდა თავს, რაც მან თურქთა და სპარსთა ნების საწინააღმდეგოდ მოიბოჯა, და ითხოვდა რომ მის უწმინდესობას ჟმუამდგომლა მისთვის ესპანეთის მეუფესთან იმ შემთხვევაში, თუ თურქნი და სპარსნი კვლავ წარმოიწყებდნენ ომს. ასევე მოხსენდათ თვით ნიჩეფროსს რწმუნის აღმსარებლობის საკითხი. საიდანაც ცხადი ვახდა, რომ ქართველები უმნიშვნელოდ განდრკებიან ჭეშმარიტი კათოლიკური სარწმუნოებისაგან.

კონგრეგაციამ განაწესა 1. შეიქმნას ქართული ასოების პუანსონები და მატრიცები, რომლებიც, როგორც სასულიერო, ისე საერო ტექსტებში იხმარება, რათა ქართველებს შეეძლოთ განწავლის მიზნით, საქირიების შემთხვევაში, წიგნების ბეჭდვა; 2. გადაწყდა, ფეხშიშველა კარმელიტელ პატრ პაოლოსთან შეთანხმებით განეხილათ ქართველთა შეცდომების საკითხი⁶, რათა შესაძლებელი ყოფილიყო იმის დადგენა, ჭეშმარიტება აუწყა თუ არა ნიჩეფროსმ (კონგრეგაციას) ქართველთა სარწმუნოების შესახებ⁷.

ეს საბუთი, განსაკუთრებით კი მის დასკვნით ნაწილში დამოწმებული კონგრეგაციის განჩინება ქართული შრიფტის ჩამოსხმის თაობაზე, მრავალმხრივია საინტერესო. უპირველეს ყოვლისა, დასტურდება ის, რომ 1628—1629 წლებში რომში დამოუკიდებელი ქართული სტამბა კი არ შექმნილა, არამედ „პროპაგანდა ფიდეს“ თაოსნობით ამ სასულიერო დაწესებულებების სტამბაში ქართული შრიფტი დაუმზადებიათ და მის საფუძველზე ქართული წიგნების გამოცემა განუხორციელებიათ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კონგრეგაციის ზემომითითებული განჩინების მიხედვით „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში ორი სახის ქართული შრიფტი უნდა ჩამოესხათ: ნუსხა-ხუცური და მხედრული. ინიციატივას ამ საქმეში შე-

³ APF, SOCG, 1628, vol. 147, გვ. 284.

⁴ ოქმი, ლათინურ ენაზეა დაწერილი. რომის არქივსაცეხებში გამოვლენილი საბუთები ლათინურსა და, ძირითადად, ძველიტალიურ ენებზეა შედგენილი.

⁵ კვირანალი — ერთ-ერთი მოედანია რომის ცენტრში.

⁶ იმდროინდელი იტალიური ფულის ერთეულია.

⁷ იგულისხმება თეიმურაზ I.

⁸ იგულისხმება ქართულ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიათა შორის არსებული სხვაობა.

⁹ APF, Acta, 1628—1629, vol. 6, გვ. 72—73.

საძლოა ქართული ელჩობის წევრებს მივაწერდით უცილობლივ, ერთი გარემოება რომ არ გვაფერხებდეს: რომის პაპისადმი წარდგენილი ერთ-ერთი რელიციოზური ირკვევა, რომ ქართული დამწერლობის ორი ნაირსახეობის არსებობის შესახებ „პროპაგანდა ფიდეს“ კონგრეგაციაში უფრო ადრე იცოდნენ, ვიდრე მათი შესატყვისი შრიფტის დამზადების თაობაზე სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. რელიციაში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ქართველებმა სარწმუნოება ბერძნებისაგან მიიღეს კონსტანტინოპოლელი იმპერატორების დროს და რიტუალიც იქიდან გადმოიღეს, რითაც დღემდე სარგებლობენ, თუმცა საეკლესიო წესს ძინი თავის ენაზე ასრულებენ. ამ ენას ორი სხვადასხვა სახის დამწერლობა აქვს: ერთს ეწოდება „ხუტური“¹⁰, რომელიც მხოლოდ ეკლესიებში ჯა წმინდა წიგნებისათვის იხმარება, მეორეს — „მხედრული“¹¹, რომელიც საერთოა სხვა დანარჩენ საქმეთათვის. მართალია, მას ეკლესიებში არ იყენებენ, მაგრამ მისი საშუალებით იწერება წმინდანთა ცხოვრების ამსახველი წიგნები ერისკაცთათვის“¹².

დაბოლოს, ქართული შრიფტის ჩამოხმის შესახებ განჩინება იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ მას კონგრეგაცია ვერ მიიღებდა და, მით უმეტეს, ვერ განახორციელებდა, თუ ქართველი მეფის ელჩის მხრივ სათანადო დახმარების აღმოჩენის პირობა წინასწარ არ ექნებოდა დადასტურებული. ეს კი, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ნიკიფორე ირბახმა, ალბათ ისევე, როგორც მისმა თანმხლებმა პირებმა, ჯეროვნად შეაფასა შეთავაზებული წინადადების მნიშვნელობა არა მხოლოდ მისი ელჩობის შედეგიანობის თვალსაზრისით, არამედ — ქართული კულტურის პროგრესის გათვალისწინებით. ალბათ, სწორედ ამით უნდა აიხსნას მისი საკმაოდ აქტიური გამოხმაურება ამ წინადადებაზე, რაზეც სხვა ახლად გამოვლენილი საბუთებიც მეტყველებენ.

რომის პაპის ურბან VIII-სადმი აქილ ვენერიოს ქართულ-იტალიური ლექსიკონისათვის წამძღვარებული „მიძღვნის“ შედარებით ვრცელი და ნაწილობრივ სახეცვლილი დედანი „პროპაგანდა ფიდეს“ არქივში აღმოჩნდა. იგი გაკრული ხელით იტალიურად ნაწერი ტექსტია, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი — საკუთრივ „მიძღვნის“ ტექსტია, დასრულებული, დათარიღებული და ხელმოწერილი, რომლის რედაქციულად ჩასწორებული შეკვეცილი და დაუთარიღებელი ვარიანტი დაერთო „ქართულ-იტალიურ ლექსიკონს“. ხოლო მეორე, შედარებით მომცრო ნაწილი, „მიძღვნის“ შემოკლებული ვარიანტია, რომელიც გამოუქვეყნებელი დარჩა, ალბათ არა იმ მუხეზის გამო, რომ მის შინაარსში თვალნათლივ შეინიშნება მხატვრული თხრობისა და ალევორიული სიტყვაკაზმულობის ელემენტები. ქვემოთ ვაქვეყნებთ საბუთის პირველ ნაწილს, რომელიც საკმაოდ განსხვავდება მისი გამოქვეყნებული ვარიანტისაგან და საინტერესო ცნობებს შეიცავს პირველნაბეჭდი ქართული წიგნების შესახებ.

„უნეტარესო მამო,

სარწმუნოების გამაგრებელი წმ. კონგრეგაციის მისიონერების უოველდიური რელიციოზიციებიდან ეუწყო, რაოდენ მნიშვნელოვანია კათოლიკური რელიგიის გავრცელებისათვის ბეჭედა

¹⁰ დედანში — «კულტური».

¹¹ დედანში — «კედროლი».

¹² APF, SRC, Georgia, 1626—1707, vol, 1, გვ. 102—103. რელიცია ხელმოუწერელია და 1626-1627 წწ. საბუთებს განეკუთვნება.

კარგი წიგნებისა, განსაკუთრებით კათეჯიზმებისა სხვადასხვა ენებზე, ერეტიკოს-სქიზმატიკოსთა და ურწმუნოთა ქეშმარიტებაზე მოსაქცევად¹³.

იმავე წმ. კონგრეგაციამ, აწუხებდა რა ეს საკითხი, დიდი განსჯის შემდგომ წინდახედული გადაწყვეტილება მიიღო შეეჭმნა სტამბა მრავალენოვანი შრიფტით, განსაკუთრებით კი იმ ენებზე, რომლებიც მეტადაა გავრცელებული და საერთოა მრავალი ხალხისათვის. ამ მიზნით უკვე იბეჭდებოდა წიგნები ღრმა რწმენით. რომ ეს იმაზე მეტ ნაყოფს გამოიღებს, რასაც დღემდე აკეთებდნენ ან აკეთებენ მისიონერები.

გავითვალისწინებთ რა შემთხვევა მამა ნინეფორო ირბოჩის მიერ თქვენი მაღალუწმინდესობისათვის საქართველოს მეფის წერილის მორთმევისა, რომელშიც ვერაგინ გავრკვია¹⁴, სხვა შრიფტებს შორის, ამ ენის ფრიალ მოხერხებული და მშვენიერი ასოებიც ჩამოვასხმევიყენე. ამაში უფელაზე მეტად იმავე მამა ნინეფორომ გავვიწვია დახმარება, რომში უფენისას ჩავეაწერინა ქართული ანბანი და რამდენიმე ათასი სიტყვა ამ ენაზე. დაბოლოს, უკვე დაიბეჭდა ანბანი და ფსალმუნ¹⁵, სხენებელი ლექსიკონითურთ სახელმძღვანელოდ მისიონერთათვის, რომლებიც ამ უკვე იმყოფებთან საქართველოში, ან მომავალში აპირებენ გამგზავრებას. მართალია, ლექსიკონი მთლად სრული არაა, რადგან დრო ცოტა იყო; თანაც სტეფანო პაოლინის, რომელიც ჩემი მითითებებით ხელმძღვანელობდა, უნდა შეერჩია უფრო მეტად გავრცელებული სიტყვები, რაც გამოსადეგი იქნებოდა ყოველდიღურთბაში — თხრობაში, საუბარში, ანგარიშში.

ვიმედოვნებთ, რომ ზემოხსენებული ანბანი და ლექსიკონი ზედმიწევნით გამოადგებათ მისიონერებას. და რადგანაც ჯერ ევროპაში ამ ენაზე აქამდე არაფერი დაბეჭდილა, იხილა თუ არა ამ წიგნმა მზის შუტი. მისცევა გადავწყვიტე იგი მომეძღვნა და მომეგრძობა მხოლოდ და მხოლოდ თქვენი უწმინდესობისათვის და არა სხვისთვის, რამეთუ თქვენი მაღალირსების წყალობით დაარსდა სხენებელი სტამბა.

უმორჩილესად ვთხოვთ, პატივი დამიღოთ და მიიღოთ ჩემგან ეს მცირე ნამუშავევი, რასაც მთლიანად თქვენს უწმინდესობას ვუძღვნი და მოვართმევ, ღმერთსა ვთხოვ თქვენს უსაზღვრო ბედნიერებას. მიწამდე გიხრათ თავს და გემთხვევიო წმინდა ფეხებზე.

სარწმუნოების გამაგრებლებელი წმ. კონგრეგაციის სტამბაში, 1 აგვისტო 1629 წ.

თქვენი უწმინდესობის უმორჩილესი, უერთგულესი და ყოვლად მდაბალი მსახური

აქილე ვენერიო¹⁶.

ზემომოტანილი საარქივო საბუთი არა მხოლოდ იმ მხრედაა საინტერესო, რომ პირველნაბეჭდი ქართული წიგნების გამოქვეყნების სამ უშუალო ნონაწილესა და მათ მიერ განხორციელებული დიდმნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიების ძირითადად დამაგვირგვინებელ თარიღს გვამცნობს, არამედ განსაკუთრებით იმით, რომ წარმოდგენას გვიქმნის მათი საქმიანობის სპეციფიკასა და ცალკეულ დეტალებზე. მეტად გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ ციტირებული საბუთის შინაარსის მიღმა დარჩა ერთ-ერთი ძირითადი (მეთოხე) მონაწილე ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ამ ღირსსასხოვარი მოვლენისა. მხედველობაში გვყავს „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბის ერთ-ერთი ასოთმჭრელი და ჩამომსხმელი, რომელსაც დაევა ქართული შრიფტის დამზადება. საარქივო საბუთებში, იგი მოხსენიებულია მისი ეროვნების აღმნიშვნელი იტალიური სიტყვით „ტედესკო“ („Tedesco“), რაც გერმანელს ნიშნავს¹⁷. „ტედესკო“ ბრწყინვალე მცოდნე ყოფილა თავისი საქმისა და ეს ნათლად შეიმჩნევა მის

¹³ «მიძღვნის» დასაწყისი ხელნაწერ და ნაბეჭდ ტექსტებში განსხვავებულია. გარდა ამისა, ამ უკანასკნელში ფრაზის ნაწილი: «ერეტიკოს-სქიზმატიკოსთა და ურწმუნოთა ქეშმარიტებაზე მოსაქცევად» საერთოდ ამოღებულია.

¹⁴ «მიძღვნის» ნაბეჭდ ტექსტში ნათქვამია, რომ თეიმურაზ I-ის წერილი პაპისადმი „ვერაგინ გადმოთარგმნა“.

¹⁵ «მიძღვნის» გამოქვეყნებულ ტექსტში სიტყვა «ფსალმუნს» (Salterio) შეცვლილია «ლოცვებით» (Orationi).

¹⁶ APF, SRC, Stamperia, 1622—1720, vol. 1, გვ. 97 (95) r — v.

¹⁷ W. H e n k e l, Die Druckerei der propaganda Fide im Dienste der Glaubensverbreitung, «Communicatio Socialis», 1976, №2, გვ. 107.

მიერ ჩამოსხმული ქართული შრიფტის მიხედვითაც, განსაკუთრებით კი იმ ფილიგრანული ხელოვნებით შესრულებულ ქართულ ასოთა ლიგატურების მიხედვით, რომელთა ასე ნატიფად დამზადება ალბათ დღესაც გაუჭირდება ამ ენის მცოდნე ხელოსანს. დასაშვებია, რომ ქართული მხედრული ანბანის სპეციფიკის ლითონში გადაღებისას, რაც იმაჟამად ხის ყალიბების საშუალებით ხორციელდებოდა, „ტედესკოს“ ამ საქმეში ნიკიფორე ირბახისა და სტეფანო პაოლინის გარდა მისი კოლეგა, „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბის მეორე ცნობილი ასოთმამომსხმელი, იტალიელი ჯამბატისტა სოტილე დაეხმარა, რომელიც „ტედესკოსთან“ ერთად ადრე ვატიკანის სტამბაში მოღვაწეობდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გამოქვეყნება ინტერნაციონალურ საფუძველზე განხორციელდა. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ XVII ს-ის პირველი მესამედის დამლევისათვის ბეჭდვითი სიტყვა უკვე საკმაოდ ქმედით იარაღს წარმოადგენდა საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გასაღრმავებლად, რაც ასე თვალნათლივ დადასტურდა ქართული წიგნების გამოცემის მაგალითზეც. რაც შეეხება მის მონაწილეთა ღვაწლსა და დამსახურებას ამ მოვლენის განხორციელებაში, არსებული ფაქტობრივი ხასიათის მონაცემებისა და, განსაკუთრებით, ზემომოტანილი „მიძღვნის“ საფუძველზე, ჩვენი აზრით, იმ ზოგადი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში 1629 წელს შექმნილი ქართული ნაბეჭდი პროდუქციის ძირითადი სულისჩამდგმელი ნიკიფორე ირბახი ყოფილა. ეს დასკვნა მართებულად გვეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ა. ვენერიო („მიძღვნაში“), ხოლო ს. პაოლინი („ლექსიკონის“ ტიტულში) გარკვეულ ტენდენციას ამჟღავნებენ მთავარი დამსახურება ამ საქმეში თვითონ მიიწერონ. მათი დამსახურება, განსაკუთრებით კი სტეფანო პაოლინისა, ჭეშმარიტად დაუფასებელი და განუზომელია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ქართული ანბანის შედგენასთან ერთად ყველაზე რთულად განსახორციელებელი მოვალეობა — „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ სიტყვანის შედგენა (3084 სიტყვით) ნიკიფორეს უკისრია და მეტ-ნაკლები სისრულითა თუ თვალნათლივი ხარვეზებით კიდევ შეუსრულებია. ერთობ სიმპტომატურად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ საარქივო საბუთში, „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ სატიტულო მონაცემებისაგან განსხვავებით, ამ წიგნის ერთპიროვნულ ავტორად ნიკიფორე ირბახია მითიებული¹⁸.

პროპაგანდა ფიდეს“ არქივში დაცულია აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ 1629 წელს ამ სასულიერო დაწესებულების სტამბაში გარდა „ქართული ანბანისა ლოცვებითურთ“ და „ქართულ-იტალიური ლექსიკონისა“ დაიბეჭდა კიდევ ერთი ქართული ტექსტი, რომელს ერთპიროვნულ ავტორად საბუთებში ისევ ნიკიფორე ირბახი იყო მითითებული. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ერთადერთი („აუცილებელი“) ეგზემპლარი ამ ტექსტისა ვატიკანის „ბიბლიოტეკა აპოსტოლიკაში“ იქნა მიკვლეული. ეს აღმოჩნდა ერთ გაშლილ ფურცელად (in aperto) დასტამბული ნიკიფორე ირბახის მიერ ლათინურულად ქართულად ნათარგმნი, წარსულში პოპულარული ლოცვა ღვთისმშობლისადმი „ლიტანია ლაურეტანას“ სახელწოდებით (იტალიის ერთ-ერთი ქალაქის ლორეტოს მიხედვით). თარგმანი ერთობ თავისებურადაა შესრულებული, მასში შეინიშნება ე. წ. ევროპეიზმები, განსაკუთრებით კი ბერძნულის ძლიერი გავ-

¹⁸ APF, SRS, Clamperia, 1622—1720, vol. 1, გვ. 123 (121) — r.

ლენა, რაც „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“ დაშვებულ შეცდომებს უშუალოდ ეხმიანება.

საინტერესოა, თუ რა ბედი ეწია რომში ქართული სასულიერო შრიფტის ჩამოსხმის საქმეს. ზემოგანხილული საბუთიდან ცნობილია, რომ კონგრეგაციამ 1628 წ. 20 ივნისის სხდომაზე დადებითად გადაწყვიტა ნუსხა-ხუცური შრიფტის მხედრულთან ერთად ჩამოსხმის საკითხი. მაგრამ 1629 წელს „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში გამოცემული სამივე ქართული ტექსტი მხედრულითაა დაბეჭდილი. ჩვენს ხელთ არსებული საბუთების მიხედვით ქართული სასულიერო ანბანის სპეციფიკას ხელი არ შეუშლია ნუსხა-ხუცური შრიფტის ამჟვე სტამბაში ჩამოსხმისათვის. მაგრამ ირკვევა, რომ კონგრეგაციის გადაწყვეტილება ამ შრიფტის დამზადების თაობაზე განუხორციელებელი დარჩა. დაახლოებით სამი თვის შემდეგ „პროპაგანდა ფიდემ“ ისევ განიხილა ეს საკითხი სხვადასხვა ენაზე ახალი შრიფტების შექმნის თაობაზე მსჯელობისას. 1628 წ. 31 ოქტომბერს შემდგარი კონგრეგაციის სხდომის ოქმში ამის შესახებ აღნიშნულია: „უწარჩინებულესი მეუფის კარდინალ ბანდინუსის სასახლეში შედგა კონგრეგაციის სხდომა, რომელსაც ესწრებოდა ოთხი კარდინალი: ბანდინუსი, მილინუსი, ბორჯია და ბარბერინუსი. სხდომაზე პირველ რიგში გადაწყდა, დამზადდეს პუანსონები და მატრიცები ასობისა, რომელთაც ქართველები სასულიერო ტექსტებში იყენებენ“¹⁹,

ეს გადაწყვეტილება რომ განუხორციელებელი არ დარჩენილა იქიდან ჩანს, რომ „პროპაგანდა ფიდეს“ მდივანმა ფრანჩესკო ინგოლიმ კონგრეგაციის ერთ-ერთ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში (1640 წ.) სხვადასხვაენოვან შრიფტებთან ერთად, რომლებიც ამ დროისათვის გაჩნდა სტამბას, აღმოაჩინა ქართული საერო და სასულიერო შრიფტებიც²⁰. უფრო გვიანდელ საარქივო საბუთში, რომელიც 1648 წლითაა დათარიღებული და სტამბის ხელმძღვანელობის მიერ კონგრეგაციაში გაგზავნილ ანგარიშს წარმოადგენს საშრიფტო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, ნითითებულია სტამბაში იმჟამად არსებულ, კერძოდ, ქართული შრიფტის რაოდენობა. ამ ანგარიშის მიხედვით ორი ნაირსახეობა ქართული შრიფტისა სტამბაში შემდეგი პროპორციით ყოფილა დაცული: „ქართული საეკლესიო შრიფტი: ზეითი ყუთი წონით ზუთას ოცი გირვანქა — 520, და კიდევ (იგივე) შრიფტი ტომსიკებში საერთო წონით ორას ოცდაერთი გირვანქა—221; ქართული საერო შრიფტი: სამი ყუთი წონით სამას სამოცდაჩვიდმეტი გირვანქა — 377, და კიდევ ორი ტომსიკების სახით საერთო წონით ორას სამოცდათერთმეტი გირვანქა — 271“²¹). როდესაც ქართული შრიფტის ეს რაოდენობრივი მონაცემები დაჯავშნეთ, „ამაჲც 1389 გირვანქა შეადგინა, გამოირკვა, რომ იგი სჭარბობდა იმავე საბუთში მოცემული შრიფტების შესაბამის მონაცემებს ბერძნულ (1302 გ.), ჰიბერნიულ ანუ ირლანდიულ (589 გ.) და არაბულ (1163 გ.) ენებზე.

ეს უნებლიე დასკვნა ქართულენოვანი შრიფტის რომში საკმაოდ ჭარბი რაოდენობით ჩამოსხმის შესახებ ხომ არ იძლევა საფუძველს იმის სავარაუ-

¹⁹ APF, Acta, 1628—1629, vol. 6, გვ. 151.

²⁰ APF, CP, vol. 3, გვ. 249r—v. ამ მოხსენების ტექსტი პირველად გამოაქვეყნა გ. მეტცლერმა: G. Metzler, Annales Pont. univ. urban. Romae, 1968, 49. შტრ.: W. Henkel, Francesco Ingoli, erster Sekretär der Propaganda Fide über Druckerpresse und Mission,—*«Communicatio Socialis»*, 1970, №1, გვ. 170.

²¹ APF, SRC, Stamperia, 1622—1720, vol. 1, გვ. 266-r.

დოდ, რომ მისი ნაწილი თავიდანვე გამიზნული იყო საქართველოში გამოსავლად? იმჟამად ასეთი ღონისძიება ადვილად განსახორციელებელი რომ ყოფილიყო, მაშინ სავარაუდოდ არც იქნებოდა და პირველი სტამბის საქართველოში დამკვიდრება სამი მეოთხედი საუკუნით დაასწრებდა ცნობილ თარიღს. მაგრამ, მიუხედავად მრავალი სიძნელისა და დაბრკოლებისა, რომელიც თან სდევდა რომიდან საქართველოში (ან პირიქით) მგზავრობას, საფუძველი ზემომოტანილი ვარაუდის გასაზიარებლად გამოირიცხებულად არ უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში იმათავითვე, როდესაც პირველნაბეჭდი ქართული წიგნები ქვეყნდებოდა და მის შემდეგაც, რომსა და საქართველოს შორის გარკვეული კავშირ-ურთიერთობა დამყარდა ნაბეჭდი და ხელნაწერი ლიტერატურის გაცვლის ხაზით, რაზეც ახლადმოძიებული სხვა საბუთებიც მოწმობს.

როდესაც „პროპაგანდა ფიდემ“ ნიკიფორე ირბახის მიერ კათოლიკური სარწმუნოების აღიარება არ იმარა და თეიმურაზ I სახელით წამოყენებულ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად თვით იბერიის მეფის კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევა მოითხოვა, კონგრეგაციაზე განიხილეს საგანგებოდ შედგენილი „მდივან ინგოლის მოსაზრებანი ქართველი ელჩის მოთხოვნებზე“. ამ საბუთიდან ჩანს, რომ ფ. ინგოლის თეიმურაზ I კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევის აუცილებელ პირობად მისი სათანადო სასულიერო ლიტერატურაში გათვითცნობიერება მიუჩნევია და მეფისათვის მისი ელჩის ხელით წასაღებად გამიზნული წიგნებიც შეურჩევია. ამასთან დაკავშირებით, საბუთში ხაზგასმული იყო, რომ „მისი უდიდებულესობა იბერიის მეფე წმინდა ტახტს უნდა შეუერთდეს იმ პირობების გათვალისწინებით, რაც შემუშავებული იყო ფლორენციის მსოფლიო კრების მიერ... საქიროა გადაეცეს ელჩს ამ „სინოდის“ დაბეჭდილი ეგზემპლარი ხსენებული მეფისათვის, რათა მან შეძლოს გააცნოს იგი თავის სამეფოს მღვდლებს, და რომ ეს უნია სრულყოფილად შესრულდეს, საქიროა ელჩს დამატებით მიეცეს მსოფლიო „სინოდების“ დაბეჭდილი ეგზემპლარებიც... ელჩი გულმოდგინედ გააცნობს მათ თავის მეფეს“²². ამავე საბუთიდან, ჩანს, რომ ნიკიფორე ირბახისათვის გათვალისწინებული ყოფილა სპეციალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვით ეს საქართველოში დაბრუნებისას უნდა მოქცეულიყო. ამ ინსტრუქციის მესამე პუნქტში ყურადღება ისევ სასულიერო შინაარსის ბეჭდურ პროდუქციაზე იყო გამახვილებული: „შესაძლოა საქირო გახდეს ელჩს გადასცეთ აგრეთვე „სარწმუნოების ქადაგების“ რამდენიმე ეგზემპლარი ბერძნულ ენაზე, ხელმოწერილი გრიგოლ XIII მიერ. ასევე კარგი იქნება მიეცეს ელჩს ეთიოპელებისათვის შედგენილი „აღსარება“. როგორც მსოფლიო კრებების ყველაზე უფრო დეტალურ განმარტებათა შემცველი“²³.

პირველი სასულიერო შინაარსის წიგნი, რომელსაც ფ. ინგოლი ასახელებს თავის „მოსაზრებებში“. არის სტეფანო პაოლინის მიერ „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში 1629 წელს პირველნაბეჭდ ქართულ წიგნებთან ერთად ორ ტომად განხორციელებული გამოცემა ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ²⁴. ამ გამოცემის, რომლის სათაურია „ფლორენციის მსოფლიო წმინ-

²² APF; SOCG, 1628, vol. 147, გვ. 292—293.

²³ იქვე, გვ. 293.

²⁴ იგი შედგა 1431—1445 წწ. და იმით არის მნიშვნელოვანი, რომ კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად მასში აღმოსავლურ-მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

და სინოდი²⁵, პირველ ტომში გადმოცემულია დასახელებული მსოფლიო კრებვის ისტორია, მისი 25 სხდომის შინაარსი და ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მათი მსვლელობის შედეგად იქნა მიღებული. აქვეა დამოწმებული კრების მონაწილეთა ხელმოწერები, რომელთაც ეს გადაწყვეტილებები გაიზიარეს. გამოცემის II ტომი შეიცავს სასულიერო შინაარსის ოთხი საუბრის ტექსტს, რომლის ავტორებად მითითებული არიან კონსტანტინოპოლის პატრიარქი გიორგი სქოლაროსი, ნიკეის მეტროპოლიტი ბესარიონი, მეთონის ეპისკოპოსი იოსები და იერომონაზონი ვრიგოლი, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქის პროტოსინკელი (მდივანი) იყო. გამოცემას წინათქმის სახით წამძღვარებული აქვს ორენოვანი (ბერძნულ-ლათინური) შესავალი, რომელსაც ხელს აწერს ცნობილი ბერძენი სასულიერო მოღვაწე იოანე — მატეე კარიოფილოსი (1586—1669). ეს პიროვნება ქართული ისტორიისათვის არა მხოლოდ იმით არის საინტერესო, რომ მას შეუდგენია და წინათქმა დაურთავს წიგნისათვის, რომელიც თეიმურაზ I გაეგზავნა, არამედ უფრო იმით, რომ იგი რომში იმჟამად მცხოვრებ ბერძენ სასულიერო პირთაგან, ალბათ ყველაზე უშუალოდ იყო დაკავშირებული ნიკეიფორე ირბახთან, რადგან მისი თარჯიმნის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული.

ახალი საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ „პრობაგანდა ფიდეს“ სტამბის სასულიერო შინაარსის ნაწარმის საქართველოში გაგზავნა არაერთგზის განხორციელებულა. მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობისაა საარქივო ცნობა პირველნაბეჭდი ქართული წიგნების საქართველოში გაგზავნის თაობაზე, რომელიც დამოწმებულია ორიგინალური შინაარსის საბუთში. ეს არის 1630 წლის 7 სექტემბერს შედგენილი ინსტრუქციის ტექსტი მისიონერთათვის, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებოდნენ.

ინსტრუქციის VI—IX პუნქტები უშუალოდ ეხება ნაბეჭდ ქართულ წიგნებს და, ერთდროულად, იმ მძაფრ ინტერესზე მიუთითებენ, რასაც რომის ეკლესია ხელნაწერი ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის მიმართ ამჟღავნებდა მისი სტამბური წესით გამრავლების მიზნით. აქ ნათქვამია:

6. გვაცნობონ (მისიონერებმა. — ჯ. ვ.) კარგი გამოვიდა თუ არა ქართული შრიფტი და სხვა დაბეჭდილი ტექსტები, რომლებიც თან მიაქვთ. თუ მასში შეცდომებია გაპარული, ჩაასწორონ და სათანადო კორექტურით უნაი გამოგვიგზავნონ და თუ რაიმე გამოტყვებულია, თავაზიანად მიგვიითონ.

7. გვაცნობონ იმ სასულიერო თუ საერო წიგნების შესახებ, რაც მოიპოვება იმ მხარეებში, მთ ავტორებზე და შინაარსზე, განსაკუთრებით ბიბლიასა და სასულიერო წიგნებზე, როგორცაა ლითურგები, ლოცვანი და სხვა, რომ მათი გადაღებული ასლები გაეგზავნოს წმ. კონსტანტინოს, თუ ეს დიდ ხარკებთან არ იქნება დაკავშირებული და ძალზე ძვირი არ დაჯდება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკითხონ წმინდა კონსტანტინოს, სანამ ასეთ ხარკებს გაიღებენ.

8. საჭიროა ისწავლონ წერა-კითხვა ამ სამეფოში გავრცელებულ ენაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გამოქმენებს, რათა იტალიაში დაბრუნებისას შეძლონ სხვებს გადასცენ თავისი ცოდნა; შეიტყონ აგრეთვე, აქვს თუ არა ამ ხალხს ლექსიკონები ან გრამატიკები იმ ენებზე, რაზედაც ლაპარაკობენ და თუ საშუალება იქნება, გადაიღონ მათი ასლები და გამოგზავნონ იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ უკვე ითქვა ხარკებთან დაკავშირებით.

²⁵ ამ წიგნს ორენოვანი (ბერძნულ-ლათინური) იდენტური შინაარსის სათაური აქვს. ლათინური სათაურის — «Sancta Generalis Florentina Synodus»-ქვეშ, ბერძნულისაგან განსხვავებით, მითითებულია: «Excudbat Stephanus Paulinus», რაც ნიშნავს: «შედგენილია სტეფანე პაულინის მიერ».

9. გვაცნობონ კარგად ესმით თუ არა იმ სამეფოში ბერძნული ენა, მდაბიური და ლიტერატურული, რომ შევძლოთ აქედან რაიმეს გავზავნა ხსენებულ სულთა გადარჩენის სასარგებლოდ²⁶.

ინსტრუქციის ზემოციტირებული ოთხი პუნქტის შინაარსი მეცნიერულად დიდად ფასეულია იმდენად, რამდენადაც მრავლისმეტყველ ისტორიულ ინფორმაციას შეიცავს. ირკვევა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში 1029 წელი სიმბოლური აღმოჩნდა არა მხოლოდ პირველი ქართული წიგნების გამოქვეყნების შპ აბას I სიკვდილთან ქრონოლოგიური დამთხვევით, არამედ იმითაც, რომ საარქივო საბუთში დადასტურებული ფაქტი ამ წიგნების, თუ შეიძლება ასე ითქვას, საპრობაციოდ საქართველოში გადმოგზავნისა პირველი ძლიერი კულტურული სხივი იყო წყვილიადის გასაფანტად, რომელმაც საქართველო დროებით მოიკვა ამ მტარვალის შემოსევების შედეგად. ეს ფაქტი და მასთან ერთად „პროპაგანდა ფიდეს“ მესვეურთა დაინტერესება საქართველოში იმჟამად არსებული სასულიერო და საერო ლიტერატურით ერთადერთი მართებული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა: თუმცა პირველნაბეჭდი ქართული წიგნების გამოცემა იტალიაში განხორციელდა, იგი მთელი თავისი შინაარსით, ძირფესვიანად იმდროინდელი საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან იყო დაკავშირებული და მისითვე შეპირობებული.

ინსტრუქციის მიხედვით იმ დასკვნის გაკეთებაც შეიძლება, რომ კათოლიკური ეკლესია მისიონერების საქართველოში მოღვაწეობას დროებით მოვლენად არ განიხილავდა და ამ მხარეში თავისი გავლენის განსამტკიცებლად წარგზავნილთა ახალი კადრებით უზრუნველყოფასა და მათ მომრავლებას ცდილობდა. ამ მიზანს უნდა დაქვემდებარებოდა ის ლექსიკოგრაფიული გამოცემებიც ქართულ ენაზე, რომელთა განხორციელებას „პროპაგანდა ფიდეს“ ახლო მომავალში ისახავდა მიზნად. მას შემდეგ, რაც კათოლიკური ეკლესიის მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ძირითადი ქართული ენაა და მასთან შედარებით ბერძნულს არაეითარი ძალა და გავლენა არ ჰქონდა, „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბამ არ დააყოვნა სათანადო შინაარსის ლექსიკოგრაფიული ნაშრომის გამოქვეყნება: ეს ნაშრომი 1643 წელს გამოცემული ფრანცისკო-მარია მაჯოს „ქართული გრამატიკა“ იყო²⁷.

ასეთია ზედმიწევნით ზოგადი მიმოხილვა იმ სოციალური ახალი საარქივო საბუთისა, რომელიც მეტ-ნაკლებ ნათელსა ჰფენს პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების რომში გამოქვეყნების ფაქტს. იგი ძნელად შეიძლება გადაჭარბებით შეაფასო მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ უპრეცედენტო და ღირსსახსოვარმა მოვლენამ საქართველოს ფარგლებს გარეთ იჩინა თავი, რასაც კონკრეტული ისტორიული ახსნა აქვს, და რომ მისი განხორციელება, გარკვეული აზრით, კათოლიკური ეკლესიის იმდროინდელ მესვეურთა ვიწროკლერიკალური მიზნებით იყო შეპირობებული, იგი უპირველეს ყოვლისა თავისი ღრმა ეროვნული შინაარსითაა მნიშვნელოვანი. 1453 წლიდან მოყოლებული, როდესაც საქართველო აგრესიულად განწყობილ მუსლიმანურ

²⁶ APF, Istruzioni, 1623—1638, გვ. 152 r — v.

²⁷ ფ-მ. მაჯოს «ქართული გრამატიკის» მეორე გამოცემა 1670 წელს განხორციელდა რომის იმავ სტამბაში.

გარემოცვაში მოექცა, ხოლო მრავალტანჯული მისი ხალხის ცხოვრება პარტიკულარიზმის ყველაზე უარყოფითი ნიშნებით ხასიათდებოდა, რომში 1629 წელს დასტამბული ქართული წიგნების გამოქვეყნება უნდა განვიხილოთ როგორც პირველი შედეგიანი ცდა მტრული გარემოცვის გარღვევისა და კულტურულ სფეროში დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან აქტიური კავშირ-ურთიერთობის აღდგენისა. ამდენად ეს ფაქტი თავისთავად უდავოდ განეკუთვნება იმ დიდმნიშვნელოვან მოვლენათა რიგს, რომელთაც ქართველი ხალხის სულიერი აღორძინება განაპირობებს.

მეტად სიმბოლურია ის გარემოება, რომ ქართული კულტურის ისტორიაში ორი უმნიშვნელოვანესი თარიღი თითქმის დაემთხვა ერთიმეორეს: გასულ წელს ჩვენმა საზოგადოებრიობამ იხეიმა იაკობ ზუცესის უკვდავი ნაწარმოების 1500 წელი, ნაწარმოებისა, რომელიც დღესდღეობით ქართული ლიტერატურის საწყის ეტაპად გვევლინება, ხოლო მიმდინარე წელს აღინიშნება ქართული ხელნაწერი ლიტერატურის განვითარებაში მომხდარი ისეთი ძირეული გარდატეხის 350 წელი, როგორც ქართული წიგნების სტამბურ წესით გამოქვეყნება იყო. ჩვენი ხალხის მეხსიერებაში ამ ორ წარუშლელ თარიღს შორის თორმეტსაუკუნოვანი შუალედი, მაგრამ მათ ერთი და იგივე ეროვნული ტრადიცია აერთიანებს — ქართული ენისა და დამწერლობის ხელთუქმნელობა, რამაც საუკუნეებს გადმოაბიჯა და ქართველი ხალხის მრავალჭირნახული წარსულის მეტ-ნაკლებად სრული მატრიანე შემოგვინახა.

ჯუანხერ ვათეიშვილი

ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი

(დაბადების 120 წლისთავის გამო)

მიხეილ თამარაშვილს ჩვენი წარსულის მკვლევართა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი ჩვენს ისტორიათმცოდნეობაში ქართული საზოგადოებისათვის სრულიად მოულოდნელად უცხოეთის არქივებიდან შემოვიდა და თხუთმეტიოდე წლის დაძაბული მუშაობის შედეგად იმდენი მეცნიერული საზრდო შემოიტანა, რასაც ჩვეულებრივ პირობებში თაობათა შრომა დასჭირდებოდა. მ. თამარაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა ქართული ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის ფასდაუდებელი განძია.

მიხეილ (ერისკაცობაში ალექსანდრე) თამარაშვილი დაიბადა 1858 წ. ახალციხეში ლარიბი ხელოსნის პეტრე თამარაშვილის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ახალციხეშივე ცნობილი მოღვაწის ი. გვარამაძის („ვინმე მესხი“) ხელმძღვანელობით. მომავალმა ისტორიკოსმა სწორედ მისგან „ღრუბელსაგეთი“ შესვა მამულის სიყვარულს და მისთვის თავდადების აუცილებლობა. სამწუხაროდ, 14 წლის ახალგაზრდას მამა გარდაეცვალა. მიმე ოჯახური პირობების გამო ყმაწვილმა სწავლას თავი მიანება და ხარაზობა ისწავლა. ერთხანს ახალციხიდან ქუთაისში ძმის სახელოსნოში გადავიდა და იქ მუშაობდა. ქუთაისში ყოფნისას თავისუფალ დროს კათოლიკეთა ეკლესიაში დადიოდა, ასომთავრულსა და ხუცურს სწავლობდა და იქ დარჩენილი ბიბლიის ძველ ხელნაწერთა ფრაგმენტების გარჩევას ცდილობდა. მალე გაკოტრებული ძმები ახალციხეს დაბრუნდნენ. მიხეილმა, რომელიც უკვე ძველქართული ხელნაწერების კითხვაში გვარიანად გაწაფულიყო, ივ. გვარამაძის აღფრთოვანება გამოიწვია. ივ. გვარამაძის დაჟინებით თხოვნითა და რეკომენდაციით 1878 წ. თამარაშვილი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა კონსტანტინოპოლში (ფერიქოეს), კათოლიკე მოძღვრის პ. ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ქართულ სკოლაში. აქ მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ფრანგულ-ლათინური ენების ათვისებაში. სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ძმობამ იგი გაგზავნა ესპანეთში, სადაც სასულიერო სემინარიაში „დაიჭირა გამოცდები“. სემინარიის დამთავრების შემდეგ „ხმის ვალების“ უფლებით აღჭურვილი მიხეილი მცირე ხნით დაუბრუნდა ფერიქოვის ქართველ კათოლიკეთა ძმობას, საიდანაც მალე მისივე თხოვნით თავის განუყრელ მეგობარ ი. მერაბაშვილთან (შემდეგ „დოქტორ მერაბის“ სახელით ცნობილი მოღვაწე ეთიოპიაში) ერთად უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა პარიზში და იქ „წმ. ლაზარეს დიდ სასწავლებელში“ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები. პარიზის სამეცნიერო ცხოვრების გაცნობამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი სისტემატურად დადიოდა პარიზის წიგნთსაცავებში, არქივებში, მუზეუმებში. სწავლობდა მის მდიდარ ფონდებს, ეცნობოდა მკვლევარ ისტორიკოსებს, მონაწილეობას ღებულობდა მათ საუბრებსა და დისკუსიებში და მომავალი მეცნიერული კვლევისათვის ემზადებოდა.

ამ დროს ევროპის ისტორიკოს-მკვლევართა ყურადღების ცენტრში იყო ე. წ. „ობიექტური სკოლა“, რომელიც თავისი მიმართულებით და კვლევის მეთოდებით განსხვავდებოდა ისტორიოგრაფიაში მანამდე არსებული ყველა სხვა სკოლისაგან. „ობიექტური სკოლის“ ერთ-ერთი ფუძემდებლის ლეოპოლ რანკეს მოწოდება — უკან დოკუმენტური წყაროებისაყენ — საუკუნის მოწოდებად

იქცა. ისტორიკოსები ერთბაშად დაეწაფნენ ლ. რანკესა და იაკობ ბურკჰარდის ნაშრომებს. ი. ბურკჰარდის გამოკვლევამ „იტალიის რენესანსი“ ახალგაზრდობაზე ისეთი გავლენა მოახდინა, რომ „ობიექტური სკოლის“ შიგნით შექმნეს ახალი მიმართულება, ე. წ. „რენესანსიზმი“ და სხვ. ისტორიული კვლევა-ძიების სურვილით შეპყრობილი მ. თამარაშვილი ევროპაში დაწყებულ ამ მოძრაობას თვალს ადევნებდა და საეკლესიო წრეებში სქოლასტიკურ-ისტორიული მიმართულების მანამდე აღიარებულ ფეტიშებსაც კი (მაგ., ცეზარ ბარონიუსის „საეკლესიო ანალები“) კრიტიკული თვლით დაუწყო ყურება.

1888 წ. მ. თამარაშვილი პარიზიდან სტამბოლს დაბრუნდა და იქიდან სულ მალე „ვითარცა მომზადებული მოლაშქრე“ სამოღვაწეოდ თბილისში ჩამოვიდა. თბილისში ჩამოსული მიხეილი, რომელიც კათოლიკეთა ეკლესიის მოძღვრად გამწესდა, ფიქრობდა სასულიერო საქმე მეცნიერული მუშაობისათვის შეეფარდებინა და მშობლიური ისტორიის შესწავლის საქმეში თავისი წვლილი შეეტანა.

როგორც მისი მრევლიდანაც აცხადებდნენ, თამარაშვილის მიერ თბილისის კათოლიკეთა მონასტერში წარმოქმნილი ქადაგებანი ჩვეულებრივი კლერიკალის დიდაქტიკურ კაჟფონიას კი არ გავდა; თამარაშვილის ქადაგება იყო ახალი ფაქტებით განდიდრებული და ძლიერი გონებით განათლებული მამულიშვილის ლაღადისი სამშობლო ქვეყანაზე, მის გარდასულ ისტორიაზე, მის აწმყოსა და მომავალზე.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში „ობიექტური სკოლისაგან“ სრულიად დამოუკიდებლად ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ბაქრაძის მეშვეობით შემუშავდა კვლევის ასეთივე მეთოდი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების შესწავლას, მისი საძირკვლის, მისი ბაზისის საფუძვლიან გამოკვლევას, მაგალითად, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხის შესწავლისას, როგორც დ. ბაქრაძე ამბობდა, მთავარი ის კი არ იყო, შეგვესწავლა მფლობელობის შესახებ ან მიწით სარგებლობის შესახებ ოფიციალურად გამოცემული ბრძანება-განკარგულებანი, ფირმანები თუ დეკრეტები, არამედ მთავარი ის იყო რომ ამოვსულიყავით მიწათმფლობელობის თუ მიწათსარგებლობის ფაქტობრივი მდოგმარეობიდან, სადაც იშვიათი როდი იყო კანონიდან გადახვევა, შეუთავსებლობა, თავისთავადობა. დღის წესრიგში დგებოდა ცალკეული რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით წერილობითი წყაროების მოძიება, შეკრება, დაბეჭდვა, ერთი სიტყვით, ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის მკვიდრი წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა სწორი წარმოდგენა გვექონოდა ჩვენი წარსული ცხოვრების შესახებ. დ. ბაქრაძესთან ერთად ამ საშვილიშვილო საქმეს ხელი მოჰკიდეს ახალგაზრდა ისტორიკოსებმა (ე. თაყაიშვილი, თ. ჟორდანიას და სხვები). თბილისში ამგვარსავე მუშაობის დაწყებას აპირებდა მიხეილ თამარაშვილი, მაგრამ 80-იანი წლების შავ-რახმულმა, სამხედრო-ბიუროკრატიულმა რეჟიმმა როგორც სხვა მრავალ პროგრესულ მოღვაწეს მ. თამარაშვილსაც არ მისცა ნორმალური მუშაობის საშუალება და მის კეთილშობილურ სურვილს ნაადრევად ფრთები შეეკვეცა. 1889 წ. რეაქციული ძალების მოქმედებით, რომელსაც საფუძვლად დაედო დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ გამოცემული ბრძანება, მ. თამარაშვილს, როგორც „უცხო და უცხო იდეების მატარებელ“ პირს საქართველოში ცხოვრება აუკრძალეს. თბილისიდან წასული მიხეილი ახალციხეს ავიდა და იქ მა-

მისეულ სახლში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ რამდენიმე ხანს დარჩა. ახალციხეში იგი თავის მასწავლებელ ივანე გვარამაძესთან საუბრობდა „საყვარელსა და საჭირო საგნებზედ“. სამშობლო ქვეყნის ბედით გულდაკოდილი მამულშვილები მაშინ განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდნენ მესხეთში შექმნილ ვითარებას.

„ვერებით, ვილევით საშველი კი არსაიდანა სჩანს — გაიძახოდნენ ხმა-მალა და თავიანთი თვალით ხედავდნენ თუ როგორ ინტენსიურობით გრძელდებოდა სამცხე-ჯავახეთში ქართველების ადრე დაწყებული გადაგვარების პროცესი: — „შემოგვესიენენ უცხო ტომნი, გვეკარგვის ყველაფერი“, — მოსთქვამდნენ ერთად და აშფოთებდათ ქართველი თავადაზნაურობის უსულგულობა და უღარდებლობა.

„არა გვარგორა მარტო წითელმა ღვინომ, ცვრიანმა მწვადმა, ლხინ-ნადიმებმა და ქალაღის თამაშმა“, მესხეთი ხელიდან მიგვდისო. „შებნდეთ ახალციხის გარშემო მყოფს სოფლებში მცხოვრებ მესხ მაჰმადიანებსა, აგერ ორმოცდაათ წელზე მეტია რაც რუს ხელმწიფეს ეს მხარე უკავია; და ჩვენი აღდგენა-გაერთიანების ნაცვლად ერთი მეორეს სულ უფრო ეშორდებით“ შექმნილი გარემოების გამო. მართლაც, XIX ს-ში მოძლიერებული ფანატიზმი პლრნიდა გამუსლიმანებულ მესხობას. კულტურულად დაცოლებულ თავიანთ ქრისტიან ძმებს თანდათან ყოფოთა და ენითაც სცილდებოდნენ. მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი მესხეთში კათოლიკე ქართველების მიმართაც. ქართველ კათოლიკეებს სხვადასხვა ენოვანი (ლათინურ-სომხური) ტიპიკონის გამო ოფიციალურ წარმომადგენლობაში ქართველად არ რიცხავდნენ და ცდილობდნენ ეს მდგომარეობა განემტკიცებინათ ათასნაირი პროექტებით. ცარისტული და ბურჟუაზიული ნაციონალური მოთხოვნების შესაბამისად (ამ შემთხვევაში მათი სურვილები ერთიმეორეს ემთხვეოდა) მომრავლდნენ ამ საკითხზე მომუშავე ყალბისმქნელნი, რომლებიც ცდილობდნენ „მეცნიერული დასაბუთების“ იარღიყით ქართველი კათოლიკეები არაქართველებად გამოეცხადებინათ. რაც შეეხება მესხეთში მცირედ შერჩენულ მართლმადიდებელ ქართველობას, იგი შექმნილი პირობების გამო ეკონომიკურ შევიწროებას განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ XIX ს-ის 30-ანი წლებიდან, როგორც სამცხეში, ისე განსაკუთრებით ჯავახეთში, მაჰმადიან ქართველთა გასახლების შემდეგ აქ დარჩა თავისუფალი მიწის დიდძალი ფონდი, ამ ორივე რეგიონის ქართველობას დიდად აწუხებდა მიწის სიმცირე. თავისუფალ მიწაზე მთავრობა მათ არ აძლევდა დასახლების ნებართვას. ასეთ პირობებში ჩავარდნილი გლეხკაცობა იყრებოდა და დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ესახლებოდა (ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრის მაგალითიც, საიდანაც აყრილმა უმიწო გლეხობამ XIX—XX სს-ის მიჯნაზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში 10-ზე მეტი ახალი სოფელი შექმნა). ერთად აღებული ყველა ეს გარემოება მესხეთიდან მესხთა ამოვარდნას და იქ ქართველთა ნაკვალევის აღზოცვას ემსახურებოდა. თვით მესხი მიხეილ თამარაშვილის საქართველოდან განდევნაც ზოგადად ამ ანტიქართული მიმართულების ერთ-ერთი კერძო მაგალითი იყო.

სამშობლოდან განდევნილი მომავალი ისტორიკოსი 1890 წ. სტამბოლს ჩავიდა, საიდანაც სულ მალე რომს გაემგზავრა და იქ ვატკიანის სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა, რომელიც 1894 წ. წარმატებით დაამთავრა და თეოლოგიის დოქტორის წოდება მოიპოვა. „მანდეთგან წამოსვლისთანავე, —

წერდა ზ. კიკინაძეს, — აღვებეჭდე გულში, რომ ჩემს სამშობლოს შორით-გან შეეწვოდი. დავიწყე საქართველოს გაცნობა სხვადასხვა წოდების მაღალ პირებთან, პარიზის გაზეთებში ართიკული დავაბეჭდვინე“ და შეუუღებ ევროპაში საქართველოზე არსებული ცნობების შეკრებასო. მართლაც, ამ პერიოდთან მ. თამარაშვილი ნიუიორის სივნიროვის პირობებში მოწამებრივი გულსმოდგინებით ჩაეფლო რომის, პარიზის, სიცილიის, ფლორენციის, პალერმოს, კონსტანტინოპოლის, ტრაპიზონისა და სხვა არქივებსა და წიგნთსაცავებში და იმდენი ახალი ცნობა და საბუთი მოიძია, საქართველოს შესახებ, რომ ქართველი კათოლიკეების შესახებ ატეხილ დავაში ყველაფერი ცხადად დაინახა და დარწმუნდა, რომ ვინც ქართველ კათოლიკობას უარყოფდა, ის ყალბის მქმნელი იყო და საშუალება რომ ჰქონოდა საერთოდ უარყოფდა ქვეყნად ქართველთა არსებობას, აღგვიდა მიწის პირისაგან და მის ნაოხარზე თვითონ დაშენდებოდა.

მაგრამ ამგვარ ყალბის მქნელებს და მათი ტაშის დამკვრელებს XIX ს-ის 90-იანი წლების ბოლოს ევროპის არქივებიდან შემოესმათ მ. თამარაშვილის საბუთიანობით აღვსილი მრისხანე ხმა: „მორჩა, წავიდა მეზღაბრების დრო. ახლა მეცნიერება საისტორიო საგნების გამოკვლევაში დამყარებულია ძველ ხელნაწერ საბუთებზედ, რომლებშიც ლაპარაკია გავლილ დროის ფაქტებზე ანუ ვარემოებაზე“¹, რომ არქივებში შემონახული ყველა ფაქტი და ვარემოება ქართველ კათოლიკეთა სასარგებლოდ ლაპარაკობსო, სწორედ ამ დროს სხვადასხვა ვარემოებით შეწუხებულმა თბილისის კათოლიკეთა ეკლესიამ მიხეილს მისცა შეკვეთა, რათა ვატეკანის სხვადასხვა წიგნთსაცავში შეეკრიბა ქართველ კათოლიკეთა ისტორიის საკითხებზე საჭირო დოკუმენტები. მან დავალება მიიღო და არქივებში მუშაობას შეუდგა. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მუშაობა „პროპაგანდის არქივში“², სადაც ცალკე იყო გამოყოფილი კოლექცია „Georgia“, აგრეთვე „თეათინელების არქივი“ რომში, „კაპუტცინების არქივი“ რომში, „ვატეკანის არქივი“ და სხვა. არქივებში მუშაობამ თამარაშვილი ისტორიის მღელვარე ოკეანეში გადაისროლა.

ცხრაასიანი წლებისათვის მის მიერვე მოძიებული მასალის საფუძველზე მ. თამარაშვილმა ფრანგულ ენაზე ორ ტომად დასწერა და გამოსაცემად მოამზადა ისტორია ქართველი კათოლიკეების შესახებ, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალა და საჭიროდ მიიჩნია მისი ჯერ ქართულ ენაზე გამოქვეყნება, რათა ჯერ თვით ქართველ კათოლიკებსა და მთელ ქართველ ხალხს ეგარძნო ეს ქეშმარიტება, რომელსაც მაშინ პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. ამიტომ წიგნი ახლა ქართულად მოამზადა და 1901 წ. რომიდან თბილისში გამოგზავნა ხელნაწერი, რომელიც ძირითადად სტ. ზუბალაშვილის წარსაგებლით დაიბეჭდა².

ეს იყო ფუნდამენტური შრომა, რომელსაც საქართველოს ისტორიის შემდგომი განვითარებისათვის ეტაპური მნიშვნელობა ჰქონდა. მისმა გამოსვლამ ჩვენი ისტორიული მეცნიერება ერთბაშად წინ წასწია. მ. თამარაშვილის აღნიშნულ ნაშრომი მის ვიწრო მიზანდასახულობას სცილდება, იგი საქართველოს „შინაგანი ცხოვრებისა და პოლიტიკური მდგომარეობის“ მრავალ საკითხს მოიცავს და ახლებურად აშუქებს მას. განსაკუთრებით მდი-

¹ მ. თამარაშვილი, პასუხად მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას, თბ., 1904, გვ. 230.

² მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, თბ., 1902.

დარია ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. მკითხველი აქ ხვდება მანამდე სრულად უცნობ ისეთ მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტებს, როგორცაა: ლაშა გიორგის, რუსულანის, ივანე ნხარგრძელის, გიორგი ბრწყინვალის, გიორგი VIII-ის, ათაბაგ ყვარყვარე II-ის, ლუარსაბ და სიმონ მეფეების, თეიმურაზ I-ის, ქეთევან დედოფლის, ლუარსაბ II-ის, ლევან II დადიანის, როსტომ მეფის, ვახტანგ V-ის, ვახტანგ VII-ის, სულხან-საბა ორბელიანის, თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ის სოლომონ I-ის და სოლომონ II-ის და მრავალ სხვათა დიპლომატიურ მიწერმოწერას ევროპის ქვეყნების მეთაურებთან, რომის პაპებთან თუ სხვა საქმიან წრებთან.

ევროპულ პირველწყაროთა მოშველიებით და ამგვარ საქმიან საბუთებზე დაყრდნობით მ. თამარაშვილმა ცხადყო, რომ მონღოლთა შემოსევამდე, საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ძლიერება იმდენად შესამჩნევი იყო, რომ წინა აზიის ბევრი სადავო საკითხის გადაჭრა საქართველოსთან შეთანხმების გარეშე არ ხერხდებოდა. რომ არც მანამდე და არც შემდეგ საქართველოსთან მოლაპარაკების გარეშე ევროპას არ უცდია ანტითურქული კოალიციების მოწყობა, რომ გარჯვეულ პერიოდში საქართველო წინააზია-კავკასიის ქრისტიანთა მეთაურის როლში გამოდიოდა და სხვ.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მანამდე ფეოდალური პერიოდის საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის საკითხები არავის ისე საფუძვლიანად და გულმოდგინეთ არ უკვლევია, როგორც მ. თამარაშვილს. ამ მხრზე მისი დამსახურება დღესაც განუზომელია.

სწავლობდა რა საქართველოში შემოსულ მისიონერთა საქმიანობას, მ. თამარაშვილმა სწორად შენიშნა, რომ ბევრი მისიონერი ადგილზე რელიგიურ-კულტურული საქმიანობის გარდა პოლიტიკური აგენტისა და მზვერავის მოვალეობასაც ასრულებდა.

მ. თამარაშვილმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა და ქართველ მკითხველს გააცნო მრავალი უცხოელი ავტორი, რომლებიც საქართველოს იმდროინდელ ცხოვრებას ასახავდნენ თანადამხდურისა და თვითმხილველის სიზუსტით, ასეთ ავტორთა რიგს მიეკუთვნებიან: მარია ფიანცელო, ანტონიო პორტუგალიელი, პეტრო დელა ვალე, ქრისტეფორე კასტელი, კლემენტო გალანო, მაჯო, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, სილოსი, ვერიჩელი, დონ პიეტრო ავიტაბილე, ლეონი და მრავალი სხვა. თამარაშვილმა მათი ნაშრომები არა მარტო მიმოიხილა, არამედ გადმოწერა, ზოგიერთს კომენტარებიც დაურთო, თარგმნა და ზოგიც სათარგმნელად გაამზადა. ამჟამად თამარაშვილის ამ მდიდარი მემკვიდრეობის გამოცემას ახორციელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

მ. თამარაშვილის აღნიშნული კაპიტალური წიგნის გამოცემამ, რომელსაც თან ერთვის მის მიერ მოძიებული საბუთების ერთი წყება, დიდი გამოხმაურება გამოიწვია — ილია ჭავჭავაძის შეკვეთით დაწერილ წერილში ცნობილმა ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმა მ. თამარაშვილს ამის გამო „მეორე ქართლის ცხოვრების დამწერი“ უწოდა. ასეთი მაღალი შეფასება იშვიათად პლირსებია, რომელსავე მკვლევარს.

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1904 წ. მ. თამარაშვილის მეორე გამოკვლევის: „პასუხად მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთ კათოლიკობას“ — გამოცემას. ამ ნაშრომით მან თავი გამოიჩინა როგორც მეცნი-

ერმა პოლემისტმა. დაჯერებული თავის საბუთთანობასა და სიმაართლეში იგი გადაულახავ ზღუდედ აღიმაართა ჩვენი ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ. მან უტყუარ დოკუმენტების მოშველიებით დაასაბუთა, რომ ძნელბედობის ხანაში ხშირად ერთიმეორეში იხლართებოდა ეროვნება და რელიგია, გვაროვნება და რწმენა.

უბრალო „რიტისა“ და კონდაკის შეცვლას შეიძლებოდა „შეეცვა-ლა“ ამ ახალი რიტისა და კონდაკის მიმღები ხალხის ვინაობაც. „სარწმუნოება და ტიპიკონი — წერდა იგი, — ხშირად საზღვრავდა გვარ-ტომის სახელსაც და სდებდა ხშირად გვარ-ტომის სახელად თავის სახელს“. ამის იგი ისტორიის უკულმართობის შედეგად მიიჩნევდა და თავდაუზოგავად იბრძოდა მისი გამოსწორებისათვის.

იხილავდა რა სხვადასხვა არქივში მის მიერ მოძიებული საბუთების დიდ მნიშვნელობას, თამარაშვილი აცხადებდა: „ჩვენ სხვებივით ეს ფაქტები სიზმარში კი არ ვნახეთ, არამედ დიდი შრომა მივიღეთ და გადავათვალეირეთ არქივებში ყველა წერილი სადამღისაც ხელი მიგვიწვდებოდა“. „ჩვენ — წერდა მეორეგან, — აღმოსავლეთის თითქმის ყველა მოგზაურის წერილები გამოვიძიეთ“ — და ისე შევუდექით ჩვენის ისტორიის წერას და ჩვენს მოწინააღმდეგებთან კამათსო.

აღნიშნულ ნაშრომში მ. თამარაშვილმა გაარკვია, რომ სომეხი „უნიტობის“ შემოსვლა ჩვენში მოხდა 1545 წ. შემდგომ, როცა ევროპელ მისიონერებს საქართველოში შემოსვლის საშუალება მოესპოთ, რომ თბილისის კათოლიკური საეპისკოპოს დაარსებაში უნიტორებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან მამინ ჯერ კიდევ არ არსებობდა სომეხ უნიტორთა აღნიშნული ძმობა.

მ. თამარაშვილმა გაარკვია და დაახუსტა ოსმალო სულთნების მიერ ეჩმიადინის კათალიკოსებისადმი გაცემული ფირმანების არსი. მან სწორად შენიშნა, რომ ამ ფირმანებით სულთნები სომეხთ კათალიკოს-პატრიარქებს ანიჭებდნენ მეურვეობის უფლებას არასომხურ მოსახლეობაზე, რადგან საკუთარი მრევლის დამორჩილებას ამგვარი ფირმანები არ დასჭირდებოდა. მანვე გაარკვია ფირმანების „მოშონის“ ფორმები და პირობები.

ქართველ კათოლიკეებში სომხური ტიპიკონის შემოღების თარიღად თამარაშვილს მიაჩნია XVI—XVII სს-ის მიჯნა, ჩვენი ისტორიის ერთი ყველაზე უფრო მძიმე პერიოდი, და დაასკვნოდა რომ: „სიცოცხლის გადარჩენამ, სარწმუნოების დაცვამ აიძულა ქართველი კათოლიკეები მიეღოთ სომხური ტიპიკონი“.

აქვე მან გაარკვია საქართველოში სომეხთა მასიური შემოსახლების დრო და პირობები. ჩვენს საქალაქო ცხოვრებაში უცხო ელემენტის როლისა და შესაძლებლობის საკითხები, გაარჩია ჩვენში „არა მკვიდრი კაცის“ შესაძლებლობები. ამასთან დაკავშირებით შეეხო ვაჭრობა-ხელოსნობის საკითხებსაც.

თავის ნაშრომებში თამარაშვილმა დიდი ადგილი დაუთმო საქართველოში ტყვეთა სყიდვის მახინჯი სოციალური სენის შემოსვლისა და დამკვიდრების საკითხთა გარკვევას.

ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია არც ქართული დამწერლობის საკითხები, განიხილა რა ეს საკითხი სომხურთან მიმართებაში, ეპიკვეშ დააყენა ამ ამბებთან დაკავშირებული მოსაზრებანი (მაშთოც-მესრობი) და მხარი დაუჭირა ქართულ ისტორიაში შემორჩენილ ცნობას და ფარნავაზ მეფის დრო აღიარა ქართული დამწერლობის წარმოქმნის თარიღად.

ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია არც იოანე და ზაქარია მხარგრძელთა ვინაობის საკითხი. ქართულ და სომხურ წყაროებზე დაყრდნობით ერთხელ კიდევ ნათელი გახადა, რომ მათ გენეალოგიურ ძიებას მივყავართ ქურთებამდე. რომელთა ახლობელმა წინაპარმა გრიგორიანობა, სომხური ტიპიკონი მიიღო და ამდენად „გასომხდნენ“, ისევე როგორც მართლმადიდებლობის მიღებით შენდებ გაქართველდნენო. ე. ი. „ბუნებითი ნიშანთებითა და ინსტინქტით“ ისინი ქურთები იყვნენ, მაგრამ განათლებითა და პოლიტიკური მრწამსით აღებულ პერიოდში ქართველებად ირიკებოდნენო.

მ. თამარაშვილის გამოკვლევებს შორის აღსანიშნავია მის მიერ 1910 წ. ქ. რომში ფრანგულ ენაზე გამოცემული სქელტანიანი (700 გვერდზე მეტი) კაპიტალური გამოკვლევა³. სადაც გაშუქებულია არამარტო საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები, არამედ ჩვენი პოლიტიკური თავდასაყვანილიც.

ნაშრომი შედგება 12 თავისაგან, სადაც ჩართულია 10 სურათი და 2 პოლიტიკური რუკა. შრომის შესავალში მოტანილია მოკლე ცნობები საქართველოს გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. აღსანიშნავია, რომ ავტორი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ისტორიულ გეოგრაფიას, სპეციალურად ჩერდება ზოგიერთ ენობრივ-ტოპონომურ ტერმინზე, და ლინგვისტურ ძიებებზე დაყრდნობით ზოგჯერ იძლევა ამა თუ იმ საკითხის ორიგინალურ გაგებას. საკმაო ადგილს უთმობს ქართული ეთნონიმის — ქართველური ტომების მომდინარეობის, მისი პირველყოფილი ნათესაობის, შემდეგდროინდელი ცვლილებების გარკვევის საკითხებს, ამასთან იყენებს წინა აზიასა და სომხეთში იმდროინდელ არქეოლოგიურ გათხრათა მასალებს. დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხების კვლევას, მისი პოლიტიკურ-ეთნიკური განვითარებისა და უფლებების საკითხს პერიოდების მიხედვით. მ. თამარაშვილი საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის უნარს მის შინაგან ეროვნულ თვისებად მიიჩნევდა და სთვლიდა, რომ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა მუდამ ამ უნარის სიმტკიცეზე იქნება დამოკიდებული.

წიგნის IX თავი პოლიტიკურ-ისტორიული ხასიათისაა და საქართველოში არაბთა და სელჩუკთა შემოსევის საკითხებს ეძღვნება. ცალკეულ საკითხთა დამუშავებისას გამოყენებულია სხვადასხვა ენაზე არსებული დიდი მასალა და პირველწყარო. ხაზგასმულია ის როლი, რაც შეასრულა საქართველომ წინა აზიაში მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის გადასარჩენად.

ასეთივე დამაჯერებლობითაა დაწერილი თავი, რომელიც ეხება საქართველოში მონღოლთა შემოსვლას და მათი ბატონობის მძიმე შედეგებს. დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაშლისა და ქვეყნის შიგნით ფეოდალური შუღლის გაძლიერებას. საქართველოსადმი თურქულ-სპარსული სახელმწიფოების გამეზობლებას, მის შედეგებს. აღმოსავლეთ კახეთისა და სამხრეთ საქართველოს დაკარგვას. აქვეა მოთხრობილი საქართველო-ევროპის ურთიერთობაზე, ქართული ეკლესიის მდგომარეობაზე, კათოლიკე მისიონერების საქმიანობაზე და სხვ.

წიგნმა, რომელმაც ვატიკანის (პაპის) სპეციალური პრემია მიიღო, ევრო-

³ M. Tamarati, L'Église géorgienne dès l'origine jusqu'à nos jours, Rome, 1910.

პელი სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. წიგნის დიდ წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1910 წელს მასზე სხვადასხვა ქვეყანაში დაიწერა 50-ზე მეტი რეცენზია ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ, პოლონურ ენებზე. საკმაოდ გამოეხმაურა მის გამოცემას ქართული პრესაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული უცხოელებისთვის ამ წიგნს დღესაც არ დაუყარავს თავისი დიდი მნიშვნელობა.

ცალკეა აღსანიშნავი მ. თამარაშვილის მიერ სიცილიის ერთ-ერთ წიგნთსაცავში, საქართველოში ნამყოფი მისიონერის ქრისტეფორე კასტელის ნახატების ალბომის აღმოჩენა. ამ აღმოჩენით მან თითქმის ნივთიერად ხელშემახები გახადა XVII ს-ის საქართველოს მოვლენები და პერსონაჟები, ინდივიდები და ბატალური სცენები, ცრემლი და ტივილი. თამარაშვილმა კასტელის ალბომის ნახატების ერთი ნაწილი 140 ცალი (ეკონომიურად რაც შეძლო) ფოტოგრაფს გადააღებინა, სურათებზე გაკეთებული ზედწერილები გამოფრა, თრგმნა, ქრისტეფორე კასტელის მოკლე ბიოგრაფია დაურთო, ცალკე ფოტო ალბომად შეკრა და საქართველოში გამოგზავნა, რამაც ჩვენში მაშინ ნამდვილი სენსაცია გამოიწვია. უკანასკნელ ხანს კასტელის აღნიშნული ალბომის საარქივო შიფრი დაძებნილ იქნა თამარაშვილისეულ საბუთებში, რამაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შესაძლებლობა მისცა იტალიიდან გამოეთხოვა ამ ალბომის სრული რეპროდუქცია მთლიანი სახით იგი უკვე დაიბეჭდა 1977 წ.

უცხოეთში მოღვაწე მამულიშვილისა და მეცნიერის ღვაწლს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარი და სხვები. იგი ევროპაში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდების ნამდვილი გზის მაჩვენებელი იყო. მისი სახლი რომში ქართველთა თავშესაყარი გახდა.

„საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ გამოცემის შემდეგ დაუდგომელი ნეცნიერი მასალებს ამზადებდა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის დასაწერად. მაგრამ ამ კეთილშობილური განზრახვის შესრულება მას აღარ დასცალდა.

მძიმე, მაგრამ ნამდვილად გმირული იყო მიზედი თამარაშვილის მთელი ცხოვრება. ასეთივე სიკვდილი ერგო მას 1911 წლის 15 სექტემბერს, როცა დასაღუპავად განწირული მუშის გადასარჩენად შეცურდა აღელვებულ ზღვაში და 53 წლის ასაკში, შემოქმედებითი აყვავების ემს, გამოეთხოვა სიცოცხლეს. მისი სიკვდილი ქართული ისტორიოგრაფიის ნამდვილად აღწერადი ბედი დანაკლისი იყო.

მადლიერმა იტალიელებმა ქართველ მეცნიერს დაღუპვის ადგილზე, სოფ. სანტა მარინელაში ერთი წლის თავზე ძეგლი აუგეს. საქართველოს მოწინავე საზოგადოებამ მაშინ ამადარო მამულიშვილისა და გმირი მეცნიერის ნეშტის საწვინოლოში გადმოსვენება გადასწყვიტა. საამისო სახსრები გამონახულ იქნა, მაგრამ მაშინ ამ კეთილშობილურ განზრახვას აღსრულება არ ეღირსა. მეცნიერის ძმისშვილმა ვასილმა მხოლოდ მისი არქივის ჩამოტანა მოახერხა.

ახლა ჩვენი წარსულის დიდი მესაიდუმლისა და ქომაგის, ისტორიკოს მიხეილ თამარაშვილის ნეშტი საქართველოს წმინდა მიწა-წყალს დაუბრუნდა.

კორნელი კეკელიძე და საქართველოს ისტორია

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

ქართული მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა ისევე როგორც ქართველი ხალხის სხვა ყოველგვარი ნაღვაწ-ნამოქმედარი მისივე ისტორიის შესასწავლი ობიექტია. სწორედ ამიტომ ჩვენი თანამედროვე მეცნიერული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელს ივ. ჯავახიშვილს უყურადღებოდ არ დაუტოვებია მის მიერ შესწავლილი ისტორიული ეპოქების ქართული ლიტერატურის უმთავრესი წარმომადგენლები და გზადაგზა თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ მათ თხზულებათა შეფასებაც აქვს მოცემული. მაგრამ ქართული ლიტერატურის სიდიადე და სიმდიდრე მოითხოვდა მისი არა შემოკლებულად (ქვეყნის ისტორიასთან ერთად) განხილვას, არამედ სრულიად განცალკევებულად მთელი შესაძლებელი სისრულით მის საგანგებო შესწავლა-შეფასებასაც. საქარო იყო ქართული ლიტერატურული ძეგლების არამარტო ადგილობრივ-ეროვნული ხასიათის დადგენა, არამედ ზოგიერთი მათგანის ზოგადსაყოფრთო მნიშვნელობის წარმოჩენაც. ამ საქმეს სპეციალურად ხელი მოჰკიდა კორნელი კეკელიძემ და მის გარკვევა-გაშუქებას შესწირა თავისი ხანგრძლივი და ფრიად ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა.

მწელია, რასაკვირველია, თქმა იმისა, რომ ამ დარგში მანამდის სრულიად არაფერი იყო გაკეთებული, მაგრამ ასე საფუძვლიანად და ასეთი სისრულით ქართული ლიტერატურის ისტორია ადრე არავის შეუღწავლია. ყოველ შემთხვევაში, კორნელი კეკელიძის მიერ დაწერილი: „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ორ სქელ ტომად და „ეტლუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ 13 ტომად აღნიშნულის ბრწყინვალე დადასტურებაა. ჩვენ აქ, რასაკვირველია, არაფერს ვამბობთ კორნელი კეკელიძის სხვა მრავალ ნაშრომზე, რომელიც მან საქართველოს ეკლესიის ისტორიასა და ძველი ქართული კულტურის სხვადასხვა აქტუალური პრობლემის გარკვევას მიუძღვნა.

მიუხედავად სამეცნიერო მუშაობისათვის მამინ ჩვენში არსებული მძიმე პირობებისა, კორნელი კეკელიძე გაბედულად გამოვიდა XX ს-ის დასაწყისში მოღვაწეო ასპარეზზე და ღირსეულად ამოუდგა მხარში თავის დიდ თანამედროვეს ივანე ჯავახიშვილს. ამ ორ დიდ ქართველ მეცნიერს ერთმანეთთან არამარტო საზიარო გამოსაკვლევე ობიექტი აკავშირებდა, არამედ კვლევა-ძიების მეთოდოლოგიური ხერხის ერთნაირობაც. კორნელი კეკელიძემ თავიდან გაიზიარა წყაროების ის მკაცრი ობიექტური შეფასების კრიტიკული მიმართულება, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა თავიდანვე დანერგა ქართულ ისტორიოგრაფიაში. სწორედ ამ კრიტიკული ხერხის წყალობით კორნელი კეკელიძემ ძველი ქართული მწერლობის არაერთი ძეგლის ახლებური შეფასება მოუკცა და საერთოდ ძველი ქართული ლიტერატურის კვლევა-ძიება გაცილებით უფრო მკვიდრ ნიადაგზე დააყენა, ვიდრე ეს მანამდის იყო შესაძლებელი.

მაგალითისათვის ჩვენ ნებროთიანის პრობლემა გვინდა დავასახელოთ. ადრე ჩვენში თითქმის საყოველთაოდ შეწყნარებული იყო აზრი ნებროთის წიგნის ან ნებროთიანის არსებობის შესახებ ძველ საქართველოში. მაგრამ კ. კეკელიძემ სრულიად დამაჯერებლად გაარკვია, რომ ძველად არავითარი ნებროთის წიგნი არც ქართულ ენაზე და არც რომელსამე სხვა ენაზე არ არ-

სებობდა. რომ ამ სახელწოდების ქვეშ ლეონტი მროველი გულისხმობდა ფსევდო ეფრემის სახელით ცნობილ აპოკრიფულ თხზულებას, რომლის სათაურია: „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და აღამიანისათჳს“. კ. კეკელიძის სიტყვით ამ თხზულებაში მართლაც არის საუბარი ნებროთ გმირზე და იქ „მოხსენებულია ასტროლოგიური წიგნი „ხილვათა ნებროთისათა“, საიდანაც ლეონტი მროველს ამოუღია „როგორც სახელწოდება წიგნისა, ისე მის მიერ მოყვანილი სიბილინური ცნობები მისი შინაარსის შესახებ“.

კ. კეკელიძე საქართველოს ისტორიის მკვლევარი არ ყოფილა. მან კარგად იცოდა, რომ საქართველოს ისტორიას ჰყავდა თავისი მკვლევარი დიდი ივანეს სახით და მის საქმეებში ჩარევას ის არც აპირებდა. მიუხედავად ამისა, კ. კეკელიძე ობიექტურად მაინც საქართველოს ისტორიას უტრიალებდა. რამდენადაც ქართული ლიტერატურა და მისი ისტორია ქართველი ხალხისა და მისი ისტორიის გარეშე არ აჩვენებოდა, დიდ მკვლევარს საქართველოს ისტორიის თემატიკაზე და მის ახლო მდგარ საკითხებზე უხდებოდა მუშაობა. უპირველესად ყოვლისა ის განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა სწორედ მშობლიური ისტორიის წყაროებს. სწორედ ამ ნიადაგზე გაჩნდა ხსენებული მეცნიერის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ მემატიანე ისტორიკოსთა ძველი წყება, რომელსაც ჩვენ ივ. ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ წყალობით, უკვე ვიცნობდით. ამ მწკრივში შედიან: იაკობ ხუცესი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, არსენ კათალიკოსი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ლეონტი მროველი, ეფრემ მცირე, დავითის ისტორიკოსი, თამარის ორივე მემატიანე-ისტორიკოსი, უამთა-აღმწერელი, აბუსერიძე ტბელი და მრავალი სხვა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძე, ამ შემთხვევაში, არავის იმეორებს, ის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით სწავლობს ამ მწკრივის ისტორიკოსებს და თავის საკუთარ დაკვირვებას გვთავაზობს მათ შესახებ.

ძალიან ძნელია დახასიათება მწერალმოღვაწეთა იმ მწკრივისა, რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ კ. კეკელიძესთან და სხვაგან არსად მოიპოვება. მასში შედიან: კირიონ კათალიკოსი, გრიგოლ დიაკონი, გრიგოლ ხანძთელი, მიქელ მორდრეკილი, დავით აღმაშენებელი, იოანე პეტრიწი, ნიკოლოზ გულაბერიძე, არსენ ბულმაისიძისძე, ნიკოლოზ რუსთველი და სხვები. აქ მოხსენიებულ პირთა სამწერლო მოღვაწეობის შესახებ ჩვენ ძალიან მცირე ან სულ არაფერი ვიცოდით. რასაკვირველია, ყველაფერი რასაც კ. კეკელიძე მათ შესახებ იკვლევდა (თუნდაც საცილობელი), ზოგადი განათლების თვალსაზრისით ძვირფასია და უაღრესად საგულისხმო საქართველოს ისტორიის მკვლევართათვისაც. ასე მაგალითად, კ. კეკელიძემ პირველმა გაარკვია გრიგოლ დიაკონის მოღვაწეობის ქრონოლოგიური ფარგლები და მისი თხზულების რაობა დაახლოებით მაინც მოხაზა. მისი აზრით, გრიგოლ დიაკონს უნდა ეცხოვრა „არა უადრეს მერვე საუკუნის მეორე ნახევრისა და წარმომადგენელია იმ ეროვნული მიმართულებისა, რომელიც ჩვენ მწერლობაში VIII—X საუკუნეში იყო გაბატონებული“. დიდი მეცნიერის სიტყვით, — გრიგოლის თხზულება, „თუ მთლიანად არა ფრაგმენტული სახით უნდა გვქონდეს (შემოხსული) წმ. ნინოს შატბერდული „ცხოვრების“ მე-14 თავში, რომელსაც ეწოდება: „აღმართება პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისა“.

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, თბ., 1951, გვ. 413.

როდესაც ვეხებით კ. კეკელიძის დამსახურებას საქართველოს ისტორიის წინაშე, ვფიქრობთ, საჭიროა პირველ რიგში მოვიხსენიოთ მისი ღვაწლი ჰაგიოგრაფიული მწერლობის შესწავლის მიმართულებით.

კ. კეკელიძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება ჰაგიოგრაფიული მწერლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისტორიისათვის. გამოიკვია, რომ ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიმე წმინდანის ცხოვრება იქნებოდა ის, თუ მისი წამება (მარტილობა), მართალია, საეკლესიო საჭიროებისათვის იწერებოდა (წმინდანის ხსენების დღეს ეკლესიაში მლოცველთათვის წასაკითხად), მაგრამ ობიექტურად შესაძლებელი იყო მასში ყოფილიყო შემონახული მრავალი ძვირფასი ცნობა, პირველწყარო იმ ქვეყნის (საზოგადოების) სოციალური წყობილების, ეკონომიურ-პოლიტიკური ვითარების, კულტურისა და ყოფის შესახებ, სადაც წმინდანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, სადაც მისი წამება მოხდა. სწორედ ამ მიზნით. კეკელიძე პირველ რიგში და განსაკუთრებული მონდომებით სწავლობდა ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ, როგორც კიმენურ, ისე მეტაფრასტულ ძეგლებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მან მოასწრო განოცეა ქართულ ენაზე შემონახული მარტო კიმენური რედაქციის მასალები ორ სქელტომად. არაერთი დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა კ. კეკელიძემ ცალკეული ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების შესწავლას და მათთან დაკავშირებული პრობლემების გაშუქებას. ასეთია, მაგალითად: „კონსტანტინე კახის მარტილობა და ვინაობა“, „ჰაბო თბილელის წამება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და სხვები. ამ ნაშრომებში კ. კეკელიძეს გამოთქმული აქვს მრავალი საგულსხმო დაკვირვება ისტორიის მკვლევართათვისაც. მარტო ის რად ღირს, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, სხვა ანალოგიური ძეგლებისაგან განსხვავებით წარმოდგენილი არიან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებიც. ამასთან ერთად, დიდი მკვლევარი არ ისაზღვრებოდა მხოლოდ ქართული მასალებით. ის ასეთივე მონდომებითა და წარმატებით იკვლევდა და სწავლობდა: რუსეთის, საბერძნეთის (ბიზანტია), სომხეთის და სხვა ეკლესიის ძეგლებსაც. სპეციალური განათლების არაჩვეულებრივი სიღრმე და სიფართოვე მას საშუალებას აძლევდა მსოფლიო ეკლესიისათვის სრულიად უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მრავალი ძეგლი თუ მოღვაწე აღმოეჩინა და გაეშუქებია.

ასევე შეუწელებელი ყურადღებით და ენერგიით იკვლევდა კ. კეკელიძე საქართველოს ისტორიის სხვა წერილობით წყაროებსაც. გარდა იმისა, რომ მას ნარატიული ხასიათის თითოეული წყარო სათითაოდ შესწავლილი აქვს და შეფასებულაც თავისი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე წიგნში, ის უბრუნდება თითოეულ მათგანს და სპეციალური დაკვირვების წესით გვთავაზობს მათთან დაკავშირებულ მხატვრულ — ისტორიოგრაფიულ თუ სხვა ხასიათის პრობლემათა საგანგებო გაშუქებას. ასე მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲსთაჲ“ დაკავშირებით მას დამატებით გამოქვეყნებული აქვს: „მოქცევაჲ ქართლისაჲს შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები“ და „ვინ არის „მოქცევაჲ ქართლისაჲს გლოხოქორ“? ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ორსავე ნაშრომს ამ ძეგლის მეცნიერული შემეცნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ასევე, ცალკე ნაშრომები აქვს მიძღვნილი კ. კეკელიძეს „ქართლის ცხოვრების“ მათიანეებსა და მათ ავტორებთან დაკავშირე-

ბული პრობლემებისათვის. ამ მხრივ, დიდი მეცნიერის ყურადღებას სხვაზე უფრო ადრე ლეონტი მროველის მოღვაწეობა იქცევდა. მას უპირველეს ყოვლისა, ამ უკანასკნელის დათარიღება ჰქონდა მიზნად დასახული. მან შეისწავლა ლეონტი მროველის მთავარი თხზულება: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა, პირველთაგან მამათა და ნათესავთა“ და მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ აღნიშნა: „ასეთი შრომის დაწერას თხოულობდა ის დრო და წრე, რომელშიაც ლეონტი ცხოვრობდა; ეს კი იყო, როგორც გამოვარკვეით უკვე ბაგრატ მეოთხის დროს“. ბაგრატ IV კი, როგორც ცნობილია, 1027—1072 წლებში მეფობდა. მანასადამე, ლეონტი მროველი, კ. კეკელიძის დაკვირვებით, დროის აღნიშნული მონაკვეთის მოღვაწე ყოფილა. მაგრამ შემდეგ მან ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება მოახერხა. ზოგიერთი სხვა გარემოების გათვალისწინებით ამ საკითხთან დაკავშირებით ის საბოლოოდ ამბობდა: „ასე რომ, ამისდა მიხედვით, ლეონტი ჩვენ გვესახება — მეოთხთმეტე საუკუნის დაახლოებით სამოცდაათიან, ოთხმოციანი წლების მოღვაწედ“. რაც მთავარია, დიდი მკვლევრის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა. ეს იყო თქმული კარგა ხნით უფრო ადრე ვიდრე თრეხვის გამოქვაბულში ლეონტი მროველის თარიღიანი ქვა-ჯვარი აღმოჩნდებოდა წარწერით. მართლაც, 1957 წლის 23 ივნისს სოროთხევის მიდამოებში, სოფ. თრეხვის მახლობლად (ქარელის რ.) აღმოჩნდა აღნიშნული ქვა-ჯვარი, რომელზედაც თვითონ ლეონტი მროველს ამოუკვეთინებია წარწერა „ჟამსა ჭირისასა“ (გაპირვების, უბედურების დროს), რასაც ჰქონია ადგილი ჭულთან ალფ-არსლანის მეთაურობით სელჩუკი თურქების საქართველოში შემოსევის დროს, „ქორონიკონსა სპვ“, ხოლო ქორონიკონი სპვ (286) ჩვენი წელთაღრიცხვის 1066 წელს იძლევა (780+286=1066). ამგვარად, მკვლევრის ოდინდელი ვარაუდი ლეონტი მროველის მოღვაწეობის ქრონოლოგიური ფარგლების შესახებ დადასტურდა.

კ. კეკელიძემ ლეონტი მროველის მოღვაწეობასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა-გამოუქება ადრევე დაიწყო. მან ჯერ კიდევ, 1923 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით: „ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“, რომელშიც გარკვეულია XI ს-ის ცნობილი ქართველი მემატიანე-ისტორიკოსის უმთავრესი წყაროები. ამის შემდეგ, ამ ავტორზე მას არასოდეს არ აუღია ხელი. მას განსაკუთრებით აინტერესებდა ლეონტი მროველის შემოაღნიშნული თხზულების ის ნაკვეთი, რომელიც ეხება ქართველ „მამათა“ (მამამთავართა) ცხოვრებას — ისტორიას.

სხვაგვარად, დიდ მეცნიერს აინტერესებდა კავკასიის ხალხთა პირველ რიგში კი ქართველი ხალხის წარმოშობა (გენეალოგია) და გამოსვლა ისტორიის ასპარეზზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით მას გამოქვეყნებული აქვს: „ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხი ძველს ქართულ მწერლობაში (Liber Generationis-ის ქართული ვერსია)“ და «Идея братства Закавказских народов по генеалогической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели».

კ. კეკელიძის დაკვირვებით, ლეონტი მროველს განეკუთვნება „განძთა ქვების“ პირველი ქართული თარგმანიც. სწორედ ეს უკანასკნელი წარუძღვარებია მას თავისი მთავარი თხზულებისათვის („ცხოვრება მეფეთა, პირველთაგან მამათა და ნათესავთა“), როგორც ამ უკანასკნელის შესავალი და მსოფლიო ისტორიისთან დამაკავშირებელი ნაკვეთი.

უაღრესად საგულისხმოა კ. კეკელიძის ის დებულებაც, რომელიც მან

ჯერ კიდევ 1923 წელს წამოაყენა თავის ცალკე მონოგრაფიულ ნაშრომში სათაურით: „ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია (ისტორიულ-ლიტერატურული ექსკურსი)“. ამ ნაშრომში დიდი მკვლევარი სათანადო მსჯელობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ცხოვრება ვახტანგ გორგასალანისა დაწერილია არა ჯუანშერის, არამედ იმ ისტორიკოსის მიერ, რომელსაც მიეკუთვნება ეგრეთწოდებული მეფეთა ცხოვრება და რომელიც ლეონტი მროველის სახელითაა ცნობილი დღესდღეობით. ასე რომ, ლეონტი მროველის მეფეთა ცხოვრება, რომელშიც თავდაპირველად წმ. ნინოს ცხოვრება არ უნდა ყოფილიყოს, შეიცავს როგორც ორგანიულს ნაწილს ვახტანგის ცხოვრებასაც“. რასაკვირველია, ძნელია, ეს საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილად ჩაითვალოს, მაგრამ კ. კეკელიძის დაკვირვება მაინც საგულისხმო და მნიშვნელოვანია.

დიდა კ. კეკელიძის ღვაწლი თამარის ე. წ. პირველ ისტორიკოსთან დაკავშირებით, რომელიც ცნობილია: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ სახელწოდებით. ამ ძეგლთან დაკავშირებით მან, უპირველესად ყოვლისა, დააზუსტა მისი სათაურის შესამე სიტყვის: აზმანი, აზმანის მნიშვნელობა. მისი დაკვირვებით ეს უკანასკნელი ბერძნული სიტყვაა. ბერძნულში კი ის ნიშნავდა: ქებას, შესხმას, პანეგირიკს. ამგვარი განმარტების შემდეგ თამარის ისტორიის სათაური რასაკვირველია, უფრო გამართული და გასაგები ხდება. გარდა ამისა, დიდა მისი დამსახურება უწყებულის ძეგლების შერყენილი ტექსტის თავიდან ბოლომდე აღდგენისა და გამართვის მიმართულებით. საქმე ის იყო. რომ „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტმა XVIII საუკუნემდე „ჟამთა სიავის“, თუ გადამწერთა მეოხებით უაღრესად დამაზინჯებელი სახით მოაღწია. ბევრ შემთხვევაში მისი აზრის გაგება თითქმის შეუძლებელი გამხდარიყო. ასე მაგალითად, თამარის ზეობაში ყუთლუ არსლანის მეთაურობით მომხდარი სიმდიდრით აღზევებულთა გამოსვლის შესახებ იქ იკითხება „ყართლუ არსნ ცხოვარმან იჯორის სახრონ მყოფელმან, ვერ მისკემს ბიქთა გონებისა მზაკვარება და თქუა: მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა და ითხოვა კარავი და დადგომად ველსა ისპანისსა...“ და სხვ. ასეთ მდგომარეობაშია თამარის აღნიშნული ისტორია თითქმის მთლიანად, თავიდან ბოლომდე. ბევრ შემთხვევაში აზრის გამოტანა შეუძლებელია. პირველად, ამ ძეგლის აღდგენა-გასწორება, როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დამდეგისათვის სცადეს. ეს იყო ვახტანგის თაოსნობით „ქართლის ცხოვრების“ რედაქციაზე მომუშავე მეცნიერ კაცთა კომისია, რომელმაც აღნიშნული ტექსტის გასწორება განახორციელა. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ყველგან ვახტანგისეული რედაქციის „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც კი დიდი თამარის ისტორია შემონახულია. მეორედ, ასეთი ამოცანა ჩვენ ხანაში კ. კეკელიძემ დაისახა მიზნად. ქართული მეცნიერების თანამედროვე დონემ, ამასთან ერთად ფართო განათლებამ, დიდმა ერუდიციამ საშუალება მისცეს სახელოვან მეცნიერს აღნიშნული შრომატევადი სამუშაო წარმატებით განეხორციელებინა. თამარის უწყებულის ისტორია მის მიერ თავიდან ბოლომდე გასწორდა. როგორც ყოველ დიდ საქმეს, შესაძლებელია ამასაც თითო-ორი საცილობელი ადგილი აქა-იქ მოეძებნოს, მაგრამ როგორც ახალი და გაბედული ცდა თამარის შერყენილი ისტორიის გამართვა-გასწორებისა უაღრესად საგულისხმოა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

„ქართლის ცხოვრებაში“ კ. კეკელიძეს არც ლაშა გიორგი დაუტოვებია

უყურადღებოდ. მის შესახებ ჩვენ ნამდვილად მცირე რამ ვიცოდით. მან კი საგანგებოდ შეისწავლა და გამოაქვეყნა: „ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისა“ (1940).

კარგად ცნობილია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიკოსისათვის ქრონოლოგიას და ისიც ცნობილია, რომ ძველად წელთაღრიცხვა იმ წესით არ ხდებოდა ჩვენში, როგორც ახლა. კ. კეკელიძემ სწორედ ამ საკითხების ვარკვევას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა: „ქართული ერა და ეარტალოგიური წელიწადი“, „ძველი ქართული წელიწადი“, „წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში“. მასვე ეკუთვნის ნაშრომი: „რამდენიმე ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი საისტორიო მწერლობისა“. ამით მის ავტორს წერილობითი საისტორიო წყაროების გაგების ვადვილება ჰქონდა მიზნად დასახული.

როგორც ვხედავთ, კ. კეკელიძის დამსახურება საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში დიდი და მრავალფეროვანია. მაგრამ მისი ღვაწლი ამ სფეროში მარტო ამით არ განისაზღვრება. მას მრავალი ნაშრომი მოეპოება, წმინდა ისტორიოგრაფიულ თემებზედაც. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ: «საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ. კულტურულ-ისტორიული პრობლემა», «ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები», «კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში», «Социально-политическое и культурное состояние Грузии в эпоху Руставели», «ქართული კულტურის ისტორიისათვის მიწოდება ბატონობის ხანაში» და სხვ.

გარდა ამისა, კ. კეკელიძე ცდილობდა ქართული საისტორიო მწერლობის საისტორიო ძეგლებს თარგმნასაც რუსულ ენაზე. მას თარგმნილი აქვს თამარის ისტორია «ისტორიანი და აზმანი» მის მიერ აღდგენილი ტექსტის მიხედვით და გამოქვეყნებულია სათაურით: «История и восхваление венценосцев» (თბ., 1954) გარდა ამისა, მან თარგმნა ძველი ქართული ავთოგრაფიული მწერლობის სამი ძეგლი: იაკობ ხუცესის—«მუშანიკის წამება», როანე სძანსძეს «ჰანო ბერეღლის წამება» და ბასილ ზარზმელის «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება». სამივე ძეგლის რუსული თარგმანი გამოქვეყნებულია ერთ წიგნად, რომლის სათაურია: «Памятники древнегрузинской агиографической литературы» (თბ., 1956). საჭიროა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძის მიერ შესრულებული რუსული თარგმანები ისევე როგორც მის მიერ შესრულებული გამოცემები იმავე ძეგლებისა ქართულ ენაზე, მისაბაძი და სანიმუშოა. ამ მხრივ, კ. კეკელიძემ ღირსეულად გააგრძელა ჩვენი სახელოვანი წინაპრების დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, მ. საბინინის, ნ. მარის, ექვ. თაყაიშვილის მიერ დაწყებული საქმე.

ამგვარად, კორნელი კეკელიძის დამსახურება საქართველოს ისტორიის წინაშე თვალსაჩინო და მრავალასპექტიანია. დიდი მკვლევრის მრავალრიცხოვან ნაშრომებს შორის ნამდვილად ძნელია მოიძებნოს ისეთი ნაწარმოები, რომელიც საქართველოს ისტორიისათვის საგულისხმო არ აღმოჩნდეს. მართლაც, ვერ იძებნება საკითხი ძველი საქართველოს ისტორიიდან, რომლის გარკვევა-გაშუქება კორნელი კეკელიძის დახმარების გარეშე ადვილად შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, მის ღვაწლსა და ამავს საქართველოს ისტორიაშიც არასოდეს დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

მაქსიმე ბერძნიშვილი

(დაბადების 90 წლისთავის გამო)

მაქსიმე დავითის ძე ბერძნიშვილი თანამედროვე ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი დაიბადა თბილისში 1889 წლის 13 აგვისტოს ქართული კულტურის ისტორიის მოყვარულის ოჯახში. მამამისი სასულიერო პირი ყოფილა, თბილისის სასულიერო სემინარიის მოძღვარი. მას იცნობდნენ როგორც პირდაპირ, პატიოსან და სამართლიან პიროვნებას. დედა — ნინო ნიკოლოზის ასული დავითაშვილიც — სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, საკმაოდ ადრე გარდაცვლილა და პატარა მაქსიმე (6 წლისა) და-ძმასთან ერთად მამის მშობლებთან იზრდებოდა.

1899 წელს 10 წლის ყმაწვილი მიუზარებიათ თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ისტორიას ასწავლიდა ცნობილი ქართველი პატრიოტა, შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, მოსე ჯანაშვილი. ხოლო სიმღერა-გალობას ასევე ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, ნიკო სულხანიშვილი. სწორედ მათ უნაგარო შრომას გაუღვივებია პატარა მაქსიმეში ისტორიის შესწავლის დაუოკებელი სურვილი, რაც მას ესოდენ ძლიერად ვაკცეა შეგნებულ ცხოვრების მთელ მანძილზე. მ. ბერძნიშვილს მონაწილეობა მიუღია 1905 წლის მოსწავლეთა გამოსვლებში. ეს ფაქტი მას მოთხრობილი აქვს თავის „ავტობიოგრაფიას“ და ხელნაწერ ნაშრომში: „მღელვარება თბილისის სემინარიაში“ (1948, 2 თაბ.). აქედან ჩანს, რომ მ. ბერძნიშვილი ადრე ჩაბმულა (16 წლისა) რევოლუციურ მოძრაობაში.

1906 წელს 17 წლის ასაკში მ. ბერძნიშვილი გადადის თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც ამთავრებს 1910 წელს. 1912 წელს შედის იქამინდელი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ უმსხვილეს, ვარშავის უნივერსიტეტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე (ისტორიის განხრით), რომელსაც ამთავრებს 1916 წელს. აქ მან მიიღო საკმაოდ სოლიდური ისტორია-ფილოლოგიური განათლება.

უმალესი განათლების მიღების შემდეგ მ. ბერძნიშვილი ჩამოდის თბილისში და იწყებს შრომით საქმიანობას. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე იგი ასრულებს სხვადასხვა, შედარებით უმნიშვნელო სამუშაოს (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მდივნის თანაშემწედ, ქალაქის მე-4 გიმნაზიაში მასწავლებლად, სახალხო განათლების სამინისტროში მდივნად), ხოლო 1921 წლიდან ეწევა ნაყოფიერ შემოქმედებით — პრაქტიკულ მუშაობას (საქართველოს წიგნის პალატის დირექტორად, შემდეგ მის მოადგილედ, „დიდი ქართული ენციკლოპედიის“ სიტყვანის განყოფილების ხელმძღვანელად (1932—1934 წწ.); უნივერსიტეტის „ელხის“ (ენის, ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიის ინსტიტუტი) ისტორიის სექციის უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1934—35) და სხვ.

ჩამოთვლილ ორგანიზაციებში ((სია არასრულია) მუშაობის მანძილზე მ. ბერძნიშვილი მასზე მინდობილ საქმეს იშვიათი გულითადობისა და უაღრესი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა. ყველგან, სადაც კი უმუშავებდა, სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. იგი იყო კეთილშობილი, გონებაშავილი, პრინციპული და სპეტაკი მოქალაქე.

წიგნის პალატაში მუშაობისას მ. ბერძნიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ბიბლიოგრაფიულ პუბლიკაციებს. მისი უშუალო მონაწილეობითაა დაარსებული მთელი რიგი საბიბლიოგრაფიო გამოცემები: „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, „წიგნის მატიანე“ და „ეჟრნალის მატიანე“. პარალელურად თანამშრომლობდა და სტატიებს ბეჭდავდა კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის „მოამბე“-შიც. თბილისის უნივერსიტეტის ბეჭდურ ორგანოში „ჩვენი მეცნიერება“ მან მოათავსა საინტერესო სტატია: „საქართველოს წიგნის პალატის“ მუშაობისა და მისი მიზანდასახულობის შესახებ. 30-იანი წლების პუბლიკაციებში ავტორს თავის ძირითად მიზნად დასახული აქვს საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის შესწავლა. ამ საზიო ბეჭდურ ნაშრომთაგან უნდა აღინიშნოს მ. ბერძნიშვილის ორი სტატია: „პირველი ბეჭდური ქართული ართიმეტიკისათვის“ და „ეპიზოდი ვაჟა-ფშაველას პედაგოგიური მოღვაწეობიდან“.

მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერი, შინაარსით მდიდარი და მოვლენებით სავსე მისი ცხოვრება დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან. მისი სტიქია იყო განათლების შეტანა ახალგაზრდობაში: „ვეღირსე ჩემი სანუკვარი აზრის განხორციელებასო“. — იგონებდა ბ-ნი მაქსიმე საუნივერსიტეტო მუშაობაში ჩაბმასთან დაკავშირებით. ამისი ნათელი დადასტურებაა მაქსიმე ბერძნიშვილის ლექციების კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის, გორის, ზუგდიდისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში (1935—1953). ლექციებს კითხულობდა იგი ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური ქვეყნებისა (საბერძნეთ-რომის); და ერთ ზანს ბიზანტიის ისტორიებში. სპეცკურსს ატარებდა ანტიკური ქვეყნების ისტორიის წყაროთმცოდნეობაში („ჰეროდოტე და მისი დრო“); სპეცსემინარს ხელმძღვანელობდა ძველი კოლხეთის ქალაქებზე (ფაზისი) და სხვ. ლექციებს კითხულობდა მიმზიდველად, საინტერესოდ, დინამიურად და დიდი გატაცებით. ამიტომ იყო, რომ მის ლექციებს ესწრებოდა არა მარტო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტობა, არამედ უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების მსმენელებიც.

სამი წამყვანი კურსის წავითხვა თანამედროვეობის მოთხოვნილებათა მაღალ დონეზე დიდ პასუხისმგებლობასა და დროს მოითხოვდა მეცნიერისაგან. სწორედ მათ მოუპოვეს მ. ბერძნიშვილს სოლიდური ერუდიცია, კვლევადიების მაღალი კულტურა, დახვეწილი გემოვნება, პირველწყაროთა კრიტიკის მკაცრი და ფრთხილი მეთოდი. პრობლემის ამგვარი გადაწყვეტის ნიადაგზე დგას ავტორის ცნობილი გამოკვლევა: „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“ (თბ., ხელნაწერი, 1941, 15 თაბ.), რომელმაც მზის სინათლე იხილა მხოლოდ 1969 წელს მ. ბერძნიშვილის გარდაცვალების ორი წლის თავზე. ესაა ფრიალ მნიშვნელოვანი ნაშრომი ძველი კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრ-ემპორი-

ონზე, რომელშიც ანტიკური წყაროები სრული პასუხისმგებლობითა და სკრუპულოზურად არიან გამოკვლეულ-გაანალიზებულნი.

ნაშრომი პირველი სერიოზული და ვრცელი გამოკვლევაა ანტიკური და ბიზანტიური წერილობითი წყაროების ამომწურავ მონაცემთა საფუძველზე. მ. ბერძინშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ ლიტერატურულ ძეგლთა გამოყენებით და ფაზისის ისტორიის შესასწავლად ეპიგრაფიკულ და ნუმიზმატიკურ მასალებსაც იშველიებს. ეს გარემოება საგრძნობლად აფართოებს მონოგრაფიის წყაროთმცოდნეობით ბაზას. დავიწყებას არაა მიცემული, ცხადია, არქეოლოგიის, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი მატერიალური წყაროს მონაცემებიც. მაგრამ, თუ იგი (არქეოლოგიური მასალა) მონოგრაფიაში შედარებით მცირედია წარმოდგენილი, ეს აიხსნება არა ავტორის უყურადღებობით არქეოლოგიური მასალის მიმართ, არამედ ომამდელი ხანის ქართული საბჭოთა არქეოლოგიის სუსტი განვითარებით, რომელიც ისტორიკოსებს ვერ აწვდიდა სათანადო მასალასა და ინფორმაციას მისი ფართოდ გამოყენებისათვის. გამოკვლევის ღირსებას ისიც შეადგენს, რომ მ. ბერძინშვილს ფაზისის ისტორიაში დაცული აქვს ისტორიზმის პრინციპი. ამასთან, ქალაქის ისტორია განხილულია კოლხეთ-ლაზიკის ქვეყნის ისტორიის ფართო ფონზე.

მ. ბერძინშვილს ამ ნაშრომისათვის 1941 წელს მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ოფიციალურმა ოპონენტებმა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა და პროფ. გ. გიზალიშვილმა ნაშრომს მაიალი შეფასება მისცეს და გამოთქვეს სურვილი მონოგრაფიის დასასტამბავად. სამწუხაროდ, „ქალაქ ფაზისის ისტორია“ ავტორს თავის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია.

ჩვეულებრივ დაგვიანებით გამოცემული ნაშრომები ისტორიის დარგში სცოდავენ თავისი მოძველებულობით. დრო უთუოდ თავის დაღს ასევეს ნაშრომს და იგი მოძველდება ხოლმე. ამ ნაშრომის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მონოგრაფიამ გაუძლო ჩვენს დროს და საკმაოდ „ხანდაზმული“ გამოკვლევა სადღეისოდაც არა კარგავს თავის მეცნიერულ მნიშვნელობას. ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით იგი რჩება ერთ-ერთ საეტაპო ნაშრომად ძველი და ადრეფეოდალური ხანის ქართულ ქალაქთა შესწავლის ისტორიაში.

ქალაქ ფაზისის შესწავლას თან მოჰყვა ორი სპეციალური გამოკვლევის გამოქვეყნება ამ სერიიდან¹.

პირველ გამოკვლევაში, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი არქეოლოგი და ძველი ისტორიის მკვლევარი, აღძრულია ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემა ანტიკური ქალაქ-ემპორიონის ფაზისის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის. ამ მიმართულებით ავტორს ჩაუტარებია მნიშვნელოვანი კვლევა-ძიება ანტიკურ ისტორიოგრაფიაში წყაროთა ზედმიწევნით შესწავლა-დაკვირვების საფუძველზე (ერატოსთენე, სტრაბონი, პტოლემეიოსი, არიანე, ანონიმი) ერთი მხრივ, ხოლო, სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით (ფ. დიუბუა დე-მონპერე, ნ. შაფრანოვი, კ. განი, ვ. ლატიშევი, ლ. ელნიციკი, ს. ყაუხჩიშვილი), მეორე მხრივ. მან დაბეჯითებით დაამტკიცა ძველი ისტორიული ფაზისისა და თანამედროვე ქალაქ ფოთის ერთმანეთთან გარკვეული ტერიტორიული სიახლოვე.

¹ მ. ბერძინშვილი, ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის. თსუ «შრომები», ტ. XXIII, 1942, გვ. 1—24; მ. ს. იკე, ლეონდის ცნობა ფოთის შესახებ, თსუ «შრომები», ტ. XXVI B, 1944, გვ. 201—223.

მეორე გამოკვლევა კიდევ მეტად მრავალმხრივი და საყურადღებო აღმოჩნდა. აქ აღძრულია თვით ძველსომხური ისტორიოგრაფიის ფრიალ თვალსაჩინო წარმომადგენლის ლევონდ ვარდაპეტის (მოძღვარი) წყაროს დათარიღების საკითხი (706—712). სწორედ მის ნაშრომში ე. წ. „ხალიფათა ისტორიის“ X-თავში თავს იჩენს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცნობებისა ქალაქ ფოთზე, ანტიკურ მწერალთა ფასისზე. მ. ბერძნიშვილი ძველსომხური (ლევონდი) ცნობის ბიზანტიური წყაროების ((თეოფანე ქრონოგრაფი, მიქელ ასური) მონაცემებთან გონებამახვილური შეპირისპირების გზით ავლენს არა მარტო საქართველოს ისტორიისათვის ეგოდენ ახალ, უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტებს, არამედ სომხეთისა და ბიზანტიისათვისაც მეტად ნიშანდობლივს. წყაროთა ერთობლივმა შესწავლამ ცხადყო, რომ ბიზანტიური ორიენტაციის სომხებს 705—715 წლებში ქართველთა (მეგრელთა) ქალაქ ფოთში უცხოვრიათ და ადგილობრივ მკვიდრ ხალხთან ჰქონდათ კავშირი. ამასთან, მ. ბერძნიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრე გამოთქმული თვალსაზრისი ქალაქ ფოთის ტრანსფორმირებული სახელების „ფოთ-ფუთი“-ის გაჩენის თაობაზე². აქ, მამასადაამე, მას დასმული აქვს საინტერესო ენათმეცნიერული საკითხი.

ფაზისის პრობლემისადმი მიძღვნილი ავტორის კიდევ სამი გამოუქვეყნებელი გამოკვლევა³.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკურ ენათა (ბერძნული, ლათინური) და ფრანგულის შესანიშნავმა ცოდნამ, სოლიდურმა ისტორია-ფილოლოგიურმა განათლებამ საგრძნობი კვალი დამჩნიეს მ. ბერძნიშვილის ისტორიოგრაფიულ მოღვაწეობაზე. იგი თავის საისტორიო კვლევა-ძიებაში ხშირად მიმართავდა ენობრივ მასალებს და დახვეწილი ფილოლოგიური ანალიზის მეოხებით ნათელს ჰფენდა ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს კულტურული ცხოვრების მანამდე ბურუსით მოცულ მრავალისტორიულ ფაქტს. მათ რიგს განეკუთვნება: „იოანე-ვარაზ-ვაჩესთის“⁴, „ტურინოს“ კომპილაციის გამო⁵, „ვარაზ-ვაჩე და გიორგი ქართულ-ბერძნული წყაროებით“⁶ და სხვ. ნაშრომებში მრავალი ბიზანტიურ-ქართული კულტურულ-ისტორიული პრობლემებისა გადაწყვეტილი.

1945 წლიდან მ. ბერძნიშვილი ძირითად სამუშაოდ გადადის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის იე. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. მუშაობს ჯერ ახალი ისტორიის დარგში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1945—1956 წ.), შემდეგ კი ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში. აქ უკეთ გამოვლინდა მისი ფართო ერუდიცია წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ სწო-

² ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 272. შდრ. გ. მეღვიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 52.

³ მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, ძველ კოლხთა ჩვეულება მიცვალებულთა ხეზე დაკიდვისა, 1942 (ხელნაწერი); მ ი ს ი ე ვ ე, მდინარე ფაზისის ლოკალიზაცია ქსენოფონტის „ანაბასისის“ მიხედვით, 1942 (ხელნაწერი); მ ი ს ი ე ვ ე, ფაზის — თროზია — ფაზელიდი, 1943, (ხელნაწერი).

⁴ ანალები, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1947, გვ. 239—249.

⁵ კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

⁶ ხელნაწერი, თბ., 1944.

რედ მას მიანდო ისტორიის ინსტიტუტის დირექციამ „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ ახალი მეორე გამოცემისათვის საქართველოს ისტორიის შემაჯამებელ ნარკვევთა შედგენა. წინამორბედი ქართული ისტორიული მეცნიერების მიღწევათა ორიგინალურ გააზრებასა და განზოგადებასთან ერთად, მ. ბერძნიშვილმა თავის ნაშრომში შეიტანა ის ახალიც, რომელიც მან გამოიკვლია წლების მანძილზე. ნარკვევი სოლიდური სიდიდისა აღმოჩნდა.

ფრიად მრავალფეროვანი და საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნა მ. ბერძნიშვილმა XIX ს-ის საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის პრობლემებს. ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში „დიდ ქართულ ენციკლოპედია“-ში თანამშრომლობის დროს მ. ბერძნიშვილმა დაწერა კაპიტალური ნაშრომი: „ბიოგრაფიული ლექსიკონი“ (ხელნაწერი). თვით ხელნაწერთა უბრალო ჩამოთვლაც კი მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს გადაგვიშლის თვალწინ. აქაა მეცნიერულად გამოკვლეული და გარჩეული ისეთი საკითხები, როგორცაა: „რეპრესიისა და აღმავლობის ხანა ქართველ საზოგადოების ისტორიაში“ (1833—1844 წწ. 7 თაბ.); „ქართველი საზოგადოება XIX საუკუნის 40—50-იან წლებში“ (7,5 თაბ.); გამოკვლევათა მთელი სერია 1832 წლის შეთქმულების შესახებ, შეთქმულებაში მონაწილე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა (ს. დოდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, ალ. ორბელიანი, ზ. ფალავანდიშვილი) პორტრეტები და სხვ. ერთი სიტყვით, ყველა ამ ნარკვევის სისტემაში მოყვანა და მათი გამოცემა მოცულობით 20 თაბახზე მეტი რაოდენობით, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის დიდი შენაძენი იქნება.

მ. ბერძნიშვილის გამოკვლევები ამ მიმართულებით კიდევ ერთ, უაღრესად მნიშვნელოვან მეცნიერულ ლიტერატურას შეგვძენს და შეიტანს ახალ თვალსაზრისს ეროვნულ ისტორიათმცოდნეობაში. ამიტომ სასურველია ახლო მომავალში მ. ბერძნიშვილის ნაშრომების მეცნიერული გამოცემა. მ. ბერძნიშვილს ერთობ დიდი და შრომატევადი კვლევა-ძიება აქვს გაწეული ძველი აღმოსავლეთისა (მან ქართულად თარგმნა და გამოსცა აკად. ვ. სტრუვეს „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“) და ანტიკური ქვეყნების (თარგმნა და გამოსცა პროფ. ს. კოვალიოვის „ძველი საბერძნეთის ისტორია“, პროფ. ვ. სერგეევის „ნარკვევები ძველი რომის ისტორიიდან“, 2 ტომი) ისტორიის აღიარებულ სახელმძღვანელოთა გადმოქართულების საქმეში.

შალვა ამირანაშვილი (დაბადების 80 წლისთავის გამო)

წელს მარტის თვეში შესრულდა 80 წელი გამოჩენილი ქართველი ხელოვნებათმცოდნის, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დაბადებიდან. მრავალმხრივმა და ფართო დიაპაზონის მკვლევარმა ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობით მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებას. ქართველ მკვლევართა შორის შალვა ამირანაშვილი პირველი იყო, რომელმაც ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით შეისწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შეიყვანა წინაფეოდალური ხანის არქეოლოგიური ტორეტიკა და სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული პერიოდიზაციის შესაბამისად, განსაზღვრა მათი ძირითადი სტილისტური ნიშნები.

პრობლემის ასე ფართო ასპექტში გააზრებით ქართველმა ხელოვნებათმცოდნემ მნიშვნელოვნად გააფართოვა ქართული ხელოვნების ისტორიის ქრონოლოგიური დიაპაზონი და წინაქრისტიანული ხანის ხელოვნების კვლევა-ძიების მრავალმხრივ საყურადღებო პერსპექტივები დასახა. ეს იყო პირველი ცდა ქართული ხელოვნების განვითარების მთლიანი სურათის წარმოდგენისა, სადაც, მკვლევარმა, ქართული ხელოვნების თვითმყოფადობის გვერდით აჩვენა მისი მჭიდრო კავშირი აღმოსავლეთისა და დასავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან. საკითხის ასეთი კუთხით დაყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ინტერესი ქართული ხელოვნებისადმი მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში.

შალვა ამირანაშვილმა სტუდენტობისა და ასპირანტურის წლებში ბრწყინვალე სკოლა გაიარა ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, გ. ჩუბინაშვილისა და დ. ანალოვის ხელმძღვანელობით. თბილისის ახლად დაარსებული უნივერსიტეტის სტუდენტმა სერაიოზულად მოჰკიდა ხელი ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლას და გამოაქვეყნა საყურადღებო წერილები: „ცოტა რაჲ ხელოვნებაზე“ (1919), „პეპუ მეუნარგია ოქრომჭედელი XIX ს-ის პირველი ნახევრისა“, „არქეოლოგიური მოგზაურობა ყვირილის ხეობაში“, „პერთუბნის სატრაპეზოს ფრესკები“ (1922).

სტუდენტობის პერიოდშივე (1919) დაიწყო ქართული კედლის მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლის — უბისის მოხატულობის შესწავლა, რაც საფუძვლად დაედო მის მიერ 1929 წ. ქართულსა და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიულ ნარკვევს — „უბისი, მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის“. ამ ნაშრომის საფუძველზეც 1936 წ. მის ავტორს მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1937 წელს გამოქვეყნდა შალვა ამირანაშვილის მონოგრაფიული ნარკვევი — „ბექა ოზიზარი“, რომელიც 1956 წელს გარკვეული დამატებებით, მეორედ გამოიცა. ნაშრომში სათანადო სისრულით არის შესწავლილი XII ს-ის ქართველი ოქრომჭედლების, ბექა და ბეშქენ ოზიზრების მიერ შესრულებული ლითონზე პლასტიკის ბრწყინვალე ნიმუშები: ანჩისხატის ტრაპიკის ცენტრალური ნაწილი, წყაროსთავისა და ბერთის სახარებების შექმნილი ყდები.

სისტემატური მეცნიერული კვლევის შედეგად შეკრებილი და გააზრებული მრავალრიცხოვანი მასალის საფუძველზე შექმნა შალვა ამირანაშვილმა კაპიტალური ნაშრომი „ქართული ხელოვნების ისტორია“, დღემდე ერთად-

ერთი, რომელშიც ქართული ხელოვნების ისტორია მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით წარმოდგენილია პალეოლითიდან მოყოლებული ჩვენს დღემდე. ეს შრომა სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ქართულ (1961, 1971), რუსულ (1950, 1963) და პოლონურ (1973) ენებზე.

ძველი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის — კედლის მხატვრობის წამყვანი, საეტაპო ნიმუშების შესწავლის შედეგად გამოაქვეყნა შალვა ამირანაშვილმა „ქართული კედლის მხატვრობის ისტორიის“ პირველი ტომი (1957), რომელშიც აისახა ადრეული შუა საუკუნეების ქართული ძეგლები: გარეჯის ერთ-ერთი სამონასტრო განშტოების — დოდოს რქის კედლის მხატვრობა, ნეფის მხატვარ თევდორეს მიერ ზემო სვანეთში მოხატული სამი ეკლესია. ბიჭვინთის, წრომისა და გელათის მოზაიკები, დავით გარეჯის სხვადასხვა მონასტრის, ატენის სიონის, იზნის, ოშკის, ხახულის კედლის მხატვრობის ნიმუშები.

იეცნიერის კვლევა-ძიების სფერო მოიცავს ქართული ხელოვნების თითქმის ყველა დარგს. მკვლევარი ერთნაირი ინტერესით შეისწავლიდა არქიტექტურის, სკულპტურული რელიეფების, მოზაიკის, კედლის მხატვრობის, ლითონის მხატვრულად დამუშავების, ხელნაწერთა დასურათებული მინიატურების, გლიბტიკის, დაზგური ფერწერის ნიმუშებს. ქართული ხელნაწერების დასურათებულ მინიატურებს მიუძღვნა ნაშრომები: „ქართული მინიატურა“ (1966), „გეფხისტყაოსნის დასურათება, მინიატურებში შესრულებული XVI—XVII სს.“ (1966), „გეფხისტყაოსანი ძველ ქართულ ხელოვნებაში“ (1968).

საკუთრივ ქართული ხელოვნების გარდა შალვა ამირანაშვილი შეისწავლიდა ე. წ. „ისლამური“, უმთავრესად ირანული ხელოვნების სხვადასხვა საკითხებს. 1953 წელს მონაწილეობა მიიღო ირანული ხელოვნებისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ III საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, სადაც წიკოტხა საყურადღებო მოხსენება საქართველოსა და ირანის ურთიერთობის საკითხებზე. ირანის ხელოვნებას მიუძღვნა მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნარკვევი „ირანული დაზგური ფერწერა“ (1940), რომელიც შეისწავლის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში და ერმიტაჟში დაცულ ირანული ფერწერის XVIII—XX ს-ის ბრწყინვალე ნიმუშებს. 1941 წ. გამოდის შ. ამირანაშვილის „ირანული ფერწერა“, სადაც თავმოყრილი და განხილულია XVII—XIX ს-ის ირანული ფერწერისა და მინიატურების ძეგლები. აღნიშნული ნაშრომების შედეგად გახდა ცნობილი სამეცნიერო წრეებში ეს ნიმუშები, რომლებმაც სათანადო ადგილი დაიმკვიდრეს ირანული ხელოვნების ისტორიაში.

შალვა ამირანაშვილის კვლევის ინტერესები სასაზღვრო ირანის ხელოვნების ძეგლებსაც მისწვდა. მან შეისწავლა და გამოაქვეყნა საქართველოში მიკვლეული ვერცხლის თასი (ბორი) ფალაური წარწერით, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ-ირანული კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის აოაერთი საკითხის გასარკვევად. საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ბრიტანეთის მუზეუმში დაცული გემის შესწავლა. მასზე არსებული წარწერის წაკითხვამ და მამაკაცის გამოსახულების სტილმა მკვლევარს ვახტანგ გორგასალთან იდენტიფიცირების საშუალება მისცა.

შალვა ამირანაშვილს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ნაშრომი, „საქართველოს ტიზროვანი მინანქრები“, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა პარიზში 1962 წ. პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე გამოცემულ ამ

ნაშრომში თავმოყრილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ტიხროვანი მინანქრების ნიმუშები. ამ ნაშრომის დიდი რეზონანსის შედეგია მისი გამოცემები მილანში იტალიურ (1963), ნეუ-იორკში ინგლისურ (1965) ენებზე.

პრალაში 1971 წელს ჩეხურ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოიცა შალვა ამირანაშვილის კიდევ ერთი ნაშრომი, რომელშიც მიმოხილულია საქართველოს ფეოდალური ხანის ლითონზე პლასტიკისა და ტიხრული მინანქრის მნიშვნელოვანი ძეგლები. ვარშავის სამეცნიერო გამომცემლობამ 1973 წ. პოლონურ ენაზე გამოსცა მისი „ქართული ხელოვნების ისტორია“.

1972 წელს გამოქვეყნდა შალვა ამირანაშვილის კიდევ ერთი საყურადღებო ნაშრომი — „სახელის კარგედი“, რომელიც სხვადასხვა პერიოდის მრავალრიცხოვანი ტიხროვანი მინანქრის შემცველი ქართული ოქრომჭედლობის მოწინავე ძეგლია.

1974 წ. მკვლევარი აქვეყნებს უბისის მოხატულობას. ეს გამოცემა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ კარგად შესრულებული ფერადი რეპროდუქციები სრულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს მოხატულობის სტილზე.

შალვა ამირანაშვილი დიდ ინტერესს იჩენდა როგორც თანამედროვე ქართული, ისე რუსეთის და დასავლეთ-ევროპის მხატვრების შემოქმედებისადმი, რაც სათანადოდ აისახა მის მრავალრიცხოვან წერილებში.

შალვა ამირანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა სათანადოდ იყო შეფასებული სამეცნიერო წრეებში. 1943 წელს არჩეული იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტად, 1953 წელს კი საფრანგეთის სააზიო საზოგადოების წევრად.

შალვა ამირანაშვილი მეცნიერულ-კვლევით მუშაობას კარგად უთავსებდა პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახმატერო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრებს. 1939 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი. ქართველ მეცნიერს დიდი ღვაწლი მიუძღვის სამუზეუმო საქმიანობაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1922 წელს მისი მონაწილეობა იმ საგანგებო კონისიაში, რომლის მიზანს შეადგენდა რუსეთის მუზეუმებში დაცული ეროვნული კულტურის ძეგლების გამოვლენა და შესაბამისი რესპუბლიკების მუზეუმებში დაბრუნება. შალვა ამირანაშვილის აქტიური მონაწილეობით და საქმის ცოდნის შედეგად ფეოდალური ხანის კულტურისა და ხელოვნების არაერთი ნიმუში დაუბრუნდა საქართველოს მუზეუმებს.

საქართველოს კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოდან 1921 წ. საფრანგეთში წაღებული ეროვნული საგანძურის დაბრუნება. 1945 წ. სსრ კავშირის მთავრობის დავალებით სხვებთან ერთად შ. ამირანაშვილიც მიაგვლინეს პარიზში. ეს ისტორიული მნიშვნელობის მისია წარმატებით განხორციელდა, საქართველოს დაუბრუნდა ეროვნული კულტურისა და ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლები.

შალვა ამირანაშვილმა თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი დასდო ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებას, რასაც სიცოცხლის მანძილზე მეცნიერული სინდისიერებით და თავდადებათ ემსახურებოდა.

ფე/155



ფანო 1 მან.

Индекс 76197